კვირის პალიტრა

გზა

№30 (215) 22/[illegible]/2004.

ფასი 60 თ.

1168
2004

„...როცა უვარგისი ქმარი გყავს და მაინც არ ეყრები“

როდემდე გაიზრდება ფასები პროდუქტებზე

პირველ რიგში ქართველ ოჯახებს დიდ ცოდვაში ადანაშაულებდნენ

მარტივი კითხვები — როგორ დავშორდეთ გულის სწორს ისე, რომ ტკივილი არ მივაყენოთ

ცხოვრების სტილი — ლადო გურდულის „ტუსოვკებზე“ გოგონები უსაცვლოდ დადიან?

მხიარული „ატრაქციონი“ თქვენი პატარებისთვის

ყველაზე საბავშვო ჟურნალი

კვირის პალიტრა
№30 (215)
22 - 28 ივლისი 2004
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
რეფორმები პოლიციურად ანუ „დადუმებული სასტვენების ნოსტალგია“ 3
ერთი კითხვა 4
არჩევანი
ახალი რექტორის რეფორმები და საგაფხულო ციებ-ცხელება სამხატვრო აკადემიაში 6
პროგნოზი
როგორი ამინდი გველის აგვისტოში? 7
საპატარძლო
„ვერ შევიყვარებ ადამიანს, რომელიც არ იქნება შემოქმედი“ 9
სასიძო
„ეცადე, ნაკლებად მოატყუო ხალხი...“ 11
პირველი პაემანი
ბასა ფოცხიშვილი: „ვფიქრობ, რომ ოჯახის შექმნით სიყვარული მიწიერი ხდება“ 12
ბაზარი
როდემდე გაიზრდება ფასები პროდუქტებზე 13
კრიმინალი
● მამა-შვილის მკვლელობისთვის სამუდამო პატიმრობა ემუქრება 15
● „საგარელი სურათი დამხვდა... ორივე ძმა სისხლში ცურავდა...“ 16
სახე
პიერ რიშარის „ორეული“: „დამინახა თუ არა, სახე გაუბრწყინდა...“ 18
თემა
უცნაური სახელები 21
პრობლემა
ყრუ-მუნჯ ბავშვებს ბაგიდან ამოკითხვაში მათი თანატოლები ეხმარებიან 24
ცხოვრების სტილი
ნუთუ მართლა უსაცვლოდ დადიან გოგონები ლადო ბურდულის „ტუსოვკებზე“? 26
გზავნილები
„...როცა უვარგისი ქმარი გყავს და მაინც არ ეყრები“ 28
ჯანმრთელობა
● რას ჭამს ბავშვი გაუხულში 31
● ვირუსი ნარკოტიკებთან საბრძოლველად 31
● შეუკავებლობის მსხვერპლნი 32
● კიბოს საწინააღმდეგო მცენარეები 33
● მოსალოდნელი ინფარქტის ნიშნები 33

როდემდე გაიზრდება ფასები პროდუქტებზე



„დეფიციტის პრობლემა საბაზრო ეკონომიკის პირობებში არ არსებობს – უბრალოდ, გაიზრდება ფასები. ამას ემთხვევა ისიც, რომ წელს ხეხილისთვის ძალზე ცუდი კლიმატური პირობები იყო. 2004 წლის პირველი კვარტალის მონაცემებს თუ გადავხედავთ, ქვეყანაში 1%-იანი ინფლაცია დაფიქსირდა...“

13

როგორ დავეორდეთ გულის სწორს ისე, რომ ტკივილი არ მივაყენოთ?

„თუ კაცს უყვარხარ, გული მაინც ეტკინება, მაგრამ დაშორების შემდეგ, მისთვის კვლავ სასურველ და სასიამოვნო ქალად რომ დარჩე, ამისთვის საჭიროა, აუხსნა, რომ ის შენთვის მაინც ბევრს ნიშნავს. უნდა უთხრა სიმართლე...“

49

პიერ რიშარის „ორეული“: „დამინახა თუ არა, სახე გაუბრწყინდა...“



„ამ ფილმში სათამაშოდ პიერ რიშარი იყო მოწვეული. ერთმანეთს გადასაღებ მოედანზე შევხვდით. დამინახა თუ არა, სახე გაუბრწყინდა, თვალები აენთო... სანამ მასთან ვიყავი, სახეზე ღიმილი არ მოშორებია – შემომხედავდა და ემმაკურად ჩაიცინებდა ხოლმე“.

18

ნუთუ მართლა უსაცვლოდ დადიან გოგონები ლადო ბურდულის „ტუსოვკებზე“?

„...ძირითადად, გოგონებზე ვრცელდებოდა. ეს საზოგადოების გასახალისებლად გავაკეთე. შეიძლება, ერთი-ორი კაცი შევამოწმე, მაგრამ ყველას ნამდვილად ვერ შევამოწმებდი... „ტუსოვკა“ უფრო საინტერესოა, როცა არ იცი, შენს სტუმარს „ტრუსიკი“ აცვია თუ არა“.

26

ტაძარი
შეიძლება თუ არა, უარი ვთქვათ მოწყალების მიღებაზე? 34
საგანძური
პოეტის ფრესკას ვანდალის ხელი პირველად როდი შეხებია... 35
ვარსკვლავი
წიგნის მოყვარული ეშლი ჯადი 38
ბომონდი 39
ავტო 41
რომანი
რუსუდან ბერიძე. მტაცებლის ინსტინქტი (გაგრძელება) 42
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 44
შემოქმედი
„არასაგასტროლო“ კაცის მოსკოვური თავგადასავალი და ესპანური ჭორები 46
როგორ ვისვენებთ
არასპორტულ მარიანას მთაში ხეტიალს, კომფორტი ურჩევნია 48
მარტივი კითხვები
როგორ დავშორდეთ გულის სწორს ისე, რომ ტკივილი არ მივაყენოთ? 49
ოჯახი
რომანტიკოსი ეკონომისტი, მისი ნასტუდენტარი მეუღლე და ორი ბებიის სითბოთი გაჯერებული კერია 50
მოგზაურის დღიურები
„იმ სიყვარულს არ უნდა უღალატო, რომელიც სამშობლოში გელოდება!..“ – მითხრა ქართველმა ემიგრანტმა 53
ჩოგბურთი
სტუმართმოყვარე ქართველებმა ეგვიპტელები არ გაწირეს... 56
მინდვრებს მიღმა
დიდი ფეხბურთის ინტიმური თავისებურებანი 57
სპორტული მოზაიკა 59
ჰოროსკოპი
კვირის (26 ივლისი – 1 აგვისტო) ასტროლოგიური პროგნოზი 60
სკანვორდი 61
იუმორი 62
ტესტი
რამდენად არტისტული ბუნების ადამიანი ბრძანდებით? 63
კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

პოეტის ფრესკას ვანდალის ხელი პირველად როდი შეხებია...

...ეკლესიაც აშენდა, რომელსაც ჯვრის მამა ეწოდა (თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე, სიონის ტაძრის პირდაპირ). აღნიშნული ტაძრის ეზოში იყო პურის საცხობი, სადაც „ჯვრის მამის ლავაში“ ცხვებოდა. აქედან მიღებული ფულადი შემოსავალი მთლიანად იერუსალიმის ჯვრის მონასტერში იგზავნებოდა...

35

ბასა ფიცხიშვილი: „ვფიქრობ, რომ ოჯახის შექმნით სიყვარული მიწიერი სდგება“

„პირველად ალ პაჩინოს „გაღუნული“ ფეხები მომეწონა. ვფიქრობ, „გაღუნული“ ფეხები მამაკაცურია... საერთოდ, ერთი სტილის კაცები მომწონს. არ უნდა იყოს მაღალი და თან, კაცური უნდა იყოს. ასეთებს რომ დავინახავ, თვალი მაშინვე მათკენ გამირბის“.

12

წიგნის მოყვარული ეშლი ჯადი



„მე და დარიოს ისედაც შვიდი შვილი გვყავს – სამი ძაღლი და ოთხი კატა! ეს, რაღა თქმა უნდა, ხუმრობით. საოცრად მადლიერი ვარ დედაჩემის, რომელმაც ცხოვრებაში უმთავრესი რამ მასწავლა – ჩემთვის შოუბიზნესი ყოველთვის მეორე ადგილზეა, ოჯახი კი – პირველზე“.

38

მტაცებლის ინსტინქტი

მანქანამ ზედ მის ფეხებთან დაამუხრუჭა. დამფრთხალი მეგი განზე გახტა, მანქანის კარი კი ხმაურით გაიღო და იქიდან მოღიმარი კახა სუთიძე „ამოიზარდა“:

– ძალიან შეგაშინე?.. – უცნაურად ანთებული თვალები შეანათა მან მეგის...

42

რეფორმები პოლიციურად ანუ „დალუმებული სასწვენების ნოსწალგია"



ავტოინსპექტორი რომ დასანახავად მოგენატრება და სანთლით საძებარი გაგიხდება, ესაა ცხოვრება?! არადა, რა კარგი დრო იყო, ხეს ამოფარებული ან ბუჩქებში შემძვრალი ღიპიანი „გაიშნიკი" რომ შემოგაფრინდებოდა კაპოტზე და თავი რომ სამშვიდობოს გეგონა, სწორედ მაშინ „იავნანად" ჩაგესმოდა მისი სასტვენის ხმა... მერედა რა რკინისებური არგუმენტები ჰქონდათ მძღოლის გასაჩუმებლად: ეს ორღერძულა ხაზი გადაკვეთეო (როცა ერთიც არ ჩანდა), ეს წითელზე გაიარეო (როცა შუქნიშანი სულაც არ მუშაობდა), 120-ით მოდიოდიო (როცა შენს დაფეხვილ მანქანას ბოლო ათი წელია სპიდომეტრზე 80 კმ\სთ არ უჩვენებია) და რა ვიცი, რომელი ერთი გავიხსენო... თანაც, რა კარგად ჰქონდათ აწყობილი „ოლიმპიური სისტემა": გადაიხადე და წადი, ისეირნე, თავისუფალი ხარ, შემდეგ შეხვედრამდე!..

პრეტენზიულებიც ხომ სულ არ იყვნენ, ისე „განიცდიდნენ" თითოეული ჩვენგანის მატერიალურ მდგომარეობას, რომ 10-ლარიანი ოფიციალურის ნაცვლად, მათ ბიუჯეტში 2 (ან 5) ლარის შეტანაც საკმარისი იყო. მით უმეტეს, თუ ნაცნობ ინსპექტორს გადაეყრებოდი, ნისიაც მოდიოდა და ვცხოვრობდით ასე შეხმატკბილებულად...

„მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმე, განა?!"

რეფორმების დრო მოვიდა, მიშამ ვარდი მოგვიტანა"...

ვინ შეგვარჩინა ის სიტკბო? საცოდავ „გაიშნიკებს" სერიოზული მიზეზი რომ ვერ უპოვეს, შარი მოსდეს, ფულის აღება აუკრძალეს — სასაცილოა: ინსპექტორი ხომ იმისთვის იყო, რომ ფული აეღო, თორემ მოძრაობას შუქნიშანიც კი აწესრიგებს. ახლა კი ის მივიღეთ, რომ უმუშევართა რიცხვს 1500 ექსინსპექტორი შეემატა, უნივერმაღ „თბილისის" სასტვენების სექციაში საქონელი ჩაწვა, დაიხურა ჭრელი ხელჯოხების საამქრო, რომელსაც კახა ბენდუქიძე აუქციონზე გატანას უპირებს და ლამის სრულ ეკონომიკურ კრახამდე მივედით... და რაც ყველაზე მთავარია, ქალაქმა დაკარგა ძველებური იერსახე და ელფერი: ყვითელჟილეტიანი ინსპექტორი ხომ ისეთივე მშვენება იყო თბილისის ხედებისა, როგორც უმუშევართა ბირჟა ელიავაზე, „ციგნების" ბაზრობა ვაგზალზე, ან ლეიბორისტების გამოხუნებული პლაკატი ელექტრობოძზე...

ორი დღის წინ პროვოკატორულმა ცნობისმოყვარეობამ ერთი ექსპერიმენტიც ჩამატარებინა: ჩემი „ზაპოროჟეცის" ბაკი მთელი თვის ჰონორარით „სუპერით" გავავსე და „ფორმულა-1"-ის „გონშიკივით" დავფრინავდი თბილისის ქუჩებში იმ იმედით, რომ ვინმე გამაჩერებდა. მაგრამ შენც არ მომიკვდე, ჭრელი ჯოხიც კი არავის დაუქნევია ჩემთვის. მერე შუქნიშანს ქვები დავუშინე, მინდობილობა სახალხოდ, შუა რუსთაველზე დავწვი, საგზაო ნიშანს — „სოხუმი — 450 კმ"-ს კითხვის ნიშანი „?" მივახატე... მაგრამ ყურადღებაც კი არავინ მომაქცია.

იმედგაცრუებული მივუჯექი საღამოს ტელევიზორს და გამინათდა გონება: გამოვიდა მინისტრი და ყველაფერი ამიხსნა. რომ საგზაო პოლიციის გაუქმების მიზეზთა მიზეზია, აღმოვფხვრათ ყველაფერი, რაც საბჭოური წესებიდან შემოგვრჩა და დასავლურ სტანდარტებზე გადავიდეთ (ისე, დასავლური სტანდარტებიდან ერთი მომწონს განსაკუთრებით: 90\60\90 — თეძოს, წელისა და მკერდის გარშემოწერილობა). დასავლეთში კი საპატრულო პოლიციაა მოდაში და ჩვენ რატომ უნდა ჩამოვრჩეთო?!

ჰოდა, მალე თბილისის ქუჩებშიც ირბენენ საპატრულო მანქანები. თითოეული პოლიციელი კი საგანგებოდ იქნება გაწვრთნილი და ჭრელი ხელჯოხის ნაცვლად „ჯადოსნური ხელკეტით" იქნება თურმე შეიარაღებული, რომელიც ფანქრის მოვალეობასაც შეასრულებს და ელექტროშოკისასაც. თანაც, ეს ელექტროშოკი იმდენვოლტიანი ყოფილა, რომ სამკურნალო თვისებებსაც ატარებს: არჩენს რადიკულიტსა და რევმატიზმს, არეგულირებს წნევას, კლავს ტილებსა და ბაღლინჯოებს, და კურნავს ბუასილს საწყის ფაზაში. მოკლედ, ჯოხია — სუფთა პოლიკლინიკა!..

თვითონ პოლიციელებს უფლება აქვთ, დარღვევის შემთხვევაში გამოგეკიდონ და ქუჩაში „დაჭერობანა" გეთამაშონ. წესები კი იმდენად მკაცრია, რომ მძღოლისთვის არც „ნიჩურტი" მოდის და არც სახლში შესწრება. სამაგიეროდ, საჭიროებისამებრ, დახმარების აღმოჩენაც ევალებათ: ჩაგიტარებენ ხელოვნურ სუნთქვას, მარილების დაგროვების საწინააღმდეგო მასაჟს, ამოგპარსავენ კისერს, გაგიწმენდენ კარბურატორს, „დაგილატკავენ" გახეთქილ კამერას და თუ სურვილი გექნებათ, „ბავშვსაც მოგინათლავენ"...

აი, თურმე, რა დიდებული ჩანაფიქრი ჰქონია ჩვენს მინისტრს, რომელიც დამღამობით თვითონ პატრულირებს კონფლიქტის ზონის სოფლებში და მისი შიშით „ფაგოტის" ტიპის რაკეტები კი არა, „რაგატკაც" ვერ გადაქცევთ ვითომსამშვიდობოებს. „ჩიტმა ამბავი მომიტანა" — ჩვენი „სუპერმენი" სწორედ ცხინვალის რეგიონში არჩევს სასურველ კადრებსო... ამ მოძმე ხალხში ხომ ავტოინსპექტორი ვალოდა ითვლებოდა სამაგალითო პიროვნებად, ჰოდა, საპატრულო პოლიციაშიც ოსი სუპერმენები დავასაქმოთ — „პაგონებისა" და ფორმის ტარება კი უყვართ და იმ „ბეტეერებით" დრიხინს, ბარემ გასრიალებული „მერსედესებით" ირბინონ თბილისის ქუჩებში. წესრიგიც დამყარდება, ხალხიც დასაქმდება და თუ საპატრულო პოლიციას შეფად ბატონ ჩოჩიევსაც დავუსვამთ, „კოკოც" გალოკილი თითივით მარტო დარჩება... ასე დავიჭერთ ერთდროულად ორ ან მეტ კურდღელს...

P.S. საპატრულო პოლიციელი დღის ბოლოს პატაკს აბარებს უფროსს:

— ბატონო პოლკოვნიკო, ჩემს უბანზე მოხდა ერთი დარღვევა: მძღოლმა არ გადაიხადა ჯარიმა — 5 ლარი და გაიქცა; რა თქმა უნდა, დავედევნე; გამასწრო, მაგრამ გადავედი გაზონებზე, შევვარდი კულტურისა და დასვენების პარკში, წავაქციე ერთი ჯიხური, გავიტანე კაფე, მოვთხარე ორი ბოძი, გზა მაინც გადავუჭერი და 5 ლარითაც დავაჯარიმე.

— ყოჩაღ!!!

პროვოკატორი

„შესაძლოა, ხელისუფლებამ ცხინვალის კონფლიქტი დროებით „დააკონსერვოს“

— ცხინვალის რეგიონში სიტუაციის სტაბილიზაციისთვის ქართულმა მხარემ მოსკოვში შეხვედრის დროს, ისეთ დოკუმენტზე მოაწერა ხელი, რომელიც არაერთ კომპრომისულ პუნქტს შეიცავს. აგვაცილებს თუ არა ეს თავიდან ომის პროვოცირებას საშიშროებას?

დავით გამყრელიძე, *„მემარჯვენე ოპოზიციის“ ლიდერი:*

— ვფიქრობ, ხელისუფლების მხრიდან ამ დოკუმენტზე ხელმოწერა ტაქტიკურად გამართლებული სვლა იყო, რადგან ბოლო პერიოდში შეიქმნა ისეთი კრიტიკული სიტუაცია, როცა საქართველო ომში ჩათრევის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების განახლება და იარაღის ტრიალი ნამდვილად დამღუპველი იქნებოდა ჩვენი ქვეყნისთვის. ყველამ მშვენივრად ვიცით, რომ ეს არ არის დაპირისპირება ქართველებსა და ოსებს შორის, არამედ პროვოკაციებს რუსეთი აწყობს, რომელსაც თავისი იმპერიული ინტერესები აქვს: მას სურს, შეინარჩუნოს გავლენა კავკასიის სტრატეგიულ ტერიტორიებზე, რაც მთლიანად რეგიონის გაკონტროლების საშუალებას მისცემს. ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ ბაზების გაყვანის და სამშვიდობოებისთვის მანდატის შეწყვეტის საკითხი, მაგრამ არა ეიფორიულად, არამედ თანამიმდევრული პოლიტიკით. ამის შემდეგ როგორ განვითარდება მოვლენები, ძნელი სათქმელია; შესაძლებელია, ხელისუფლებამ აქტიური მოქმედების გზა აირჩიოს ან პირიქით, გარკვეული დროით „დააკონსერვოს“ ეს სიტუაცია. ნებისმიერ შემთხვევაში, ომის პროვოცირება უნდა გამოირიცხოს. თუმცა, მე მესმის პრეზიდენტის პათოსის, როცა ის ამბობს, რომ ამქვეყნად მშვიდობაზე მნიშვნელოვანი ფასეულობებიც არსებობს, რომელთა დაცვაც თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა. ■

„ხაბაზი უბრალოდ გამოიყენეს“

— კობა ხაბაზმა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეობაზე უარი, აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადასვლის სურვილით ახსნა. რა თანამდებობა შეიძლება შესთავაზონ მას აჭარაში?

დავით ბერძენიშვილი, *რესპუბლიკური პარტია:*

— უმაღლესი საბჭოს სხდომაზე კობა ხაბაზის სიტყვით გამოსვლა, თეატრალური წარმოდგენა იყო და მეტი არაფერი, რადგან მას ამ თანამდებობაზე უარი საკუთარი სურვილით არ განუცხადებია. საკაშვილმა მშვენივრად იცოდა, რომ თავმჯდომარედ კობა ხაბაზის დანიშვნა, უმაღლეს საბჭოში დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევდა, ამიტომ არჩევანი მიხეილ მახარაძეზე შეაჩერა. კობა ხაბაზი უბრალოდ, მოატყუეს და საკუთარი უგუნურების გამო, გამოიყენეს. ეს მისი ბრალია, ადამიანმა არავის არ უნდა მისცეს უფლება, რომ ხელსაწმენდივით გამოიყენონ. გამორიცხული არ არის, რომ საკომპენსაციოდ, ვარშალომიძის ერთ-ერთი მოადგილის პოსტი შესთავაზონ. თუმცა, აღმასრულებელ ხელისუფლებაში იმაზე მაღალ თანამდებობას, რაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეობა იყო, მისთვის არავინ გაიმეტებს. ■

„ცენტრალური ბიუჯეტიდან სვანეთში ფული არ გადმორიცხულა“

— სვანეთში კოკისპირული წვიმები გრძელდება, გავრცელებული ინფორმაციით კი, ცენტრალური ხელისუფლება, დაპირებების მიუხედავად, ადგილობრივი მოსახლეობის დასახმარებლად არაფერს აკეთებს...

ერეკლე ჯაფარიძე, *მესტიის რაიონის გამგებელი:*

— სამწუხაროდ, ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში, მესტიის რაიონში კვლავ გადაუღებლად წვიმს. თუ ასე გაგრძელდა, სტიქიური უბედურება გარდაუვალი იქნება. მდინარეები ისევ ადიდდა და კალაპოტიდან გამოვიდა. საგზაო მაგისტრალები დამწყრილია. გზები, რომელთა შეკეთება უკვე დაწყებული იყო, წყალმა წაიღო. ზარალი ჯერჯერობით შესასწავლია, სავარაუდოდ ის 4 მილიონს აღემატება. ამ პირობებში კი, ცენტრალული ბიუჯეტიდან ფული ჯერჯერობით არ მიგვიღია, რაც შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის პოვნას ძალზე ართულებს. ადგილზე შეძლებისდაგვარად ვმოქმედებთ. მთავარი მიზანი ის არის, რომ მსხვერპლი ავიცილოთ თავიდან. საერთოდ, სვანეთი ისეთ მეტეოროლოგიურ სივრცეში მდებარეობს, რომ ხელისუფლება სტიქიური უბედურებისთვის მზად უნდა იყოს, რათა ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოება დაიცვას. თუმცა, ეს საკითხი ჯერჯერობით მოუგვარებელია. ამ ეტაპზე მთავარი პრობლემა, იმ გზების აღდგენაა, რომლის მეშვეობითაც მოსახლეობამდე ჰუმანიტარული ტვირთის მიტანას მაინც შევძლებთ. ■

„საპატრულო პოლიციელებს სამსახური გარანტირებული არა აქვთ“

— როგორი იქნება ძველი და ახალი პოლიციელის განმასხვავებელი ნიშანი და ორკვირიანი მომზადების პირობებში, საპატრულო პოლიციის დასავლურ სტანდარტებთან გათანაბრებულ მუშაობაზე საუბარი გადაჭარბებულად ხომ არ გეჩვენებათ?

ლევან იზორია, *პოლიციის აკადემიის რექტორი:*

— ორკვირიანი მომზადება საკმარისი ნამდვილად არ არის. საპატრულო პოლიციაში ყოველთვის იქნება კონკურენცია, რაც მის თითოეულ თანამშრომელს აიძულებს, საკუთარი თავის სრულყოფისთვის იზრუნოს. პოლიციელებმა ბოლომდე უნდა გაიცნობიერონ, რომ სამსახური გამუდმებით გარანტირებული არა აქვთ. წვრთნის ნორმატივები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და ვინც ამ ნორმატივებს უპასუხებს, შტატსაც ის შეინარჩუნებს. ჩვენი აკადემია ევროპულ სტანდარტებზეა გათვლილი, ამიტომ სასწავლო პროგრამები კიდევ უფრო დაიხვეწება, რათა მაღალკვალიფიციური კადრები მოვამზადოთ. ამისთვის ძალიან ცოტა დრო გვაქვს, მაგრამ საზოგადოება მალე დარწმუნდება, რომ შეუძლებელი არაფერია. საპატრულო პოლიცია ადამიანის უფლებების დაცვაზე იზრუნებს და არა ფულის გამოძალვასა და ნარკოტიკების გავრცელებაზე. უფრო მეტიც, ეს იქნება პოლიცია პრევენციული ფუნქციით, რომელიც მხოლოდ დანაშაულს კი არ ებრძვის, არამედ მის პროფილაქტიკას ახდენს იმისთვის, რომ დანაშაულის წინაპირობა არ შეიქმნას. ■

„მთელი მსოფლიო გაკვირდებათ, რას მოიმოქმედებთ...“

— „ჯორჯიან თაიმსით“ საფინანსო პოლიციის დაინტერესებას, რედაქციის ხელმძღვანელობა კონკრეტული ჩინოვნიკების, კერძოდ კი თბილისის პროკურორის მხრიდან ანგარიშსწორებად აფასებს...

ნანა გაგუა, *„ჯორჯიან თაიმსის“ დამფუძნებელი:*

— ჩვენ რომ რამე გვქონდეს დასამალი ან რაიმე ინფორმაციის გახმაურების გვეშინოდეს, მაშინ მაღალი თანამდებობის პირების კომპრომატებზე ხმამაღლა საუბარს ვერ გავბედავდით, კრიტიკულ ტონს შევცვლიდით და ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან დაშვებულ შეცდომებზე დუმილს ვამჯობინებდით. „ჯორჯიან თაიმსის“ დოკუმენტაციაში არათუ სერიოზულ კანონდარღვევას, არამედ მცირე უზუსტობასაც ვერავინ იპოვის. საფინანსო პოლიცია ჩვენს ოფისში სასამართლო სანქციის გარეშე შემოვიდა, რითიც თავად დაარღვია კანონი. 8 კაცისგან შემდგარმა ჯგუფმა გამოგვიცხადა, რომ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩხრეკა უნდა ჩაეტარებინათ. რედაქციის თანამშრომლები ისე დავიბენით, რომ ადვოკატთან დარეკვა მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ მოვახერხეთ. თუმცა, პოლიციელებმა ისე დააყადაღეს დოკუმენტაცია და ისე დატოვეს შენობა, რომ კონკრეტულად რა ინფორმაციას ფლობდნენ, ამაზე არაფერი გვითხრეს. მეორე დღეს, ამ პირებმა მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს მიაკითხეს და მოსამართლე სონღულაშვილისგან ჩხრეკის ნებართვა, ოფისის შემოწმების შემდეგ აიღეს. ჩვენ ამ ფაქტს ქალაქის პროკურორის პერსონას ვუკავშირებთ, რადგან მის შესახებ გამოქვეყნებული მასალების გამო, გრიგალაშვილი გაგვინაწყენდა, შანტაჟისტები და გამომძალველები გვიწოდა, შემდეგ კი დაგვემუქრა, თქვენი საქმიანობის შესახებ ოპერატიულ ინფორმაციას შევაგროვებო. ოფისიდან დოკუმენტების წაღების შემდეგ, არავინ შეგვხმიანებია. როგორც ჩანს, „სამხილების“ ძებნით არიან დაკავებული. იმედი გვაქვს, საფინანსო პოლიცია ამჯერად მაინც არ დაარღვევს კანონს და დათქმულ ვადაში, 22 ივლისამდე საბუღალტრო დოკუმენტებს უკან დაგვიბრუნებს. უკანონო ჩხრეკასთან დაკავშირებით ჩვენ სასამართლოში სარჩელი უკვე შევიტანეთ. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ როგორც საფინანსო პოლიციის უკანონობა, ასევე მათ უკან მდგომი შემკვეთების ვინაობა დოკუმენტურად დავადასტუროთ.

— ბატონო ირაკლი, რატომ შევიდა „ჯორჯიან თაიმსში“ საფინანსო პოლიცია სასამართლოს სანქციის გარეშე და რა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გადაწყვიტეთ გაზეთის რედაქციაში ე.წ. გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით შესვლა?

ირაკლი პირველი, *საფინანსო პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე:*

— საფინანსო პოლიცია „ჯორჯიან თაიმსის“ ოფისში ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე შევიდა, ამიტომ კანონმდებლობიდან გამომდინარე, შესვლისთანავე სასამართლოს სანქციის წარმოდგენა საჭირო არ იყო. სარწმუნო წყაროს ცნობით, მივიღეთ ინფორმაცია, რომ მათ ბიუჯეტთან მიმართებაში სერიოზული დარღვევები ჰქონდათ, რის შესამოწმებლადაც საბუღალტრო ანგარიშების გადახედვა იყო საჭირო. პოლიციას არავითარი დოკუმენტაცია არ დაუყადაღებია, უბრალოდ, ოფისის შენობაში იმდენმა ადამიანმა მოიყარა თავი, რომ ჩვენს თანამშრომლებს მუშობის საშუალება არ მიეცათ, ამიტომ ოქმების გარკვეული ნაწილი დალუქეს და თან წამოიღეს. ამჟამად დოკუმენტები დალუქულ მდგომარეობაშია და როდესაც გამოცხადდება საგადასახადო რევიზორი და „ჯორჯიან თაიმსის“ ბუღალტერი, ამის შემდეგ დაიწყება შემოწმება. ეს აუცილებელი პროცედურაა იმისთვის, რომ რაიმე უზუსტობა არ გაიპაროს. თუ შემოსული ოპერატიული ინფორმაცია დადასტურდა, შესაძლებელია, „ჯორჯიან თაიმსს“ ფულადი ჯარიმა დაეკისროს. უკიდურეს შემთხვევაში, გაზეთის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრასაც არ გამოვრიცხავთ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ვასრულებთ მაკონტროლებელ ფუნქციას და კონკრეტული ჩინოვნიკების შეკვეთებით არ ვმუშაობთ. ჩემთვის სრულიად გაუგებარია ის ბრალდებები, რომელსაც გაზეთის დამფუძნებლები აყენებენ, ამაში თავადაც დარწმუნდებიან მაშინ, როცა დოკუმენტების ობიექტური და გამჭვირვალე შემოწმების პროცესი დასრულდება.

აღნიშნულ საკითხს მსოფლიო პრესის თავისუფლების კომიტეტიც გამოეხმაურა:

„პატივცემულ პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს

მსოფლიო პრესის თავისუფლების კომიტეტი, რომელიც მსოფლიო მასშტაბით პრესის თავისუფლების 45 ორგანიზაციას აერთიანებს, გამოხატავს შეშფოთებას 2004 წლის 14 ივლისს ფინანსური პოლიციის მიერ „ჯორჯიან თაიმსზე“ სასამართლო ორდერის გარეშე განხორციელებულ რეიდთან დაკავშირებით.

მოგიწოდებთ, ისევე, როგორც მსოფლიოს ყველა მთავრობას, რომელსაც აქვს სურვილი, იცნობდნენ, როგორც სიტყვის თავისუფლების და ადამიანის უფლებების პატივისმცემელს, რომ მსგავსი ორდერის გარეშე წარმოებული სამთავრობო ჩარევა ნებისმიერი კერძო კომუნიკაციის საშუალების საქმიანობაში, მეტყველებს მთავრობის არა სიძლიერეზე, არამედ სისუსტეზე.

მთავრობის ამ მოქმედებას ღრმა შეშფოთებით ადევნებენ თვალყურს მსოფლიო მაშტაბით. შეუძლებელია, რაიმე დაუმალო საზოგადოებას და ამ შემთხვევაში, მთელი მსოფლიო გაკვირდებათ, რას მოიმოქმედებთ.

მოგიწოდებთ, სასწრაფოდ იხმაროთ ყველა ღონე, რათა არ დაუშვათ „ჯორჯიან თაიმსის“ სამუშაო პროცესის შეჩერება.

პატივისცემით

ე. მარკამ ბენჩი, აღმასრულებელი დირექტორი, მსოფლიო პრესის თავისუფლების კომიტეტი

რესტონი, ვირჯინია

მსოფლიო პრესის თავისუფლების კომიტეტი“.

იბეჭდება მცირე შემოკლებით.

მას შემდეგ, რაც თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორად აირჩიეს, გია გულაძე არათუ ქალაქის კედლების მოსახატავად, არამედ საკუთარი შემოქმედებისთვისაც ნაკლებად იცლის. მისი თქმით, აკადემიაში როტაციის პრინციპია შემოღებული, რომელიც სტუდენტებს თანაბარ პირობებში ჩააყენებს. თუ რას ითვალისწინებს საკუთრივ ეს სისტემა — ამის შესახებ და მიმდინარე მისაღები გამოცდების დროს მომხდარი ექსცესების შესახებ, თავად ბატონი გია მოგვითხრობს.

ახალი რექტორის რეფორმები და საზაფხულო ციებ-ცხელება

სამხატვრო აკადემიაში



ლიკა ქაჯაია

— როტაციის პრინციპი ითვალისწინებს იმას, რომ ყოველი სემესტრის ბოლოს, სახელმწიფო (ე.ი. უფასო) და კომერციული (ფასიანი) სექტორების სტუდენტებს შორის ურთიერთჩანაცვლება მოხდება — მათი აკადემიური მოსწრების მიხედვით. ამგვარად, უფასო სექტორის სტუდენტმა შეიძლება, ადგილი დაუთმოს ფასიანის სტუდენტს და თვითონ, კომერციულ ჯგუფში გადავიდეს.

— რა შედეგს ელოდებით ამ თავისებური ექსპერიმენტისგან?

— რა თქმა უნდა, სტუდენტებს შორის კონკურენცია გაიზრდება. ცხადია, შეიძლება მათ ურთიერთობაში პრობლემებიც გაჩნდეს, მაგრამ ახალგაზრდები მათ გადალახავენ. ბოლოს, ყოველთვის ყალიბდება ჯანსაღი ბირთვი. ეს სისტემა, ექსპერიმენტის სახით, ჯერ კიდევ 7 წლის წინ დავნერგეთ არქიტექტურის ფაკულტეტზე, ახლა კი მთელ აკადემიაზე განვავრცე.

— თუ ეს ექსპერიმენტი გაამართლებს, კიდევ რა რეფორმების გატარებას გეგმავთ?

— ჩანაცვლების პრინციპის შემდეგ, რომელიც აუცილებლად გაამართლებს, გამოცდების სისტემის შეცვლაზე უნდა ვიფიქრო. გამოცდები ტესტირების ფორმით უნდა ჩატარდეს.

— მისაღები გამოცდების შესახებ რას გვეტყვით? რა შედეგს მიაღწიეთ მისაღებ გამოცდებზე კორუფციული მოვლენების აღმოფხვრის თვალსაზრისით?

— აქტიურად ვთანამშრომლობ ჟურნალისტებთან, რათა ჩვენი გადაწყვეტილებები აბსოლუტურად ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის. ძალზე რთულია „საქმის ჩაწყობის“ აღმოფხვრა მაშინ, როდესაც ადამიანებს ეშმაკობა ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი... მე ავკრძალე კომისიაში იმ პედაგოგების შეყვანა, რომლებიც აბიტურიენტებს კერძოდ ამზადებენ, იმიტომ, რომ როგორი წესიერი ადამიანიც არ უნდა იყო, ბავშვს, რომელსაც ასწავლი, ეჩვევი, გიყვარდება და გამოცდის დროს, გარკვეული თვალსაზრისით, ეს მაინც მოქმედებს... მისაღები გამოცდების დაწყებამდე, ყველა დამკვირვებელს, პედაგოგს, ლაბორანტს ვთხოვე, მაქსიმალური კორექტულობა და პატიოსნება გამოეჩინათ, მაგრამ პრობლემას მაინც წავაწყდით.

— კონკრეტულად, რა ფაქტებს წააწყდით?

— არქიტექტურის ფაკულტეტზე, ძალზე წესიერი და არაჩვეულებრივი ადამიანები წინასწარ წერდნენ ნიშნებს. მათ ვინაობას არ გაგიმხელთ, რადგან თვით სისტემაა ისეთი, რომ თავისთავად გულისხმობს შეთანხმებას, გარიგებას... ეს ის სენია, რომელსაც ბოლო უნდა მოეღოს. ერთადერთი გამოსავალი ტესტირების მეთოდის შემოღებაა.

— თუ ფიქრობთ, რომ ტესტირების დროს მსგავსი რამ არ მოხდება, მისაღები გამოცდები ამ ფორმით რატომ არ ჩაატარეთ?

— ტესტირება ნათლად დაგვანახვებს, რამდენად ნიჭიერია ბავშვი. მაგრამ ამ მეთოდის დანერგვას 6 თვე სჭირდება. ამდენი ხანი არ გასულა, რაც რექტორი ვარ და ფიზიკურად ვერ მოვასწრებდი ამის მომზადებას.

— რა მეთოდით აპირებთ იმ ადამიანების დასჯას, რომლებიც მიკერძოების გამოვლენაში ამხილეთ?

— მე არც პოლიციელი ვარ და არც უშიშროების სამსახურის თანამშრომელი, მაგრამ განვსაზღვრავთ შიდადისციპლინარულ სასჯელს.

— უფრო კონკრეტულად?

— ჯერჯერობით ვერ გეტყვით, თუმცა ვაღიარებ, რომ გარიგების დამადასტურებელი ფაქტები დავაფიქსირეთ. ამის შემდგომ, ჩამოვაყალიბე ახალი მიმღები კომისია და მისმა წევრებმა მეტი სიმკაცრე გამოიჩინეს ნიშნების დაწერისას და ამან ბევრი აბიტურიენტისა და შშმ-ლის პროტესტი გამოიწვია.

— რამდენად დიდი კონკურსი იყო წლეულს?

— მსურველთა საოცრად დიდი რაოდენობაა — 500-მდე ბავშვი ცდილობდა აკადემიაში ჩაბარებას.

— როგორც ვიცი, ახალი ფაკულტეტის ჩამოყალიბებასაც აპირებთ, მართალია?

— დიახ. განზრახული გვაქვს რესტავრაციის ფაკულტეტის გახსნა. ამაში დასავლელი კოლეგებიც დაგვეხმარებიან: გავაფორმეთ ხელშეკრულება მსოფლიო მნიშვნელობის უდიდეს იტალიურ საკონსერვაციო ფირმასთან, რომელიც სპეციალისტებს მოგვიმზადებს. ამავე დროს, ჩვენი სტუდენტები გაივლიან სტაჟირებას და ჩვენთანაც მოვიწვევთ იქაურ სპეციალისტებს. მაგრამ სამწუხაროდ, ამას ხელს შეუშლის ის გარემოება, რომ უმძიმეს მდგომარეობაშია ჩვენი ლაბორატორია და საერთოდ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. არადა, ჩვენთან რამდენიმე წელია, მიმდინარეობს ულტრათანამედროვე სპეციალობების — კომპიუტერული გრაფიკისა და კომპიუტერული დიზაინის სწავლება, თუმცაღა ამ სპეციალობებს მხოლოდ არასახელმწიფო, კომერციულ სექტორზე ვასწავლით. მიუხედავად ამისა, ამ ფაკულტეტზე ჩარიცხვის სურვილი ძალზე ბევრ ახალგაზრდას აქვს.

— რა პრივილეგიებით ისარგებლებენ წარჩინებული სტუდენტები? მოეწყობა თუ არა აკადემიაში საუკეთესო ნამუშევრების გამოფენები?

— თუ სტუდენტებს ამის სურვილი ექნებათ, გამოფენების მოწყობაში აუცილებლად დავეხმარები. ერთი პერიოდი, ეს კატეგორიულად იკრძალებოდა; ასეთი მიდგომა იყო: რატომ უნდა მოაწყოს სტუდენტმა თავისი ნამუშევრების გამოფენაო?.. ვფიქრობ, ამ მიდგომას არასწორი ლოგიკა უდევს საფუძვლად. არ მესმის

მათი, ვინც ამბობს — ისწავლე, აკადემია დაამთავრე და მერე, რაც გინდა, ის აკეთეო. ჩემი აზრით, მთელი ცხოვრების მანძილზე რაღაცას სწავლობ. ამიტომაც, პირველი კურსიდანვე შესაძლებელია, რომ ახალგაზრდამ თავისი ნამუშევრები გამოფინოს. უფრო უპრიანი იქნება, თუ ახალგაზრდები გაერთიანდებიან და ერთად მოაწყობენ თავიანთი ნამუშევრების გამოფენას: აქ კარგად გამოჩნდება ახალი თაობის, გარკვეული თვალსაზრისით თანამოაზრეთა ჯგუფისთვის დამახასიათებელი ტენდენციები...

— ეი. საამისოდ დარბაზსაც გამოუყოფთ?

— სამწუხაროდ, საგამოფენოდ გამოსადეგი ფართობი აკადემიაში არ გვაქვს. იდეალური ვარიანტი იქნებოდა, პირველ სართულზე მოგვეწყო გალერეა, მაგრამ დღესდღეობით ამის საშუალება არ გვაქვს.

— თუ მიმართეთ დახმარებისთვის სახელმწიფო სტრუქტურებს?

— სახელმწიფოსგან ძალზე ბევრ რამეს ვითხოვთ, მაგრამ ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს. ერთადერთი, რაც მივიღეთ, ეს სახელმწიფო ფონდის დახმარება იყო და ამაზეც მადლობლები ვართ, რადგან წინა ხელისუფლება სამხატვრო აკადემიას საერთოდ არ წყალობდა...

— რექტორად თქვენს დანიშვნამდე, ფრიადოსნები და ოთხოსნები 10-ლარიან სტიპენდიას იღებდნენ. ამ მხრივ თუ შეიცვლება რაიმე?

— ახლაც ასეა, მაგრამ ვაპირებ, რომ ოთხოსნებს მოვუხსნა სტიპენდია. სამაგიეროდ, ფრიადოსნები 50 ლარს მიიღებენ...

— დაახლოებით ერთი წლის წინ ამბობდით, რომ სტუდენტებთან ერთად ე.წ. „ანდროპოვის ყურეს“ მოხატავდით...

— ეს ხუმრობა იყო. ისე კი, დიდი სიამოვნებით, ჩემი სტუდენტების დახმარებით იმ ნაგებობას საერთოდ გავაქრობდი... მაგრამ ამის უფლების მოპოვება ძნელია. ცენტრალურ მოედნებზე რაიმის შეცვლა ქალაქის მერიასა და მთავარ არქიტექტორთან უნდა შეთანხმდეს.

— დაბოლოს: რა მოგიტანათ სამხატვრო აკადემიის რექტორობამ?

— მოვალეობები, პასუხისმგებლობა, ლანძღვა-გინება და ფინანსების უკმარისობა — რადგან ახლა უფრო ნაკლებს ვხატავ, ვიდრე წინათ და შესაბამისად, ნაკლებს ვყიდი... და რაც მთავარია — მომიტანა მომავლის დიდი იმედი...

■

როგორი ამინდი გველის აგვისტოში?

ნანა ქიბიშაური

წლეულს ბუნებამ მრავალი უსიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა. მსოფლიო შეშფოთებულია იმ სტიქიური უბედურებების სიმრავლით, ხანძრებისა თუ წყალდიდობების სახით პერიოდულად რომ ატყდება თავს სხვადასხვა ქვეყანას. სამწუხაროდ, არც საქართველო აღმოჩნდა გამონაკლისი. ჯერ ყვარლის რაიონი დაიტბორა, ცოტა ხნის წინ კი — მესტია, სადაც დღემდე მუშაობენ მაშველები.

არის თუ არა შესაძლებელი წყალმოვარდნების პროგნოზირება? როგორი მეტეოროლოგიური პირობები იქნება უახლოეს პერიოდში საქართველოში და არის თუ არა აგვისტოში მოსალოდნელი ამინდის ჭირვეულობა? ჩვენს შეკითხვებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის ოპერატიული პროგნოზების სამსახურის უფროსის მოადგილე, **ჯემალ დოლიძე** *უპასუხებს.*

— ბატონო ჯემალ, როდიდან შეინიშნება საქართველოს კლიმატში ე.წ. ექსტრემალური გადახრები და რატომ ვერ ხერხდება მოსალოდნელი წყალმოვარდნების პროგნოზირება?

— მთელ მსოფლიოში კლიმატის ცვლილება გლობალური დათბობის შედეგია. ჩვენს ქვეყანაში ამ პროცესის შედეგი ყველაზე ნათლად 1987 წელს გამოჩნდა, როცა მკვეთრი კლიმატური ცვლილებები სტიქიურ უბედურებაში გადაიზარდა. დიდთოვლობა, ზავები, წყალმოვარდნები... მაშინ ბუნების ჭირვეულობამ 150 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამის შემდეგ, 1998 წლამდე, თითქმის ყველაფერი კანონზომიერებას ემორჩილებოდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, იმ მცირეოდენ გადახრებს, რომლებიც ზამთარში ოდნავ აწეულ ტემპერატურაში გამოიხატებოდა. 1998-დან 2001 წლამდე კვლავ ნორმიდან გადახრის მოწმენი ვიყავით. წლეულს კი, როცა ნალექიანობა მაღალია და საქართველოს მდინარეების სავსე აუზებში წყალდიდობებს ხანგრძლივი წვიმები დაემატა, წყალმოვარდნებმა რამდენიმე რაიონი მნიშვნელოვნად დააზარალა. აქვე მინდა დავაზუსტო: წყალდიდობა და წყალმოვარდნა სხვადასხვა პროცესის აღმნიშვნელი ტერმინებია. წყალდიდობა არის პერიოდული მოვლენა, რომელიც თოვლის დნობითაა გამოწვეული. მისი პროგნოზი მარტის ბოლოს და აპრილის დასაწყისში დგება. მანამდე კი, საქართველოს ყველა მდინარის აუზის ზედა წელში იგზავნება საექსპედიციო ჯგუფი, რომელიც თოვლის სიმაღლეს და წყლის დონეს ზომავს. წყალდიდობისგან განსხვავებით, წყალმოვარდნების პროგნოზირება შეუძლებელია, რადგან ჯერჯერობით, მხოლოდ ნალექების რაოდენობის დადგენაა რეალური. თუ როგორ განაწილდება ნალექი — ამის პროგნოზირება არა მხოლოდ ჩვენი, არამედ მსოფლიო პრობლემაა. ყვარელშიც და მესტიაშიც წყალმოვარდნა ხანგრძლივმა წვიმებმა გამოიწვია. აგვისტოში ნალექების რაოდენობის მოსალოდნელი გადახრა მრავალწლიურიდან გამოანგარიშებული საშუალო მაჩვენებლის შესაბამისი — ე.ი. ნორმალური იქნება.

ნოვო-პასიტი -

ბუნებისაგან ბოძებული სიმშვიდე!

თანამედროვე ცხოვრების რიტმი ისეთია, რომ უკან მოხედვის საშუალებას არ გვაძლევს. ადამიანის ცხოვრება მუდმივად დაძაბულობის, სტრესისა და ნერვული ზეწოლის თანხლებით მიმდინარეობს, ამიტომ ხშირად გვებადება კითხვა, რა არის სტრესი. "სტრესი" ეს არის ფსიქიურად დაძაბული მდგომარეობა, რომელიც განპირობებულია განსაკუთებულად მძიმე პირობებში სამუშაოს შესრულებით". (გ.სელიე 1936 წ.) ცნობილია, რომ სტრესის მიმართ არ არსებობს იმუნიტეტი, სტრესს გააჩნია დაგროვების უნარი და ძირითად როლს თამაშობს სხვადასხვა დაავადების წარმოშობასა და გამწვავებაში. თქვენთვის საჭიროა მიმართოთ ზომებს და დაიცვათ თავი სტრესის ზემოქმედებისაგან, მაგრამ დღეს აუცილებელია, რომ პრეპარატი იყოს არა მხოლოდ ეფექტური, არამედ უვნებელიც.

ნოვო-პასიტი - ნატურალური დამამშვიდებელი საშუალება, არ იწვევს შეჩვევას, ძილიანობას. შესაძლებელია გამოიყენონ ადამიანებმა, რომლებიც ცხოვრების აქტიურ წესს ეწევიან, ისე, რომ არ მოხდეს, როგორც აზროვნების (მენეჯერები, მომსახურე პერსონალი, სტუდენტები), ასევე მამოძრავებელი ფუნქციის (ღამე მომუშავე ადამიანები, მძღოლები) შეფერხება. **ნოვო-პასიტი** - ეს არის 7 მცენარის ექსტრაქტისა (კატაბალახა, ბარამბო, კრაზანა, კუნელი, სვია,დიდგულა, პასიფლორა) და გვაიფენეზინის კომბინაცია. **ნოვო-პასიტს** გააჩნია გამოყენების ფართო სპექტრი, მისაღებად მარტივი და მოსახერხებელია, ასევე შესაძლებელია ერთჯერადი მიღება. გამოშვების ორი ფორმა ხსნარი და აბები უზრუნველყოფს ნებისმიერი ადამიანის მოთხოვნას.

ნოვო-პასიტი - დაიბრუნეთ საკუთარი თავის რწმენა და იცხოვრეთ მშვიდად.

ფოტო: ირინა ალექსეევა

პრეპარატის მიღებისას გაეცანით ანოტაციას!

IVAX Pharmaceuticals
აივაქს ფარმასიუტიკალს

ნოვო-პასიტი
დამამშვიდებელი საშუალება

— რა არის იმის მიზეზი, რომ სხვადასხვა ტელეკომპანია ხშირად, ერთმანეთისგან განსხვავებულ ამინდის პროგნოზს გვთავაზობს?

— ჩვენი მომსახურება ფასიანია და ალბათ, ეს არის მიზეზი იმისა, რომ ყველა საინფორმაციო საშუალება ჩვენ ვერ გვიკავშირდება. ზოგიერთი მათგანი ინტერნეტით გავრცელებულ ინფორმაციას ეყრდნობა. ჩვენ საფრანგეთისა და ინგლისის წამყვანი მეტეოროლოგიური ცენტრებიდან ვიღებთ ინფორმაციას, მას ჩვენს ხელთ არსებულ მონაცემებთან ვაჯერებთ და საბოლოოდ, რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებულ ამინდის სამდღიან პროგნოზს ვადგენთ. რაც შეეხება თვის პროგნოზს, ის მხოლოდ საორიენტაციო ხასიათს ატარებს.

— როგორ დაახასიათებთ აგვისტოს კლიმატს ზოგადად? ეს განსაკუთრებით დაინტერესებთ იმ ადამიანებს, ვინც ზღვაზე ან მთაში დასასვენებლად წასვლას აპირებს.

— კლიმატური მონაცემებით, ივლისთან შედარებით, აგვისტოს საშუალო ტემპერატურა საქართველოში მნიშვნელოვან ცვლილებას არ განიცდის. ამ თვის საშუალო ტემპერატურა სანაპირო ზოლსა და კოლხეთის დაბლობზე +21, +24^0-ია. შიდა ქართლში +20, +22^0-ის ფარგლებშია, ქვემო ქართლსა და კახეთში +22, +25^0; მთიან რაიონებში, 1400 მ სიმაღლემდე, +17, +22^0, ხოლო მასზე უფრო მაღალ ზონაში, +13, +17^0-ს შეადგენს. ნალექიან დღეთა რიცხვი დასავლეთ საქართველოში და აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში საშუალოდ 8-დან 15-მდე მერყეობს, ქართლსა და კახეთში — 5-დან 8-მდე. ყველაზე მეტი ნალექი აგვისტოში აჭარის სანაპირო ზოლში მოდის — 200-300 მმ, სამეგრელოსა და აფხაზეთის მთებში 150-200 მმ-ია, სანაპირო ზოლის დანარჩენ ნაწილში, კოლხეთის დაბლობსა და საქართველოს აღმოსავლეთ კავკასიონის მთებში მოსული ნალექის რაოდენობა 100-150 მმ-ია. ყველაზე ნაკლები ნალექიანობით ხასიათდება ქართლი და გარე კახეთი — საშუალოდ 30-40 მმ. საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე საშუალოდ 50-100 მმ ნალექი მოდის. ინტენსიური ნალექები (დღე-ღამეში 10 მმ და მეტი) საქართველოში შეიძლება მოვიდეს ყოველ წელს, საშუალოდ 2-3 ჯერ თვეში. ძლიერი წვიმები (დღე-ღამეში 30 მმ-ზე მეტი) დასავლეთ საქართველოში აღინიშნება ყოველ წელს, შიდა კახეთში — 3-5 წელიწადში ერთხელ, ქართლსა და გარე კახეთში 5-10 წელიწადში ერთხელ.

— როგორია აგვისტოს თვის პროგნოზი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში?

— დავიწყოთ შავი ზღვის სანაპირო რაიონებით. ჰაერის საშუალო ტემპერატურა, +22 +23^0. თვის ცალკეულ პერიოდებში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება — ღამით +19, +16^0-მდე. თვის ცალკეულ დღეებში ტემპერატურის მომატება დღისით +27, +30^0-მდე. ნალექიან დღეთა რიცხვი 11-13-ის ფარგლებში იქნება. კოლხეთის დაბლობი: ჰაერის საშუალო ტემპერატურა +23, +24^0, თვის ცალკეულ პერიოდებში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება — ღამით +20, +17^0-მდე. თვის ცალკეულ დღეებში ტემპერატურის მომატება დღისით +31, +34^0-მდე. ნალექიან დღეთა რიცხვი 6-8-ის ფარგლებში იქნება.

მთიანი და მაღალმთიანი რაიონები: ჰაერის საშუალო ტემპერატურა, +18, +19^0 (მაღალმთიან რაიონებში +13, +15^0), თვის ცალკეულ პერიოდებში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით +15, +12^0-მდე (მაღალმთიან რაიონებში +11, +8^0-მდე), თვის ცალკეულ დღეებში ტემპერატურის მომატება დღისით +27, +30^0-მდე (მაღალმთიან რაიონებში +19, +22^0-მდე) ნალექიან დღეთა რიცხვი 7-ის ფარგლებში იქნება.

აღმოსავლეთ საქართველო, ქართლის ვაკე: ჰაერის საშუალო ტემპერატურა შიდა ქართლში მოსალოდნელია +21, +22^0, ქვემო ქართლში +24, +25^0. თვის ცალკეულ პერიოდში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით შიდა ქართლში +14, +11^0-მდე, ქვემო ქართლში +19, +16^0-მდე. თვის ცალკეულ დღეებში ტემპერატურის მომატება დღისით +33, +36^0. ნალექიან დღეთა რიცხვი 11–13-ის ფარგლებში იქნება.

გარე და შიდა კახეთი: ჰაერის საშუალო ტემპერატურა მოსალოდნელია +22, +24^0, თვის ცალკეულ პერიოდებში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით +18, +15^0, თვის ცალკეულ დღეებში — ტემპერატურის მომატება დღისით +33, +36^0-მდე. ნალექიან დღეთა რიცხვი 10-12-ის ფარგლებში იქნება.

მთიანი და მაღალმთიანი რაიონები: ჰაერის საშუალო ტემპერატურა მოსალოდნელია +18, +20^0 (მაღალმთიან რაიონებში +13, +15^0), თვის ცალკეულ პერიოდებში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით +13, +10^0-მდე (მაღალმთიან რაიონებში +10, +7^0-მდე), თვის ცალკეულ დღეებში ტემპერატურის მომატება დღისით +31, 34^0-მდე (მაღალმთიან რაიონებში +23, +25^0-მდე). ნალექიან დღეთა რიცხვი 14-16-ის ფარგლებში იქნება.

— ჩვენი თერმომეტრი ზოგჯერ, გაცილებით მაღალ ტემპერატურას აჩვენებს, ვიდრე მეტეოროლოგიური სამსახურის მონაცემებშია დაფიქსირებული.

— თბილისისთვის აგვისტოს თვის მაქსიმალური ტემპერატურა არის 41^0 და ამ მაჩვენებლის ზემოთ სინდიკი (ვერცხლისწყლის სვეტი) არასოდეს ასულა. ვინც დაინტერესებულია, რომ თავად გაზომოს ჰაერის ტემპერატურა, უნდა იცოდეს, როგორ გააკეთოს ეს. თერმომეტრი უნდა დავდოთ ვარეთ, მაგრამ ისე, რომ ხელსაწყოსკენ არ იყოს მიმართული მზის სხივი, წინაღმდეგ შემთხვევაში, თერმომეტრი აჩვენებს არა ჰაერის ტემპერატურას, არამედ იმას, თუ როგორ გათბო მზის სხივმა ხელსაწყო.

P.S. აგვისტოს ვრძელვადიანი პროგნოზი, რომლის შესახებაც მოვაწოდეთ ინფორმაცია, ე.წ. ანალოგის მეთოდზე დაფუძნებული. მაგრამ არსებობს სხვა მეთოდებიც. ერთერთ მათგანზე, ე.წ. კანონზომიერების მეთოდზე დამყარებული კლიმატოლოგიური პროგნოზის შედგენაზე, ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის უფროსი სპეციალისტი ***ჯემალ ცხაკაია*** *მუშაობს. მისი ინფორმაციით, ივლისის მე-3 დეკადა ყველაზე ცხელი დღეების რაოდენობით გამოირჩევა. ამ პერიოდში, ქობულეთისა და ბათუმის სანაპიროებზე საშუალო დღეღამური ტემპერატურა 23-24^0-ს აღწევს. ნალექების მოსვლის ალბათობა 50%-ს უახლოვდება. შავი ზღვის სანაპირო ზოლში წვიმა მოსალოდნელია 22, 23, 26, 27, 29, 30 ივლისს. დანარჩენი დღეები მზიანი და ცხელი იქნება. აგვისტოს პირველი და მეორე ათეულეული, ივლისის ბოლო დეკადასთან შედარებით, საშუალოდ 0,8-1,9^0-ით დაბალი ტემპერატურით ხასიათდება. ამ ოცი დღის განმავლობაში ტემპერატურა მდგრადი იქნება. ტემპერატურის საგრძნობი შემცირება მოსალოდნელია 19-დან 21 აგვისტომდე. მზიანი და უნალექო იქნება აგვისტოს შუა და ბოლო პერიოდი. ამ დროს ტემპერატურა კვლავ მოიმატებს და ხელსაყრელი ამინდი იქნება მათთვის, ვინც ზღვაზე დასვენებას აპირებს.* ■



რაკი მომღერალი ია ჩანტლაძე ამჯერად, „საპატარძლოს“ ამპლუაში უნდა წარმოგიდგინოთ, მის საქმიანობასთან დაკავშირებულ კითხვებს გვერდზე გადავდებთ და მხოლოდ მისი პირადი ცხოვრებით შემოვიფარგლებით. მისი საუბრიდან შეიტყობთ, თუ ზოგჯერ რატომ ტირის გულამოსკვნილი ეს მშვენიერი გოგონა და რა მზითვს მიიტანს ქმრის ოჯახში. თავდაპირველად კი, მისი ოჯახის შემადგენლობას გავეცნოთ.

ვერ შევიყვარებ ადამიანს, რომელსაც არ იქნება შემოქმედი

მარი ხაფარიძე

— ვცხოვრობ მშობლებთან და ძმასთან ერთად. სამივე ექიმია. ასე რომ, მედიკოსების გარემოცვაში ყოფნა მიწევს. ჩემი ძმა ჩემზე ერთი წლით უფროსია, 23 წლის გახლავთ და ჯერჯერობით, უცოლოა.

— ახლა შენზე ვიჭორაოთ...

— მაქვს იდუმალი და ცვალებადი ხასიათი, ვარ მეოცნებე და განწყობის ადამიანი. ვმოქმედებ იმპულსურად, თუმცა, ხშირად მიწევს დიდი ფიქრის შემდეგ ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებაც. ცოტა ბუტია ვარ, თუმცა, მხოლოდ 5-10 წუთი თუ გასტანს ხოლმე ჩემი გაბუტვა — შემდეგ მავიწყდება... ხშირად მაქვს „ბუზღუნის საათები“, ასეთ დროს ჯობს, არავინ მომეკაროს. მირჩევნია, განვმარტოვდე და ასე გამოვიდე მდგომარეობიდან. ცოტა ჯიუტიც ვარ, მაგრამ თუ მომიყვანენ საკმაოდ მყარ არგუმენტებს იმისას, რომ მართალი არ ვარ, აღარ ვჯიუტობ. შესაძლოა, პირდაპირ არ ვთქვა — ვტყუოდი-მეთქი, — მაგრამ საქციელით აუცილებლად გამოვხატავ ამას. ასევე ვიქცევი მაშინ, როცა საბოდიშოდ მაქვს საქმე: შეიძლება, ბოდიში ხმამაღლა არ მოვიხადო, მაგრამ ისე მოვიქცევი, რომ ადამიანი მიხვდება — ჩემს საქციელს ვინანიებ... მაქვს მოსმენის უნარი. ვისაც კომპეტენტურ ადამიანად მივიჩნევ, აუცილებლად მოვუსმენ და თუ ჩემთვის მისაღებია, დავუჯერებ, თუ არა და — ისე მოვიქცევი, როგორც მე მიმაჩნია საჭიროდ.

— ჭირვეული თუ ხარ?

— გარკვეული „ტიკები“ მაქვს, მაგრამ რაღაც-რაღაცებთან შეგუება მაინც შემიძლია. მცირე უსიამოვნებები არ მაღიზიანებს. ვერ ვიტან, როდესაც სუფრასთან დაჯდომისას იწყებენ დანა-ჩანგლის წმენდას და ერთი ბუზის გამოჩენაზე აურზაურს ტეხენ...

— შენ მიერ შესრულებული ბევრი სიმღერა უიღბლო სიყვარულზეა. ამას შენს ცხოვრებასთან რაიმე კავშირი თუ აქვს?..

— იცით, როცა კომპოზიტორი მეკითხება — როგორი სიმღერა გინდაო? — ვპასუხობ, რომ მინორული მირჩევნია. მინორულ მელოდიაზე „ბედნიერ“ ტექსტს ვერ დაწერ. ამიტომ მიწევს სულ უიღბლო სიყვარულზე სიმღერა.

— რაკი სიყვარულს შეეხეთ, აქვე შენი თაყვანისმცემლებიც ვახსენოთ...

— ვერ ვიტყვი, რომ ოდესმე უყურადღებობას ვუჩიოდი. ყოველთვის მყავდა თაყვანისმცემლები. ეს ყველა ქალისთვის სასიამოვნოა. ამასთან, თამამად ვეტყვით, რომ ჩემმა თაყვანისმცემლებმა ყოველთვის იციან, რას ვგრძნობ მათ მიმართ და არ შევიტყუებ ხოლმე მათ მხოლოდ იმისთვის, რომ „კოლექცია“ შევქმნა, თუმცა გოგონების უმრავლესობა სწორედ ასეთ „კოლექციონერობას“ ეწევა... ეს ჩემთვის მიუღებელია. ერთი მამაკაცისგან დიდი ხნის განმავლობაში ყოველდღე ვიღებდი თაიგულს, მაგრამ სამწუხაროდ, დღემდე არ ვიცი, ვინაა... ყოფილა ისეთი შემთხვევაც, რომ ქუჩაში მოურთმევია ყვავილები უცხო ადამიანს.

— შეყვარებულობისას როგორი ხარ?

— ალბათ ჩვეულებრივი... პირველი აღქმა იმისა, რომ არსებობდა საპირისპირო სქესი, საბავშვო ბაღიდან მახსოვს. ერთი ქერა და ცისფერთვალება ბიჭი იყო. ყველა გოგოს უყვარდა და არც მე ვიყავი გულგრილი. მაგრამ შემდეგ, გემოვნება შემეცვალა და ქერა მამაკაცები არ მომწონს. ჩემთვის მისაღებია შავგვრემანი და შავტუხა მამაკაცები. შემოქმედი ადამიანისთვის ყოველთვის უნდა არსებობდეს ვიღაც, ვისთვისაც იმღერებს, ლექსს დაწერს, მუსიკას შექმნის... არაა აუცილებელი, რომ გიყვარდეს, სადღაც შენს გულში ან გონებაში უნდა იჯდეს და მისთვის შექმნა...

— სენტიმენტალური თუ ხარ და ხშირად თუ გიტირია?

— კი, საკმაოდ სენტიმენტალური ვარ. შემიძლია, სულ უბრალო რამეზეც კი ცრემლი ვაღვარღვარო — ფილმზე, წიგნზე და ასე შემდეგ. ვერასოდეს ვიკავებ თავს ცრემლებისგან, როდესაც ქუჩაში მოხუც მათხოვარს ვხედავ... თუ ცრემლი ჩემი შინაგანი მღელვარებითაა გამოწვეული, მას არავის დავანახვებ. არსებობს უიშვიათესი გამონაკლისი, ვისაც ჩემი ასეთი ცრემლები უნახავს, რადგან მიმაჩნია, რომ ეს სისუსტეა და არ მინდა, ვინმემ შენიშნოს... არ მიყვარს, როცა ვინმეს ვეცოდები და თანაგრძნობას გამოხატავს. სწორედ ამიტომ, არც მე ვიცოდებ ვინმეს. გვერდით დავუდგები, მაგრამ არ ვაგრძნობინებ ადამიანს, რომ მეცოდება. ერთ საინტერესო ამბავს გავიხსენებ. ერთ ზაფხულს, მთელი ოჯახი დასასვენებლად წავიდა, მე კი თბილისში დავრჩი. სახლის სადარაჯოდ, მთელი ორი კვირა მე და ჩემი მეგობარი გოგონა გარეთ ფეხს არ ვადგამდით. უკვე ერთმანეთს ველარ ვიტანდით. ისეთ დღეში ჩავცვივდით სიცხისა და შინ ჯდომისგან, რომ აღარ ვიცოდით, რა გაგვეკეთებინა. დავიწყეთ სერიალის ყურება. ისე მოუთმენლად ველოდით ხოლმე ყოველ საღამოს ფილმის დაწყებას, რომ გაგვეცინებოდათ. ფილმს ძალზე დაძაბული და სენტიმენტალური სიუჟეტი ჰქონდა. ჰოდა, მე და ჩემი დაქალი ჩამოვსხდებოდით ხოლმე დივანზე, ფილმს ვუყურებდით და ყველა სერიის ბოლოს ვტიროდით. ერთმანეთს ცრემლებს ვუმალავდით, მაგრამ ორივე ვამჩნევდით, რომ თვალები აწყლიანებული გვქონდა...

— გაბრაზებას როგორ გამოხატავ ხოლმე?

— ხშირად მიფიქრია — ან სულელი ვარ, ან არ ვიცი, როგორ უნდა გავბრაზდე-მეთქი: ძალიან ბევრი უარყოფითი ემოცია უნდა დამიგროვდეს, რომ გავბრაზდე, ე.ი. ბევრი უნდა იჩალიჩო, რომ ამ მდგომარეობამდე მიმიყვანო. მაგრამ თუ გავბრაზდი, მერე ძალზე ფეთქებადი ვხდები. ტვინის რომელიმე უჯრედში რაღაცამ თუ ქნა — ტკაც! — მერე შესაძლოა, მსოფლიო ომი თამაშად მოგეჩვენოს...

— გურული ქალები კი არიან ცნობილი ფეთქებადი ხასიათით...

— მეც გურული ვარ... მაგრამ ეს 5-10 წუთი გრძელდება ხოლმე. დაგროვილ ემოციას წივილ-კივილით რომ გამოვხ-

ატავ, მერე ვმშვიდდები. ხანდახან კი ისეც ხდება, რომ ადამიანზე ნაწყენი ვარ, მინდა გამოვხატო კიდეც ეს წყენა, მაგრამ არ გამომდის. ჭურჭლის მტვრევისა და მსხვრევის სურვილი არასოდეს მიჩნდება.

— წარმოიდგინე, რომ გყავს ქმარი და მისი ღალატის ფაქტის წინაშე აღმოჩნდი. როგორ მოიქცევი?

— ჩუმად გამოვბრუნდები, წამოვალ და იმ წუთიდან, ის უკვე ველარ მნახავს. სკანდალს არ მოვაწყობ, უხმოდ მივატოვებ. მიმაჩნია, რომ დამნაშავე ადამიანისთვის ყველაზე დიდი სასჯელი ის არის,

— არასოდეს იცი, — რატომ გიყვარდება, დაგეგმილი გრძნობა არ არსებობს. თუმცა, გარკვეული მოთხოვნები მაინც მაქვს.

რომ წყნარად გაშორდე. ჩემთვის ხშირად უთქვამთ — სამაგიეროს გადახდა არ იცი. არ ვიცი კი არა — ეს ჩემი სტილია: წყნარად, ღირსეულად ვეტყვი სათქმელს, თანაც ისე, რომ მისთვის ბევრად სასურველი იქნება, თუნდაც თავში რომ ჩავარტყა რამე... რაც შეეხება ჩემს „ჯურულ“ ხასიათს — ძალზე რბილი და თბილი ვარ და სულაც არ ვარ კაპასი.

— ახლა ისიც გვითხარი, როგორი მამაკაცები მოგწონს.

— ძალზე ადვილია, ჩამოაყალიბო სტერეოტიპი იმ მამაკაცისა, რომელიც შენთვის სასურველია. მაგრამ შესაძლოა, სულ სხვანაირი შეგიყვარდეს. იქნებ, შენ გარშემო 5-10 ისეთი გარეგნობის მამაკაცი ტრიალებდეს, როგორიც მოგწონს, მაგრამ შეგიყვარდეს მეთერთმეტე, თანაც — მათზე გაცილებით ცუდი გარეგნობის. სიყვარული სულ სხვა რამაა. არასოდეს იცი, რატომ გიყვარდება, დაგეგმილი გრძნობა არ არსებობს. თუმცა, გარკვეული მოთხოვნები მაინც მაქვს. ვერ შევიყვარებ ადამიანს, რომელიც არ იქნება შემოქმედი. აუცილებელი არაა, ხელოვანი იყოს — უბრალოდ, ხელოვანი ხალხის უნდა ესმოდეს. სხვანაირი კაცი ვერ გამიგებს. გარეგნობით კი, უკვე გითხარით, რომ შავგვრემანი მამაკაცები მომწონს. ჩემი მომავალი მეუღლე არ უნდა იყოს აზიატი, რადგან მე თავისუფალი გოგო ვარ და შეზღუდვებს ვერ ავიტან. მე აუცილებლად უნდა განვაგრძო ჩემი საქმე. შინ ვერ დავჯდები და მხოლოდ კერძების კეთებით, სახლის დალაგებითა და ოჯახის მოვლით ვერ შემოვიფარგლები, თუმცა არც ამას ავარიდებ თავს.

— საოჯახო საქმე გეხერხება?

— ისე, რა... თუ დამჭირდება, ყველაფერს გავაკეთებ. ახლა კი, ინიციატივას არ ვიჩენ ხოლმე — გინდა თუ არა, ყველაფერი მე უნდა გავაკეთო-მეთქი.

— სასიყვარულო სამკუთხედის რომელიმე კუთხე თუ ყოფილხარ?

— კი, ყოფილა შემთხვევა, როდესაც ჩემს ნაცნობ გოგონას ბიჭი მოსწონებია, იმ ბიჭს კი მე მოვწონებივარ. მაგრამ არასოდეს გავხვეულვარ სკანდალში ამის გამო.

— ახლა შენი მზითვი ჩამოთვალე.

— ჩემს ოჯახში ამ თემაზე საუბარი არ ყოფილა. არასოდეს დავინტერესებულვარ იმით, თუ რას მატანენ მზითვად. ვიცი, რომ დედას აქვს ერთი ოქროს ბეჭედი, რომელიც ძალიან მომწონს და ნათქვამი აქვს — რომ გათხოვდები, მაშინ გაჩუქებო. საბნებითა და ბალიშებით არ დავინტერესებულვარ. თუმცა, ვიცი, რომ ასეთი რაღაცებიც აქვთ ჩემთვის გადანახული. ჯერჯერობით, ამ თემაზე საუბარი უინტერესოდ მეჩვენება. როცა მოვა დრო და დამჭირდება, ბუნებრივია, დედას ვკითხავ, მაქვს თუ არა ბალიში ან საბანი. იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ უმზითოდ არ დავრჩები.

ასთან დაკონტაქტების მსურველებს შეუძლიათ დამიკავშირდნენ ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61.

მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების საყურადღებოდ!

ეტალონი

ს ტ ი პ ე ნ დ ი ე ბ ი!

ეტალონი

19 სექტემბრიდან ყოველ კვირა დღეს ტელეკომპანია „მზეზე“, „ეტალონი“ — ყველაზე ეროვნული მედიაპროექტი.

მიიღეთ მონაწილეობა! ორშაბათობით იკითხეთ ჟურნალი „რეიტინგი“, შეავსეთ „ცოდნის კუპონი“ და ჩაერთეთ საგანმანათლებლო-შემეცნებით პროექტში.

თქვენ 1-წლიანი ყოველთვიური სტიპენდია გეკუთვნით!

პროექტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა კურთხევით ხორციელდება.

შეხვედრამდე „მზეზე“

„გზის“ წინა ნომრის სასიძომ ნიკა მემანიშვილმა საკმაოდ მრავალრიცხოვანი გამოხმაურება მიიღო. მას ერთი ისეთი ქალბატონიც შეეხმიანა, რომელსაც ნიკა სასიძოდ მოსწონს: „ჩემს შვილს ძალზე მოსწონს ნიკა, მაგრამ ვერ ბედავს, რომ გამოეხმაუროს, ამიტომ, მისი თანხმობით, მე გიკავშირდებით. კარგი გოგონა მყავს, კეთილი და სათუთი ბუნების. მოხარული ვიქნები, თუ ნიკა დაგვირეკავს და ჩემს გოგონას გაესაუბრება“.

ახლა კი დანარჩენ გამოხმაურებებს გადავხედოთ.

„ეცადე, ნაკლებად ეწყინოს ხალხი...“

მარი ჯაფარიძე

„ნიკა, ძალიან საყვარელი და სიკეთის განსახიერება ხარ. შენ და შენს შემოქმედებას ვენაში გავეცანი. ორი დღის წინ კი, „ნიკალაში“ შეგხვდი. ალბათ მიცანი, არა?.. ეკა“.

„ნიკუშ, შენზე ძალიან ვარ შეყვარებული. უზომოდ მინდა შენი გაცნობა. მე მიყვარს ყველა, ვისაც შენი სახელი ჰქვია. შენი ფანი — ეკა“.

„ნიკუშ, რა მაგარი ხარ! იცი, საიდან გიმესიჯებ? ქუთაისიდან. არა მგონია, შენც დამიმესიჯო, მაგრამ მაინც გეტყვი: მაქვს ცისფერი თვალები, პატარა ტუჩები, სიმაღლე — 162, წონა — 55. შენი სიმსუქნე და მოუცლელობა პრობლემა არ არის. თუ გინდა, დამირეკე, ოკეი? ნენსი“.

„ნიკა, არც მე მხიბლავს თოჯინასავით ლამაზი ბიჭები. ვაფასებ კაცურ კაცს, ისეთს, როგორიც შენ ხარ. წონაში დაკლება თუ გინდა, მიეძალე სიყვარულს, მაგრამ ასეთიც ძალიან კარგი ხარ. „კონსერვატორიელი“.

„ნიკა დათუნიას მაგონებს, ოღონდ — ბლანჟეიანს“.

„მე რომ დაგხატო, უნდა იყო თბილი; თბილი რომ იყო, უნდა გაგათბოს სხვამ; სხვამ რომ გაგათბოს, უნდა იყო ამის ღირსი; ღირსი რომ იყო, უნდა გიყვარდეს და უნდა უყვარდე მას. ნიკუშ, მიყვარხარ, არ გინდა, რომ გაგათბო?..“

„ნიკა, რომ ამბობ — არავის ვუყვარვარო, — შენ რა იცი, მე როგორ მიყვარხარ?!. შენი გაცნობა ჩემთვის აუხდენელი ოცნებაა. შენ ჩემი სიყვარული ხარ. მუდამ მეყვარები. ეკა“.

„ნიკა, მე და შენ ერთად გავიზარდეთ „ვაჟას“ მე-4 კვარტალში. რამდენჯერ შემხვედრიხარ და მომრიდებია გამოცნაურება. ეთერი დეიდა მოიკითხე. უნიჭიერესი ხარ. გკოცნი, ნინა“.

„ნიკუშ, კარგი ბიჭი ჩანხარ. კეთილი თვალები და არაჩვეულებრივი პროფესია გაქვს. მაგრამ ცოტას თუ გახდები, უფრო მაგარი ტიპი იქნები. გისურვებ ბედნიერებას. ფატი. ქუთაისი“.

„ოთახს ვალაგებ ჩემი გემოვნებით, შენღა აკლიხარ, მოდი, გელოდები“.

„ნიკუშ, მთელი სვანეთი გიყდება შენზე. მაგარი ტიპი ხარ და მეც მთელი სვანეთის სახელით გეუბნები — კარგი ბიჭი ხარ. გისურვებ წარმატებებს. „ფისუნია“ და მისი დაიკო „მიაუ“.

„ნიკა, უზომოდ და უიმედოდ ვარ შეყვარებული შენზე. იქნებ, ისურვო და გამიცნო. რა ვიცი, ხომ გაგიგია — ცოცხალმა ადამიანმა იმედი არ უნდა დაკარგოსო. ლალი“.

„ნიკა, ძალიან თბილი და საყვარელი გოლიათი ხარ. შორიდან გიცნობ და გეფერები. ბედნიერი იქნები, თუ გაგიცნობ. ლიზი“.

„საერთოდ, ამბობენ, რომ დიდი ჰაბიტუსის მქონე ადამიანები ძალზე კეთილები არიან. შენს შემთხვევაში, ეს მოსაზრება ამართლებს. საოცარი ადამიანი ხარ. მიყვარხარ“.

„შე ძილისგუდავ, იქნებ, ახლაც გძინავს და მალავ?.. მარი, არ დაგვიმალო, შენთან ინტერვიუს დროს ხომ არ ჩასძინებია ამ ბიჭს? ქორწილში, დედოფლის გვერდით რომ ჩაგეძინოს, მერე?.. ისე, მენდელსონის მარში ისე ტკბილად ჟღერს, შესაძლოა, გზაში ჩაგეძინოს და მერე რაღა ვქნა?.. ახლა ვიწყებ დიდი „ბულავკის“ შესაძენად ფულის შეგროვებას. მერე ისე გიჩხვლეტ, რომ...“

„ნიკა, შენ ძალზე კეთილი დედა გყოლია. შეუძლებელია, ასეთი ქალის გაზრდილი შვილი ცუდი იყოს. მუსიკალური სმენა საერთოდ არ მაქვს. ვერც ვმღერი, მაგრამ ყოველთვის მუსიკოს ქმარზე ვოცნებობდი“.

„იცი, ჩვენი შვილები როგორ წარმომიდგენია? ბიჭს შავი, ხუჭუჭა თმა ექნება, სათვალე, პაჭუა ცხვირი, თეთრი ხალათი და შავი „ბაბოჩკა“. გოგონას — ქერა თმა, მასაც პაჭუა ცხვირი და სათვალე. ორივე ვიოლინოზე დაუკრავს. ჩვენ კი მათ კონცერტებზე ვივლით და ძალზე ამაყები ვიქნებით. მათთვის მუსიკას შენ დაწერ ხოლმე... ოცნება კარგია, მაგრამ... რა იქნება შემდეგ?“

„ნიკუშ, მეც შენსავით პუტკუნა ვარ. შენი ინტერვიუ რომ წავიკითხე, მეორე დღესვე ზოოპარკში წავედი და სიცილის ოთახში შევედი. მართლაც, ძალზე მაგარი სარკეა. ერთად ვიაროთ ხოლმე და დავტკბეთ. შემდეგ იქნებ, შეგვიყვარდეს კიდეც ერთმანეთი. იცი, რომ გითხრა, გინდა თუ არა, მე მომიყვანე ცოლად-მეთქი, ლუარსაბ-დარეჯანივით ვიქნებით. ამიტომ, შენ გამხდარი გოგო მოგიხდება. გული მწყდება, რომ ვერ ვხდები. გკოცნი. ლელა“.

„ნიკუშ, ვარ ცისფერთვალება და თოჯინასავით ლამაზი გოგო. როგორ დავიჯერო, რომ დამიწუნებ?! შესაძლოა, ქვეყნად ბევრი კარგი და მაგარი გარეგნობის კაცი დადის, მაგრამ მე შენ მიყვარხარ. დამირეკე, რა!“

„აუ, ჭამა მეც ძალიან მიყვარს, მაგრამ არ ვსუქდები. ისეთი გაჩხიკინებული ვარ, რომ მნახო, შეგეცოდები, ხელში არ შემომატყდესო, მაგრამ ზვინის ქვეშ თაგვი როდის გაჭყლეტილა?.. ასე რომ, არ მეშინია შენი ზომა-წონის...“

„ნიკა მართლაც ძალზე ნიჭიერი და კეთილი ბიჭია. თანაც, რაღაცით დათვს ჰგავს. თუ ბურდღუნით დადის და თაფლიც უყვარს, მაშ, ნამდვილი მურა დათვი ყოფილა. მიყვარხარ. ჯუნა“.

„მართალია, ასაკით ნიკაზე გაცილებით დიდი ვარ, მაგრამ არ გეგონოთ, საპატარძლოების რიგში ვდგები. უბრალოდ, მინდა ნიკას მოვეფერო და ვუთხრა, რომ საუკეთესო ადამიანია. ვუსურვებ უზომო ბედნიერებას და წარმატებას. დიდი სიყვარულითა და პატივისცემით, ნანა ზამთარაძე“.

„მე გოგო არ ვარ. საკმაოდ მოწიფული მამაკაცი ვარ, მაგრამ მაინც მინდა, ნიკას მიმართ ჩემი სიმპათია გამოვხატო. ის ნამდვილი ქართველი ვაჟკაცისთვის დამახასიათებელი თვისებებით არის დაჯილდოებული. ცოტას თუ იტყუება, მერე რა? საქმიანად იტყუება კაცი. ამის გამო ნუ განსჯით. მაგრამ მინდა შევბედო და გავაფრთხილო: ნიკა, ხომ წაგიკითხავს იმ მწყემსის ამბავი, რომ ყვიროდა — ვაიმე, მგელი, ვაიმე, მგელიო!.. ასე რომ, მალე სიმართლესაც აღარ დაგიჯერებენ. ეცადე, ნაკლებად მოატყუო ხალხი. ფსიქოლოგი“. ■

ძნელია, ბასა ფოცხიშვილთან ინტერვიუზე მიხვიდე და პირველად ის არ ჰკითხო — ამჟამად რას იღებ-თქო? ამჯერად ბასა მერაბ ნინიძისა და ნანუკა ხუსკივაძის კლიპზე მუშაობს, რომელსაც სავარაუდოდ, სექტემბერში ვიხილავთ. სიმღერა მარტოობაზე, სინანულსა და ამაოებაზეა. ბასა ფიქრობს, რომ ეს მისი ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარი იქნება... მაგრამ მუშაობა იქით იყოს და ცნობილ კლიპმეიკერს საკუთარი ოჯახი ჯერჯერობით არ აქვს. თუ რატომ — ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.

ბასა ფოცხიშვილი: ვფიქრობ, რომ ოჯახის შექმნით სიყვარული მიწიერი ხდება

მერი კობიაშვილი

— ბასა, პირველ სიყვარულს როგორ იხსენებ ხოლმე?

— ცუდი მეხსიერება მაქვს, ამიტომ ბავშვობის დროინდელი გატაცებები არ მახსოვს. 16 წლის ვიყავი, სერიოზულად რომ შემიყვარდა. ის ჩემთვის კინოგმირივით იყო. პირველ პაემანზე, მახსოვს, დედა არ მიშვებდა. მოსალაპარაკებლად მამასთან მივედი — მე ვუშვებ პაემანზეო, — თქვა მამამ. დედამ მის გადაწყვეტილებას წინააღმდეგობა ვერ გაუწია და მეც წავედი.

— ძველად შეყვარებულთა შეხვედრის ადგილი სად იყო?

— რასაკვირველია, თაყანისმცემელს შინ უნდა მიეკითხა გოგოსთვის. მერე რესტორანში მიდიოდნენ ხოლმე. ჩემს შემთხვევაში, შეხვედრის ადგილი ლარსის ქუჩა იყო, სადაც ვცხოვრობ.

— თაყვანისმცემელთან დაშორების შემდეგ თუ ტირი ხოლმე?

— მტირალა ნამდვილად არ ვარ. როცა კარგ მამაკაცს ვშორდები, ამას თან გულისტკენა კი ახლავს, მაგრამ ამ დროს იმაზე ფიქრი მშველის, რომ ადრე თუ გვიან ყველა გრძნობა უნდა გავიდეს. როცა ცუდ პიროვნებას ვშორდები, სინანულს განვიცდი, დაკარგული დროის გამო...

— თქვენ საქციელით მამაკაცი წონასწორობიდან თუ გამოგიყვანიათ?

— კი. ცუდი ხასიათი მაქვს. ბევრი ვინმესთვის მიწყენინებია, მაგრამ კარგი მამაკაცი წონასწორობიდან არასდროს გამოდის, იმიტომ, რომ ქალს ფორას აძლევს — ე.ი. ყველაფრის პატიება შეუძლია. კარგ კაცს მიაჩნია, რომ ქალი ისეთი არსებაა, რომელსაც არ უნდა ებრძოლოს და ყველაფერი უნდა აპატიოს. მამაკაცმა ქალს კაპრიზი კი უნდა აუსრულოს, მაგრამ ბევრი არ უნდა გააბედვინოს.

— როგორ უნდა მოიქცეს ქალი, მის გვერდით მყოფმა კაცმა სხვისკენ რომ არ გაიხედოს?

— ამისთვის ქალს არაფრის გაკეთება არ უნდა დასჭირდეს. ხელოვნურად შენარჩუნებულ ურთიერთობებს ვერ ვიტან. კაცს თუ უნდა სხვისკენ გახედვა, უნდა გაიხედოს.

— პაემანზე წასვლა რა მუხტს გაძლევთ?

— საერთოდ, შეყვარებული როცა ხარ, კარგად გრძნობ თავს: თვალები ანთებული გაქვს, დილით ადრე გეღვიძება... ეს ერთადერთია, რაც შეყვარებულობისას არ მომწონს: არ მიყვარს, როცა ჩემებურად არ მძინავს და მინდა თუ არა, დილით ადრე მეღვიძება.

— ამბობენ, ბასა ფოცხიშვილს ფეხებგაღუნული მამაკაცები მოსწონსო...

— მართლა მომწონს. პირველად ალ პაჩინოს „გაღუნული" ფეხები მომეწონა. ვფიქრობ, „გაღუნული" ფეხები მამაკაცურია... საერთოდ, ერთი სტილის კაცები მომწონს. არ უნდა იყოს მაღალი და თან, კაცური უნდა იყოს. ასეთებს რომ დავინახავ, თვალი მაშინვე მათკენ გამირბის.

— რა უნდა გააკეთოს მამაკაცმა, საკუთარი თავი რომ აღარ შეგეცოდოთ და ცოლად გაჰყვეთ?

— მამაკაცს იუმორის გრძნობა უნდა ჰქონდეს, მეწვრილმანე არ უნდა იყოს და, რაც მთავარია, ჭკვიანი უნდა იყოს.

— არ არიან ასეთი მამაკაცები?

— როგორ არ არიან?!.

— მაშ, რატომ ვერ იმეტებთ თავს ოჯახისთვის?

— ვფიქრობ, რომ ოჯახის შექმნით სიყვარული მიწიერი ხდება. მე კი, რომ „დავმიწდე", საამისოდ მზად არ ვარ — ჯერ კიდევ დავფრინავ, თან იმ ადამიანს რომელიც მიყვარს, ვერ ვიმეტებ ყოფითი ცხოვრებისთვის.

— მაგრამ ქალს ხომ აქვს მისია — დედა გახდეს...

— ქალის ცხოვრებაში მთავარი მართლაც, ეს არის. დედობა ყველანაირ ტკივილსაც კი ამართლებს. როდის არ ვიცი, მაგრამ ბავშვს აუცილებლად გავაჩენ.

— მორის ფოცხიშვილის ქალიშვილისთვის თაყვანისმცემლები ლექსს მოძღვნას თუ ბედავდნენ?

— არა, გონიერი თაყვანისმცემლები მყავდნენ და ხვდებოდნენ, რომ ჩემთვის ლექსი არ უნდა დაეწერათ...

— ტინეიჯერულ ასაკში შეყვარებული, რჩევებს ვის ეკითხებოდით?

— ჩემს დას — თამრიკოს და ამხანაგებს, ახლაც ასე გრძელდება. თუ შეყვარებულთან საუბრისას რაიმე საშინელი არ ვთქვი, მერე უკვე ვეკითხები ახლობლებს: ასე მითხრა და მე რა ვუპასუხო-მეთქი?

— საუბრის დასაწყისში მითხარით — პირველ პაემანზე მამამ გამიშვაო. სხვა შემთხვევაში როგორ ხდებოდა? და კიდევ — პაემნიდან დაბრუნებულს მშობლების შეკითხვაზე პასუხების გაცემა გიწევდათ?

— მშობლები მე და ჩემს დას თავისუფლებას გვაძლევდნენ. ზედმეტ კითხვებს არ გვისვამდნენ, არ გვიბრაზდებოდნენ, შინ ძალიან გვიან რომ ვბრუნდებოდით. მთავარი იყო, ისეთ ადამიანს მოვეცილებინეთ, ვისაც ენდობოდნენ.

— როგორ ქორწილზე ოცნებობთ?

— ქორწილი, როგორიც მიმაჩნია რომ უნდა იყოს, გადაღებული მაქვს უცნობის კლიპში — „მომე მამული", — შალახოებითა და ზურნა-დუდუკით. ქართული ქორწილი უფრო ეგზოტიკურია, ვიდრე ევროპული.

— „ქართულის" ცეკვა გეხერხებათ თუ საკუთარი ქორწილისთვის ცეკვის გაკვეთილზე სიარულს აპირებთ?

— „ქართულს" სწავლა არ სჭირდება — თითოეულ ჩვენგანს სისხლში გვაქვს გამჯდარი და მუსიკის გაგონებისთანავე რიტმს ავყვებით ხოლმე.

— ქორწილში თაიგული თუ დაგიჭერიათ?

— ცისანა სეფიაშვილის ქორწილში მეჯვარე ვიყავი. ცისანამ სპეციალურად მესროდა თაიგულს, მისი დაჭერა მხოლოდ მესამე ცდაზე მოვახერხე... ■



საბაჟო რეჟიმის გამკაცრებამ, კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლამ და არახელსაყრელმა მეტეოროლოგიურმა პირობებმა სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების მკვეთრი ზრდა გამოიწვია. როგორც ზაფხულის სიცხით ისე-დაც შეწუხებული თბილისელები ამბობენ: ბაზარს „ცეცხლი უკიდია“, ხოლო ფასები ზოგიერთ პროდუქტზე იმდენად „მწველია“, რომ მასთან მიახლოებას ვეღარც ვბედავთო. კმაყოფილებას ვერც ამ ბიზნესით დაკავებულ ადამიანებს შეამჩნევთ, რადგან ფასების ზრდამ, მათ მომხმარებელთა საერთო რაოდენობა შეამცირა, რაც მნიშვნელოვნად აისახა ვაჭრობაზე. საერთო სურათის შესაქმნელად ერთ-ერთ ბაზარს ვესტუმრე, რომელიც კარგადაა გაჯერებული როგორც იმ-პორტული, ასევე ადგილობრივი წარმოების პროდუქციით.

როდემდე გაიზრდება ფასები პროდუქტებზე

ემა ტუხიაშვილი

— გარეგნულად თუ ვიმსჯელებთ, ბაზარს სასურსათო პროდუქციის ნაკლებობა არ ეტყობა...

გურამი, *მოვაჭრე:*

— მთავრობა წინასწარ გვაფრთხილებდა, რომ კონტრაბანდასთან ბრძოლას აპირებდა, საბაჟოზე წესრიგს დაამყარებდა, წინასწარ ვიცოდით, რომ ერგნეთის ბაზრობას გააუქმებდნენ, ამიტომ საკმაოდ დიდი მარაგი გავაკეთეთ და პროდუქციის ეს მარაგი კიდევ რამდენიმე კვირას გვეყოფა.

— მაშინ ფასები რატომ გაზარდეთ სურსათზე?

— რუსეთიდან სხვა ალტერნატიული გზებით ისევ შემოდის სურსათი, რომელიც სრული წესის დაცვით არის განბაჟებული და შესაბამისად გაძვირებულიც. ამიტომ ცდილობ, რომ შენი ფასი მას მიუახლოვო. პერიოდულად დეფიციტური ხდება ესა თუ პროდუქტი, მაგალითად, რუსეთის კარაქი „სმოლენსკოე“, „ტუშონკები“, ავსტრიული ერბო, უნგრული მწვანე ბარდა და ა.შ.

— ფასების ზრდის პროცენტული მაჩვენებელი როგორია?

— 5-დან 20%-მდე მერყეობს, არის პროდუქცია, რომელზეც ფასი მხოლოდ ხუთი თეთრით გაიზარდა, მაგრამ მთელ რიგ სასურსათო პროდუქტზე ფასი 30-50 თეთრითაც კი არის გაზრდილი.

— სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია რატომ არის გაძვირებული?

— გაძვირებული კი არა — კატასტროფული ფასებია! ჯერ არავის ახსოვს, რომ ბალი 8 ლარი ღირებულიყო. სხვათა შორის, ხეხილისთვის ცუდი კლიმატური პირობები სომხეთშიც იყო, ამიტომ ხილი იქაც გაძვირებულია. ბოსტნეულის განბაჟება კი წითელ ხიდზე საკამოდ ძვირი ჯდება. თუმცა არ იფიქროთ, რომ მოვაჭრეებმა და მით უმეტეს, აზერბაიჯანელებმა იცოდნენ, კონკრეტულად რა გადასახადებს იხდიან. ადრე თუ ერთ შემოსულ მანქანაზე მებაჟეს 10 ლარს უხდიდნენ, ახლა 150 ლარს უხდიან, ეს კი თავისთავად პროდუქციის ფასებზე აისახება. არ მესმის, რას ფიქრობს ჩვენი ხელისუფლება, როდესაც პენსიონერს მხოლოდ 3 ლარით უზრდის პენსიას, მაშინ, როდესაც ელემენტარულად ერთი ტომარა ფქვილის ფასიც კი გაორმაგებულია.

პაატა შეშელიძე, *„ახალი ეკონომიკური სკოლა“:*

— ადამ სმიტი ჯერ კიდევ 1755 წელს მსჯელობდა იმ თემებზე, რომლებიც ასე აქტუალურია დღევანდელ საქართველოში. ასე მაგალითად: „გადასახადი, რომელიც ყველა ცალკეულმა პიროვნებამ უნდა გადაიხადოს, მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული. მისი გადახდის დრო, ფორმა და ოდენობა უნდა იყოს გარკვეული და ცხადი, როგორც უშუალოდ გადამხდელისთვის, ასევე ყველა დანარჩენისთვისაც. ყველა დაწესებული გადასახადი უნდა იქნას აკრებილი იმ დროს და იმ სახით, რომელიც ყველაზე მოსახერხებელია გადამხდელისთვის. პირველ რიგში, გადასახადების აკრებას არ უნდა სჭირდებოდეს გადასახადის ამკრებ მოხელეთა დიდი რაოდენობა; მეორე — ამას, წარმოების შეჩერება და ხალხის საქმიანი აქტივობის შემცირება შეუძლია; მესამე — გადასახადის არგადამხდელი პიროვნების ქონების დაყადაღებისა და დაჯარიმების შემთხვევაში, შეიძლება ის პიროვნება და სარგებელი დაიკარგოს, რომელსაც მისი კაპიტალი საზოგადოებას მოუტანდა; მეოთხე — გადასახადების ამკრებთა ხშირი და უსიამოვნო ვიზიტების დაწესება, ზიანის მომტანი და მეწარმის საქმიანობისთვის შემაფერხებელი იქნებოდა“. სამწუხაროდ, ადამიანები, რომლებიც დღეს საქართველოში ეკონომიკურ პოლიტიკას მართავენ, ფიქრობენ, რომ საზოგადოება მექანიკურად ვითარდება და რაოდენ მაღალიც არ უნდა იყოს სახელმწიფოებრივი წნეხი ამ საზოგადოებაზე, ის მაინც შეუქმნის ლიმიტირებულ პროდუქციას.

როდესაც მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, გაეუქმებინა ის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი, საიდანაც არალეგალური ვაჭრობა წარმოებდა, ხომ არ იქნებოდა უმჯობესი, ის შეზღუდვები გაეუქმებინათ, რომლებიც ამ პროდუქციას კონტრაბანდად აქცევდა? პირადად მე, აბსოლუტურად არ მესმის, თუ რატომ უნდა დავიცვათ ბაზარი სასურსათო პროდუქციისგან. ყოველივე ამას გარეგანი ფაქტორებიც დაერთო: მეწყერმა დაანგრია სამხედრო გზა, დაიძაბა ვითარება ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში; რა თქმა უნდა, აფხაზეთზე საუბარიც კი ზედმეტია. ჩრდილოეთში გასასვლელი ფაქტობრივად აღარ დაგვრჩა და საკუთარი თავი ამ მიმართულებით იზოლაციაში მოვაქციეთ, ხოლო იმის მაგივრად, რომ ალტერნატიული ეკონომიკური გამოსავალი ვეძებოთ, დამოკიდებულება სრულიად სხვაგვარია — დავიჭიროთ, არ გავუშვათ და წავართვათ. საკმაოდ კურიოზული ვითარება იქმ-

შ.პ.ს. «დელტა»

მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები

მაღალი ხარისხი-მისაღები ფასები

მის: მ.ლაღიძის ქ.№9 ტ: 92 32 08; 92 14 95.

ნება ლაგოდეხში, რომლის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში თურმე, აკრძალული ყოფილა საწვავის განბაჟება, ე.ი. ლაგოდეხელ გლეხს, რომელსაც ადგილზე უნდა შეეძლოს შეიძინოს განბაჟებული საწვავი, ამის საშუალებას არ აძლევენ და იძულებულია, მის შესაძენად თბილისში ჩამოვიდეს და ორმაგი ხარჯი გაწიოს. კურიოზია ისიც, რომ გვყავს ლიბერალი ეკონომიკის მინისტრი, რომელიც სრულიად შეუთავსებელ გარემოში აღმოჩნდა და თუ პოზიციური ძვრები არ განხორციელდა, ვფიქრობ, მთავრობის შიდაკონფლიქტი გარდაუვალი იქნება.

— ფასების ზრდის ტენდენციასთან დაკავშირებით რა პროგნოზის გაკეთება შეგიძლიათ?

— ვფიქრობ, რომ ფასები სასურსათო პროდუქციაზე კიდევ უფრო გაიზრდება, რაც თავისთავად შეამცირებს პროდუქციის ხელმისაწვდომობას.

ლადო პაპავა, *ეკონომისტი, პროფესორი:*

— ფასების ზრდა ლოგიკური გაგრძელებაა იმისა, რომ ქვეყანაში ყალიბდება საფინანსო წესრიგი — ანუ ხდება გადასახადების ამოღება. ვფიქრობ, რომ სერიოზული მსჯელობა იმაზე, თუ რა ჯობია — იყოს კონტრაბანდა და გვქონდეს დაბალი ფასები თუ აღმოვფხვრათ ქვეყანაში კონტრაბანდა და შედარებით მაღალი ფასი გადავიხადოთ, არც ღირს. ერთი შეხედვით, ქვეყანაში გამეფებული კონტრაბანდის წყალობით, შესაძლოა, დაბალი ფასები გვქონდეს, მაგრამ არ შეივსება ქვეყნის ბიუჯეტი, არ გაიცემა დროზე ხელფასები და პენსიები, არ იარსებებს მათი ზრდის წყარო. ამავე დროს, კონტრაბანდა ანგრევს შიდაბაზარს, კონკურენციას: ვიღაცას შემოაქვს კონტრაბანდული საქონელი, ხოლო ადგილობრივი მეწარმე, რომელიც იმავე ან მსგავს პროდუქციას აწარმოებს, იმის გამო, რომ იძულებულია, მთელი რიგი გადასახადების გადაიხადოს, მარცხდება კონკურენციულ ბრძოლაში და იძულებული ხდება, გააჩეროს წარმოება. ხოლო ის, ვინც გადასახადებს არ იხდის და „ჩრდილში" მუშაობს, საბოლოო ჯამში, ფულს თითოეულ მოქალაქეს (ხელფასებისა და პენსიების სახით) აკლებს. ამრიგად, ლოგიკური ჯაჭვიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ კონტრაბანდის დროს, ერთადერთი პლუსია შედარებით დაბალი ფასები, მაგრამ მინუსი გაცილებით მეტია. ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც აქვს სურვილი და მისწრაფება, რომ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს, უწინარეს ყოვლისა, კონტრაბანდას უნდა ებრძოდეს. ჩემი ღრმა რწმენით, დღევანდელი ფასების ზრდა დროებითი მოვლენაა და ეს სიძნელეები დაძლეული იქნება. როდესაც გაიცემა ხელფასები, პენსიები, ხალხს მეტი შესაძლებლობები მიეცემა და ამას მოსახლეობა თანდათან იგრძნობს. კონკურენტულ სივრცეში კი, ქართულ საწარმოებს უფრო იოლად შეეძლებათ მუშაობა.

— დროში დაემთხვა ერთმანეთს, საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე რეჟიმის გამკაცრება, ერგნეთის ბაზრობის დახურვა, სამხედრო გზაზე მეწყერის ჩამოწოლა და კონფლიქტის ზონაში ვითარების დაძაბვა. ხომ არ გამოიწვევს ყოველივე ეს სასურსათო დეფიციტს ქვეყანაში?

— დეფიციტის პრობლემა საბაზრო ეკონომიკის პირობებში არ არსებობს — უბრალოდ, გაიზრდება ფასები. ამას ემთხვევა ისიც, რომ წელს ხეხილისთვის ძალზე ცუდი კლიმატური პირობები იყო. ზოგადად კი, ფასები საქართველოში ყოველწლიურად იზრდება. 2004 წლის პირველი კვარტალის მონაცემებს თუ გადავხედავთ, წინა წელთან შედარებით, ქვეყანაში 1%-იანი ინფლაცია დაფიქსირდა. ეს პრაქტიკულად არაფერია. როგორც ჩემთვის ცნობილია, წელს მთავრობის გეგმის თანახმად, ინფლაცია 5-7%-ს მიაღწევს. ვფიქრობ, მისი ვარაუდი გამართლდება.

— რა ქნას მოსახლეობის იმ ნაწილმა, ვისაც დაბალი მსყიდველობითი უნარი აქვს?

— ყველა პროდუქტზე ფასები ერთნაირად არ გაზრდილა, ამიტომ როდესაც მოსახლეობას უჭირს რომელიმე ერთი პროდუქტის შეძენა, ყიდულობს მეორეს — ე.ი. ჩანაცვლება ხდება. ახლა უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ქვეყანა დაადგა ფინანსური დისციპლინის დამყარების გზას და ჩვენი მოსახლეობა ამას გაგებით უნდა მოეკიდოს.

— საერთო ფასების ზრდას ემატება აქციზის გაზრდა საწვავსა და სიგარეტზეც. ყველაფერთან ერთად კი, საწვავის გაძვირება კიდევ უფრო გაზრდის ფასებს სხვა დანარჩენ პროდუქციაზე.

— მთავრობის ამ გადაწყვეტილებას ძალზე უარყოფითად ვუყურებ, რადგან ნებისმიერი ასეთი მატება გამოიწვევს კონტრაბანდისკენ მიდრეკილების ზრდას. აქციზის გაზრდას თუ არ მოჰყვება ადმინისტრირების ძალზე სერიოზული გაძლიერება, ეს მხოლოდ უარყოფით ეფექტს მოგვცემს.

— რუსული ოფიციოზის გარკვეული ნაწილი ვერ ფარავს გაღიზიანებას სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენების გამო და სხვადასხვა ფორმით გამოხატავს პროტესტს. ერთ-ერთი დაახლოებით ასე ულერდა: „ნუ შევიძენთ ქართულ პროდუქციას!" რამდენად სერიოზული შეიძლება იყოს ასეთი მუქარა?

— რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცუდია და კიდევ ერთხელ გამოხატავს რუსეთის გარკვეული ჯგუფების დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ. მოდით, დავგიბრუნონ აფხაზეთი, ნუ გვაწვალებენ სამხრეთ ოსეთში, თავი დავანებონ და ნუ შეიძენენ ჩვენს პროდუქციას. შესაძლოა, ზოგიერთ მეწარმეს გაუჭირდეს, მაგრამ იპოვიან გამოსავალს, ორიენტაციას შეიცვლიან და ა.შ. ჩვენ არ ვართ ბლოკადაში მყოფი ქვეყანა და რუსეთი ჩვენთვის იმპორტის ერთადერთი გზა არ არის. მაგრამ მერწმუნეთ, რომ თუ რომელიმე რუს მომხმარებელს მოსწონს ქართული ღვინო ან სამკურნალოდ ბორჯომი სჭირდება, პუტინმაც რომ გამოაცხადოს მსგავსი ლოზუნგი, ის მაინც წავა და იყიდის მისთვის საჭირო პროდუქციას.

— ბატონო ლადო, თუ ჩვენ ვაღიარებთ, რომ მოქმედი საგადასახადო და შესაბამისად, საბაჟო კოდექსი უვარგისია, განაკვეთები კი საკმაოდ მაღალი, მაგრამ ამავე დროს ყველასგან ლეგალურად მუშაობას მოვითხოვთ, გამოდის, რომ ახალი კოდექსის მიღებამდე, ადამიანებმა ან კატასტროფულად უნდა გაზარდონ ფასები, რომ მოგება ნახონ, ან უბრალოდ, ენთუზიაზმზე იმუშაონ?

— მთლად ასეც არ არის საქმე. სახელმწიფო ვართ, როგორი ცუდიც არ უნდა იყოს კანონი, ის უნდა შესრულდეს. უმჯობესია, ცუდი კანონი შესრულდეს, ვიდრე საერთოდ არ შესრულდეს. თუ კანონის მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულება გვექნება, სახელმწიფოდ ვერასოდეს ჩამოვყალიბდებით. კარგად მესმის თქვენი კითხვის ქვეტექსტი და ის სავსებით ობიექტურია. სამწუხაროდ, მთავრობას ძალზე გაუჭიანურდა ახალი საგადასახადო კოდექსის მომზადება. აბსოლუტურად შესაძლებელი იყო უფრო ოპერატიულ რეჟიმში მუშაობა და ახალი საგადასახადო კანონმდებლობის მომზადება. არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ საგადასახადო კოდექსი, რომელიც, იმედია, იანვარში მაინც შევა ძალაში, ყველას გაბედნიერებს.

— გამოდის, რომ ყველა ეს გარდამავალი პროცესი, კვლავ მძიმე ტვირთად უბრალო ადამიანებს დააწვება ზურგზე?

— რა გვირჩევნია — ყოველდღე ვჭამოთ ბორშჩი, თუ ჯერ მხოლოდ ჩაი ვსვათ, იმის იმედით, რომ ხვალ ჩამოვყალიბდებით ისეთ ქვეყნად, რომელსაც არა მხოლოდ ბორშჩი ექნება? ასეთ ბორშჩს ჩვენ საბჭოთა პერიოდში მივირთმევდით ხოლმე. თუ გვინდა, რომ ევროპული სახელმწიფო გავხდეთ, საკმაოდ ბევრი უნდა მოვითმინოთ. ახლა ღმერთს მინდობილნი ვართ, მაგრამ ხელი ჩვენც უნდა გავანძრიოთ... ■

მამა-შვილის მკვლელობისთვის სამუდამო პაზიმრობა ემუქრება

პროკურორის თქმით, განსასჯელმა წარსულში ყაჩაღობისას ქალი დააუთოვა

31 წლის კახა აბჟანდაძე წარსულში ორჯერ გახლდათ ნასამართლევი — ქურდობისა და ყაჩაღობისთვის. ამჟამად, უკვე მესამედ, მას ორი ადამიანის — მამა-შვილის მკვლელობის ბრალდებით ასამართლებენ. ბრალის დადასტურების შემთხვევაში, აბჟანდაძეს სასჯელის უმაღლესი ზომა — უვადოდ თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. დანაშაული, რომელშიც განსასჯელი თავს დამნაშავედ არ ცნობს, მისი ქორწინებიდან მესამე დღეს მოხდა. როგორც სამართალდამცავები აღნიშნავენ, აბჟანდაძემ მამა-შვილის — ვახტანგ და რევაზ გვენეტაძეების მკვლელობა ახალშეძენილ სიმამრთან ერთად ჩაიდინა.

იმ დროისთვის, აბჟანდაძე სულ რაღაც 3 თვის გათავისუფლებული იყო 10-წლიანი პატიმრობიდან. სასამართლოს დადგენილებით, სასჯელი ვადამდე 2 წლით ადრე შეუწყდა და ციხიდან 2003 წლის 27 ივნისს გამოვიდა. როგორც სახელმწიფო ბრალმდებელმა გვითხრა, აბჟანდაძეს ბრალი ედებოდა ჯგუფურ ყაჩაღობაში, რომლის დროსაც მან დაზარალებული ოჯახის დიასახლისი სასტიკად აწამა – სხეულზე ცხელ უთოს უსვამდა. განსასჯელის ადვოკატი ამ ფაქტის კომენტარს არ აკეთებს, ამბობს, რომ არაფერი იცის ამის შესახებ. რაც შეეხება მორიგ დანაშაულს, ის სახელმწიფო ბრალმდებელმა, სასამართლო გამოძიების დასრულებისას, დადასტურებულად მიიჩნია და განსასჯელისთვის უვადოდ თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. სასამართლო აბჟანდაძეს განაჩენს ამ კვირაში გამოუტანს.

ბრალდების თანახმად, მკვლელობა 2003 წლის 4 სექტემბრის საღამოს, ტყიბულის მახლობლად მდებარე ფერმაში მოხდა. საკუთარი ქორწილის მესამე დღეს, აბჟანდაძე მშობლიურ სოფელში – ძევრში (თერჯოლის რაიონი) იმყოფებოდა და ქეიფს მეგობრებთან ერთად განაგრძობდა. დაახლოებით ერთი ლიტრი ღვინო დალია. შემდეგ ნასვამი, თანასოფლელის მანქანით შინ წავიდა. იქ ცოტა ხანში სიმამრმა – გიორგი ბეშვენაძემ დაურეკა მობილურ ტელეფონზე. უთხრა, რომ შელაპარაკება მოუხდა ტყიბულელ ნაცნობებთან – გვენეტაძეებთან, რომლებმაც შეურაცხყოფა მიაყენეს და სიძეს ტყიბულში ჩასვლა და დასახელებულ პირებთან საქმის გარჩევა სთხოვა. აბჟანდაძე თანასოფლელ მ. ფორჩხიძესთან ერთად, ამ უკანასკნელის ავტომანქანით წავიდა ტყიბულში. საღამოს 11-ის ნახევრისთვის უკვე იქ იყვნენ. ბრალდების მხარე ირწმუნება, რომ აბჟანდაძემ სიმამრს ზემოთ ხსენებულ პირებზე შურისძიება და მათი მოკვლა შესთავაზა. ამ მიზნით, მათ ბეშვენაძის სახლიდან, უკანონოდ შენახული ავტომატი და ვინჩესტერი გამოიტანეს და იარაღი საბრძოლო მასალასთან ერთად ფორჩხიძის მანქანის საბარგულში ჩააწყვეს. 12-ის ნახევარი იყო, როცა მივიდნენ იმ ფერმასთან, სადაც მამა-შვილი გვენეტაძეები ეგულებოდათ. ფორჩხიძისთვის, რომელიც საჭესთან იჯდა, თავიანთი განზრახვის შესახებ არაფერი უთქვამთ. იგი არც მანქანიდან გადასულა.

შეიარაღებული სიძე-სიმამრი კი, როგორც ბრალდების მხარე აღნიშნავს, ფარნებით ხელში ჩუმად მიუახლოვდნენ ფერმის ეზოში მდებარე ერთსართულიან შენობას. ყველგან ბნელოდა, რადგან ელექტროენერგია არ იყო. აბჟანდაძემ და ბეშვენაძემ ეზოშივე ატეხეს სროლა, თან ყვიროდნენ – ყველანი გარეთ გამოდითო. მამა-შვილმა, რომელთაც ერთ ოთახში ეძინათ, გაღვიძებისთანავე დააპირეს ეზოში გასვლა, მაგრამ სწორედ მაშინ, ვახტანგ გვენეტაძეს ვინჩესტერიდან გასროლილი ტყვია მოხვდა სხეულში და ის დავარდა. მისი შვილი – რევაზი მყისვე გიორგი ბეშვენაძეს მივარდა, მაგრამ ვინჩესტერი ხელიდან მაინც ვერ გააგდებინა. ამ დროს, ერთიმეორის მიყოლებით გაისმა რამდენიმე გასროლა, თუმცა ამჯერად – სხვა მხრიდან: ბრალდების მხარის მტკიცებით, ავტომატიდან ისროდა კახა აბჟანდაძე, რომელიც იარაღს უკვე წაქცეულ ვახტანგ გვენეტაძესა და მის შვილს უმიზნებდა. ეს უკანასკნელი ადგილზევე გარდაიცვალა, მამამისი კი – იმავე ღამით, ტყიბულის საავადმყოფოში.

შემთხვევის დროს, გვერდით ოთახში იმყოფებოდნენ გიორგი გვეტაძე და კიდევ სამი პირი – ბ. ლომთაძე, მ. ოყრეშიძე და მ. გუმბერიძე. გასროლებით შეშინებულებმა, საქმის მასალების მიხედვით, სიბნელით ისარგებლეს და მიმალვა მოახერხეს. თუმცა, გვეტაძე ეზოში აბჟანდაძეს მაინც გადაეყარა. მანაც იარაღის მუქარით იგი ფორჩხიძის მანქანაში ჩასვა და სოფელ სოჩხეთის მიმართულებით წაიყვანა. გვეტაძე მთელი გზა ირწმუნებოდა, რომ ფერმაში მყოფ პირებთან არაფერი ჰქონდა საერთო და თუ რა მოხდა, არც იმის შესახებ იცოდა რაიმე. სახელმწიფო ბრალმდებლის



თქმით, სიძე-სიმამრმა გვეტაძე შურისძიების ობიექტად არ ჩათვალეს და გაუშვეს.

აბჟანდაძემ სიმამრი ერთ-ერთი ახლობლის ოჯახში დამალა, თავად კი, დაიმედებულმა იმით, რომ დანაშაულში მისი მონაწილეობა არ გამჟღავნდებოდა, შინ წავიდა. მეორე დღეს იგი პოლიციამ დაიკავა. რაც შეეხება ბეშვენაძეს, გაქცეულია და დღემდე იძებნება.

პროკურატურას აბჟანდაძემ ჩვენება არ მისცა, დუმილის უფლება გამოიყენა, თუმცა, სამართალდამცავებს განუცხადა, რომ მკვლელობა არ ჩაუდენია. სამაგიეროდ, პროკურატურას ჩვენება მისცა შემთხვევის მომსწრემ და დაზარალებულად ცნობილმა, **გიორგი გვეტაძემ**. მან სასამართლოზე წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება დაადასტურა:

„...დილიდან ფერმაში ვიყავი. იქ მეგობრებთან ერთად ღორებს ვუვლიდი. ჩემთან ერთად იყვნენ გვენეტაძეები, ოყრეშიძე, ლომთაძე და გუმბერიძე. გავიგეთ, რომ ტყიბულის ეკლესიის მოძღვარი – მამა ნაზარე ფერმაში სტუმრების მოყვანას აპირებდა. სუფრის გამზადებას შევუდექით. მამა ნაზარე ფერმაში შუადღისთვის მოვიდა. თან ახლდნენ სტუმრები – გერმანიაში მოღვაწე ქართველი მოძღვარი, სამი არასრულწლოვანი ბავშვი და ადგილობრივი კახა მურუსიძე. როცა ვახშამი დასრულდა, მამა ნაზარემ სტუმრები ტყიბულში წაიყვანა, ჩვენ კი სუფრის ალაგებას შევუდექით. ამ დროს, ფერმას მანქანა მოადგა. მეტყეევე მიხო ვიცანი, მას ახლდა ორი უცნობი პირი. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, ერთ-ერთი, გიორგი ბეშვენაძე იყო. მთვრალები იყვნენ. რამაზ გვენეტაძემ სწორედ მას უთხრა – სტუმარი ღვთისაო. ეს ბეშვენაძემ იუკადრისა და მიუგო: სტუმრები ჩვენ კი არა, თქვენ ხართო. ამას მოჰყვა შელაპარაკება. ვახტანგ გვენეტაძემ მიხოს სთხოვა, ჩაესვა ისინი მანქანაში და უკან წაეყვანა. ხოლო როცა მართლა ჩასხდნენ მანქანაში, მიაძახა: დაახვიეთ აქედან, აქ „პრახადნიი დვორი“ ხომ არ გგონიათო?!. ამის შემდეგ, ერთი საათი იქნებოდა გასული, როცა გუმბერიძემ მითხრა: გარეთ ფარნის შუქი შევნიშნეო. დავათვალიერე შენობის მიმდებარე ტერიტორია, მაგრამ ვერავინ შევნიშნე. ოთახში დავბრუნდი და წამოვწექი თუ არა, მაშინვე სროლის ხმები გაისმა. ოთახში შემოსასვლელ კართან თოფიანი მამაკაცი იდგა. მეორე გარეთ იდგა და ჰაერში ავტომატიდან ისროდა. მერე ფარანი მიანათა ოთახს და მაშინ დავინახე იატაკზე ჩამჯდარი ვახტანგი. მისი შვილი ჯერ კიდევ ფეხზე იდგა და იარაღიანს უწევდა წინააღმდეგობას, ეკითხებოდა – რას აკეთებო?.. ამ დროს, ავტომატიანმა იარაღი თავზე მომადო და მიბრძანა, ჭიშკრისკენ გავყოლოდი. უმისამართოდ ისროდა და ასე მაიძულა, ავტომანქანაში ჩავმჯდარიყავი. ამასობაში ავტომატიანიც წამოგვეწია... გზაში დავარწმუნე ისინი, რომ ფერმაში შემთხვევით მოვხვდი და მათაც, გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ, ქალაქგარეთ ჩამომსვეს. მოგვიანებით შევიტყვე, რომ იმ ღამით გვენეტაძეები მოუკლავთ და რომ ისინი კახა აბჟნდაძემ და გიორგი ბეშვენაძემ მოკლეს“.

ნათელა ჩერქეზია, განსასჯელის ადვოკატი:

„ბრალის დასადასტურებლად საკმარისი მტკიცებულება არ არის. განსასჯელი თავს უდანაშაულოდ ცნობს და შესაბამისად, გამართლებას ვითხოვთ. კახა აბჟანდაძე თავისი ნებით არ გაჰყოლია სიმამრს საქმის გასარჩევად. პირიქით, როცა ბეშვენაძემ დაურეკა და წაყოლა სთხოვა, უპასუხა – ქორწილის დღეებია, ნასვამი ვარ და სხვა დროს წავიდეთო. ისიც დათანხმდა, უთხრა – კარგი, მაშინ ერთ ადგილას გამიყვანეო. აბჟანდაძემ მართლაც, მიაკითხა მას მეგობრის მანქანით. როგორც თავად განსასჯელი ამბობს, მან დაინახა, რომ ბეშვენაძემ რაღაც გამოიტანა სახლიდან და მანქანაში ჩადო. ისიც აღნიშნა – ვერ ვიფიქრებდი, თუ შურისძიება ჰქონდა გადაწყვეტილი, რადგან ისეთი გაბრაზებული არ ჩანდაო. აბჟანდაძის თქმით, მისი სიმამრი გადავიდა მანქანიდან, მას კი დარჩენა სთხოვა. თუმცა, აბჟანდაძე მაინც გაჰყვა უკან და როცა ოთახში შევიდა, დაინახა, რომ სიმამრს ხელში ავტომატი ეკავა. – იქვე ეგდო თოფიც; ვერ გავერკვიე, რა ხდებოდა, სიმამრს ვიღაც ეჭიდავებოდა, მე ავტომატი გამოვართვი და ვთხოვე, წავსულიყავითო... როცა მანქანაში ჩასხდნენ, ბეშვენაძემ სიძეს უთხრა – დამჭრეს და მეც დავჭერიო. აი, ამის მეტი განსასჯელმა არაფერი იცის მომხდარის შესახებ. მას დანაშაულში მონაწილეობა არ მიუღია“. ■

„საზარელი სერიოზი დაეხვდა... ორივე ძმა სისხლში ცურავდა...“

2003 წლის 24 აგვისტოს, წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკიფუს ტერიტორიაზე საშინელი ტრაგედია დატრიალდა. საკუთარი მიკროავტობუსით შინისკენ — ჩხრონწყუსკენ მიმავალ გახარიების ოჯახს მოულოდნელად ნ ნიღბიანი, ავტომატებით შეიარაღებული ბოროტმოქმედი დაესხა თავს. ავტობუსში გახარიების არასრულწლოვანი შვილებიც ისხდნენ. წინააღმდეგობის გაწევისას, თავდამსხმელებმა ძმებს — მერეს და ბაკურ გახარიებს ავტომატის ჯერი დაუშინეს. ძმები გარდაიცვალნენ. მძიმედ დაიჭრა ბაკურ გახარიას არასრულწლოვანი შვილი — რაჩოც...

ჩადენილი დანაშაულის გამო პოლიციამ ცხელ კვალზე მხოლოდ ორი ეჭვმიტანილი – წალენჯიხის რაიონში მცხოვრები ბიძაშვილები – გოჩა და ლაშა მიქავები დააკავა. მაშინ სამართალდამცავებმა განაცხადეს, რომ მიკროავტობუსზე თავდასხმისას დამნაშავეებმა განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს და გზაზე შემთხვევით გამვლელი, წითელი „ჟიგული“ გაიტაცეს. სწორედ იმ წითელ „ჟიგულის“ დაედევნნენ პოლიციელები; მიქავები დააკავეს და ავტომანქანიდან უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს. როგორც მოგვიანებით ექსპერტიზამ დაადგინა, გახარიები ზუსტად იმ იარაღიდან გასროლილი ტყვიებით იყვნენ მოკლული.

მიქავებმა გამოძიებას ჩვენება არ მისცეს, არც თანამონაწილეები დაასახელეს, სამართალდამცავებმა კი მათი ვინაობის დადგენა, როგორც თავად ამბობენ, ვერ შეძლეს.

დაკავებულებს ამჟამად ასამართლებენ. მათი ადვოკატები ჯერჯერობით არ აკეთებენ კომენტარს პროკურატურის ბრალდებასთან დაკავშირებით, მხოლოდ იმას აღნიშნავენ, რომ მიქავები თავს დამნაშავედ არ ცნობენ და ჩვენებას სასამართლოს მოგვიანებით, ბრალდების ყველა მოწმის დაკითხვის შემდეგ მისცემენ.

ენდი გახარია, *მოკლულების ძმა:*

„იმ დღეს შეუძლოდ გახლდით, შინ ვიყავი. ღამით მეზობლის ქალი შემოვარდა სახლში, მითხრა – შენი ძმები ავტოავარიაში მოყვნენ, გამაგრდიო. რა თქმა უნდა, თავზარდაცემული მაშინვე საავადმყოფოსკენ გავეშურე. იქ კი საზარელი სურათი დამხვდა – ჩემი ძმისშვილი სისხლიანი იწვა საწოლზე. დამინახა თუ არა, მაშინვე ის მკითხა – მამაჩემი და ბიძაჩემი როგორ არიანო? რას ვეტყოდი?.. დავუმალე, რომ მძიმედ იყვნენ. სინამდვილეში, მეორე ოთახში ერთი ძმა თავჩამოგდებული იწვა საკაცეზე, მეორე – თევზივით ფართხალებდა, ორივე სისხლში ცურავდა. ბაკურს მივუახლოვდი და ვნახე, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ლაპარაკიც შეეძლო. მაშინვე მიცნო და მითხრა – ვკვდებიო. მეგრელები არიან, სახელები არ ვიცი, მაგრამ ისე ვიცნობო – მხოლოდ ამის თქმა მოასწრო. მერეხს რომ გავხედე, იმედი გადამეწურა, მკვდარია-მეთქი, – ვიფიქრე. მაგრამ მოულოდნელად მანაც დაიწყო ლაპარაკი. თავიდან სისხლი სდიოდა. მუცელში მტკივაო – იძახდა. მივედი და თავი ხელებით დავუკავე, რადგან საკაციდან ჩამოგდებული ჰქონდა. როსტიას და ყიყის ახსენებდა. მითხრა – როსტიამ ყიყის დაუძახა, ამათმა მანქანა დამაჯახეს, ვკვდები და იცოდე, ყველას ესროლე, ყველანი ჩაცხრილე, ცოცხალი არც ერთი არ დატოვოო. მერეხმა იმის თქმაც მოასწრო, რომ ერთ-ერთ ბოროტმოქმედში მან წალენჯიხელი გოჩა მიქავა ამოიცნო.

ჩემი ძმები იმავე ღამით საავადმყოფოში გარდაიცვალნენ. ძალიან მწყინს, რომ ეს საზარელი მკვლელობა მეგრელებმა ჩაიდინეს, თან სწორედ იმ ხალხმა, რომელთაც ჩემი ორივე ძმა ახლოს თუ არა, შორიდან მაინც იცნობდა. დახმარება რომ ეთხოვათ, უშურველად, უანგაროდ დაეხმარებოდნენ ნებისმიერ მათგანს. ბუნებით იყვნენ ასეთები და ამის შესახებ მთელმა რაიონმა იცოდა. თავიანთი მიწის ხალხისგან ასეთ ღალატს და მუხანათობას ნამდვილად არ იმსახურებდნენ“.

ბრალდების თანახმად, 2003 წლის 24 აგვისტოს, დილით, გოჩა მიქავა მეტსახელად ყიყი თავის წალენჯიხელ ბიძაშვილს – ლაშა მიქავას დაუკავშირდა და მიკროავტობუსის დაყაჩაღება შესთავაზა. განზრახვის განსახორციელებელი გეგმა მათ გამოძიებით დაუდგენელ სამ პირთან ერთად შეიმუშავეს და იმავე დღეს, შეიარაღებულები წალენჯიხა-ჩხოროწყუს დამაკავშირებელ საავტომობილო გზასთან ჩასაფრდნენ. როგორც საბრალდებო დასკვნაში ჩანს, გოჩა მიქავა გახარიების ოჯახს ადრეც იცნობდა და ისიც იცოდა, რომ ბაკურ გახარია საკუთარი „მერსედესის“ მარკის მიკროავტობუსით იმ დღეს ახლობლებთან წალენჯიხაში იმყოფებოდა, რამდენიმე საათში ჩხოროწყუში უნდა დაბრუნებულიყო და სწორედ იმ გზაზე გაივლიდა. როგორც სამართალდამცავები იუწყებიან და დაზარალებულების ჩვენებებითაც ირკვევა, ბოროტმოქმედები ავტომატებითა და გადაჭრილი, ორლულიანი თოფით იყვნენ შეიარაღებული. ცოტა ხანში, გახარიას ავტომანქანაც გამოჩნდა. საჭესთან ბაკურ გახარიას არასრულწლოვანი ვაჟი – რაჩო იჯდა. სალონში ისხდნენ ამ უკანასკნელის ძმა – ბაჩუკი, მისი ბიძა – მერეხი და სხვა ახლობლები.

მიკროავტობუსის მიახლოებისთანავე, მძღოლის შეშინების მიზნით, თავდამსხმელებმა იარაღიდან ცეცხლი გახსნეს. მანქანას 10 ადგილას მოხვდა ტყვია, ჩაიმსხვრა წინა საქარე მინა და მაშინ მძღოლი იძულებული გახდა, გაჩერებულიყო. სწორედ იმ დროს, მასაც მოხვდა ავტომატიდან გასროლილი ტყვია და შედეგად მძიმედ დაიჭრა. ამის შემდეგ, საჭეს მამამისი მიუჯდა. გადაწყვიტა, მიკროავტობუსი იქვე მდებარე არხში გადაეჩეხა, რათა ამით თავდამსხმელებისთვის მანქანის გატაცებაში შეეშალა ხელი. ავტომატით შეიარაღებული ლაშა მიქავა, როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული, წინ გადაუდგა დაძრულ მიკროავტობუსს. მანქანა დაეჯახა მას, რის შედეგადაც მიქავა წაიქცა და სხეულიც დაუზიანდა. ბაკურ გახარიამ ჩანაფიქრი აასრულა – მანქანა არხში ჩავარდა. თუმცა, მძღოლიც და მგზავრებიც მეორე, დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა აიძულა, მანქანიდან გადმოსულიყვნენ. მაშინ მერეხ გახარიამ ნიღაბი ჩამოჰგლიჯა ერთ-ერთ მოძალადეს. ბრალდების თანახმად, სწორედ ეს გახდა მიზეზი ბოროტმოქმედთა გადაწყვეტილებისა, რომ დაუყოვნებლივ დაეხოცათ გახარიები და ამით დანაშაულში მათი მხილების საფრთხე აერიდებინათ თავიდან. ავტომატიდან დამიზნებით ზედიზედ რამდენჯერმე ესროლეს ძმებს. ორივენი ძირს დაეცნენ. ერთ-ერთმა ბაკურ გახარიას შვილს – ბაჩუკისაც ესროლა, მაგრამ საბედნიეროდ, მას ტყვია ასცდა და ის მაშინვე ავტომანქანას ამოეფარა. დაუდგენელმა თავდამსხმელმა უკვე წაქცეულ მერეხ გახარიას იარაღის კონდახი ჩაარტყა თავში და თან უბრძანა – მანქანა არხიდან, როგორც გინდა, ისე ამოიყვანეო. დაჭრილმა მერეხ გახარიამ უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, მაგრამ ფეხზე მაინც ვერ წამოდგა. ვერც თავად ბოროტმოქმედებმა შეძლეს თხრილიდან მანქანის ამოყვანა. იმედგაცრუებულებს, ისღა დარჩენოდათ, საჩქაროდ გასცლოდნენ იქაურობას და გაქცეულიყვნენ.

ხუთივე მიიმალა. ორი ტყეში გაიქცა, მიქავები და გამოძიებით დაუდგენელი ერთი პიროვნება კი, საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ახალი დანაშაულის ჩასადენად მოემზადნენ. წალენჯიხიდან ჩხოროწყუს მიმართულებით მოძრავი წითელი „ვაზ 2106“ გაჩერეს და იარაღის მუქარით, მძღოლის მეუღლე და შიგ მსხდომი მგზავრები მანქანიდან გადმოსხეს, ავტომანქანაში თავად მოკალათდნენ და მძღოლს – ბ. არახამიას უბრძანეს, გეზი ჩხოროწყუსკენ აეღო. დაახლოებით 3 კილომეტრის გავლის შემდეგ, ისიც გადმოსვეს მანქანიდან. გატაცებული ავტომანქანა პოლიციამ ლუგელის ხეობასთან დააკავა. იქვე აიყვანეს მიქავებიც. რაც შეეხება მესამე პირს, მან გაქცევა და მიმალვა მოასწრო.

სახელმწიფო ბრალმდებელი და დაზარალებული მხარის ადვოკატი ირწმუნებიან, რომ საქმეში მიქავების დანაშაულის დასადასტურებლად საკმარისი მტკიცებულება მოიპოვეს. სასამართლომ გარდაცვლილი ბაკურ გახარიას შვილი – რაჩო გახარიაც დაჰკითხა. *„მან გარკვევით აღნიშნა და არაერთხელ გაიმეორა, რომ პირები, რომლებიც მამამისის მიკროავტობუსის გატაცებას ცდილობდნენ, ზუსტად ისინი იყვნენ, ვინც პოლიციამ წითელი ავტომანქანიდან აიყვანა. ამაზე მიუთითებს როგორც დაზარალებულის – არახამიას ჩვენება, ასევე ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი, თითის ანაბეჭდები, სისხლის კვალი და ა.შ. თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ პროკურატურას ზოგიერთი ეპიზოდი ზერელედ აქვს გამოძიებული. წინასწარი გამოძიების ეტაპზე მეტი მტკიცებულების მოპოვება შეიძლებოდა, მაგრამ ამ ხარვეზებს ახლა მოწმეები სასამართლოში დაკითხვისას ავსებენ“,* – აცხადებს დაზარალებული მხარის ადვოკატი.

განსასჯელების ადვოკატები კი აცხადებენ, რომ მათ საკმაოდ მყარი პოზიციები აქვთ. თუმცა, რა მოთხოვნას დააყენებენ სასამართლო გამოძიების დასრულების შემდეგ, ჯერჯერობით არ ამჟღავნებენ. ორივე მხარე აღნიშნავს, რომ პროცესზე საქმისათვის მნიშვნელოვანი ბევრი ახალი დეტალი გამოიკვეთება. რაც შეეხება განსასჯელებს, წარსულში არც ერთი არ ყოფილა ნასამართლევი. გოჩა მიქავას პროკურატურა 7 მუხლით უყენებს ბრალს, მის ბიძაშვილს კი – 6-ით. ■

ინტერვიუზე რომ მივედი, კარი თვითონ რესპონდენტმა გამიღო. გავოცდი: ჩემ წინ... პიერ რიშარი იდგა!.. არ გეგონოთ, რაღაც ავურიე — უბრალოდ, გური შენგელაია მართლაც, ძალიან ჰგავს ფრანგ კომიკოსს. „პიერმა“ ღიმილით შემიპატიჟა შინ. სიცოცხლეზე შეყვარებული კაცი ვარ — დღის მნიშვნელოვან ნაწილს საკუთარ ნაკვეთში ვატარებ, ყოველ დილას კი, ზამთარშიც და ზაფხულშიც, ჩემს უბანში (ვაშლიჯვარში) ღია ცის ქვეშ მოჩუხჩუხე გოგირდის წყაროზე ვბანაობო, — მითხრა.

პიერ რიშარის „ოდეული“:

„ადამიანმა თუ სრულ, ცხელ გულზე წყალია...“

ელენე ხირსელი

გური შენგელაია უმაღლესი კატეგორიის დამდგმელი კინოოპერატორია. გადაღებული აქვს ფილმები: „ვიკა, მე და ფელეტონი“, „თეთრი სახლები“, „ივანიკა და სიმონიკა“, „წინაპართა სახლი“, „წინამორბედი“, „ექვსი თოვლიანი დღე“, „არაგველები“, „XIX საუკუნის ქართული ქრონიკები“. ჰყავს მეულლე, ოთხი შვილი და 3 წლის შვილიშვილი.

— ბატონო გური, სხვებიც თუ გამსგავსებენ ცნობილ ფრანგ კინომსახიობს?

— რა თქმა უნდა, თქვენ პირველი არ ხართ, ვინც ეს შენიშნა. მეტსახელიც მაქვს — პიერი. თუმცა, უნდა ვაღიარო: ფრანგ კომიკოსს ახალგაზრდობაში უფრო ვგავდი — გამვლელები ქუჩაში ჩერდებოდნენ და თვალს მაყოლებდნენ ხოლმე.

— ხომ არ გწყინთ, რიშარს რომ გამსგავსებენ?

— რატომ უნდა მწყინდეს?.. არც მწყინს და სიმართლე რომ გითხრათ, არც აღფრთოვანებაში მოვყავარ ამ ამბავს. ვგავარ და ვგავდე... სხვათა შორის, განგებამ ისე ინება, რომ მეც და რიშარიც ერთ საქმეს ვემსახურებით — მის უდიდებულესობა კინოს! ის — მსახიობია, მე — კინოოპერატორი.

— თქვენ, როგორც კინემატოგრაფისტი, როგორ აფასებთ პიერ რიშარის შემოქმედებას?

— ალბათ, თქვენთვის მოულოდნელი იქნება, მაგრამ მე არ ვირიცხები მის თაყვანისმცემელთა სიაში...

— ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნა, თითქოს, ამ მსახიობის მიმართ ანტიპათიაც კი გაქვთ.

— მე კრიტიკულად მხოლოდ მის შემოქმედებას ვუდგები. რაც შეეხება მას, როგორც პიროვნებას, მომწონს კიდეც.

— ეი. ჰირადადაც იცნობთ?

— მხოლოდ ერთხელ მყავს ნანახი. ალბათ, გახსოვთ, რეჟისორ ნანა ჯორჯაძის ფილმი „ახალგაზრდა კულინარის ათას ერთი რეცეპტი“. ამ ფილმში სათამაშოდ პიერ რიშარი იყო მოწვეული. როგორც კი მისი ჩამოსვლის ამბავი შევიტყვე, მაშინვე ჩემს მეგობარ ნანა ჯორჯაძეს დავუკავშირდი და ვთხოვე, ჩვენი შეხვედრა მოეწყო. ერთმანეთს გადასაღებ მოედანზე შევხვდით. დამინახა თუ არა, სახე გაუბრწყინდა, თვალები აენთო... სანამ მასთან ვიყავი, სახეზე ღიმილი არ მოშორებია — შემომხედავდა და ეშმაკურად ჩაიცინებდა ხოლმე. სინანულით მითხრა — უკვე სამი დუბლიორი მყავს, თორემ, ნამდვილად აგიყვანდიო. არ ვიცი, რატომ ამბობენ მასზე, პირქუში და უხასიათო კაციაო, ჩემზე საპირისპირო შთაბეჭდილება დატოვა.

— ალბათ ცნობილ პიროვნებასთან მსგავსების გამო, არაერთხელ კურიოზულ სიტუაციაშიც ალმოჩენილხართ, არა?

— ერთს გავიხსენებ. დაახლოებით 15 წლის წინ, მე და ჩემი მეგობარი, მულტიპლიკატორი შადიმან ჭავჭავაძე უცხოური მარკის ახალთახალი ავტომანქანით ბათუმიდან თბილისში ვბრუნდებოდით. იმ პერიოდში უცხოური მანქანა იშვიათობა იყო. ჩვენი მდიდრული მანქანა საკმაოდ თვალში საცემი იყო. ჩვენც სოლიდურად გვეცვა. ბათუმიდან ათეული კილომეტრის მოშორებით გავჩერდით. ხილით მოვაჭრე რამდენიმე ბიჭი მოგვიახლოვდა: იყიდეთ რა, ხილი, იყიდეთო... უცებ მე რომ დამინახეს, სულ დაავიწყდათ, რითვის მოვიდნენ, ატყდა ჟივილ-ხივილი: პიერ რიშარი ზის მანქანაში, პიერ რიშარიო! სხვა ბავშვებსაც მოუხმეს. ბოლოს ჩვენს მანქანასთან იმდენი ხალხი შეიკრიბა, სუნთქვა აღარ შეიძლებოდა. ზოგს ალბათ მიტინგი ეგონა და მოდიოდნენ და მოდიოდნენ... მანქანას ვეღარ ვძრავდით, არადა, გვეჩქარებოდა. შეწუხებულმა ვიყვირე: „დაიშალეთ ხალხო, რა ამბავია?!“ ვიფიქრე, ქართულად რომ დავილაპარაკებ, სიმართლე გაირკვევა და თავსაც დავაღწევთ-მეთქი. პირიქით, სულ გადაირივნენ: პიერ რიშარს ქართული უსწავლიაო — უარესად ახმაურდნენ. რაღა უნდა გვექნა? ხელი ჩავიქნიეთ, გადავწყვიტეთ თუ თამაშია, თამაში იყოს-თქო და შადიმანიც ამყვა. ხან რას ეკითხებოდნენ ჩემზე, ხან — რას. ისიც არავის ტოვებდა უპასუხოდ და ლამაზ-ლამაზ ამბებს თხზავდა, პარიზშიც დაპატიჟა ჩემ მაგივრად სტუმრად და ფან-კლუბის დაარსების იდეაც კი შესთავაზა. ერთი სიტყვით, კარგად ვიმხიარულეთ. „თაყვანისმცემლებს“ რომ დავემშვიდობეთ, იმდენი ვიცინეთ, მუცლები ხელით გვეჭირა.

— ბატონო გური, ახლა თქვენი საქმიანობის შესახებ გვიამბეთ.

— ვმუშაობ თეატრალური ინსტიტუტის სტუდიაში და კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, ვარ თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი. 1976 წელს გაგრაში დავაარსე საქართველოში პირველი დამოუკიდებელი კინოსტუდია „გაგრაფილმი“ და წლების მანძილზე მისი სამხატვრო ხელმძღვანელი ვიყავი. 1973 წელს, როცა მოსკოვმა ჩვენი ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე სტუდენტების ერთჯერადი მიღების უფლება გასცა, რეზო ჩხეიძემ და თენგიზ აბულაძემ ფაკულტეტზე სამუშაოდ მიმიწვიეს. ვიყავი ამ ფაკულტეტის პირველი ასისტენტი, პირველი დეკანის მოვალეობის შემსრულებელი. პარალელურად, ფაქტობრივად პირველი აგურიდან შევქმენი სასწავლო კინოსტუდია და მის დირექტორად დავინიშნე. აქ ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტები პრაქტიკას გადიოდნენ. სასწავლო კინოსტუდიაში გადაღებული იქნა მრავალი დღეს უკვე ცნობილი მხ-

ატვრული თუ დოკუმენტური ფილმი. ჩემი აზრით, ცხოვრებაში ორი კარგი საქმე გავაკეთე – შევქმენი სასწავლო კინოსტუდია, რამაც კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე სტუდენტების განმეორებითი მიღება განაპირობა (და ფაკულტეტის ოფიციალურად დაარსებაც) და მეორე – სპეციალური ტექნოლოგიით გამოვიყვანე რამდენიმე ათასი ძირი კედრის ხე. ის ლამაზი კედრები, რომლებიც დღეს კინოსტუდიის (დიღომში) ტერიტორიას ამშვენებს – ჩემი დარგულია.

— მოდით, ახლა თქვენი ამქვეყნად მოვლინების შესახებ მოგვიყევით. ვიცი, რომ ეს ძალზე უჩვეულო, საინტერესო ამბავს უკავშირდება.

– ყველაფერი ასე დაიწყო: სამეგრელოს ერთ ლამაზ სოფელში – ობუჯში გოგონა ცხოვრობდა. მას თანასოფლელი ყმაწვილი შეუყვარდა, რომელმაც სამწუხაროდ, იმავეთი ვერ უპასუხა. ქალის სურვილით ღამე ერთად გაატარეს. მეორე დღეს, როცა ბიჭმა მომხდარი გააანალიზა, ძალიან ინანა. ქალი არ მიყვარს და ეს არ უნდა ჩამედინაო. ადგა და სოფლიდან გაიქცა. კარგა ხანი მასზე არავინ არაფერი იცოდა. მშობლები მწუხარებას მისცემოდნენ. გავიდა რამდენიმე თვე და მოულოდნელად, ერთ მშვენიერ დღეს, დაკარგულის ოჯახში წერილი მოვიდა. ვაჟი მშობლებს პატიებას სთხოვდა და ატყობინებდა, რომ იმყოფებოდა ფინეთის ომში, ტყვიების წვიმის ქვეშ და შესაძლებელი იყო, ცოცხალი არც დაბრუნებულიყო. ამა და ამ ადგილას ესა და ეს გოგონა ცხოვრობს, შეიძლება ფეხმძიმედ იყოს, თუ თქვენი სურვილი იქნება (დარწმუნებული ვარ, მას ეს აუცილებლად ენდომება), სახლში წამოიყვანეთო. მშობლებმა ქალს მაყრები გაუგზავნეს და იმ დროისთვის შესაფერისი ქორწილიც გადაიხადეს. ყველაფერი წესისამებრ ჩატარდა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ პატარძლის გვერდით ცარიელი სკამი იდგა... გავიდა ცოტა ხანიც და (1939 წელს) გაჩნდა ბიჭი – და ეს ბიჭი გახლავართ მე – გური შენგელაია!

— მამა თუ დაბრუნდა ომიდან?

– მამა პირველად რომ ვნახე, 3 წლის ვიყავი (შვებულებით ჩამოვიდა). საერთოდ კი 1945 წელს, ომის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა. რამდენიმე წლის შემდეგ, მამაჩემი გუდაუთაში საფინანსო-სარევიზიო განყოფილების უფროსად დანიშნეს. ჩვენც იქ გადავედით საცხოვრებლად (მოგვიანებით – გაგრაში). ასე გავიდა 2-3 წელი, 7 წლის ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს, მშობლები კარს გაიხურავდნენ და ჩუმად, ბავშვებს რომ არაფერი გაგვეგო, რაღაცაზე თათბირობდნენ ხოლმე. ერთ დღესაც დედამ გამომიცხადა: შვილო, მე შენს უმცროს დამასთან ერთად სოფელში ვიცხოვრებ, შენ კი მამასთან დარჩებიო. ცოტა ხნის შემდეგ კი, ჩვენს სახლში უცხო ქალი დასახლდა, თან თავისი შვილი – ჩემი ტოლი ბიჭი მოიყვანა. თურმე მამაჩემს დაქვრივებული ოლღა მეზვრიშვილი (პირველი სიყვარული) შემთხვევით თბილისში შეხვედრია და ძველმა სიყვარულმა თავისი ქნა. ამ ქალის საოცარი ბუნების გამო, ის მშობელ დედაზე მეტად მიყვარდა და მთელი ცხოვრება „დედას“ ვეძახდი. მე და გივი კი (მისი შვილი), ღვიძლი ძმებივით ვიყავით მუდამ (ახლახან გარდაიცვალა). სამწუხაროდ, მამაჩემი საკმაოდ ახალგაზრდა ავიაკატასტროფაში დაიღუპა.

— თქვენი მშობელი დედა თუ მოვიდა დასაფლავებაზე?

– დასაფლავების დღეს საშინელი ამინდი იყო. თავსხმა წვიმამ მოგვისწრო და საფლავის მოწესრიგება ვერ მოვასწარით. დასასუფთავებლად მეორე დღეს წავედი. სასაფლაოს დარაჯმა მითხრა: იცით, გუშინ, თქვენ რომ წახვედით, ვიღაც ქალი მოვიდა, იჯდა თავსხმა წვიმაში და გულამოსკვნილი ტიროდა, ძლივს გავიყვანე აქედან. ვკითხე, ვინ იყო? – პირველი ცოლი ვარო, – მიპასუხა... დედაჩემი ახლახან 86 წლის ასაკში გარდაიცვალა. მამას არასდროს არაფერში ადანაშაულებდა. მთელი ცხოვრება მხოლოდ მამაჩემი უყვარდა და სიცოცხლის ბოლომდე მის სურათს ბალიშის ქვეშ ინახავდა.

— აღარ გათხოვილა?

– დედა ქმარს რომ გასცილდა, მშობლებთან კი არა, დედამთილ-მამამთილთან დაბრუნდა. მათთან 2-3 წელი იცხოვრა, მერე კი მათ აიძულეს, გათხოვილიყო – პატრონი გეყოლებაო – და მოუნახეს 30 წლით უფროსი კაცი, რომელსაც 4 გათხოვილი ქალიშვილი ჰყავდა. მოგვიანებით დედამ მითხრა: მოხუცს იმიტომ გავყევი, „სიყვარულობანას თამაში“ არ მინდოდაო, – მაგრამ ბედის ირონიით, დაფეხმძიმდა და ტყუპი ქალ-ვაჟი გააჩინა...

— ბატონო გური, თქვენ მოსკოვში კინემატოგრაფიის ინსტიტუტი დაამთავრეთ. ძნელი იყო იქ მოხვედრა?

– იმ დროს „ვგიკ“-ში ჩარიცხვა სასწაულის ტოლფასი იყო. პირველ წელს ვერ მოვეწყვე. მოსკოვიდან კი ხელმოცარული ჩამოსვლა არ მინდოდა და გადავწყვიტე, სამუშაო მომეძებნა. მამაჩემის მეგობარმა, მცირე თეატრის მსახიობმა ვიქტორ ხოხრიაკოვმა თეატრში სცენის გამფორმებლად მომაწყო. მომიწია მუშაობა ისეთ დიდ რუს მსახიობებთან, როგორებიც იყვნენ: პაშენნაია, გოგოლევა, ცარიოვი, რუფინა ნიფონტოვა... ნიფონტოვასთან დაკავშირებით ერთი კურიოზი მახსენდება. ქალბატონი რუფინა ოსტროვსკის „ჭექა-ქუხილში“ კატერინას როლს ასრულებდა. იყო ასეთი სცენა: იდგა ნავთან და ტიროდა. ნამდვილი საოცრება იყო – ცრემლები წყალივით მოსდიოდა. ნეტავ, საიდან მოსდის ამდენი ცრემლი? ალბათ თვალებთან სპეციალური ღილაკი აქვს ჩამონტაჟებული, მიაჭერს და ცრემლიც მზად არის-მეთქი, – ვფიქრობდი. „ეშმაკობაში“ რომ მემხილებინა, წარმოდგენის წინ ნავში ჩავწექი (ვითომ სცენიდან გასვლა ვეღარ მოვასწარი). სპექტაკლის დროს კატერინამ ნავში რომ დამინახა, შეკრთა, მოულოდნელობისგან ლამის ტექსტი დაავიწყდა... მე კი ცნობისმოყვარეობა დავიკმაყოფილე: დავადგინე, რომ დიდი მსახიობი ნამდვილად ტიროდა. ფარდა რომ დაეშვა, განრისხებულმა ნიფონტოვამ მიყვირა: Что ты натворил, сукин син, მაგრამ როდესაც ჩემი

ყველაფერი ასე დაიწყო: სამეგრელოს ერთ ლამაზ სოფელში – ობუჯში გოგონა ცხოვრობდა. მას თანასოფლელი ყმაწვილი შეუყვარდა...

საქციელის მიზეზი ავუხსენი, უმალ მოლბა და სიცილიც კი დაიწყო. ამ თეატრში გატარებული ერთი წელი, ჩემთვის ხუთ უნივერსიტეტში სწავლას უდრიდა.

— მეორე ცდაზე თუ ჩაირიცხეთ ინსტიტუტში?

— მეორე ცდაზეც ვერ ჩავაბარე და სოფელში დავბრუნდი. ბებიას და ბაბუას განვუცხადე, კოლმეურნეობაში შევდივარ-მეთქი. ძალიან გაუხარდათ — ჭკუაზე მოსულა ჩვენი შვილიშვილიო. ახალი ცხოვრება დავიწყე: ვთოხნიდი, ვბარავდი, თან ყველგან ფოტოაპარატს დავატარებდი — ვიღებდი ბატებს, ღორებს, ძროხებს... მერე შევატყვე, ბოლო დროს ბაბუაჩემი რაღაც შეფიქრიანებული დადიოდა, ერთ დღესაც გვერდით მომისვა და მითხრა: შვილო, თავს მჭრი ამ სიბერეში? მეზობლები მეუბნებიან: საწყალო ბესარიონ, ეს შენი შვილიშვილი, რაც მოსკოვიდან ჩამოვიდა, ხომ არ შეიშალაო? — რაშია-მეთქი საქმე? — აბა, ამხელა კაცი ტალახში რომ ჩაწვება და ღორებს სურათებს გადაუღებს, სხვა რა უნდა იფიქროო?!

— ბოლოს და ბოლოს, როდის ასრულდა თქვენი ოცნება?

— სამხედრო ვალდებულება რომ მოვიხადე, მისაღებ გამოცდაზე ინსტიტუტის რექტორი ანატოლი გოლოვნიაც გვესწრებოდა. ყველაფერზე ვუპასუხე, ბოლოს რექტორმა მკითხა: რამდენი წლის ხარო? — 25-ის მეთქი. დაგვიანებული ხომ არ არისო? უცებ, ჩემი პირველი გამოცდა გამახსენდა და გამწარებულმა ყვირილით ვუპასუხე: „17 წლის რომ ვიყავი, თქვენ მითხარით, რომ ადრე იყო, ახლა მეუბნებით, გვიან არის, მაშ, როდისღა ჩავაბარო, მითხარით ერთი?!“ კომისიის წევრებს სიცილი აუტყდათ, რექტორი კი ფეხზე წამოდგა და საზეიმოდ განაცხადა: Ну чтож, зачисляю вас за упорство! — ბედნიერებისგან ფეხები წამერთვა — გასასვლელამდე გზა ძლივს გავაგნე. შინ რომ დავბრუნდი, ნერვებმაც მიმტყუნა და სამი დღე გადაბმულად მეძინა.

— როგორც ვიცი, ტელევიზიაშიც გიმუშავიათ...

— ვმუშაობდი საქართველოს ტელევიზიის კინოკორესპონდენტად დასავლეთ საქართველოს ზონაში. თუმცა, ერთი საკმაოდ არაორდინარული შემთხვევის გამო, მალევე მივატოვე.

— ასეთი რა შემთხვევა იყო?

— 1963 წელი იყო. მაშინ გაგრაში ვცხოვრობდი. ქალაქის მილიციაში ჩემი სასწრაფო დაპატიმრების ბრძანება მოვიდა. „კაგებეს“ თანამშრომლებმა ხელბორკილდადებული თბილისში ჩამომიყვანეს. მეორე დღეს, გამომძიებელი გამყინავი ხმით მეკითხებოდა: მოქალაქე, როდის გაიკრიჭე თმა და რომელ საპარიკმახეროში? „დაკლეტკილი“ პალტო რომ გქონდა, სად გაყიდე? ამდენი ხანი თბილისში რატომ არ ჩამოდიოდიო? მერე ექვსი კაცი შემოიყვანეს და მათ შორის დამაყენეს. 13-14 წლის გოგონა მშობლებთან ერთად შემოვიდა, ჰკითხეს, რომელია მათ შორის ის კაცი, რომელმაც ბარნოვის ქუჩაზე წაგიყვანა და ფოტოები გადაგიღოო? კანკალმა ამიტანა, ეს რა ხათაბალაში ჩავარდი-მეთქი!.. აქ ის კაცი არ არისო — თქვა გოგონამ. მეორე და მესამე ბავშვმაც ვერავინ ამოიცნო. თურმე მცირეწლოვანი გოგონების გაუპატიურებაში ვიყავი ეჭვმიტანილი.

— და ალბათ ტელევიზიაშიც შეიტყვეს ეს ამბავი...

მერე შევატყვე, ბოლო დროს ბაბუაჩემი რაღაც შეფიქრიანებული დადიოდა, ერთ დღესაც გვერდით მომისვა და მითხრა: შვილო, თავს მჭრი ამ სიბერეში?

— მთელი ტელევიზია ჩემზე ლაპარაკობდა. ხმა დაირხა, ვითომ გოგონები გამიუპატიურებია და მდინარეში გადამიყრია. ზოგი იმასაც ამბობდა — მამამისი კი არ დაიღუპა, ამერიკაში გადაფრენილა და იქ ანტისაბჭოთა საქმიანობას ეწევაო. ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარემ კარლო გარდაფხაძემ თავის კაბინეტში დამიბარა და მითხრა: თქვენ შეარცხვინეთ ჟურნალისტის სახელიო. მე ვუთხარი, რომ ყველაფერი გაირკვა და გამათავისუფლეს, — ამას უკვე მნიშვნელობა არა აქვსო... გადავირიე. მაშინვე დავწერე განცხადება და ტელევიზიიდან წამოვედი.

— ბატონო გური, საზღვარგარეთ თუ ყოფილხართ?

— მთელი ევროპა მაქვს შემოვლილი: გერმანია, საფრანგეთი, ავსტრია, ჰოლანდია, შვეიცარია, თურქეთი... უცხოეთში ქართველ ემიგრანტებზე ვიღებდი ფილმს. მეგობართან ერთად საკუთარი მანქანით უნიკის საერთაშორისო კინოფესტივალზე (ჰოლანდიაში) მივდიოდი. ვენის ტყესთან (ავსტრიაში) მანქანას ძრავა გაუფუჭდა. დავიწყეთ შეკეთება. უცხოელები გაოცებულები გვიყურებდნენ: საქმე ისაა, რომ ისინი თვითონ საბურავსაც არ უცვლიან მანქანას და ეს სცენა მათთვის ძალიან ეგზოტიკური იყო: ვისაც ორ უცხოტომელ გიჟს საშინელ ყინვაში გაუშლია შუა გზაზე მანქანის ნაწილები და რაღაცას ჩხირკედელაობს... მეორე დღეს ჩვენი ფოტოები ადგილობრივი გზეთის ფურცლებზე, კურიოზების რუბრიკაში მოხვდა.

— ძალიან მნიშვნელოვანი რამ გამოგჭრჩა: თქვენს ოჯახზე არაფერი გითქვამთ...

— მეუღლე ჩემზე 14 წლით უმცროსია. მოსკოვში გავიცანი. მორის ტორეზის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტში სწავლობდა. ვიკას მამა კიშინიოვის თეატრის მთავარი რეჟისორი და დირექტორი იყო, მოლდავეთში ცნობილი და პატივცემული პიროვნება. ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა. ის ჩვენი ურთიერთობის სასტიკი წინააღმდეგი იყო. მოსკოვში ჩამოვიდა და მოკვლას მიპირებდა. ჩემ გამო შვილი კიშინიოვში გადაიყვანა სასწავლებლად. მაგრამ მანძილმა მაინც ვერ დაგვაშორა, ყოველ შაბათს ვჯდებოდი თვითმფრინავში და მასთან მივფრინავდი. სხვათა შორის, დედა შვილს თანაუგრძნობდა და ერთ დღესაც, როცა მამამისი დასასვენებლად გაემგზავრა, ვიკა (დედასთან ერთად) გაგრაში გამოიპარა. თვითმფრინავის ტრაპიდან პირდაპირ საპატარძლო კაბით ჩამოვიდა...

■

უცნაური სახელების მოძიება პედაგოგების დახმარებით ვცადე. როგორც საქართველოს დამსახურებულმა მასწავლებელმა ნარგიზა ლებანიძემ მითხრა, თურმე ნამდვილ პედაგოგს ყველა მოსწავლის სახელი და გვარი ახსოვს. ნათქვამში რომ დავერწმუნებინე, თავისი სადამრიგებლო კლასების ფოტოსურათები გადმომიღო და ფოტოებზე აღბეჭდილი ბავშვების სახელების ჩამოთვლას შეუდგა. პატარა ჭორფლიან სახეზე მიმითითა და თქვა: ამ ბიჭს განგაში ერქვაო...

უცნაური სახელები

ლელა ჭანკოტაძე

ნარგიზა ლებანიძე:

— განგაში ბელელური მაშინ დაბადებულა, როცა ლევიტანს *(ცნობილ სპეჭოთა დიქტორს. — ავტ.)* რადიოთი მეორე მსოფლიო ომის დაწყების შესახებ გამოუცხადებია... სხვათა შორის, მისი სახელი უცნაურად არასდროს ჩამითვლია, ალბათ იმიტომ, რომ იმ დროს ხშირად არქმევდნენ ისეთ სახელს, რომელიც ომს უკავშირდებოდა. შვილებს დედები კატიუშას, ლეომერს, გრივერს, სტალბერს, სტალს, მიზანს და ზოგჯერ გამარჯვებასაც არქმევდნენ. ჩემს მოსწავლეს ერქვა გამარჯვება; მგონი, გვარად ლოლაძე იყო და ბავშვები მეტსახელად ლოლას ეძახდნენ. მაგრამ ყველაზე საოცარი სახელი ერთ ბავშვს ერქვა, რომელიც ჩვენს სკოლაში ქუთაისიდან გადმოვიდა. ჟურნალში სიაში რომ უნდა შემეყვანა, ვნახე, რომ სახელის გრაფაში საქართველო ეწერა. ჩავთვალე, რომ შეცდომა იყო და მხოლოდ გვარი შევიტანე სიაში, ხოლო სახელის ადგილი ცარიელი დავტოვე. სკოლის დირექტორმა ვაჟა მესხიამ დამიბარა და მისაყვედურა ამ ცარიელი ადგილის გამო. ვფიქრობდი, სექტემბერში, სწავლა რომ დაიწყება და ბავშვი სკოლაში გამოცხადდება, მის სახელსაც მაშინ გავარკვევ-მეთქი, მაგრამ ამის შემდეგ, იძულებული გავხდი, მასთან შინ მივსულიყავი. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ახალი მოსწავლის მშობლებმა მითხრეს — ბავშვს საქართველო ჰქვიაო. ძალიან ავღელდი.

— **რატომ?**

— ასეთი სახელის დარქმევა როგორ შეიძლებოდა?.. მშობელს შეეძლო, ბავშვისთვის ესესერი დაერქმია. ასეთი სახელი მაშინ იშვიათობას არ წარმოადგენდა, მაგრამ საქართველოს დარქმევა კომუნისტურ ხელმძღვანელობას არ მოეწონებოდა... ცხონებულმა ვაჟა მესხიამ პედსაბჭო მოიწვია. ვიმსჯელეთ და გადაწყდა, რომ ბავშვისთვის სახელი გადაგვერქმია. მშობლებიც იძულებული გახდნენ, დათმობაზე წასულიყვნენ. არ მახსოვს, რა დაარქვეს, რადგან ის ბავშვი ძალიან მალე, სხვა სკოლაში გადაიყვანეს, სახელის გადარქმევა არ გვაპატიეს. ასეთი უცნაური მშობლები ახლაც ხომ არიან. ვიცნობ ოჯახს, რომლის ყველაზე უმცროს წევრს — სამი თვის გოგონას კმარა ჰქვია.

ჩვენს ბებიებსა და ბაბუებს კარგად ახსოვთ ის პერიოდი, როცა სამშობიარო სახლებში სპეციალური ნუსხა არსებობდა. ახალშობილისთვის დედას ამ ნუსხიდან რომელიმე უნდა შეერჩია, რადგან სახელი აუცილებლად კომუნისტური უნდა ყოფილიყო. მაგალითად, ლენსტალბერი (ლენინი, სტალინი, ბერია) ან ვილენი (ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სწყისი ბგერების შეერთებით ნაწარმოები)... ძველი ნუსხა ახლა ჩემს მაგიდაზე დევს და გაოცებული ვარ მისი ავტორის მწირი ფანტაზიის გამო. სახელთა ჩამონათვალში ისეთი „ორიგინალურებიცაა“ შეტანილი, როგორებიცაა: ელიშუქი („ელექტრონული შუქი“), სესია, ანდერძი, იანვარა, გერმოგენი, იაროსლავლი, ბირთველი, დორითეოზი, ვუკოლი, ორესტი და ა.შ. ანდა: მეკარკაცი, გამხარდა, გამხარე, მახარე, მიხარე... ღიმილის გარეშე ვერ წაიკითხავთ ქალის სახელებს: მინდარა, ცვანტოლი, დუშა, ოლიმპიადა, ვარსკვლავისა, ცისანმი, გმირისეული, სურათი, სისურათი და ა.შ. ასეთი ღიმილის მომგვრელი სახელები ისტორიის საკუთრებად არ იქცა და ისინი დღესაც გვხვდება. ჩემი რესპონდენტები უამრავ კურიოზულ და უხერხულ სიტუაციაში ჩავარდნილან თავიანთი სახელების გამო.

ჩოხა გორგაძე:

— 75 წლის კაცი ვარ და ჩემი სახელი უკვე არანაირ უხერხულობას აღარ მიქმნის. მაგრამ ჩემს ახალგაზრდობაში ბევრი უსიამოვნება შემხვედრია. ერთხელ ქორწილში აპეზარმა ყმაწვილებმა ჩხუბიც კი ამიტეხეს. მკითხეს: რა გქვია, ძმობილო? მეც ვუპასუხე — ჩოხა-მეთქი. არ დაიჯერეს. ერთმა ისიც მითხრა — შენ თუ ჩოხა ხარ, მე ქამარ-ხანჯალი ვარ და ახლავე აგიკუწავ მაგ ჩოხის კალთებსო. სამწუხაროდ, ბევრნი იყვნენ. ვერ მოვერიე და გავილახე კიდეც. მაგრამ ყველაზე მწარედ ერთი შემთხვევა მახსენდება. ჩემს მეზობლად სამედიცინო ტექნიკუმის სტუდენტებმა იქირავეს ბინა, კარგი გოგონები იყვნენ, მაგრამ კონტაქტში არ შემოდიოდნენ. განსაკუთრებით ერთ-ერთი მათგანი მომწონდა. სულ თავჩაღუნული დადიოდა და ხელში ყოველთვის წიგნები ეჭირა. რამდენჯერმე ავედევნე. არა და არ გამიშინაურდა. თავისი სახელიც კი არ მითხრა. ორი თვის მანძილზე, გასაქანი არ მივეცი. მაშინ სხვა დრო იყო. გოგო შენზე თუ არ გიყდებოდა, გვერდით რომ ჩაგივლიდა, ღიმილსაც არ გაღირსებდა. არც სახელს გეტყოდა და არც იმის ნებას მოგცემდა, რომ უკუნეთ ღამეში სახლამდე მიგეცილებინა... ორი თვის შემდეგ, იმ გოგომ ღიმილი მაღირსა. მეც, გათამამებულმა, ვთხოვე: ტექნიკუმამდე მიგაცილებ-მეთქი. დამთანხმდა. მეორე დღესაც გავაცილე. მესამე დღეს ხმა შეურბილდა და თვალებიც აუციმციმდა. ტრამვაის გაჩერებაზე ვიდექით. მოულოდნელად თვალებში ჩამხედა და მკითხა: რა გვქიაო? არც კი გამხსენებია, უკულმართი სახელი რომ მეთქვა. მაშინვე ამაყად მივუგე: ჩოხა-მეთქი. ფერი დაკარგა, წუთით გაჩერდა, მერე ზურგი შემაქცია და გაიქცა.

— **ასე რატომ მოიქცა?**

— მეგონა, ჩემმა სახელმა გააღიზიანა, ისიც ვიფიქრე — ალბათ, სახელის გამო დამიწუნა-მეთქი, მაგრამ მეორე დღეს, ბიჭებმა რომ შემატყობინეს — მშვენიერმა მდგმურებმა ბინა დაცალესო, — თავზარი დამეცა. გადავწყვიტე, ჩემი გულისვარდი მომეძებნა.

— **დაუჯერებელია, რომ გოგონა გიყვარდათ, მისი სახელი კი არ იცოდით.**

— ჩემი თაობის მამაკაცებისთვის ეს დაუჯერებელი სულაც არ არის... უწინ ქალები ძალიან განსხვავდებოდნენ დღევანდელი ქალებისგან. მამაკაცებიც უფრო მორიდებულები ვიყავით. სწორედ ამის გამო დავკარგე ის სათნო გოგო... თურმე, იმიტომ გაიქცა, რომ ეგონა, დავცინოდი. ასე კი იმიტომ იფიქრა, რომ ისიც ბევრჯერ ჩავარდნილა ცუდ დღეში თავისი სახელის გამო: მას ქანქარა რქმევია და იფიქრა, რომ მასხრად ავიგდე...

ჩონქარა ალასანია:

— უკვე 40 წელს გადავცდი და ჩემი სეხნია საქართველოში ჯერ არ შემხვედრია. მხოლოდ ერთხელ გავიგონე, იმერეთში ქალმა დაიძახა: ჩონქარაო!.. ყურები ვცქვიტე, ერთი სული მქონდა, დამენახა, ვინ გამოეპასუხებოდა. იცით, ვის ერქვა ჩემი სახელი? მის მარჩენალ თხას... ვერ წარმოიდგენთ, როგორი იმედგაცრუებული დავრჩი. ქალი რომ ვყოფილიყავი, ალბათ, ცრემლებად დავიღვრებოდი. არც ის დამვიწყებია, სკოლაში რამდენჯერ მიჩხუბია. ჩემმა თანაკლასელებმა ჩონქარა რატომღაც ჩანჩქერთან გააიგივეს და მეტსახელად ნიაგარა დამარქვეს. წარმოიდგინეთ, თავმომწონე ბიჭს ნიაგარას რომ გეძახიან!.. ეს ჩემი ბავშვობის მეტსახელია.

ანდერძი ალნიაშვილი:

— ერთხელ სტუმრად წავედით სოფელში. ჩემმა ჯგუფელმა დაგვპატიჟა ხუთი ბიჭი. ვიცოდით, რომ 100 წლის ბაბუა ჰყავდა, რომელიც გაიძახოდა: მანამდე არ მოკვდები, სანამ ჩემს გვარში მოსაწონი მემკვიდრე არ დაიბადებაო. ეხუმრებოდნენ თურმე: მეშვიდე თაობასაც რომ მოესწრო, მაინც არ იტყვი, მემკვიდრე მყავს და ახლა მზად ვარ, რომ მიქელ-გაბრიელმა წამიყვანოსო... ერთი სიტყვით, შორიდან ვიცნობდით ვარლამ ბაბუას. როგორც კი ეზოში შევედით, ჩვენი ჯგუფელის მამა შემოგვეგება და ჩემს დანახვაზე რიხიანად დაიძახა: ანდერძი, შენ ნამდვილად არ გელოდი! როგორც იქნა, გვაღირსე შენი თავიო!.. რამდენიმე წუთში, სახლიდან ხელჯოხიანი მოხუცი გამოვარდა და იყვირა: წადი აქედან, ეშმაკმა დაგლახვროს, მოვკვდები, მაგრამ არ დაგნებდებიო!.. ჩემი მისამართით ილანძღებოდა. მოულოდნელობისგან ადგილზე გავქვავდი. ყველანი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნენ; სანამ ვარლამ ბაბუამ არ დაიყვირა: რომ მომკლათ, ანდერძს მაინც არ დავწერო, — ვერ მივხვდით, რას მერჩოდა... ყველამ ბევრი იცინა, მოხუცს ვერაფრით დავაჯერეთ, ანდერძი რომ მერქვა და სულაც არ ვიყავი იმისთვის მისული, რომ მისთვის ანდერძი „დამეტყუა“.

არაჩვეულებრივი სახელის დარქმევით გატაცებული ზოგიერთი მშობელი შვილს უცხოურ გვარს ან რაიმე საგნის სახელწოდებას არქმევს. მაგალითად, ფრუნზე, კომუნა, პრავდა, ფოჩტა, ორესტი. მწერალმა ნოდარ დუმბაძემ მოხდენილად დასცინა ასეთ მშობლებს: „იბადება თუ არა ბავშვი, მშობლებმა უნდა შეურჩიონ ორიგინალური სახელი. მაგალითად, ვაჟებს: მედიკამენტი, სტადიონი, ფორდი, ტოჩკა, შექსპირა, შილერა, ჰამლეტი. გოგონებს: ავრორა, ანჟელიკა, მილიცია, მერსედეს, ფლორენცია, დულცინე“... სწორედ ასეთი მშობლების „მსხვერპლია“ ჩემი რესპონდენტი, ქალბატონი **ფლორიდა ადამია**.

— ვინ დაგარქვათ ასეთი უცნაური სახელი?

— მე და ჩემს დას შორის 10 წელია სხვაობა. მე რომ დავბადებულვარ, ის უკვე მეხუთე კლასის მოსწავლე იყო; რუკაზე აღმოუჩენია ფლორიდის შტატი და გადაუწყვეტია, ჩემთვის ეს სახელი დაერქმია. დედას მუცელზე ხელს ადებდა და ეუბნებოდა თურმე: თუ გოგო გეყოლება, ფლორიდა დაარქვი, თუ ბიჭი გაჩნდება — არგვინდოდიო. კიდევ კარგი, ბიჭი რომ არ დაიბადა, თორემ, ნამდვილად დაიტანჯებოდა თავისი სახელის გამო. თუმცა, არც მე აღვფრთოვანებულვარ ჩემი დის ორიგინალური იდეით... მეცხრე კლასში რომ ვიყავი, სკოლაში კომკავშირის კომიტეტის მდივნის არჩევნები ტარდებოდა და ერთ-ერთი რეალური კანდიდატი ვიყავი. გავიმარჯვე კიდეც, მაგრამ კომკავშირის რაიკომიდან მკაცრი გაფრთხილება მივიღეთ. მეორე მდივანმა ჩემი სკოლის დირექტორს უთხრა: ნუთუ, კომკავშირელებს იმან უნდა უხელმძღვანელოს, ვისაც ამერიკული სახელი ჰქვია და შესაბამისად, ანტიკომუნისტური აზროვნებაც ექნებაო?!. ჩემი სახელის გამო კომკავშირის კომიტეტის მდივნობა არ მეღირსა. მაშინ ამის გამო ისე ვინერვიულე, რომ მთელი კვირა სკოლაში არ მივლია...

უცნაურ სახელებს შორის სიტყვის ნაწილების შეერთებით მიღებული სიტყვებია, მაგალითად: კოლთავრე (კოლმეურნეობის თავმჯდომარე) და დაზმირი (რუსული გამოთქმიდან — „და ზდრავსტვუეტ მიროვაია რევოლუცია!“). დაზმირი მთელ საქართველოში გავრცელებული სახელია და მას მშობლები ახლაც არქმევენ თავიანთ ვაჟებს. ამ სახელის რესპონდენტების მოძიება არ გაგვჭირვებია, თუმცა უმეტესობამ არც იცოდა, თუ რას ნიშნავდა მისი სახელი.

დაზმირ რევანდაშვილი:

— არასდროს არავის უთქვამს, რომ ჩემი სახელი ცნობილი მოწოდების აბრევიატურა იყო. ასეთი რამ აზრად არც მომსვლია. ახლა გისმენთ და გაოცებული ვარ. ადრე რომ მცოდნოდა, იქნებ, სახელი გამომეცვალა კიდეც. სულ მეცოდებოდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც სასაცილო სახელები ერქვათ. ჩემს მეგობარს ლონგინოზი ჰქვია; ვერ წარმოიდგენთ, რამდენჯერ ვათქმევინე — ნათლიაჩემს რა ვუთხარი ამ სახელის დარქმევისთვისო?!. ახლა, ჩემი სახელის შინაარსს რომ გაიგებს, ალბათ სახლში ტრანსპარანტებით მომადგება. ნეტავ, არც გამეგო ამის შესახებ...

ზოგი მშობელი საკუთარი ფანტაზიით თხზავს სახელს. ასეთთა რიგს განეკუთვნება: მამისთვალა, მამისიმედი, დედისიმედი, დედისკეთილი, მამისბედი, მზისადარი, ოქროსპირი, ქალთამზე, ვარდისკონა, მონავარდისა, ვისიამბისა, ვისიმთვარისა, შინგარდელა, მზექალა, თმაგიშერი. ჩემი მომდევნო რესპონდენტის მშობლებს კი, გამომჟონებლობაში ვერავინ შეედრება: მათ თავიანთ შვილს თუთა-ცირა დაარქვეს, რაც მეგრულად მთვარე-ქალს ნიშნავს. თუთა-ცირას ამბავი უამრავი კურიოზითაა სავსე.

თუთა-ცირა იოსავა:

— პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში ვაბარებდი. გამომცდელმა გაოცებულმა შემომხედა და მითხრა: ორი სახელის დარქმევას არ სჯობდა, ერთი ლამაზი სახელი დაერქმიათო?.. — ჩემი სახელი მთვარესავით ლამაზს ნიშნავს-მეთქი, — ვუპასუხე. ჩემი სახელი სიტყვასიტყვით ნიშნავს — „ჩემი ძალა ღმერთია“. მოგეწონებოდათ, ამსიგრძე სახელი რომ მრქმეოდაო?! იმ კაცს გაბრიელი ერქვა. ძალიან გაბრაზდი, მაგრამ რა უნდა მექნა?.. უკვე მიჩვეულიც კი ვიყავი უსიამოვნებებს, რომლებიც სახელის გამო უამრავჯერ გადამხდენია თავს. სამეგრელოში ჩემი სახელი არავის უკვირდა. დანარჩენ საქართველოში კი კურიოზი და უსიამოვნება მრავლად შემმთხვევია... ერთ კახელ ბიჭს მირიგებდნენ. რომ მნახა, მოვეწონე, მაგრამ შემომითვალა: იმ პირობით შევირთავ, თუ არავის გაუმხელს, თუთა რომ ჰქვია, მეზობლებში თავი მომეჭრება, შევრცხვებიო... ერთხელ რაჭაში ვიყავი წასული. ერთმა იქაურმა კაცმა მითხრა: ბოშო, მეტსახელი უამრავ ადამიანს ჰქვია, მე ბიჭობაში წკეპლას მეძახდნენ, მაგრამ ამის გამო, ვინმე სახელს რომ მეკითხება, სულაც არ ვპასუხობ — წკეპლა-ლევანა მქვია-მეთქი... იმ კაცს თუთა ჩემი მეტსახელი ეგონა. მისი ნათქვამი ჭკუაში დამიჯდა. მას შემდეგ, თუ ვინმე სახელს მკითხავს, ვპასუხობ — ცირა მქვია-მეთქი, თუთას კი საგულდაგულოდ ვმალავ.

ავტომანქანების სახელები ხშირად ქალების სახელებადაც გამოიყენება. აღმოსავლეთ საქართველოში არცთუ ისე იშვიათია, ჟიგული ან ლადა, გვხვდება მერსედესიც.

ლადა გოგიჯანაშვილი:

— ეს სახელი ჩემთვის ნათლიას დაურქმევია. ამის გამო დღემდე აღშფოთებული ვარ. სულ ახლახან მეზობლის სიძე გამაცნეს; ხელი რომ გავუწოდე და ვუთხარი — ლადა-მეთქი, — მაშინვე მკითხა: „ტეხასმოტრი“ როდის უნდა გაიკეთოთ, ქალბატონო?!. თავი შეურაცხყოფილად

ახლაც არქმევენ უცხო სახელებს, მაგრამ არა კლასიკური ნაწარმოებებიდან აღებულს, არამედ – „საპნის ოპერების“ გმირებისას

ვიგრძენი, მთელი ღამე არ მძინებია. უკვე 50 წლის ვარ, მეგონა, ასაკის გამო აღარავინ იკადრებდა ჩემს დაცინვას, მაგრამ მოვტყუვდი... ვერ წარმოიდგენთ, სახელი როგორ მიშლიდა ხელს მუდამ... ადამიანების გაცნობას გავურბოდი, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ჩემი სახელის გაგონება ყველას გაოცებას იწვევდა. ქმარსაც სახელის გამო გავეყარე. ერთხელ, ბიჭებთან სანაძლეო დაუდვია, უთქვამს – ჩემი ლადა მარტო კი არ ასიგნალებს, ლაპარაკობს კიდეცო. – ეს როგორო? – გაოცებულან. – რასაც შეეკითხები, ყველაფერზე პასუხს გაგცემსო, – უპასუხია ჩემს ქმარს... გვიან საღამოს, ორ უცნობ მამაკაცთან ერთად დაბრუნდა. რომ დამინახა, საზეიმო ხმით გამოაცხადა: გაიცანით, ეს არის ლადაო... საშინელ დღეში ჩავვარდი. თქვენ შეიძლება ვერ გაიგოთ ჩემი გულისტკივილი, მაგრამ ამის პატიება არ შემეძლო. შუაღამისას, ბარგი ჩავალაგე და ოჯახიდან წამოვედი.

განსაკუთრებული პოპულარობით ჩვენში წინათ, დასავლეთიდან გადმოღებული სახელები სარგებლობდა. თბილისში თუ უცხოელი ავტორის სპექტაკლი დაიდგმებოდა ან ფილმი გადიოდა, მთავარი გმირების სახელები მაშინვე ახალშობილთა სახელებად იქცეოდა ხოლმე. ასე გაჩნდა თბილისელი ფერდინანდი, გორელი ოფელია, ზუგდიდელი დეზდემონა, სოხუმელი ნაპოლეონი, ხაშურელი ჰამლეტი, ქუთაისელი ჰენრიეტა და ა.შ. ახლაც არქმევენ უცხო სახელებს, მაგრამ არა კლასიკური ნაწარმოებებიდან აღებულს, არამედ – „საპნის ოპერების“ გმირებისას: ნაჩო, ფიორელა, მარიანა, ვერონიკა, დორა, ხუანი, სტელა, მონიკა და ა.შ. თუმცა, ნაპოლეონის სახელით ცხოვრება, დამეთანხმებით, ყველაზე რთული და ზოგჯერ საინტერესოც იქნება...

ნაპოლეონ გოგავა *სოხუმელი დევნილია. სახალისო ამბების გასახსენებლად აღარც მცალია, დღე და ღამე ბოსტნეულს ვყიდიო, – გამიმხილა, თუმცა, მაინც შეეცადა, ბედნიერი ახალგაზრდობა გაეხსენებინა:*

– ერთხელ, ცხონებულმა ობოლა ციმაკურიძემ მითხრა: თქვენს დანახვაზე, ყურებზე ხელებს ვიფარებ, ასე მგონია, საყვირების ხმას გავიგონებო... ბევრ სხვა ადამიანშიც ვიწვევდი ომის ასოციაციას. 18 წლის ბიჭი ვიყავი, პირველად თბილისში რომ ჩამოვედი. ჩემმა ნათესავმა ქორწილში დაგვპატიჟა. რკინიგზის სადგურში დამხვდა თავის მეგობრებთან ერთად. ერთმა ბიჭმა ხელი იმდენჯერ ჩამომართვა, რომ მისი გალახვაც კი მომინდა; მერე უცბად თქვა: ახლა გავიქეცი, თორემ, სამსახურიდან გამომაგდებენ, დამაგვიანდაო. – რაზე მოდიოდი-მეთქი? – ვკითხე გაოცებულმა. ჩემი თვალით მინდოდა, ცოცხალი ნაპოლეონი მენახაო, – მიპასუხა... მერე ნათესავმა ამიხსნა: მაგ საბრალოს ისტორიის წიგნი არასდროს გადაუფურცლავს, არც კი იცის, ნაპოლეონი დიდი ხნის მკვდარი რომ არისო... ერთხელ ქორწილშიც არ დამდგომია მაინცდამაინც კარგი დღე. ხომ ხედავთ, როგორი ზორბა ვარ?.. ერთი ლაწირაკი ამეტორღიალა, ქოსა ბიჭი იყო, გამხდარი. საჩხუბრად მიწვევდა, მაგრამ იმას როგორ დავარტყამდი?! – შეიძლება, შემომკვდომოდა... ჩხუბში რომ არ ავყევი, გვერდით მომიჯდა და ყურში ჩამჩურჩულა: აი, შენ ორი ტკიცინა თუმნიანი, კაცურად გთხოვთ – ერთს დაგარტყამო!.. ვიფიქრე, მომესმა-მეთქი, მაგრამ ჯიბეში თუმნიანები რომ ჩამიკუჭა, გაკვირვებისგან კინაღამ თვალები გადმომცვივდა. – რა გინდა, ბიჭო, ხომ არ გადაირიე-მეთქი? – ვკითხე. – ერთი დამარტყმევინე, რა, მთელი ცხოვრება სატრაბახოდ მექნება – ნაპოლეონი გავლახე-მეთქი...

ადამიანის სახელებად ხშირად, ცხოველთა და ფრინველთა სახელსაც იყენებენ: ვეფხია, ძაღლიკა, მგელიკა, ფოცხვერა, შეგარდნა, ქორია, ცუგა, ნუკრია, მტრედია, გვრიტია, გედია. ამავე დანიშნულებით იყენებენ ხოლმე მცენარეთა სახელებს: ია, ვარდო, ენძელა, მიმოზა. განსაკუთრებით ხშირია „ვარდისგან“ ნაწარმოები სახელები – ისეთი, როგორებიცაა: ვარდიფინე, ვარდიკონა, ვარდისნამი, დილავარდისა გულისვარდი. ჩემი რესპონდენტები, ტყუპი და – ვარდიფინე და ვარდიკონა ტოტიკაშვილები არიან. სახელები მათ დედამ დაარქვა. გოგონებს ამის გამო არასდროს უნანიათ, თუ რატომ – ამის შესახებ ძალიან ორიგინალური პასუხები აქვთ.

ვარდიფინე:

– მე ვფიქრობ, რომ ყველა ადამიანს აქვს ნაკლი: ზოგს უშნო ცხვირი აქვს, ზოგს – ცუდი თმა, ზოგს კი – უხეირო კანი ტანჯავს. მეც მაქვს ნაკლი – ეს ჩემი სახელია.

ვარდიკონა:

– 10 წლის წინ, სამეგრელოში ერთი ქალი გავიცანი. მას დენ-პობედა ერქვა. ამის გამო სულ არ ნაღვლობდა, პირიქით – ამბობდა, რომ არ არსებობდა სამყაროში უფრო მნიშვნელოვანი და ბედნიერი დღე, ვიდრე „დენ პობედი“ – გამარჯვების დღე. მეც ვთვლი, არ არსებობს ვარდის კონაზე უფრო ლამაზი და სურნელოვანი რამ. მე სწორედ ასეთი უმშვენიერესი სახელი მქვია. მერე რა, რომ ერთხელ, ერთმა უტიფარმა ბიჭმა მითხრა: იმას, ვინც შენ შეგიყვარებს, პეპელა თუ არ ერქმევა, ლარნაკი მაინც უნდა ერქვასო...

საქართველოს ყველა კუთხეში შეხვდებით სახელებს: მოგელი, გელოდი, არგელოდი, არველოდი, გამიხარდი, არმინდოდი და ა.შ. ხშირად, ეს სახელები ღვიძლ ძმებს ჰქვიათ. ასეთი შემთხვევა რამდენიმე ოჯახში აღმოვაჩინე. მაგალითად: გელოდი, მოგელი და არგელოდი ზამბახიძეები; არმინდოდი, არგელოდი და არველოდი ნანიტაშვილები; გამახარე, გამიხარდი და მიხარია ჭყონიები. მაგრამ ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა 8 წლის ტყუპი – მინდა და გინდა სამსონაძეები აღმოვაჩინე. როგორც მათმა ბებიამ მითხრა – ბიჭები ახლა ფოთში არიან წასულები დასასვენებლად და მათ შესახებ უფრო დაწვრილებით მომავალში გიამბობთ.

P.S. წერილში გამოყენებულია მხოლოდ ის სახელები, რომლებიც შეტანილია სხვადასხვა წელს სხვადასხვა ავტორის მიერ გამოცემულ ქართულ გვარ-სახელთა საძიებლებში. ისეთი სახელები, როგორებიცაა: უმანკო, კანონი, კოდექსი, სევასტოპოლი, გარიჟრაჟი, ტრიბუნა – მასალაში მხოლოდ იმის გამო ვერ მოხვდა, რომ ისინი არაა შეტანილი წიგნებში – „ქართული გვარ-სახელები“. ამიტომ ჩემს რესპონდენტებს – კოდექსი აბუსელიძეს და კანონი შერმადინის გული უნდა დავწყვიტო იმის გამო, რომ მათი კურიოზული ამბები მკითხველთა სამსჯავროზე ამჯერად არ გამოვიტანე...

ყრუ-მუნჯ პაპუშეპს ბაგიდან ამოკითხვაში მათი თანატოლეპი ეხმაპრეპიან

საქართველოში ერთადერთი ბაგა-ბაღი არსებობს, რომელიც სმენადაქვეითებული ბავშვებისთვის არის გათვალისწინებული. ზაფხულში იქ მხოლოდ ის ბავშვები რჩებიან, რომლებსაც მშობლებმა არ მიაკითხეს და პატარებს წასასვლელი არსად აქვთ...

ალეკოს დედა ორ წელზე მეტია არ უნახავს. სულ პაწია, 10 თვის ბიჭუნა მოგვიყვანა და დატოვა

მარი ხაშარიძე

ოთახში შესულს, ბავშვები გარს შემომეხვივნენ და ინტერესით მაკვირდებოდნენ. თან გამგეს, ქალბატონ დოდო ჩიკვაიძეს ხელებით ეკითხებოდნენ — ეს დედა ვინ არისო? ზოგიერთი მათგანი ჩემი სახელის გამოთქმასაც ცდილობდა. ერთ-ერთი აღსაზრდელი კი კითხულობდა — უნდა ვიცეკვოთო? როდესაც უარყოფითი პასუხი მიიღო, კვლავ ხელებით იკითხა — სურათი უნდა გადაგვიღოსო?.. ისინი თურმე, ყველა სტუმარს ასეთი ინტერესით აკვირდებიან და მზად არიან, მას თავისი საკონცერტო ნომრები წარმოუდგინონ.

დოდო ჩიკვაიძე:

— ჩვენს ბაგა-ბაღში გვყავს როგორც სმენადაქვეითებული, ასევე ყრუ-მუნჯი და მეტყველი ბავშვები. მიგვაჩნია, რომ ყრუ ბავშვი აუცილებლად უნდა ეკონტაქტებოდეს მეტყველ, ჯანმრთელ ბავშვს. ისინი თანატოლებთან ურთიერთობისას იოლად ეუფლებიან ბაგიდან ამოკითხვის ტექნიკას. ეს კი სმენადაქვეითებული ბავშვებისთვის აუცილებელია, თანაც, რაც უფრო ადრეული ასაკიდან დაიწყებს ბაგიდან კითხვას, მით უკეთესია ბავშვისთვის. ასეთ შერეულ ჯგუფებში რომ შეხვალთ, ბავშვებს შორის ზღვარს ვერ დაინახავთ. ისინი ძალზე კარგად ურთიერთობენ ერთმანეთთან და არ არჩევენ, მუნჯია მათი თანატოლი თუ მეტყველი. ერთად სწავლობენ ხატვას, მუსიკას, ფიზკულტურას... ნუ გაგიკვირდებათ, რომ სმენადაქვეითებული ბავშვი მუსიკას სწავლობს. ჩვენი პატარები მონაწილეობდნენ პირველ ივნისს გამართულ „ბასტი-ბუბუს" კონცერტში. თვითონაც მშვენივრად ცეკვავდნენ და მთელი დარბაზიც ააცეკვეს.

— რა ასაკის ბავშვები გყავთ ძირითადად?

— წლინახევრიდან 6 წლამდე. შემდეგ სხვადასხვა სკოლაში მიდიან, ზოგი ლოგოპედურ სკოლაში, ზოგიც — ყრუ-მუნჯთა სკოლაში ან ბავშვთა სახლში გადადის. ბევრი ბავშვი რაიონიდანაა ჩამოყვანილი. მათი მშობლებიც ხშირ შემთხვევაში, თბილისში გადმოდიან საცხოვრებლად, დილით მოჰყავთ შვილი და საღამოს — მიჰყავთ. თუმცა, ბევრია ისეთი, რომელიც მოიყვანს ბავშვს, დატოვებს და მერე წლობით აღარ აკითხავს: ზოგი იმის გამო, რომ მატერიალურად შეჭირვებულია, ზოგიერთი კი, არც ნაღვლობს შვილის ბედ-იღბალზე... ძალზე გვიჭირს ყრუ-მუნჯ მშობლებთან ურთიერთობა. ისინი ავრესიულები არიან და ვერაფერს შეაგნებინებთ. ზოგიერთ ყრუ-მუნჯ მშობლებს მეტყველი შვილი ჰყავთ, მოიყვანენ ჩვენთან და ტოვებენ. ახლაც, ბავშვების უმეტესობა მშობლებმა წაიყვანეს, მაგრამ 30-მდე პატარა ისევ აქ არის, რადგან წასასვლელი არსად აქვთ. ჩვენც, შვებულება გვეკუთვნის, მაგრამ იძულებული ვართ, ვიმუშაოთ და ბავშვებს ყურადღება არ მოვაკლოთ, მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულის თვეებში ხელფასიც არ გვერგება.

— თქვენგან წასული ბავშვების ბედით თუ ინტერესდებით?

— რა თქმა უნდა, მათ ამბებს ვკითხულობთ ხოლმე. ისეც ხდება, რომ ერთი დედის რამდენიმე შვილს ვზრდით, რომელიც სხვადასხვა კაცისგან ჰყავს. პაწია ალეკო ა-ძის ძმა გავზარდეთ და შემდეგ წყნეთის ბავშვთა სახლში გადავიყვანეთ. ალეკო ჩვენთან არის, დედამისმა კი მესამე შვილი გააჩინა და ამას წინათ „დაგვიმედა" — იმასაც სექტემბერში თქვენთან მოვიყვანო. არადა, მანამდე ალეკოს დედა ორ წელზე მეტია არ უნახავს. სულ პაწია, 10 თვის ბიჭუნა მოგვიყვანა და დატოვა. განუვითარებელი ბავშვი იყო, რაღაცნაირი, დაგრეხილი ფეხები ჰქონდა. წავიყვანეთ ექიმთან, ჩავასმევინეთ თაბაშირში და კიდურები გავუსწორეთ. ბავშვს ყრუ დედა ჰყავს. თითქმის 3 წლის შემდეგ მოაკითხა შვილს და გვთხოვა, ერთი დღით გამატანეთო. აბა, უარს როგორ ვეტყოდით?.. გავატანეთ. 3 თუ 4 დღე არ გამოჩნდა. შევშფოთდი, რადგან ვიცოდი, ამ ქალს სახლ-კარი არ ჰქონდა, სადგურში ათევდა ღამეს. ბავშვი სად უნდა წაეყვანა?.. წავედი სადგურზე, მოვძებნე მუნჯები და ვკითხე — ეს ქალი ხომ არ გინახავთ-მეთქი? — არაო, — თავს აჭნევდნენ. შემდეგ ერთმა ხელებით ამიხსნა — ბავშვი 3 ლარად გაყიდა და მას მერე



ტყუპი ბიჭი გვყავს, არაჩვეულებრივი ოჯახის შვილები არიან, მაგრამ ორივე ყრუ-მუნჯია...

აღარ გამოჩენილაო... კინაღამ გავგიჟდი. რამდენიმე დღის განმავლობაში ჩემს სიძესთან ერთად ღამის 2-3 საათზე მივდიოდი სადგურში, რომ მენახა, მაგრამ ამაოდ. შემდეგ განვაცხადე პოლიციაში. აღმოჩნდა, რომ ჩულურეთის რაიონის პოლიციის თანამშრომელი გადაჰყრია ამ ქალს, როცა ის ბავშვს ყიდდა, მისგან ბიჭუნა ერთ ლარად უყიდია, განყოფილებაში მიუყვანია, იქ ოქმი შეუდგენიათ და ბავშვი ნუცუბიძეზე მდებარე ბავშვთა სახლისთვის ჩაუბარებიათ. იქ წარვადგინე სათანადო საბუთები, რომ ბავშვი ჩემს დაწესებულებას ეკუთვნოდა და უკვე დათო ქართველიშვილად მონათლული ალეკო უკან დავაბრუნეთ... კიდევ პატარა თეკუნა გვყავს, მისი და-ძმაც ჩვენთან იზრდება. დედამისს სამივე შვილი სხვადასხვა კაცისგან ჰყავს, შინ კი, დროგამოშვებით, მხოლოდ ერთი შვილი მიჰყავს ხოლმე, რომლის მამაც მატერიალურად ეხმარება. დანარჩენებს არც კითხულობს. კიდევ არის რუსი წარმოშობის და-ძმა. მათი დედა არც მინახავს, ჩვენთან ასაკოვანმა ქალმა მოიყვანა და გვითხრა: მე ძიძა ვარ, დედამ გასაზრდელად მომაბარა, თვითონ კი დაიკარგაო... ეს ქალი აკითხავს ხოლმე ბავშვებს დროგამოშვებით. მეტყველი ბავშვები არიან, დედა კი, ყრუ-მუნჯი ჰყოლიათ.

— თქვენ თუ იცით ყრუ-მუნჯების ენა? ხელებით საუბარი შეგიძლიათ?

— ცოტ-ცოტას ვახერხებ. ყოველ შემთხვევაში, ვაგებინებ, რისი თქმაც მინდა... ამ დაწესებულებაში 18 წლის წინ მოვედი. პირველად ჯგუფში რომ შევედი, ერთი ბავშვი მოვიდა, ორი თითი საფეთქელთან მიიდო და გამიღიმა. ვიფიქრე, მესალმება-მეთქი და იმავე ჟესტით ვუპასუხე. ბავშვი გაოცებული თვალებით მომაჩერდა. აღმოჩნდა, რომ მათ ენაზე ეს ნიშნავს — „ტუალეტში მინდა". „დირექტორი" კი, საჯდომზე ხელის დადებით „გამოითქმის"...

— ბავშვები აგრესიულები ხომ არ არიან?

— იცით, როგორი თბილი ბავშვები არიან?.. მთავარია, გაუღიმო, მეტი არაფერი უნდათ. ერთი გოგონა გვყავდა, თამუნა, ძალზე საყვარელი ბავშვი იყო, მაგრამ გონებრივად ჩამორჩენილი გახლდათ. კარგი ოჯახის შვილია. დილით ძალზე ადრე მოჰყავდათ ხოლმე და გვიან ღამით მიჰყავდათ. ამბობდნენ, რომ თამუნას უფროს ძმას ძალზე ეთაკილებოდა, რომ ავადმყოფი და ჰყავდა... ერთხელ, ერთ-ერთი ძიძა შეუძლოდ გახდა. ტახტზე დავაწვინეთ და წამლები დავალევინეთ, თამუნა ტახტზე აძვრა, ძიძას გვერდით მიუწვა და ჩაეხუტა. ვერაფრით ვერ ავაყენეთ იქიდან, არც ჭამა, არც ადგილიდან დაიძრა, ვიდრე ძიძა



ეს ბიჭუნა შარშან მოგვიყვანეს. დამხრჩვალი კატის კნუტს ჰგავდა. ისეთი უმწეო იყო, რომ ექიმი მეევდრებოდა — არ დაიტოვოთ, ამ ზამთარს ვერ გადაიტანსო...

არ მომჯობინდა. წარმოგიდგენიათ? ამ ბავშვს ჰქვია გონებრივად ჩამორჩენილი და იმ მშობლებს, რომლებმაც შვილები მიატოვეს, ჯანმრთელი?.. ამას წინათ, კასპის ბავშვთა სახლზე გადაცემას ვუყურე და ჩვენი თამუნა იქ დავინახე. აქ არასოდეს ვტოვებთ ბავშვებს ახალი წლის ღამეს, გავანაწილებთ და შინ მიგვყავს, რომ დღესასწაულს ოჯახურ გარემოში შეხვდნენ...

— ყველაზე პატარა ალსაზრდელი რამდენი წლისაა?

— ყველაზე პაწია წლისა და 7 თვის გახლავთ. მის მშობლებს 4 შვილი ჰყავთ და ყველა ჩვენ გავზარდეთ. ხანდახან ისეც ხდება, რომ თუკი საშუალება გვაქვს, მშობელს ჩვენთან ვაწყებინებთ მუშაობას, რომ შვილთან ერთად იყოს. ხშირად მოჰყავთ ბავშვი და გვიმტკიცებენ, რომ ყრუა, მაგრამ ჩავუტარებთ გამოკვლევას და აღმოჩნდება, რომ მხოლოდ ყურის ანთება აქვს; ვუმკურნალებთ, ბავშვი მორჩება, მაგრამ დედას მაინც არ მიჰყავს... ერთ-ერთ ბავშვს, დათო რ-ს გავუკეთეთ ოპერაცია, რომელიც ძალზე ძვირი ჯდება: ყურში აპარატი ჩაუდგეს. თუმცა, შედეგის მიღებას, რომ ბავშვმა ბგერები აღიქვას და მერე წარმოთქვას — წლები სჭირდება. ახლა კიდევ ერთ გოგონას ვამზადებთ საოპერაციოდ. ამას წინათ გვითხრეს, რომ ლესელიძის ქუჩაზე, ბანკში ახალგაზრდა ბიჭი მუშაობს, რომელსაც აპარატი აქვს ყურზეო. დავინტერესდი და აღმოჩნდა, რომ ჩვენი ბაგა-ბაღის აღზრდილი ყოფილა!.. ტყუპი ბიჭი გვყავს, არაჩვეულებრივი ოჯახის შვილები არიან, მაგრამ ორივე ყრუ-მუნჯია. 5 წლის გოგონა აქ მოხვედრამდე, ქუჩაში მათხოვრობით ირჩენდა თავს. აქ რომ მოვიდა, ხელი გაიშვირა და ბავშვებს ჩამოუარა — დამეხმარეთო. ბავშვები აღშფოთდნენ და ხელებით ანიშნებდნენ — ასე მოქცევა არ შეიძლებაო.

— ურჩ მშობლებს არ ეუბნებით ხოლმე, რომ შვილებს მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ?

— პატარა გოგონა გავზარდეთ, ნელი მ-ოვა. შემდეგ ბავშვთა სოფელში გადავიყვანეთ. 6 წელია, დედას არ უნახავს. ერთხელ მოვიდა და მაშინაც, ისეთი მთვრალი იყო, რომ ფეხზე ძლივს იდგა. მაია სშვილი გვყავდა, მეტყველი ბავშვი იყო, მაგრამ ყრუ დედა ჰყავდა. ისეთი მთვრალი აკითხავდა ბავშვს, რომ რამდენჯერმე კიბიდან დაგორდა... ასეთ მთვრალს, ბუნებრივია, ბავშვს არ ვატანდით, ამიტომ უშვერი სიტყვებით გვაგინებდა ხოლმე, მერე ფანჯრებს ქვებით გვილეწავდა. ასეთ მშობლებს რა უნდა გააგებინო?.. მაინც ვეფერებით, ვცდილობთ, დავამშვიდოთ.

— ბავშვები სადმე გასართობად მიჰყავთ ხოლმე?

— შეძლებისდაგვარად, ვცდილობთ, საცირკო წარმოდგენას ან რაღაც ღონისძიებას დავასწროთ. ამ პერიოდში, როცა ქვეყანაში დიდი არეულობა იყო, საახალწლო ნაძვის ხის ზეიმიდან მომავალი ბავშვები, ჩვენი მიკროავტობუსიანად მოიტაცეს.

— ეს როგორ?

— ზეიმზე წასულ ბავშვებს შეაგვიანდათ. ძალზე შევშფოთდით. ასე, ღამის 10 საათი იქნებოდა, როდესაც ბაგა-ბაღის ჭიშკართან ჩვენი მიკროავტობუსი გაჩერდა და ბავშვები და პედაგოგი გადმოვიდნენ. თურმე, რომელიღაც სამხედრო ფორმირების წევრებს მოუტაციათ, მთელი დღის განმავლობაში თავიანთ საქმეებზე უტარებიათ, შემდეგ ბავშვები მოიყვანეს, მძღოლი კი ისევ წაიყვანეს და 4 დღის განმავლობაში გადაკარგული იყო. როცა დაბრუნდა, მანქანა იმდენად მომსპარი იყო, რომ აღარაფრად ვარგოდა...

— ბავშვები სამედიცინო შემოწმებას რეგულარულად გადიან?

— რა თქმა უნდა, სულ ექიმის კონტროლის ქვეშ არიან. იმდენად მიეჩვევნენ თეთრხალათიანებს, რომ სულაც არ ეშინიათ მათი. ერთი, ყველაზე მოცუცქნული ბავშვი ხომ შენიშნეთ?.. ეს ბიჭუნა შარშან მოგვიყვანეს. დამხრჩვალი კატის კნუტს ჰგავდა. ისეთი უმწეო იყო, რომ ექიმი მეევდრებოდა — არ დაიტოვოთ, ამ ზამთარს ვერ გადაიტანსო. ბიჭუნა რაიონიდან ჩამოიყვანეს, აბსოლუტურად ყრუა. 3 წლის იყო და არც ჭამა იცოდა, არც ჯდომა: ისეთი მისუსტებული იყო, რომ სკამზე სწორად ვერ ჯდებოდა, თუ რაიმეს არ მიეყრდნობოდა... რა თქმა უნდა, საკუთარი ხელით ჭამაც ვასწავლეთ, ტუალეტში სიარულიც და ფეხზეც დავაყენეთ. მშობელს კი, ჯერ არც ერთხელ არ მოუკითხავს...



ყველასათვის კარგად ნაცნობი ლადო ბურდული თურმე, ნამდვილი მეამბოხე და „იდეინი" ეგოისტი ყოფილა, რადგან მიაჩნია, რომ თუ ეგოისტი არ ხარ, ფიზიკურად ვერ გადარჩები...

26 ივლისს ლადო 40 წლის ხდება და ამ თარიღის აღსანიშნავად, შაბათს ბოლო „ტუსოვკას" აწყობს, შემოდგომიდან კი კვლავ ჩვეულ რიტმში განაგრძობს ცხოვრებას.

სოფო ყარალაშვილი

— როგორც ვიცი, ძალიან ხშირად აწყობ „ტუსოვკებს", რა ხდება ამ „ტუსოვკებზე" და ვისთვისაა გათვალისწინებული?

— „ტუსოვკებს" ძირითადად, იმ ახალგაზრდებისთვის ვაწყობ, ვისაც სცენა არა აქვთ და საკუთარ თავის რეალიზებას ვერ ახდენენ. ეს ჩვეულებრივი „ტუსოვკებია", ოთახის შუაში აპარატურა იდგმება და მუსიკოსები უკრავენ, აქ ყველა მოდის, ვისაც აინტერესებს.

— საიდან დაგებადა ამ „ტუსოვკების" მოწყობის იდეა?

— პატარა რომ ვიყავი, მეგობრები ვაწყობდით ასეთ „ტუსოვკებს", რადგან რევოლუციური იდეები გვაწუხებდა. ბერლინში ყოფნისას ვნახე საინტერესო პროექტი — მიტოვებულ ფაბრიკას ახალგაზრდები არემონტებდნენ და შემდეგ იქ იკრიბებოდნენ. ჰოდა, სწორედ მაშინ მივხვდი, რა სჭირდებოდა ქართველ ახალგაზრდობას: მათ არ ჰქონდათ ისეთი ადგილი, სადაც შეიკრიბებოდნენ და ენერგიისაგან დაცლის საშუალება ექნებოდათ. პირველად ასეთი შეკრება 1991-92 წლებში, აბრეშუმის ფაბრიკაში მოვაწყვე. ეს ის პერიოდი იყო, როცა ყველას ცხოვრების შიში ჰქონდა, იზოლაციის შიში და იზოლაციაში ახალგაზრდები ვერ იგებდნენ, ნორმალურები იყნენ თუ არა. პირდაღებული დავრჩი! „თუ ბერლინში „სვეტსკი" ხალხი დადიოდა „ტუსოვკებზე", აქ გალახული, ნაცემი, შეშინებული და დათრგუნვილი ახალგაზრდები მოვიდნენ. თავისნაირები რომ ნახეს და მათი შეხედულებებიც ერთმანეთს დაემთხვა, კომპლექსებისგან გათავისუფლდნენ. თანდათან პოპულარული გახდა ეს „ტუსოვკები". ზამთარში ყოველ შაბათს ვაწყობდი საღამოებს... მერე არასასურველი პროცესები დაიწყო — კრიმინალის თარეში და იარაღის ჟღარუნი. ეს ყველაფერი 3 წელი გაგრძელდა, თანაც — მეც მომბეზრდა იქაურობა და „ტუსოვკების" მოწყობა ჩემს სახლში განვაგრძე. აქ უკვე დისიდენტური წრე იყო. ბავშვები ძალიან მონდომებით მუშაობდნენ, მეც მაქსიმალურად ვუწყობდი ხელს, რომ კარგი ატმოსფერო შემექმნა.

— ბევრი ხალხი მოდის ხოლმე?

— ჩემს ბინაში 100 კაცი ეტევა. შარშან ყველაზე მეტი ხალხი იყო, სადარბაზოში კიბეზეც კი ისხდა. „ტუსოვკის" შემდეგ, მუსიკა ირთვება, ახალგაზრდები ერთმანეთს ეცნობიან, საუბრობენ, ჟურნალისტები ინტერვიუს იწერენ, მეგობრები სამზარეულოში ვსხდებით და ამ ყველაფრის ანალიზს ვაკეთებთ. ვბჭობთ, თუ შემდეგ „ტუსოვკაზე" რა გავაკეთოთ... „დიჯეის" მენტალიტეტი საქართველოში მე შემოვიტანე და დავნერგე. პირველი დიჯეი-

„ტუსოვკა" უფრო საინტერესოა, როცა არ იცი, შენს სტუმარს „ტრუსიკი" აცვია თუ არა

ზაფხულში წყნეთში ვაკეთებ ხოლმე, ღია ცის ქვეშ. იქ მოდების ჩვენებებიც ეწყობა

ჩემს ბინაში 100 კაცი ეტევა. მარმან ყველაზე მეტი ხალხი იყო, სადარბაზოში კიბეზეც კი ისხდა...

ჟორჟიკა ჩემს სახლში იყო...

— ამ ყველაფერზე მეზობლებს როგორი რეაქცია აქვთ?

— შენ წარმოიდგინე, ისე შეეჩვივნენ, შაბათი-კვირა რომ „იმაზება", ნერვიულობენ — რამე უბედურება ხომ არ მოხდაო? მათ ესმით, რომ „წამლის" მოხარშვას სჯობს, მუსიკა დაუკრა, თანაც „ტუსოვკა" 12 ან პირველ საათამდე გრძელდება, რომ ხალხი არ შეწუხდეს.

— ამბობენ, შენს „ტუსოვკებზე" მხოლოდ ქვედა საცვლის გარეშე შეიძლება მოსვლა...

— *(იცინის)* რამდენჯერმე ეს კარზე მივაწერე. ძირითადად, გოგონებზე ვრცელდებოდა. ეს საზოგადოების გასახალისებლად გავაკეთე. შეიძლება, ერთიორი კაცი შევამოწმე, მაგრამ ყველას ნამდვილად ვერ შევამოწმებდი... „ტუსოვკა" უფრო საინტერესოა, როცა არ იცი, შენს სტუმარს „ტრუსიკი" აცვია თუ არა. შეიძლება ბევრმა დაიჯერა და მართლაც, „ტრუსიკის" გარეშე მოვიდა, მაგრამ ჩემგან ეს მხოლოდ ხუმრობა იყო. რამდენჯერმე კარზე ისიც მივაწერე, რომ სინდი კროუფორდი და არნოლდ შვარცენეგერი მოვიდნენ, მაგრამ რატომღაც მაინცდამაინც საცვლებზე დაიჯერეს. იმასაც ამბობენ — ლადო პრეზერვატივების „ტუსოვკებს" აწყობსო, ამასთან შედარებით, საცვლები „ლაითია". მე ხუმრობა ძალიან მიყვარს, ქართველები კი ყველაფერს პირდაპირ იგებენ. მიკვირს, ჩემი ხუმრობა რატომ არ ესმით. ჩვენთან საცვლების გარეშე კი არა — სიის მიხედვით შემოდიან. ამ ამბავში ძალიან მკაცრი ვარ. რამდენჯერმე ჩემი მეგობრებიც გამიბრუნებია უკან, მხოლოდ იმიტომ, რომ სიაში არ იყვნენ. „ტუსოვკაზე" ერთი ნეგატიური პიროვნებაც რომ შემოვიდეს, მერე 100 კაცი ვერ იმხიარულებს.

— ასეთ „ტუსოვკებზე", ალბათ, ხშირად ხდება უსიამოვნო ინციდენტი.

— შემიძლია გულზე ხელი დავიდო და ისე გითხრა, რომ ჩემს სახლში ასეთი რამ არ მომხდარა. ინციდენტი ერთადერთხელ მოხდა. ერთი საათით გავედი, უკან რომ მოვბრუნდი, მითხრეს, ხუთი წუთის განმავლობაში ბიჭები ჩხუბობდნენო...

— შენი მეგობარი გოგონა — ჰეზერი თუ გიწყობს ხელს „ტუსოვკების" მოწყობაში?

— ჰეზერი „ტუსოვკაზე" გავიცანი. ის საერთაშორისო სკოლაში ინგლისურს ასწავლის და თუ ძალიან დაღლილი არ არის, ჩემს „ტუსოვკას" ყოველთვის ესწრება. დახმარებით კი, მარტო ჰეზერი კი არა, — ყველა ჩემი მეგობარი მეხმარება. ასე მოწყობილ „ტუსოვკებზე" მეტი სითბო იგრძნობა.

— ზაფხულშიც გამართავ?

— ზაფხულში წყნეთში ვაკეთებ ხოლმე, ღია ცის ქვეშ. იქ მოდების ჩვენებებიც ეწყობა. ამის შესახებ რამდენჯერმე, რადიოს საშუალებით გამომიცხადებია ფანებისთვის.

— სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?

— თოვლის ბაბუის „პონტში" ვეღარ „ვეძრობი". ძალიან ბევრი ენერგია მიდის, თანაც, ამ სახლში ჩემს შვილთან ერთად ვცხოვრობ. როცა „ტუსოვკას" ვაწყობ, თუ პროგრამა არ მოეწონა, ყოველთვის მიდის დედამისთან ან დედაჩემთან. მინდა, კლუბი გავხსნა. ამას ფული სჭირდება, ფული კი იმას აქვს, ვინც ძალიან გოიმია. დასავლეთში ყველაზე „გახურებული" კლუბები ოჯახურ სტილშია გაკეთებული. აქ ჰგონიათ, რაც უფრო ოფიციალურად გააკეთებენ და დისტანცია იქნება დაცული, მით უფრო კარგია, არადა, შინაურული ატმოსფერო უფრო მიმზიდველია. ამ, თანამედროვე შემოქმედებას ქართველები რატომღაც, გარყვნილებას უკავშირებენ. ბევრი მოსულა „ტუსოვკაზე" „ოსტრი აშუშენიების" იმედით, ბოლოს გაკვირვებული დარჩენილა, სულ ეს იყოო?! არ ვიცი, რას ელოდნენ — ალბათ „უტრუსიკო გოგონებს"...

■

ჰეზერი „ტუსოვკაზე" გავიცანი. ის საერთაშორისო სკოლაში ინგლისურს ასწავლის

ლადო ბურდული ქალიშვილთან ერთად

ᲛᲐᲠᲘ ᲧᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ᲩᲔᲛᲘ ᲣᲒᲣᲜᲣᲠᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ

„...როცა უვარგისი ქმარი გყავს და მაინც არ ეყრები“

ისევე, როგორც სიყვარულსა და სიძულვილს შორის, გონიერებასა და უგუნურებას შორის ერთი ნაბიჯი ყოფილა. ამის თქმის საფუძველს მკითხველთა მესიჯები მაძლევს. თუმცა, ისიც ცნობილია, რომ შეუძლებელია, ერთდროულად იყო შეყვარებულიც და გონიერიც, მაგრამ თუ მთლად გაუაზრებლად და იმპულსურად იმოქმედებ, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდება. ცხოვრება კი ხშირად იმ ზღაპრის სიუჟეტს ჰგავს, რომელშიც გზების გასაყართან წარწერიანი ქვა გხვდება: მარჯვნივ წახვალ — გადარჩები, მარცხნივ წახვალ — ან გადარჩები, ან — არა, პირდაპირ წახვალ — დაიღუპები... ასეთ შემთხვევაში, გონიერმა ადამიანმა მარჯვნივ წასასვლელი გზა უნდა აირჩიოს, მაგრამ უფრო ხშირად, მაინც პირდაპირ სიარულს ვამჯობინებთ... უგუნურებაა ეს თუ კარგად გააზრებული სარისკო ნაბიჯი — მკითხველმა განსაჯოს, როდესაც პირველი რესპონდენტის მესიჯს წაიკითხავს.

„არ მინდოდა, მისი დალაგებული ცხოვრება არეულიყო...“

„35 წლის ქალი ვარ და ცხოვრებაში იმდენჯერ გადავდგი უგუნური ნაბიჯი, რომ ვერავინ მოთვლის. ჯერ იყო და 17 წლის გავთხოვდი, 14 წლით უფროს კაცზე. ისე მიყვარდა, მასზე კარგი და ძლიერი ქვეყნად არავინ მეგულებოდა. აღმოჩნდა, რომ სულ სხვადასხვანაირები ვიყავით და გავიყარეთ. დავბრუნდი საკუთარ ოჯახში, სადაც მხოლოდ დედა მეგულებოდა. ძალზე გაგვიჭირდა ცხოვრება. ჩემს ძმას ოჯახი აქვს, ცოლშვილს ძლივს არჩენს და ჩვენ ვერაფრით გვეხმარებოდა. თანაც, ის სასტიკად წინააღმდეგი იყო, რომ ქმარს გავყროდი: 22 წლის გოგო ქმარს რომ გაშორდება, ის ოჯახში აღარ უნდა შემოუშვაო, — ამბობდა. რომ ვერაფერი გააწყო, დამთანხმდა და გამაფრთხილა: შენს ცხოვრებაში მამაკაცი რომ გამოჩნდეს და საყვარელი გაიჩინო, ჩემი ხელით გამოგჭრი ყელს; ნება იბოძე, დღე და ღამე იმუშავე და შვილი ისე გაზარდეო... ცოტა ხნის შემდეგ, თვითონვე მიშოვა სამსახური. მის მეგობარს მაღაზია ჰქონდა გახსნილი და მასთან გამყიდველად დავიწყე მუშაობა. თან ჩემი თავი ზაზას (მაღაზიის მეპატრონეს) ჩააბარა და უთხრა: თუ რაიმე ზედმეტი შენიშნე, იმ წუთში შემატყობინე და მერე მე ვიცი. საკმაოდ კარგი გარეგნობა მაქვს. უბნის ბიჭებმა ახალი ლამაზი გამყიდველი რომ მნახეს, თავს აღარ მანებებდნენ და მოსვენებას არ მაძლევდნენ. მაღაზიის წინ „აბირჟავებდნენ“ ხოლმე და ბუნებრივია, ზაზა მიხვდა, ამის მიზეზი მე რომ ვიყავი. მას კიდევ რამდენიმე უბანში ჰქონდა მაღაზიები, ამიტომ მთელი დღე აქეთ-იქით დარბოდა, ჩვენთან კი გვიან ღამით მოდიოდა ხოლმე, რადგან სადღეღამისო გრაფიკი გვქონდა. შემდეგ შევნიშნე, როდესაც ღამით მუშაობა მიწევდა, თვითონაც გვიანობამდე რჩებოდა. განსაკუთრებულად მექცეოდა და ვფიქრობდი, ასე ჩემი ძმის გამო იქცევა-მეთქი. თუმცა, გული მწყდებოდა, რადგან ზაზა ძალზე ლამაზი და წარმოსადეგი მამაკაცი იყო და ჩუმ-ჩუმად, გულში მასზე ვოცნებობდი, სულ მალე კი უკვე თავდავიწყებით შემიყვარდა. როგორც ჩანს, მიხვდა, ჩემს გულისნადებს და ერთ დღეს, მობილურზე ასეთი მესიჯი გამომიგზავნა: „მეც მიყვარხარ“. თავი შორს დავიჭირე, მაგრამ თავს ბედნიერად ვგრძნობდი... ბევრი რომ არ გავაგრძელო, სულ მალე, ჩვენ შორის საკმაოდ მხურვალე რომანი გაიბა. რაღა თქმა უნდა, ჩემს ძმას საგულდაგულოდ ვუმალავდით ჩვენს ურთიერთობას. ზაზას ოჯახი არ ჰყავს, უნდოდა, რომ დაქორწინებულიყავით, მაგრამ ოჯახში რომ თქვა, შვილიანი ქალი უნდა შევირთოო, ისეთი ამბავი დააწიეს, მტერს არ ვუსურვებ!.. შემდეგ გადაწყვიტა — საერთოდ წამოვალ შინიდან, ყველას დავკარგავ, ოღონდ შენ იყავი ჩემ გვერდითო. უარი ვუთხარი. არ მინდოდა, მისი დალაგებული ცხოვრება არეულიყო... სულ მალე მივხვდი, რომ ფეხმძიმედ ვიყავი და ზაზასაც შევატყობინე, რადგან ექიმთან მისასვლელი ფული არ მქონდა. ის კი გაჯიუტდა: შვილი გამიჩინე, ამაზე დიდი ოცნება არ მაქვსო!.. ერთი სიტყვით, ორ ცეცხლს შუა ვიწვოდი. მეც მინდოდა მისგან შვილი, მაგრამ მუცელი რომ გამეზრდებოდა, ჩემი ძმისთვის რა მეთქვა?.. ზაზამ კი ასეთი რამ მოიფიქრა: ვიდრე მუცელი დამეტყობოდა, ვთქვი — საზღვარგარეთ მივდივარ-მეთქი. სინამდვილეში ზაზამ ბინა დაიქირავა და მთელი 5 თვე შინიდან არ გამოვსულვარ. დაქირავებულმა ექიმმა შინ მამშობიარა და მშვენიერი ელენე შემეძინა. ოჯახში ვერაფერს ხვდებოდნენ, რადგან ხშირად ვრეკავდი, ზაზა კი თვეში ერთხელ 300-400 დოლარს უგზავნიდა დედაჩემს სხვადასხვა ადამიანის ხელით. აბსოლუტურად არავინ იცოდა ჩემი ადგილსამყოფელი, უახლოესმა მეგობარმაც კი... ახლა ბავშვი უკვე სამი თვისაა. უფროსი გოგონა კი უზომოდ მენატრება. უკვე აღარ ვიცი, რა ვქნა. ზაზა მთავაზობს — ბავშვს შინ წავიყვან და დედაჩემი გაზრ-

დის, შენ კი, ის დროა, საზღვარგარეთიდან „დაბრუნდეო“... არ მემეტება ჩემი ელენიკო სხვაგან გასაგზავნად, თუმცა ზაზა მპირდება – მაღაზიაში დაგაბრუნებ სამუშაოდ და ბავშვს ყოველდღე გაჩვენებო... აი, ასეთი უგუნური ნაბიჯი გადავდგი. ვფიქრობ, ერთადერთი სწორი და გონიერი გადაწყვეტილება ის იქნება, რომ დავქორწინდეთ. მისი მშობლები და და კი შეეგუებიან, აბა, რა იქნება?.. ბევრს ვყოყმანობდი, მაგრამ ახლა, როდესაც მესიჯს გწერდით და ყველაფერი თავიდან ბოლომდე გავიხსენე და გავაანალიზე, გადავწყვიტე, სწორედაც რომ ასე უნდა მოვიქცე. 2 საათში ჩემი ზაზა მოვა და აუცილებლად შევატყობინებ ჩემს გადაწყვეტილებას. ვფიქრობ, გაუხარდება, პატივისცემით, მაგდა“.

ყველა ქალი თავისებურად ლამაზია, თუმცა, მჯობნის მჯობს რა დალევს?! უგუნებობის გამო, სამსახურში გაუპრანჭავად თუ წახვედით, შესაძლოა, მაშვალიც დააფრთხოთ და მთხოვნელიც... მოვუსმინოთ შემდეგ რესპონდენტს, რომელიც სამწუხაროდ, სახელს არ გვიმხელს, მაგრამ საინტერესო ამბავს გვიყვება.

„შენ ეკა დამაჯახე, მე მეგობარს გაგირიგებ...“

„თქვენი ჟურნალის მუდმივი მკითხველი გახლავართ. „გზავნილები“ ჩემი საყვარელი საკითხავია, თუმცა მესიჯი არასოდეს გამომიგზავნია. ახლა კი მინდა, ერთი საინტერესო ამბავი მოგიყვეთ. ისე უცებ შემომადნა წლები, რომ თვალის დახამხამებაში გავხდი 30 წლის. თაყვანისმცემლები არასოდეს მაკლდა, მაგრამ გაუთხოვარი დავრჩი. ბოლო პერიოდში, ჩემი ოჯახის წევრები თუ მეგობრები ძალზე გააქტიურდნენ და ხან ვის მირიგებდნენ, ხან – ვის. ბავშვობის მეგობარი გოგო იყო მოწადინებული, რომ თავისი ქმრის ძმაკაცი გაერიგებინა ჩემთვის. მე თავს ვარიდებდი და უარს ვეუბნებოდი, ამიტომ ვერ მოახერხა, შევეხვედრებინეთ ერთმანეთს. ერთ დღეს, სამსახურში დათო (მეგობრის მეუღლე) მეწვია, თან ახალგაზრდა მამაკაცი ახლდა, რომელსაც ზურა ერქვა. მაშინვე მივხვდი, რომ მათი მოსვლის მიზეზი, ჩვენი გაცნობა იყო. ზურა სიმპათიური და დახვეწილი მანერების მქონე მამაკაცი აღმოჩნდა, მომეწონა და ძალზე ვინანე, რომ იმ დღეს, უგუნებობის გამო მოუწესრიგებელი, უმაკიაჟოდ ვიყავი სამსახურში მისული, თმაც დაუდევრად მქონდა „აკეცილი“ და უძილო ღამის გამო, თვალის უპეებიც ჩაშავებული მქონდა. მთელი საათის განმავლობაში იყვნენ ჩემთან და ვსაუბრობდით. ზურას არც მოუქცევია ჩემთვის ყურადღება, გვერდით მაგიდასთან მჯდომ ჩემს თანამშრომელ გოგონას მისჩერებოდა. მერე მეორედაც მოვიდა, ოღონდ – უკვე მარტო. მაშინაც ძალზე მოუწესრიგებელი ვიყავი და ჩემს თავზე ისე გავბრაზდი, რომ ხასიათი სულ გამიფუჭდა. კარგა ხანს ივჯდა ოთახში, ყველას გვესაუბრებოდა, გვეხუმრებოდა... მივხვდი, ეკას სანახავად მოვიდა. საღამოს კი, შინ დამირეკა და ვინაიდან ეგონა, მათი პირველად მოსვლის მიზეზი ჩემთვის ცნობილი არ იყო, თამამად მითხრა: ნინუცი, ხვალ შენ და ეკას რესტორანში გეპატიჟებით, შენ ეკა „დამაჯახე“, მე კი ჩემს მეგობარს წამოვიყვან, რომ თავი მარტოდ არ იგრძნოო... დავთანხმდი, გულში კი გავიფიქრე – შენ გიჩვენებ სეირს-მეთქი!.. მეორე დღეს, საგანგებოდ მოვემზადე, გამოვიპრანჭე; დათქმულ დროს ეკაც მოვიდა, შემდეგ ზურამ და მისმა მეგობარმა ბესომ გამოგვიარეს მანქანით და სადარბაზოდან გასვლისას, აშკარად შევნიშნე ზურას გაოცებული მზერა. თავს არ შევიქებ, თუ ვიტყვი, რომ ეკას ყველაფრით ვჯობნიდი. რესტორანში რომ მივედით, მე ბესოს გვერდით დავიკავე ადგილი, რომ პირისპირ მჯდომ ზურას ჩემი მშვენიერება უკეთ შეენიშნა... კარგად მოვილხინეთ, მეხვეწებოდნენ, იცეკვეო, მაგრამ უარს ვამბობდი. ბოლოს, „აჭარული“ ვიცეკვე (პროფესიონალი მოცეკვავე ვარ). ისე აღფრთოვანდნენ ჩემი ცეკვით, რომ ზურამ თავი ვერ შეიკავა და სუფრასთან დაბრუნებულს, მითხრა: ასეთი მშვენიერი რომ ხარ, აქამდე ვერავინ შეგნიშნაო?.. ბესომ, რაღა თქმა უნდა, წინასწარ იცოდა, რომ ჩემი კავალერი უნდა ყოფილიყო, ყურადღებიანად მექცეოდა და ძალზე მოვეწონე. იმ დღის შემდეგ, ზურაც აღარ მომეშვა, კუდში დამყვებოდა და სიყვარულს მეფიცებოდა. მე კი ბესოს გავყევი ცოლად, თუმცა ზურა გაცილებით მდიდარი, კარგი გარეგნობისა და კარგი ოჯახის შვილია. არ ვიცი, ჩემი მხრიდან ეს უგუნური ნაბიჯი იყო თუ არა, მაგრამ ზურას რომ შეეშალა, ამას ლაპარაკი არ უნდა. აი, ასე დამთავრდა ეს ამბავი. ნახვამდის“.

ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ „გზავნილებს“ ხშირად ეხმიანებიან პატიმრები. მათი უმეტესობა ჩადენილ დანაშაულს ინანიებს ხოლმე. ამჯერად, 24 წლის გუჯას მოვუსმინოთ.

„იარაღი რა ჯანდაბად მინდოდა?..“

„19 წლის ვიყავი, როდესაც ჯარში წავედი. ვერ შევეგუე იქაურ ყოფას და გადავწყვიტე, გავქცეულიყავი. ასეც მოვიქეცი – მორიგეობის დროს, ჩემი ავტომატიანად „მოვტყდი“. ნაწილთან ახლოს სოფელი იყო. ერთი ღამით იქ შევაფარე თავი. შემდეგ იქიდანაც წამოვედი, ავტომატი დავშალე, ჩანთაში ჩავდე და სამარშრუტო ტაქსით თბილისამდე ჩამოვედი. შემდეგ დასავლეთში, მამის ძმასთან წავედი. ტელევიზიით აცხადებდნენ ჩემი „პაბეგის“ ამბავს. ვიცოდი – მეძებდნენ, ამიტომ საგულდაგულოდ ვიმალებოდი, მაგრამ ერთ-ერთმა მეზობელმა პოლიციაში დამაბეზღა. ერთ ღამეს, ბიძაჩემის სახლს ალყა შემოარტყეს და დამიჭირეს... ახლა ციხეში ვარ და სასჯელს ვიხდი. იარაღის გატაცებისთვის რამდენიმე წელი დამიმატეს. უგუნურება არ არის? თუ მოვრბოდი, იარაღი რაღა ჯანდაბად მინდოდა?.. ვიხდი სასჯელს და როდის გაილევა ეს წლები, არ ვიცი. იმედია, მეორედ აქ აღარ მოვხვდები. თუ გინდათ, გამოაქვეყნეთ, თუ არა და – თქვენც კარგად იყავით და მეც მალე მენახოს „სვაბოდა!..“

მამაკაცს თუ ჰკითხავთ – რამდენ ხანს გაძლებ უქალოდო? – მისი პასუხის მიხედვით შეგეძლებათ დაასკვნათ, ერთგული მეუღლეა თუ არა. თუ ის გიპასუხებთ – ქალის გარეშე ერთ დღესაც ვერ გავძლებ, ვინ გამირეცხავს წინდებსა და „საროჩკებსო“? – მაშასადამე, ოჯახის ერთგულ, უღალატო კაცს ესაუბრებით; თუ დაფიქრდება და თითებზე დღეების დათვლას დაიწყებს, ესე იგი...

„...იმ კახპას თმაში ვწვდი და კარგად დავალილავე“

„უკვე 10 წელია, გათხოვილი ვარ და ქორწილის პირველსავე დღიდან, ჩემს ქმარზე ვეჭვიანობ. სულ მეჩვენება, რომ მღალატობს. თუ ოდნავ შეაგვიანდება, ისეთ სკანდალს ავტეხ ხოლმე, რომ ჩემს მოსაბრუნებლად „სასწრაფოს“ გამოძახება ხდება საჭირო. რამდენჯერმე მართლაც, მქონდა ეჭვიანობის საფუძველი. ერთხელ აიჩემა – თავს ცუდად ვგრძნობ და ბორჯომის წყალი მიშველის, დასასვენებლად უნდა წავიდეო. – აქ დალიე-მეთქი „ბორჯომი“, – დავიჟინე, მაგრამ ვერ გადავათქმევინე. ბოლოს დავთანხმდი და გა-

დავწყვიტე, ადგილზე გამომეაშკარავებინა მისი ღალატი. თვითონ რომ გაემგზავრა, სამი დღის შემდეგ, მეც ჩავედი ბორჯომში. როგორც იქნა, მივაგენი და დავუწყე თვალთვალი. ვიღაც შავთმიან ლამაზმანთან ერთად დაგოგმანებდა მთელი დღე, მერე სასტუმროშიც ერთად მივიდნენ და ჩემი ვარაუდით, ერთ ნომერში უნდა ყოფილიყვნენ... მთელი ღამე ტირილში გავატარე, დილით კი კვლავ დავუდარაჯდი და ისევ ერთად რომ გამოვიდნენ სასტუმროდან, უკნიდან მივეპარე, იმ კახპას თმაში ვწვდი და ვიდრე კარგად არ დავალილავე, ხელი არ გამიშვია... ამის მერე ჩემი ქმარი რამდენიმე თვით საერთოდ დაიკარგა. შემდეგ, უპატრონო ძაღლივით მოგვადგა კარს მე და ჩემს დედამთილს და შემოვუშვით, გავთბეთ, დავბანეთ, ტანსაცმელი გამოვუცვალეთ... არ გაგეცინოთ, მართლა ასე იყო: ისეთი ჭუჭყიანი და მოუვლელი მოგვადგა კარზე, დედამისი გაოცებული შლიდა ხელებს. გავიდა ერთი წელი. კარს ვიღაც ახალგაზრდა ქალი მოგვადგა, რომელიც გვიმტკიცებდა – მალხაზისგან ბავშვს ველოდებიო. გადაირია ჩემი დედამთილი, გადავირიე მეც და ის ქალი შინიდან გავაგდეთ. მალხაზი კი კარგა ხანს არ გამოჩენილა: გაუგია იმ თავისი ტურფას სტუმრობის შესახებ და აბა, როგორ გაბედავდა შინ მოსვლას?!. ისევ მოგვიბრუნდა გული და როდესაც დაბრუნდა, უსიტყვოდ შემოვუშვით. ამის შემდეგ, ავუკრძალე გარე-გარე სიარული, ბავშვები და ოჯახის საქმე გადავაბარე და სამსახურშიც მკაცრად ვაკონტროლებდი. სკოლაში მშობელთა კრებაზე გავუშვი: მშობელი ხარ და ნება იბოძე, შვილის ავ-კარგი მოისმინე-მეთქი. ნეტავ, სულ არ გამეშვა: ჩვენი შვილის მასწავლებელი შეიყვარა. წარმოგიდგენიათ?.. სკოლაში სიარულს რომ მოუხშირა, დავეჭვდი. შემდეგ აიჩემა – ბავშვს მათემატიკაში მომზადება სჭირდება, მასწავლებელი დავუქირავოთო, – და ასეც მოვიქეცით. მერე შევნიშნე, რომ მეცადინეობის დროს, მალხაზი სულ შინ ხვდებოდა ამ პედაგოგს. ერთხელ კი, შინ ისეთ დროს დავბრუნდი, როცა ბავშვი სათამაშოდ გაუშვიათ ეზოში, თვითონ კი ერთმანეთს ეფერებოდნენ!.. ის მასწავლებელიც გავაგდე შინიდან და დავიფიცე, თუ კიდევ ერთხელ შევნიშნავდი ღალატს, ახლა უკვე მე წავიდოდი და აღარასოდეს დავბრუნდებოდი ოჯახში... მალხაზი თითქოს გამოსწორდა. ჩვენი ურთიერთობაც შეიცვალა და ისე იქცეოდა, თითქოს ახალდაქორწინებულები ვიყავით. ერთხელ მისი მეგობარი გვეწვია სტუმრად. გვიანობამდე შეჰყვნენ ქეიფს. უცებ მიუბრუნდა ჩემს ქმარს და ეკითხება: რამდენ ხანს გაძლებ უქალოდო? ყურები ვცქვიტე. ორი კვირა მაინც იყო გასული, რაც ცალ-ცალკე, სხვადასხვა საწოლში ვიწექით. თუ ამაზე ნაკლებ დროს იტყოდა, ე.ი. სადღაც დაძვრებოდა... მან თითებზე თვლა დაიწყო. ბოლოს თქვა: ექვსი დღე შემიძლიაო. გამოვენთე მეორე ოთახიდან და ის იყო, უნდა მეჩხუბა, რომ დაამატა – ...მერე, ჭუჭყიან „სარეჩკებს“ ხომ არ ჩავიცვამო?.. ვერ გავიაზრე, რომ ქალში მე მიგულისხმა, ამიტომ ისეთი წივილ-კივილი მოვრთე – თქვენი მოწონებული!.. თავის ძმაკაციანად სადარბაზოში გავაგდე და კარი მივუჯახუნე. მერე რომ დავფიქრდი, მივხვდი, რომ ძალზე ცუდად გამომივიდა. თანაც, სულ არ იყო დამნაშავე. ახლა ორი კვირაა, დაკარგულია ჩემი მახო და თუ დაბრუნდება, ხმის ამომღებიც აღარ ვარ“.

ახლა კი, მოკლე მესიჯებს გადავხედოთ.

„ვითამაშე და წავაგე, ვიყაჩაღე და – ციხეში ვარ“...

„უგუნური ნაბიჯი გადავდგი, როდესაც ჩემი შეყვარებულის ძმას თავ-ყბა დავამტვრიე და მარიამი გავბრაზე. მარიამ, შემირიგდი, ჩემი ბრალი არ იყო, თვითონ გადამეკიდა“.

„ყველა საქმეს უგუნური ნაბიჯით ვაფუჭებდი. ჯერ კიდევ სკოლის ბანკეტზე თითქმის „დაბმული“ გოგო, ერთი სიტყვით გავაქციე. შარშან სამ გოგოს ერთად დავდევდი და სამივე გამექცა. ახლა ვინც არ მიყვარს, მასთან ერთად ვარ. ლაშა“.

„უგუნური ნაბიჯია, როცა სიყვარულს არ უმხელ გოგოს და შემდეგ ნანობ. ნინო, იქნებ, მიცნო და მიხვდე, ვინ იტანჯება შენი სიყვარულით?“

„ჩემი უგუნურება იმაში გამოიხატება, რომ გოგო, რომელიც ორი კვირის განმავლობაში ჩემს სასტუმროში ცხოვრობდა, არ გავიცანი. რატომღაც, აზრადაც არ მომსვლია. ახლა კი მთელ თბილისში ვეძებ ნინოს, იქნებ, სადმე გადავაწყდე-მეთქი. მაგრამ უშედეგოა ჩემი მოწადინება. ბექა“.

„უგუნურებაა, აბა, რა არის, როცა უვარგისი ქმარი გყავს და მაინც არ ეყრები. წლების განმავლობაში ვიტან მის უგუნურ საქციელს, მაგრამ თითქოს მოჯადოებული ვარ, მისგან ვერ მივდივარ. ერთ მშვენიერ დღესაც, გამოვფხიზლდები და... შოთიკო, გაფრთხილებ, გონს მოდი, თორემ დამკარგავ და მერე გვიან იქნება. შენი უგუნური ცოლი, ესმა“.

„გერმანიაში გავიცანი ერთი ბიჭი, თბილისელი ზაზა. ხშირად მირეკავდა და ერთმანეთს ძალზე დავუახლოვდით. ვგრძნობდი, რომ მიყვარდებოდა და ისე მოვიქეცი, რომ ვაიძულე, აღარ დაერეკა. ამით არც მე მეშველა და არც გულს. მისი დახატული სურათი ყოველდღე თავს მახსენებს და მაფიქრებს, რომ ერთმა უგუნურმა ნაბიჯმა კარგი მეგობარი დამაკარგვინა. ის ალბათ დღესაც გერმანიაშია და ვერც იმას გაიგებს, ასე რომ ვნანობ. თამო“.

„2 თვის წინ, ორჯერ გადავდგი უგუნური ნაბიჯი. ჯერ გამოცდაზე უცოდინარი მივედი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ჩემი ლექტორის იმედი მქონდა. მას ორი კვირის განმავლობაში სისხლს ვუშრობდი. როცა მიხვდა, რომ არაფერი ვიცოდი, „სხვა“ საკითხზე საუბარი შემომთავაზა(?!); ბოლოს, თბილად გამიღიმა და ხუთიანი დამიწერა. მეორედ უგუნური ნაბიჯი მაშინ გადავდგი, როდესაც ამ ლექტორმა გვერდით ჩამიარა და მე გამარჯობაც ვერ ვუთხარი. ძალიან დავიბენი, არ ვიცი, რა დამემართა, მაგრამ ამის შემდეგ სულ მასზე ვფიქრობ. მისმა თვალებმა რატომ მომცეს ამის უფლება?.. გპირდებით, თუ ამას ამიხსნით, მეორედ ასე აღარ მოვიქცევი და რაზეც გინდათ, იმაზე ვისაუბროთ. ქეთი“.

„მე და ჩემს დაქალს ერთდროულად შეგვეყარა სიყვარულის სენი. ერთ დღეს, მან მითხრა, რომ თავისი რჩეულისთვის გრძნობა გაუმხელია. მე შევიცხადე – ეს რამ ჩაგადენინა-მეთქი? – და მისი საქციელი უგუნურებად ჩავთვალე. ხომ იცით, ნათქვამია – სხვა სხვის ომში ბრძენიაო?.. გავიდა სულ რამდენიმე დღე და მეც მივახალე დათოს – მიყვარხარ-მეთქი. არადა, ვიცოდი, რომ ყველაზე დიდი უგუნურებაა, როცა გოგო ინიციატივას იჩენს და კაცს სიყვარულს უმხელს – ეს ხომ მათ აფრთხობს... ასე დავრჩით მე და ჩემი დაქალი შეყვარებულების გარეშე. ეკა“.

„20 წლისამ ვითამაშე და წავაგე, ვიყაჩაღე და ციხეში ვარ 12 წლით. უგუნური დიმა“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომავალი ნომრის თემად კი გთავაზობთ – საზაფხულო რომანი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 877-45-68-61. გვიამბეთ თქვენი საზაფხულო სასიყვარულო თავგადასავლის შესახებ. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. ■

რას ჭამს ბავშვი ზაფხულში

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

არაფერს ჭამს. ამბობს, რომ სცხელა და არ შია. მხოლოდ წყალს სვამს. ვინერვიულოთ თუ არა ამის გამო?

ზაფხულობით ყველა ადამიანი ნაკლებს ჭამს, ასე რომ, ნუ აიძულებთ ბავშვს, მიიღოს ისეთივე კალორიული საკვები და იმ რაოდენობით, როგორსაც ზამთარში აჭმევთ. სიცხეში ხომ ძლიერდება ოფლის გამოყოფა, სითხის ჭარბი დაკარგვისას კი, რეფლექსურად ქვეითდება საკვების მომნელებელი წვენების გამომუშავება, ამიტომ ბავშვს ძალიან უჭირს, ისადილოს შუადღის სიცხეში. ზოგიერთი დიეტოლოგი გვირჩევს, სადილი მეორე საუზმით შევცვალოთ – ბავშვს მსუბუქად ვაჭამოთ (ხაჭო, მაწონი, ნამცხვარი ან ხილი) და დღის 3-4 საათის შემდეგ, როცა დაისვენებს და კარგად მოშივდება, შევთავაზოთ ნორმალური სადილი.

ეცადეთ, რომ რაციონში იყოს რაც შეიძლება მეტი სეზონური ხილი, ბოსტნეული, კენკრა. ნუ ეტყვით ბავშვს უარს სიამოვნებაზეც: 1-2 ულუფა ნაყინი დღეში, მის მოზარდ ორგანიზმს უზრუნველყოფს კალციუმისა და მინერალური ნივთიერებების საჭირო რაოდენობით, რომლებსაც რძე შეიცავს.

ის, რომ ბავშვი სიცხეში ბევრ სითხეს სვამს, სავსებით ნორმალურია. მაგრამ ეცადეთ, რომ ისეთი სასმელი მიიღოს, რომელიც ზიანს არ მიაყენებს. გაზიანი ტკბილი სასმელი ამ რიგს არ მიეკუთვნება: დიდი რაოდენობით შაქარი, რომელიც ამ სასმელში შედის, უარყოფითად მოქმედებს ბავშვის კბილებსა და წონაზე, ნახშირმჟავა აირი კი არღვევს კუჭის ნორმალურ მჟავიანობას და ამან შეიძლება, გასტრიტი გამოიწვიოს. უმჯობესია, მოუხარშოთ ხილისა და კენკრის კომპოტი, გაუწუროთ ნატურალური წვენები ან მოუმზადოთ პურის ბურახი, კისელი, მურაბის ვაჟინიანი ან თაფლიანი წყალი.

გახსოვდეთ, რომ არ შეიძლება პატარა ბავშვისთვის აუდუღარი რძის, წყაროს ან ჭის წყლის მიცემა. ნაწლავური მოშლილობების რიცხვი ზაფხულში მკვეთრად მატულობს. ამიტომ, ჭამის წინ ხელების დაბანის წესს ზაფხულში უფრო მეტად უნდა მიაქციოთ ყურადღება და თვალყური ადევნოთ ბავშვებს, რომ მათაც შეასრულონ ეს აუცილებელი პროცედურა.

გარდა ამისა, უნდა გახსოვდეთ, რომ ბავშვისთვის ჩვეული კვების პროდუქტები სიცხეში ადვილად ფუჭდება. მალფუჭებადი პროდუქტები მაცივრის გარეშე – ოთახის ტემპერატურაზე (20 გრადუსზე) – ძლებს არა უმეტეს 2 საათისა. თუ სიცხეში მანქანით ქალაქგარეთ გასვლა გადაწყვიტეთ, მაშინ პროდუქტის შენახვის ვადა 1 საათამდე მცირდება, რადგან გადახურებული ავტომანქანის სალონი პროდუქტებს მიკრობების „ბაღნარად“ აქცევს.



თუ თქვენს პატარას მაინც ასტკივდა მუცელი, დაეწყო ღებინება და აეშალა კუჭი, აუცილებლად მიეცით ადსორბენტი, რომელიც კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან ტოქსინებს და ბაქტერიებს გამოიტანს (სმექტა, ენტეროლი, გააქტიურებული ნახშირი); მოუმზადეთ რეჰიდრონის ხსნარი და ასვით ყლუპ-ყლუპად, რათა არ მოხდეს ორგანიზმის გაუწყლოება; რამდენიმე დღით რაციონიდან გამორიცხეთ რძის პროდუქტები (მაწვნის გარდა), ბოსტნეული და ხილი (შეგიძლიათ, მისცეთ შემწვარი ვაშლი); ფაფებიდან უმჯობესია მოხარშული ბრინჯი. თუ ბავშვი უარს ამბობს ჭამაზე, ნუ დააძალებთ.

■

ვირუსი ნარკოტიკებთან საბრძოლველად

ამერიკელმა მეცნიერებმა შექმნეს ვირუსი, რომელიც დაგვეხმარება იმაში, რომ კოკაინზე მიჯაჭვულობა დავამარცხოთ. დიდი ხანია, შექმნილია ცილა, რომელიც აქვეითებს კოკაინის ეფექტს, მაგრამ აქამდე, პრობლემას წარმოადგენდა ამ ცილის ორგანიზმში შეყვანა. და აი, ამერიკელმა მკვლევარებმა მონახეს პრობლემის გადაჭრის გზა: მათ შექმნეს ვირუსი–ფაგი, რომელსაც შეუძლია აღნიშნული ნივთიერების პროდუცირება.

ცდები ტარდებოდა ვირთხებზე, რომელთაც სამი დღის განმავლობაში, დღეში ორჯერ ცხვირში უწვეთებდნენ ვირუსის შემცველ ხსნარს. მეოთხე დღეს, ყველა ვირთხას უკეთდებოდა კოკაინი. იმ ვირთხებზე, რომელთაც ფაგი ჰქონდათ - შეყვანილი, კოკაინი გაცილებით ნაკლებად მოქმედებდა, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის ვირთხებზე.



მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს ორგანიზმში ვირუსის წარმატებით შეღწევას და არანაკლებ წარმატებით ზემოქმედებას ადასტურებს. ვირუსის მიერ სინთეზირებულ ცილას შეუძლია კოკაინის ეფექტის სრული ბლოკირება ან მისი ქიმიური სტრუქტურის შეცვლა ისე, რომ შემცირდეს თავის ტვინზე კოკაინის დამაზიანებელი მოქმედება.

ეს ცილები მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და არა პერიფერიებზე, როგორც აქამდე არსებული პრეპარატები.

ვირუსის განმეორებითი, მრავალჯერადი შეყვანის დროსაც კი, არავითარი გვერდითი ეფექტი არ აღინიშნება. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ მათ მიერ მიღებული შედეგები კიდევ ერთი ნაბიჯით გვაახლოებს ნარკომანიის სამკურნალოდ ეფექტური და უვნებელი საშუალების შექმნის მომენტს.

■

შეუკავებლობის მსხვერპლნი

სტატისტიკური მონაცემებით, 45 წელზე უფროსი ასაკის ქალების 40%-ს შარდის შეუკავებლობა აწუხებს. ხშირ შემთხვევაში, ეს მათი ცხოვრების ნორმადაც კი იქცევა და ბევრი ქალბატონი ვერც ხვდება, რომ სინამდვილეში, ეს დაავადებაა. ამდენად, ჩუმი განცდების, დარცხვენისა და საფენების ტარების ნაცვლად, მისი მკურნალობაა საჭირო.

როდესაც ადამიანი დიდი ხნის განმავლობაში იკავებს თავს მოშარდვისგან, ბოლოს სფინქტერი თავისთავად დუნდება და შარდი გამოიყოფა. ასეთივე რამ ხდება ბანალური ანთებითი პროცესის დროს. შარდის შეუკავებლობის მექანიზმი კი, მისგან სრულიად განსხვავებულია — ამ დროს, ის მოშარდვის სურვილის გარეშე, უნებურად გამოიყოფა და ადამიანს უკვე მომხდარის კონსტატაცია უხდება.

რისკ-ჯგუფში შედიან:

ქალები

- რომლებმაც ბევრჯერ იმშობიარეს;
- მძიმე მშობიარობის შემდეგ, რომელთაც დაზიანებული აქვთ მენჯის ფუძის კუნთები;
- რომელთაც აწუხებთ სიმსუქნე;
- რომლებიც მძიმე ფიზიკურ შრომას ეწევიან;
- რომელთაც მენოპაუზა აქვთ.

მამაკაცები

- პროსტატის ოპერაციის შემდეგ;
- რომელთაც დარღვეული აქვთ შარდის ბუშტის სფინქტერის ნერვული რეგულაცია.

როცა რაიმე მიზეზით ირღვევა სფინქტერის ფუნქცია, ვითარდება შარდის შეუკავებლობა. მუცელშიდა წნევის ნებისმერი მატება (ხველის, დაცემინების, სიარულის დროს) იწვევს შარდის დაღვრას, რადგან სფინქტერი ვერ იკავებს მას.

არსებობს ფსიქოგენური შეუკავებლობაც. მაგალითად, ზოგიერთი ქალი ასე რეაგირებს ონკანის მოშვებაზე. თუმცა, ეს გაცილებით იშვიათად ხდება. ყველაზე ხშირად კი, შეუკავებლობა იმ ქალბატონებს აქვთ, რომელთაც რაიმე მიზეზით, მცირე მენჯის ორგანოთა (საშვილოსნო, საშო, შარდის ბუშტი) დაწევა ან გამოვარდნა აქვთ.

მკურნალობა და პროფილაქტიკა

შარდის შეუკავებლობის პრობლემაზე ლაპარაკი არავის უყვარს. ქალაქში მცხოვრები ქალებიც კი იშვიათად ფიქრობენ ამ პათოლოგიის მკურნალობის აუცილებლობაზე. პერიფერიებში ხომ ამ ჩივილით თითქმის არავინ მიდის ექიმთან.

მამაკაცებში, რომელთაც შარდის შეუკავებლობა ადენომის ოპერაციის შემდეგ განუვითარდათ (რამაც შარდის ბუშტის სფინქტერი დაზიანა), მკურნალობის ერთ-ერთი მეთოდი შარდის ბუშტის ხელოვნური სფინქტერის იმპლანტაციაა (გადანერგვა). იგი წარმოადგენს ელასტიკურ მანჟეტს, რომელსაც ოპერაციის დროს შარდსადენის მილზე წამოაცვამენ. მანჟეტის სამართავად სათესლე პარკში თავსდება მცირე ზომის ტუმბო, ხოლო მუცლის კუნთების ქვეშ — სითხიანი რეზერვუარი, რომელიც დაკავშირებულია მანჟეტთან. შარდის ბუშტის დასაცლელად საჭიროა ტუმბოზე ზეწოლა. ამის შემდეგ სითხე მანჟეტიდან გადაინაცვლებს რეზერვუარში, მანჟეტის წნევა მცირდება, შემდეგ კი მცირდება მისი ზეწოლის ძალა შარდსადენზე და ამ მომენტში ხდება შარდის გამოყოფა. ამის შემდეგ კი სფინქტერი ისევ იხურება. ეს მოწყობილობა საკმაოდ ძვირი ღირს (4.000 დოლარამდე), მაგრამ დღეისათვის ეს ერთადერთი საშუალებაა შარდის შეუკავებლობით შეწუხებული მამაკაცების დასახმარებლად.

ქალებს შეუკავებლობის მოსახსნელად თავიდან უნიშნავენ პრეპარატებს, რომლებიც აქვეითებს შარდის ბუშტის კუნთების ტონუსს (ანტისპაზმური და ანტიქოლინერგული ეფექტი), ურჩევენ, დაიკლონ წონაში და სამი-ოთხი თვე მაინც დაუთმონ მენჯის ფუძის კუნთების გასარეგირებს ონკანის მოშვებაზე. თუმცა, ეს გაცილებით იშვიათად ხდება. ყველაზე ხშირად კი, შეუკავებლობა იმ ქალბატონებს აქვთ, რომელთაც რაიმე მიზეზით, მცირე მენჯის ორგანოთა (საშვილოსნო, საშო, შარდის ბუშტი) დაწევა ან გამოვარდნა აქვთ.



მაგრებელ სპეციალურ ვარჯიშებს.

- უკანა გასავლის კუნთებისა და საშვილოსნოს ირგვლივი კუნთის ერთდროული რიტმული შეკუმშვა (ჩასუნთქვისას) და მოდუნება (ამოსუნთქვისას). ამ ვარჯიშის შესრულება შეიძლება ნებისმიერ ადგილას — სამსახურში, ტრანსპორტში, ტელევიზორთან. კუნთების რიტმული შეკუმშვის სიხშირე უნდა იყოს 1 წამში 1 შეკუმშვა. მოძრაობა რიტმულია, მაგრამ არა ძალისმიერი.
- წოლით მდგომარეობაში დაატრიალეთ ველოსიპედი.
- შეასრულეთ ჩაჯდომები.
- „მაკრატელი". დაწექით ზურგზე, ფეხები ასწიეთ და რიგრიგობით გადაჯვარედინეთ.
- მოშარდვის დროს ეცადეთ უეცრად შეაჩეროთ შარდვა.

თუ ვარჯიშები და წამლები შედეგს არ იძლევა, მაშინ მიმართავენ ქირურგიულ მკურნალობას. ბოლო დროს მოდაშია სპეციალური ლენტით მცირედ დაწეული შარდის ბუშტის აწევა. საშვილოსნოსა და საშოს დაწევის ან გამოვარდნის დროს კეთდება ამ ორგანოთა ფიქსაციის ოპერაცია. მათ ასწევენ და მიამაგრებენ იმ სიმაღლეზე, სადაც წესით უნდა მდებარეობდეს. ამის გაკეთება შეიძლება ენდოსკოპურადაც და ღია მეთოდითაც. ზოგჯერ (დაწევის ხარისხის მიხედვით) ორივე მეთოდი კომბინირებულად გამოიყურება. ■

თევზის ჯიში	ოთახის დგამი	მოგზაური ... და გამა	გაჭუჭყიანებული ადგილი ტანსაცმელზე	ბათუ კრავეიშვილის როლი ფილმში „დაკარგული სამოთხე"	ცნობილი ... აკაკი წერ... ლექ...
ქარიყინული	ამაგი	ვასხოლ	ქაღალ	ზარი	ასუ
მეტეოროლოგიური მოვლენა	იგივეა, რაც ყლუპი	ვინმესადმი გაწეული უანგარო შრომა	კამათი, პაექრობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება	თავის ჩონჩხი	რა კიდია სამრეკლოზე	ქალიშვილ...

კიბოს საწინააღმდეგო მცენარეები

კიბოს პრობლემა უდავოდ ძალზე მნიშვნელოვანია. მსოფლიო მედიცინის მთელი ძალისხმევა მიმართულია სიმსივნური დაავადებების მკურნალობის ქირურგიული, სხივური და ქიმიოთერაპიული მეთოდების შესამუშავებლად. ამასთან ერთად, ბევრი ქვეყნის მეცნიერი ცდილობს, გამოძებნოს კიბოს საწინააღმდეგო ახალი მცენარეული პრეპარატები.

მეცნიერება ავთვისებიანი სიმსივნეების შესახებ – ონკოლოგია XIX საუკუნეში გაჩნდა, მაგრამ ამ დაავადების შესახებ ცნობები უძველესი დროის ხელნაწერებში გვხვდება. ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ-მდე III ათასწლეულის ძველეგვიპტურ პაპირუსებში არის მონაცემები სიმსივნური წარმონაქმნების შესახებ.

ხელნაწერი წყაროების შესწავლისას დადგინდა, რომ XVI საუკუნეში კიბოს სამკურნალოდ მცენარეული წარმოშობის 56 საშუალებას იყენებდნენ. იმ პერიოდში განსაკუთრებით იყო გავრცელებული მცენარეები, რომლებიც ეთერზეთებს, მჟავებს, ალკალოიდებსა და მღებავ ნივთიერებებს შეიცავდა. ყველა უძველეს სამკურნალო წიგნში კიბოს სამკურნალოდ რეკომენდებულია ფიტონციდების შემცველი მცენარეები: პირშუშხა, ბოლოკი, ნიორი, სალბი, ჭიჭნარი, პიტნა, აბზინდა.

ამასთანავე, ზოგიერთი მცენარეული პრეპარატი სპეციფიკურად იყო მიჩნეული და კიბოს სხვადასხვა ლოკალიზაციის დროს იყენებდნენ. მაგალითად, პირის ღრუსა და ყელის დაზიანებისას, გამოსავლებად ინიშნებოდა პიტნა და მრავალძარღვა, გარეთა სასქესო ორგანოების დაზიანებისას რეკომენდებული იყო ხეჭრელის ნახარშის აბაზანები. მკერდის კიბოს დროს – ზამბახის ნახარში, შინაგანი ორგანოების დაზიანებისას – რძეში მოხარშული ნიორი.

ხალხურ მედიცინაში სიმსივნის სამკურნალოდ იყენებდნენ სამფერა იას, გვირილას, სტაფილოს.

ხალხურ გამოცდილებაზე საუბრისას აუცილებლად უნდა ვახსენოთ აღმოსავლური მედიცინაც, რომელსაც უძველესი ფესვები აქვს და საკმაოდ მდიდარია სამკურნალო საშუალებებით. აღმოსავლურ სიმსივნის საწინააღმდეგო რეცეპტებში ხშირად ფიგურირებს აღმოსავლური მედიცინის მშვენება – ჟენ-შენი.

საერთოდ, აღმოსავლური რეცეპტები მრავალკომპონენტიანობით ხასიათდება. კიბოს სამკურნალო ჩინურ რეცეპტებში მთავარი კომპონენტი იაპონური სოფორაა, მასთან ერთად კი, ნარევში შედის პიონი, ასტრაგალი, ძირტკბილა და სხვა მცენარეები.

ბოლო წლების გამოკვლევებმა უჩვენა, რომ ელეუტეროკოკი ეფექტური საშუალებაა სიმსივნური პროცესის ადრეულ სტადიაზე სამკურნალოდ. კარგ შედეგს იძლევა ქიმიოთერაპიასთან მისი შეთავსება. ელეუტეროკოკი არ აძლიერებს ქიმიოპრეპარატთა სამკურნალო ეფექტს, მაგრამ ამცირებს მათ ტოქსიკურ გავლენას ორგანიზმზე. იგი ნაჩვენებია სიმსივნიანი ავადმყოფებისათვის, რათა მათ უმტკივნეულოდ გადაიტანონ კიბოს საწინააღმდეგო საშუალებებით მკურნალობის კურსი. ■

მოსალოდნელი ინფარქტის ნიშნები

შაქრიანი დიაბეტის ფონზე ერექციის დარღვევა, გულის დაავადების შესაძლო განვითარების გამაფრთხილებელი ნიშანია, კლინიკური ნიშნების არარსებობის შემთხვევაშიც კი. იტალიელი მეცნიერები აცხადებენ, რომ ასეთი თანხვედრისას, ექიმი უნდა გაფრთხილდეს და პაციენტს სპეციალური გამოკვლევები ჩაუტაროს.



ამერიკის კარდიოლოგიურ ჟურნალში გამოქვეყნებულ თავიანთ ნაშრომში იტალიის ქალაქ პავიას საავადმყოფოს ექიმები აღნიშნავენ, რომ ერექციის დარღვევის ფაქტი შეიძლება დაგვეხმაროს იმ პაციენტთა შერჩევაში, რომელთაც ესაჭიროებათ გამოკვლევები უსიმპტომოდ მიმდინარე გულის იშემიური დაავადების გამოსავლენად.

გამოკვლეული იქნა დიაბეტით დაავადებული 260 მამაკაცი, რომელთაგანაც 133-ს დაუდგინდა უსიმპტომოდ მიმდინარე, გულის იშემიური დაავადება, ხოლო 127-ს დამატებითი გამოკვლევისას ეს დაავადება არ დაუდგინდა. აღმოჩნდა, რომ პირველ საკვლევ ჯგუფში ერექციის დარღვევა შემთხვევათა 33,8 %-ში აღინიშნებოდა, მაშინ, როცა მეორე ჯგუფში ეს მაჩვენებელი 4,7%-ს შეადგენდა.

კვლევის ავტორი, კარმინ გაზარუზო აღნიშნავს, რომ ყველა ექიმმა უნდა გამოჰკითხოს დიაბეტით დაავადებული პაციენტი ერექციის დარღვევის საკითხზე. მათ, ვისაც სქესობრივ სფეროში დარღვევები აქვთ, მკურნალობის დანიშვნამდე უნდა ჩაუტარდეთ დატვირთვის ტესტი, რათა არ გამოგვეპაროს გულის იშემიური დაავადება. ■

...ერა ...ის	ხარების ბრძოლა ესპანეთში	სიო	ეგვიპტელთა ღმერთი	ფრინველების ერიამული, ანუ ...-ხივილი	შიშველი სხეული მხატვრობაში	„... ცქერით როდი გაცვდება, დარდი ნუ გაქვს აუგი არ დამცდება“	ცურვის სტილი
ბოკორი	...ნი	...ი	...ი	...ი	...ი	...ი	...ი
...აუშლელი ყვავილი	სახელმწიფო ევროპაში	გზის მოსახვევში შიგნითკენ დახრილი ნაწილი	ლიტვის დედაქალაქი	შინაური პირუტყვი პერუში	ველური ცხენი სავანაში	გამის ნოტი	



განვაგრძობთ „გზის“ წინა ნომერში დაწყებულ საუბარს მოწყალებასთან დაკავშირებით. რომელია სულიერი მოწყალების საქმეები? რამდენად აუცილებელია, მოწყალების საქმეები აღვასრულოთ დაფარულად? როგორია იმ ადამიანთა მისაგებელი, რომლებიც არ აღასრულებენ მოწყალების საქმეებს? შეიძლება თუ არა, უარი ვთქვათ მოწყალებაზე? — ამ კითხვებს რელიგიურ ლიტერატურაში მოცემული ნორმებისა და მაგალითების მეშვეობით გავცემთ პასუხს.

შეიძლება თუ არა, უარი ვთქვათ მოწყალების მიღებაზე?

შორენა მერკვილაძე

რომელია სულიერი მოწყალების საქმეები?

როგორც ხორციელი, ასევე სულიერი მოწყალების საქმეები სულ შვიდია: ცოდვილის ცოდვისგან ჩამოშორება; უსწავლელისა და უბირის დამოძღვრა; კეთილი რჩევის მიცემა მათთვის, ვისაც ეს სჭირდება; ლოცვა ღმერთის წინაშე ჩვენი მოყვასისთვის; დამწუხრებულის ნუგეშისცემა; წყენის მოთმინებით გადატანა და ცოდვათა შენდობა-მიტევება მათთვის, ვინც გვაწყენინა.

ცოდვილ ადამიანებზე ზრუნვა და ჭეშმარიტებისკენ მათი შემობრუნება, ქრისტიანს უდიდეს სიკეთედ ეთვლება. „მოციქულთა საქმეში“ ვკითხულობთ: „ძმანო, უკუეთუ ვინმე თქვენს შორის შესცდეს ჭეშმარიტებისაგან და თუ ვინმემ მოაქციოს იგი, უწყოდენ, რამეთუ რომელმან მოაქციოს ცოდვილი გზისაგან საცდურისა მისისა, იხსნეს სული თვისი სიკვდილისაგან და დაიფაროს სიმრავლე ცოდვათაი“ (იაკობი 5, 19-20).

უპირველესად უნდა ვეცადოთ, რომ ჭეშმარიტებისკენ შემოვაბრუნოთ მწვალებლები და არამართლმადიდებლური რელიგიის მიმდევრები, რომლებიც სულიწმიდის გმობის უმძიმესი ცოდვით სცოდავენ, და მოუნანიებლობის შემთხვევაში, მათი ცხონება გამორიცხულია. აქვე უნდა ითქვას, რომ უპირველესად თავად უნდა განვიწმინდოთ ცოდვებისგან, რათა ჩვენი ქრისტიანული ცხოვრება იქცეს მისაბაძ მაგალითად ცოდვილთათვის და თვითონაც გაუჩნდეთ სურვილი, იცხოვრონ ისე, როგორც ამას ჩვენგან მოითხოვს მართლმადიდებლური სარწმუნოება.

სულიერი მოწყალების მეორე საქმეს — უსწავლელთა და უბირთა დამოძღვრას ის ადამიანები აღასრულებენ, ვინც კარგად იცნობს ქრისტიანულ სჯულს. უსწავლელთა და უბირთა დასამოძღვრად ადამიანს უნდა ჰქონდეს საამისო უნარი და გამოცდილებაც. ლუკას „სახარებაში“ წერია: „განა შეუძლია ბრმას ბრმის წინამძღოლობა? განა ორივე ორმოში არ ჩაცვივდება“ (ლუკა, 6, 39). იგივე შეგონება გვხვდება მათეს „სახარებაშიც“: „თუ ბრმას ბრმა მიჰყავს, ორივენი ორმოში ჩაცვივდებიან“ (მათე, 15, 14).

სულიერი მოწყალების მესამე საქმეს — კეთილი რჩევის მიცემას იმისთვის, ვისაც ეს სჭირდება — იმ შემთხვევაში აღვასრულებთ, თუ უკეთურებაში მყოფთ ქრისტიანული წესით ცხოვრებისკენ მოვუწოდებთ.

მოწყალების ამ საქმეს აღვასრულებთ მაშინაც, როდესაც ვხედავთ გამოუვალ მდგომარეობაში ან განსაცდელში ჩავარდნილ მოყვასს, რომელიც ვერ ხედავს გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან და სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი, ჩვენ კი შეგვიძლია დავეხმაროთ მას და დავანახვოთ გამოსავალი.

რაც შეეხება სულიერი მოწყალების მეოთხე საქმეს — ლოცვას ღმერთის წინაშე ჩვენი მოყვასისთვის — უპირველესად, ეკლესიის სულიერი მამები და ხუცესები უნდა აღასრულებდნენ — ლოცულობდნენ მრევლისთვის, საზოგადო თუ კერძო ლოცვების დროს. ერთურთის გამო ლოცვა ევალებათ ერისკაცებსაც (ყველა მართლმორწმუნე ქრისტიანს), რადგან ერთმანეთისთვის ლოცვას — ლოცვით შეწევნას უდიდესი ძალა აქვს: „ილოცეთ ერთურთის გამო, რათა განიკურნოთ, ვინაიდან ბევრი რამ ძალუძს მართლის გულმოდგინე ლოცვას“ — გვიქადაგებს წმინდა მოციქული იაკობი. როგორ მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს ადამიანი: სინდისის ქენჯნის, სხეულებრივი უძლურების, ცხოვრებაში მომხდარი უბედური შემთხვევის გამო სასოწარკვეთილებაში მყოფი თუ ნებისმიერ განსაცდელში ან ცოდვაში ჩავარდნილი, მისთვის ლოცვა სასიკეთო და სასარგებლოა.

მეხუთე საქმე სულიერი მოწყალებისა ადამიანმა მაშინ უნდა აღასრულოს, როდესაც ხედავს, რომ მისი მოყვასი უმძიმესი ცოდვებითაა დამძიმებული და ამის გამო სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი; ასევე თუკი ვხედავთ, რომ ადამიანი მძიმედ დასნეულებული ან დიდი მწუხარებითაა შეპყრობილი. ასეთ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს აუცილებლად უნდა შევეწიოთ ნუგეშისცემით და ყველანაირად ვეცადოთ ამ მდგომარეობიდან მათ გამოყვანას. სულიერი მოწყალების მეექვსე საქმეა — წყენის მოთმინებით გადატანა. ამ საქმეს მაშინ აღვასრულებთ, როდესაც უფლის გამო დავითმენთ რაიმეს — მოყვასისგან მოყენებულ შეურაცხყოფას, დაჩაგვრას, აუგად მოხსენიებას და სხვა. უფალმა იესო ქრისტემ ჩვენი ხნისთვის მრავალი შეურაცხყოფა უსიტყვოდ და უდრტვინველად დაითმინა: „ქრისტემანცა ივნო ჩვენთვის“ — ამბობს პეტრე მოციქული. ჩვენც უნდა დავითმინოთ სხვათაგან მოყენებული წყენა და ვევედროთ უფალს, რომ შეუნდოს ჩვენს შეურაცხმყოფელთ თუ სხვა უკეთურებათა მოქმედთ.

სულიერი მოწყალების მეშვიდე საქმე გვავალდებულებს, რომ შევუნდოთ ადამიანებს ჩვენ წინაშე ჩადენილი შეცდომები — მოყენებული შეურაცხყოფა, მოტყუება, აუგად ხსენება თუ სხვა ცოდვა. ასეთი რამ უნდა გავაკეთოთ იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება, როგორც ეს მათეს „სახარებაში“ წერია: „არა გეტყვი შენ ვიდრე შვიდ გზისამდეა, არამედ ვიდრე სამოცდაათშვიდ გზის“ (მათე 18, 22), რამეთუ სწორედ ამ სიტყვებით დამოძღვრა მაცხოვარმა პეტრე მოციქული, როდესაც მან ჰკითხა: „უფალო! რამდენჯერ უნდა მივუტევო ჩემს ძმას, ჩემს მიმართ რომ შესცოდოს? შვიდჯერამდე?“ (მათე 18, 21)

აუცილებელია თუ არა მოწყალების საქმეები ვაკეთოთ დაფარულად?

„რაჟამს იქმოდე ქველის საქმესა, ნუ ჰქადაგებ წინაშე შენსა, ვითარმედ იგი ორგულთა ყვიან შესაკრებელთა მათთა და უბანთა ზედა, რაითა განდიდნენ კაცთაგან“ — წერია მათეს „სახარების“ მეექვსე თავში, რომელსაც ეწოდება „სწავლება მოწყალებისათვის“. ამასთანავე მაცხოვარი ბრძანებს: „როცა მოწყალებას იქმ, დაე შენმა მარცხენამ არ იცოდეს, რას იქმს შენი მარჯვენა, რათა შენი მოწყალება იყოს ფარულად; და შენი მამა, რომელიც ხედავს დაფარულს მოგიზღავს შენ“ (მათე 6, 3-4). ქრისტეს ამ შეგონებათა თანახმად, უმჯობესია, მოწყ-

ალების საქმეები არ გავახმაუროთ და არ გავიღოთ იმისათვის, რომ კაცთაგან შექება და მოწონება დავიმსახუროთ, სანაცვლოდ კი, ჩვენი ზეციური მამისგან მივიღებთ წყალობას.

როგორია იმ ადამიანთა მისაგებელი, რომლებიც მოწყალების საქმეებს არ აღასრულებენ, ანუ არ შეეწევიან მოყვასს ისე, როგორც შეუძლიათ?

„სახარების“ თანახმად, უმძიმესია იმ ადამიანთა ხვედრი, რომლებსაც გულთან არ მიაქვთ სხვათა გასაჭირი და არ ეხმარებიან გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს. უკანასკნელი განკითხვის დღეს, უფალი მათ სასტიკ სასჯელს გამოუტანს და ეტყვის: „წადით ჩემგან, წყეულნო, საუკუნო ცეცხლში, რომელიც გამზადებულია ეშმაკისა და მისი ანგელოზებისთვის; ვინაიდან მშიოდა და საჭმელი არ მომეცით, მწყუროდა და არ დამალევინეთ; უცხო ვიყავი და არ მიმიღეთ; სნეული ვიყავი და საპყრობილეში არ მოხვედით ჩემს სანახავად“ (მათე 25, 41-43) ამრიგად, როდესაც გასაჭირში მყოფ მოყვასს არ შეეწევით ისე, როგორც შეგვიძლია, თვით უფალს ვეუბნებით უარს მოწყალებაზე, რასაც კიდევ უფრო ნათელს ხდის მაცხოვრის სიტყვები: „როგორც არაფერი გაუკეთეთ, არც ერთს ამ ჩემს მცირეთაგან, არც მე გამიკეთეთ (მათე 25, 45).

შეიძლება თუ არა, უარი ვთქვათ მოწყალებაზე?

მამა ევსტრატი გოლოვანელი ამ კითხვას შემდეგნაირად პასუხობს: მოწყალებაზე უარი არ უნდა თქვა, რადგან ერთი მხრივ, შეურაცხყოფ მას, ვინც მოწყალებას გასცემს და მეორე მხრივ, შეგიძლია, კეთილი გაუკეთო სხვასაც. მამა ევსტრატს მოჰყავს ასეთი მაგალითი: ღირს ზენონს, ბასილი დიდის მოწაფეს, პირველად არავისგან არაფრის მიღება არ სურდა, რის გამოც გულუხვობის მოყვარენი, რომელთაც უკანვე მიჰქონდათ თავიანი საჩუქრები, დამწუხრებულები ბრუნდებოდნენ მისგან. იმავე დროს ზენონთან მიდიოდნენ ღარიბნი და ამ დიდებულ ბერს სთხოვდნენ მოწყალებას. მაგრამ რადგანაც ზენონს არაფერი ჰქონდა მათთვის მისაცემი, ისინიც დამწუხრებულები ტოვებდნენ მას. „რა ვქნა?“ – ფიქრობდა ზენონი. ბოლოს კი, შემდეგ დასკვნამდე მივიდა: „მწუხარებით მიდიან ჩემგან ისინიც, ვისაც საჩუქარს უკანვე ვატან და ისინიც, ვინაც ჩემგან უნდა მიიღოს რაიმე. მოდი მოვიქცევი ამგვარად: თუ ვინმემ მოიტანა რამე, გამოვართმევ, თუ ვინმე მთხოვს რამეს, მივცემ“. როდესაც ზენონმა ეს წესი აღასრულა, თვითონაც მოიპოვა სულიერი სიმშვიდე და სხვებიც დაამშვიდა.

■

იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის ფრესკის წაშლის ვანდალური აქტი თითოეული ქართველის აღშფოთების საფუძვლად იქცა — განურჩევლად იმისა, თუ რამდენადაა იგი გათვითცნობიერებული ამ მონასტრისა თუ ფრესკის ისტორიაში. არადა, იმ სიწმინდეებს შორის, რომლებიც დღევანდელი საქართველოს ფარგლებს გარეთაა, ამ ტაძარსაც და მის წიაღში შექმნილ დიდი პოეტის გამოსახულებასაც განსაკუთრებული ადგილი აქვს მიჩენილი...

პოეტის ფრესკას ვანდალების ხელი პირველად რიდი ესხება...

ნათია ქივიძე

იერუსალიმში ჯვრის მონასტრის ადგილას ჯერ კიდევ IV საუკუნეში, მეფე მირიანმა პატარა სამლოცველო ააგო. V საუკუნეში ამ ადგილას პირველი ტაძარი მეფე ვახტანგ გორგასალმა ააშენა. დღეს არსებული მონასტერი კი, XI საუკუნეში, ბერი გიორგი-პრიხორე შავთელის თაოსნობით აიგო, რისთვისაც თანხა ბაგრატ მეოთხის დედამ, მარიამ დედოფალმა გიორგი მთაწმინდელს გაატანა იერუსალიმში. 1187 წელს ეგვიპტის სულთნის სალაჰ ად-დინის მეთაურობით იერუსალიმი ჯვაროსნებს წაართვეს, რამაც ტაძრის მდგომარეობაზე უარყოფითად იმოქმედა. მაგრამ 1192 წელს, თამარ მეფემ მონასტერი მუსლიმანებისგან გამოისყიდა.

თითქმის XVIII საუკუნემდე, მონასტერი ქართველთა ხელში იყო, მაგრამ 1757-58 წლებში, როდესაც ტიმოთე გაბაშვილი ჯვრის მონასტერს ეწვია, იქ ქართველი ბერები აღარ დახვდნენ. ტაძარი უკვე ბერძნების ხელში იყო გადასული... ჯვრის მონასტრის საკუთრებაში საქართველოში მდებარე მამულებიც ირიცხებოდა, ერთ-ერთ მათგანზე ეკლესიაც აშენდა, რომელსაც ჯვრის მამა ეწოდა (თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე, სიონის ტაძრის პირდაპირ). აღნიშნული ტაძრის ეზოში იყო პურის საცხობი, სადაც „ჯვრის მამის ლავაში“ ცხვებოდა. აქედან და ჯვრის მონასტრის სხვა კუთვნილი მამულებიდან მიღებული ფულადი შემოსავალი მთლიანად იერუსალიმის ჯვრის მონასტერში იგზავნებოდა. როდესაც იერუსალიმის ჯვარი ბერძენთა ხელში გადავიდა, თბილისის ჯვრის მამაც ბერძნულ ტაძრად ითვლებოდა და იერუსალიმის პატრიარქის გამგებლობაში შედიოდა...

როდის გაჩნდა ჯვრის მონასტრის კედელზე შოთა რუსთაველის ფრესკა, როგორ აღმოაჩინეს იგი ასწლეულების შემდეგ ქართველმა მეცნიერებმა და რა ვერსიები არსებობს მასზე განხორციელებული ვანდალური აქტის შესახებ, ისტორიკოსი ჯაბა სამუშია და ტელეჟურნალისტი გოდერძი შარაშია მოგვითხრობენ.

ჯაბა სამუშია:

– 1960 წელს, ირაკლი აბაშიძემ, აკაკი შანიძემ და გიორგი წერეთელმა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში დიდი შოთა რუსთაველის პორტრეტი აღმოაჩინეს. დელეგაციის წევრებმა ამ აღმოჩენის შესახებ იერუსალიმიდან საქართველოში დაბრუნებისთანავე მთელ ქართველ ერს ახარეს. რამდენიმე თვის განმავლობაში, მაშინდელ ქართულ პრესაში პოეტის ფრესკის დათარიღების, ჯვრის მონასტრის მოხატულობისა და სხვა მრავალი საკითხის გამო მეცნიერებს შორის აქტიური კამათი მიმდინარეობდა.

— **მანამდე, ქართველმა სა-**

ჯაბა სამუშია: მათი ძალისხმევის შედეგად, ფრესკა საღებავის ფენისგან გათავისუფლდა და დიდი ქართველი პოეტის პორტრეტული გამოსახულება მთელი სიდიადით გამოჩნდა.

ზოგადოებამ ამ ფრესკის შესახებ არაფერი იცოდა?

— რა თქმა უნდა, იცოდა. 1757-1758 წლებში, იერუსალიმში ტიმოთე გაბაშვილმა იმოგზაურა, რომელმაც ფრესკა ერთ-ერთმა პირველმა ნახა. XIX საუკუნეში, ის ჩვეულებრივად ჩანდა. 1845 წელს, ნიკო ჩუბინაშვილმა, ხოლო 1883 წელს ალექსანდრე ცაგარელმა ჯვრის მონასტერი და შოთას ფრესკა მოინახულეს. მათვე გადმოხატეს რუსთაველის პორტრეტი. 1899 წელს, შოთას ფრესკა დეკანოზმა პეტრე კონჭიშვილმა ნახა. ამ დროს, პორტრეტის განადგურება ბერძნებს უკვე დაწყებული ჰქონდათ: ფრესკაზე გაკეთებული წარწერა საღებავით იყო „წაბღალული". 1901 წელს კი, იერუსალიმში ჩასულ ნიკო მარს პორტრეტი მთლიანდ მუქი მწვანე საღებავით დაფარული დახვდა...

— ამის შემდეგ რა პირობებში აღმოაჩინეს შოთას ფრესკა?

— 1958 წელს, პეტერბურგში ბორის კანდელაკმა, იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ჩუბინაშვილის მიერ 1845 წელს დამზადებული ასლი იპოვა. ამ მოვლენამ სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. საზოგადოების დაინტერესებას იერუსალიმში გამგზავრებისა და ფრესკის ნახვის იდეა მოჰყვა. შეიქმნა სპეციალური ექსპედიცია: მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ირაკლი აბაშიძის, აკადემიკოსების — გიორგი წერეთლისა და აკაკი შანიძის შემადგენლობით. მათი ძალისხმევის შედეგად, ფრესკა საღებავის ფენისგან გათავისუფლდა და დიდი ქართველი პოეტის პორტრეტული გამოსახულება მთელი სიდიადით გამოჩნდა.

— მონასტერში რა ადგილსაა მოთავსებული დიდი პოეტის ფრესკა?

— შოთა რუსთაველის გამოსახულება ჯვრის მონასტრის მთავარ ტაძარშია მოთავსებული, შესასვლელიდან მარჯვნივ, სამხრეთ-დასავლეთის სვეტზე, რომელზეც დახატულია ცნობილი საეკლესიო პირები — მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის პორტრეტები; შოთა რუსთაველი მათ შორის, ხელებაპყრობილი, მავედრებელ პოზაშია გამოსახული და სახით იოანე დამასკელის ფრესკისკენ არის მიბრუნებული. მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის გამოსახულება 3 მეტრის სიმაღლისაა, რუსთაველის პორტრეტის სიმაღლე კი — 70, ხოლო სიგანე — 50 სანტიმეტრია. სურათზე, უკვე მოხუცებული, თეთრწვერიანი პოეტია გამოსახული; მას საერო ფეოდალისთვის დამახასიათებელი მოსასხამი აქვს მხრებზე, რომელსაც თეთრი ბეწვის გადაკეცილი საყელო ამშვენებს; თეთრი თავსაბურავი ახურავს და დაბალი, შავი ბეწვის არშია აქვს შემოვლებული. ფრესკაზე ზედა მხრიდან ასეთი წარწერაა: „ამის დამხატავსა შოთა შეუნდოს ღმერთმან, ამინ". შოთას თავის მიდამოში კი მიწერილია — „რუსთველი."

— ეს ფრესკა შოთა რუსთაველის თანადროულია თუ მოგვიანებით შეიქმნა?

— ეს საკითხი მეცნიერებს შორის სერიოზულ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ამ ფრესკის დათარიღება რამდენიმე საუკუნეს შორის მერყეობს. მე პირადად, იმ აზრს ვემხრობი, რომ შოთას პორტრეტი XIII საუკუნის I ნახევარში უნდა შექმნილიყო და შესაძლებელია, მოგვიანებით — XIV ან XVI საუკუნეებში განაახლეს კიდეც.

კატამონში ის ქართულწარწერიანი ქვა აღარ დაგვხვდა, რომელიც წინათ იყო; ბერძნებმა ნორმალური პასუხიც არ გაგვცეს, თუ სად შეიძლებოდა ამ ქვის პოვნა...

— რატომ არის შოთას ფრესკა მაინცდამაინც იერუსალიმის ჯვრის მონასტერში? რა აკავშირებდა პოეტს ამ ტაძართან?

— სამწუხაროდ, იმის უტყუარი წყარო, რომ შოთა რუსთაველი იერუსალიმში ცხოვრობდა, არ გაგვაჩნია. ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის ბერად ყოფნის თაობაზე მხოლოდ ლეგენდა გვაუწყებს. გიორგი ფერაძე წერდა: „ქართული თქმულების მიხედვით, მათ შორის, ვინც მონასტერში ცხოვრობდა, იყო დიდი პოეტი შოთა რუსთაველი. იგი იქ ცხოვრობდა როგორც ბერი, გარდაიცვალა იმავე მონასტერში და იქვე დაკრძალეს". ქართველი მეცნიერები ცდილობდნენ, ლეგენდა წერილობითი წყაროებით გაემაგრებინათ. მაგალითად, არაბი ისტორიკოსი ალ-ქალაქაშანდი მოგვითხრობს, რომ სალაჰ ად-დინთან საქართველოს მეფემ (იგულისხმება თამარ მეფე) ორი წარჩინებული ადამიანი გაგზავნა, ერთი — სალაროთუხუცესი და მეორეც — სხვა... თამარმა სალაჰ ად-დინს, ჯვრის მონასტრის გამოსასყიდად, 20.000 დრაჰკანი გაუგზავნა. მეცნიერთა ერთ ნაწილს მიაჩნდა, რომ ამ წარჩინებულთაგან ერთ-ერთი შოთა რუსთაველი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ მოსაზრებას სერიოზული გამაგრება ესაჭიროება. ფრესკაზე დაყრდნობით შესაძლებელია გამოვთქვათ აზრი, რომ შოთა იერუსალიმში იმყოფებოდა, მაგრამ რამდენ ხანს და რა მისიით — ეს ჩვენთვის უცნობია... ისტორიული თვალსაზრისით, ამ ფრესკას ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ბერძნებმა კი „წაბღალეს". მათ ქართველთა კვალის გაქრობა არაერთხელ უცდიათ. თანაც, მსგავსი რამ მხოლოდ ჯვრის მონასტერში როდი მომხდარა. მათ ეკლესიებში ქართული წარწერები არაერთხელ წაუშლიათ. სხვათა შორის, მინდა, საზოგადოებას ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი შევახსენო: XI საუკუნეში, ბიზანტიის დიდი დომესტიკოსი, დასავლეთ ჯარის სარდალი გახლდათ გრიგოლ ბაკურიანის ძე. იგი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, ბიზანტიის იმპერიის სიძლიერისთვის იბრძოდა. მაგრამ როდესაც მან პეტრიწონის მონასტერი დააარსა, ტიპიკონით მონასტერში ბერძნების მიღება აკრძალა. ზუსტად ასე უწერია: „ბერძნებს ჩვენს ტაძარში მხოლოდ სახედრების მოვლა შეუძლიათ, ხოლო ერთი მათგანი ბერძნული ენის მთარგმნელი და გადამწერი იქნება". მართალი იყო ის კაცი. აი, ახლა რა ჩაიდინეს ბერძნებმა. ეს ხომ ვანდალიზმია!..

— როგორ ფიქრობთ — შესაძლებელია თუ არა ამ ფრესკის აღდგენა?

— რა თქმა უნდა, ამის შესაძლებლობა არსებობს, რადგან ჩვენ რუსთაველის პორტრეტის რამდენიმე ასლი გვაქვს. ამასთა-

ნავე, არაჩვეულებრივი ხატმწერები და რესტავრატორები გვყავს. ასე რომ, ფრესკის აღდგენა დიდ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს. ვფიქრობ, რომ აღდგენის შემდეგ, ეს ფრესკა უნდა დაკონსერვდეს – ანუ უნდა ჩასვან შუშაში, რომ მსგავსი რამ აღარ გამეორდეს. მთელმა მსოფლიომ უნდა შეიტყოს, თუ როგორ ანადგურებენ ბერძნები ქართულ წარწერებსა და ფრესკებს. ჯვრის მონასტერი როგორღაც უნდა დავიბრუნოთ. მერე კი, ჩვენს სიძველეებს რამენაირად მოვუვლით და მოვუფრთხილდებით...

ტელეკომპანია „მზის“ ჟურნალისტმა გოდერძი შარაშიამ სულ ცოტა ხნის წინ გადაიღო დოკუმენტური ფილმი იერუსალიმში არსებული ქართული სიძველეების შესახებ. ამ სურათში შოთა რუსთაველის ფრესკაც ჩანს. იქიდან დაბრუნებულმა ჟურნალისტმა კი რამდენიმე კვირაში შეიტყო, რომ ფრესკა წაუშლიათ...

გოდერძი შარაშია:

– ტელეკომპანია „მზე“ დოკუმენტურ ფილმებს იღებს. რამდენიმე მათგანი სხვა ჟურნალისტმა გააკეთა, ისინი ლაზეთსა და საინგილოს შეეხებოდა. მოგვიანებით, გადავწყვიტეთ, რომ იერუსალიმზეც გაგვეკეთებინა ფილმი, რადგან ეს ძალზე საინტერესო და ბევრისთვის ნაკლებად ცნობილი თემაა. 31 მაისს გავფრინდით იერუსალიმში და 10 ივნისს უკან დავბრუნდით. ამ დროის განმავლობაში, უამრავი ქართული სიწმინდე გადავიღეთ. ეს ძალიან რთული იყო, რადგან იქ მხოლოდ ის პრობლემა არ არის, რომ შიგნით არ გიშვებენ, არამედ იმასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ აქედანვე მომზადებული თუ არ წახვედი, იქ არავინ არაფერი იცის... ყველგან, სადაც მაშინ მივედით, ბერძნები დაგვხვდნენ. ჩვენ გადავიღეთ კატამონის ქართული მონასტერი, მარიამ ღვთისმშობლის საფლავი, გეთსიმანიის ბაღი, სამოელ წინასწარმეტყველის ეკლესია-მონასტერი, ბეთლემი, ქრისტეს საფლავი, გოლგოთა და ბუნებრივია, ჯვრის მონასტერი. კატამონში ის ქართულწარწერიანი ქვა აღარ დაგვხვდა, რომელიც წინათ იყო; ბერძნებმა ნორმალური პასუხიც არ გაგვცეს, თუ სად შეიძლებოდა ამ ქვის პოვნა... ვიდრე ამ ყველაფერს გადავიღებდით, ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოში მივედით, სადაც პატრიარქის გენერალურ მდივანს წარვუდგინეთ სია იმ ადგილებისა, რომელთა გადაღებასაც ვაპირებდით. მან ყველაფერზე თანხმობა მოგვცა და მხოლოდ ჯვრის მონასტერი გადაგვიხაზა, ეს კი იმით ახსნა, რომ ტაძარში ამჟამად რესტავრაცია მიმდინარეობს და იქ შესვლა არ შეიძლებაო. ამის შემდეგ, მივედი ერთ-ერთ რუსულ ეკლესიაში, სადაც დამეხმარნენ და ამიხსნეს, თუ როგორ უნდა შევსულიყავით ჯვრის მონასტერში. იქ მისულებს წინ ის რუსი ქალი გამოგვეგება, რომელზეც დღეს ამბობენ – პირველად მან ნახა დაზიანებული ფრესკაო. ის ძალზე აგრესიულად დაგვხვდა, რის გამოც **არ მითქვამს, რომ ქართველი ვიყავი, თუმცა,** ვერც ამით მივაღწიე საწადელს და კამერები გარეთ დაგვატოვებინეს. მხოლოდ ფოტოაპარატის ჩუმად შეტანა მოვახერხე და ეს სურათი ფარულად გადავიღეთ, იმიტომ, რომ თუ მონასტერს ვიდეოკამერით ვერ გადავიღებდით, იმის დასამტკიცებლად, რომ მე იქ ნამდვილად ვიყავი შესული, ტელეეთერში ამ ფოტოს ვაჩვენებდი... მონასტერში დაახლოებით 5 წუთი დავყავით. ეს ქალი რაღაცებს გვიხსნიდა, მე კი ვცდილობდი, რაც შეიძლება მეტი ქართული წარწერა მენახა. 5 წუთის შემდეგ, როცა უკვე გამოვდიოდით, ამ ქალს ვუსაყვედურე – ისე ცოტა ხანს დაგვტოვეთ მონასტერში, რომ ლოცვა ვერ მოვასწარი, გადაღებას ვინღა ჩივის-მეთქი?.. მიპასუხა: იქ ჯვარი რომ დევს, ის ჯვარია, რომელზეც მაცხოვარი გააკრეს (იმ, ნამდვილი ჯვრის დიდი ნაწილისგანაა ეს ჯვარი გაკეთებული და ამიტომ მითხრა ასე). სთხოვე ღმერთს, რომ გადაღებაში დაგეხმაროსო, – და ამისთვის მხოლოდ ერთი წუთით შემიშვა. ძალიან მორწმუნე, მაგრამ სამწუხაროდ, არაეკლესიური ვარ... ამ ჯვარს რომ მივუახლოვდი, მართლა ვთხოვე, რომ მონასტრის გადაღების საშუალება მომცემოდა. იქიდან რომ გამოვდიოდი, კართან ბერძენი დამხვდა, რომელმაც გადასაღებად 3 წუთი მომცა. ისე მოვახერხე, რომ ეს დრო რაღაცნაირად 5 წუთამდე გავწელე...

— როგორც ცნობილია, ამ მონასტერში სავარაუდოდ, შოთა რუსთაველის საფლავიც უნდა იყოს...

– მართალია. ის ადგილიც გადავიღეთ. შიდადარბაზში ერთმანეთის პირისპირ ორი სვეტი დგას; ერთ-ერთ მათგანზე შოთას ფრესკაა, ხოლო მეორის ქვეშ სავარაუდოდ, მისივე საფლავი უნდა იყოს...



„ჯვარს რომ მივუახლოვდი, მართლა ვთხოვე, რომ მონასტრის გადაღების საშუალება მომცემოდა...“

— როდის შეიტყვეთ, რომ თქვენ მიერ ფირზე აღბეჭდილი ფრესკა აღარ არსებობდა?

– ეს ფილმი ეთერში 25 ივნისს გავიდა. ერთი კვირის შემდეგ კი, სამსახურიდან დამირეკეს და მაცნობეს, რომ ფრესკა წაუშლიათ. რა თქმა უნდა, ისევ იერუსალიმში გავემგზავრეთ. ჯვრის მონასტერთან რომ მივედით, იქ ქართველები და ქართველი ებრაელები დაგვხვდნენ და ფანტასტიკური კადრები გადავიღეთ. ერთ-ერთი იქ მცხოვრები ქართველი – დავით ციხკარიშვილი, როცა ბერძნები გადაღებას გვიკრძალავდნენ, გამოგვექომაგა და ჩვენთვის დახმარების გაწევას ცდილობდა. ჩვენი წამოსვლის შემდეგ, ბატონი დათო და ქართული დელეგაციის ხელმძღვანელი, ქალბატონი თამილა ციხკარიშვილი იქ დარჩნენ. როგორც აღმოჩნდა, მონასტერში რესტავრაცია ისევ გრძელდება, რადგან იქიდან ორი ქართული, ნათლობის თასი გამოიტანეს გასაყიდად, რომელიც დათომ 200-200 დოლარად იყიდა. როცა მონასტერი დაგვიბრუნდება, იგი ამ ნივთებს აუცილებლად დააბრუნებს... იქ გამართულ აქციებს არავინ გამოხმაურებია, რაც ძალიან სამწუხაროა. მიტინგის დროს, ეკლესიის სარკმელიდან დიდი ბერძნული დროშა გადმოფინეს და ბერძნული ერთხმიანი საგალობელი მოგვასმენინეს. ეს ჩვენთვის ძალიან გამაღიზიანებელი იყო...

— რას ამბობენ იქაური სპეციალისტები — შესაძლებელია ფრესკის აღდგენა?

– ჩვენ ჩავწერეთ ჯონ ზე ლიმანი – ის არქეოლოგი გახლავთ. მან პირველმა ნახა დაზიანებული ფრესკა და ირწმუნება, რომ მისი აღდგენა შესაძლებელია. მაგრამ ამას ზოგიერთი ქართველი მეცნიერი ეწინააღმდეგება: მათ მიაჩნიათ, რომ ფრესკა ამ მდგომარეობაში უნდა დარჩეს, როგორშიც ახლაა, ქვემოდან კი მისი ზუსტი ასლი დაიდოს, რათა დამთვალიერებლებმა ნახონ, თუ რა ვანდალური აქტი ჩაიდინეს. ჯონ ზე ლიმანი კი რატომღაც ჩქარობს. უნდა, რომ 27 ივლისს იქ ჩასულ ჩვენს პრეზიდენტს ფრესკა აღდგენილი დახვდეს. ალბათ გავიგებთ, თუ რასთან გვაქვს საქმე. პირადად მე, ქართველი მეცნიერების მოსაზრებას ვიზიარებ, რადგან მინდა, რომ ეს ფაქტი იმ ადამიანების სამარცხვინოდ დარჩეს, რომლებმაც ეს საქციელი ჩაიდინეს... ■

ეშლი ჯადს ტიპურ ჰოლივუდელ ვარსკვლავს ვერავინ უწოდებს: ის პრემიერებსა და მაღალი საზოგადოების წვეულებებს იშვიათად სტუმრობს; ამერიკული ტაბლიოიდების სკანდალურ ქრონიკებში მისი სახელი არასოდეს ფიგურირებს. მიუხედავად ამისა, ყოველი ნათამაშები როლისთვის ეშლის ჰონორარი რამდენიმე მილიონ დოლარს შეადგენს. წლეულს მსოფლიოს კინოთეატრებში მისი ტრილერის — „ამნეზია" წარმატებული პრემიერა შედგა. ჩვენი მაყურებლები მას იცნობენ ფილმებით: „ფრიდა", „ფლირტი მხეცთან", „იქ, სადაც გულია" და სხვა.

წიგნის მოყვარული ლოლი ჯადი

„სამიანს მაინც აუცილებლად ვიმსახურებ"

— ეშლი, მსოფლიოს კინოეკრანებზე გამოდის ახალი ბლოკბასტერი — „ქალი-კატა", სადაც მთავარ როლს ჰოლი ბერი ასრულებს. ჰოლივუდში გავრცელებული ხმების თანახმად, თავდაპირველად ეს როლი თქვენთვის შემოუთავაზებიათ, მაგრამ თქვენ უარი გითქვამთ. ეს ჰონორარს უკავშირდება?

— ვცდილობ, ვითამაშო ისეთ ფილმებში, რომელთა სცენარიც მეტ-ნაკლებად საინტერესოდ მეჩვენება. გარწმუნებთ, ფილმის ბიუჯეტი და ამა თუ იმ პროექტის ირგვლივ პრესაში ატეხილი აჟიოტაჟი ნაკლებად მაღელვებს. მაგალითად, შარშან გადავწყვიტე, რომ დროის უმეტესი ნაწილი თეატრისათვის დამეთმო და ბროდვეიზე განხორციელებულ სპექტაკლში — „კატა გავარვარებულ სახურავზე" ვითამაშე. თეატრის მსახიობებს ძალზე დაბალი ანაზღაურება აქვთ, მაგრამ ისინი ყოველ საღამოს გამოდიან სცენაზე. მათ უბრალოდ უყვართ ის საქმე, რასაც ემსახურებიან. ჩემთვის ეს კიდევ უფრო იოლია, რამეთუ საკმაოდ სტაბილური მატერიალური მდგომარეობა მაქვს. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ არც ჰოლივუდურ კარიერას ვივიწყებ: როცა ერთ რომელიმე პროექტზე ვამბობ უარს, ეს იმას ნიშნავს, რომ აუცილებლად ავარჩევ სხვა, ჩემთვის საინტერესო როლს. სულ ცოტა ხანში, ამერიკის კინოეკრანებზე გამოვა მიუზიკლი — „ნებიერი".

— მიუზიკლი? უნდა ითქვას, რომ პროფესიონალი მსახიობისთვისაც კი რთულია, მომღერლის როლისთვის თავის გართმევა. ფილმში თქვენ მღერით?

— დიახ, მაგრამ მერწმუნეთ, რომ ამის გაკეთება ჩემთვის მართლაც, ძალზე რთული იყო. ჯერ ერთი, დედაჩემი და ჩემი უფროსი და, პროფესიონალი მომღერლები არიან და არ მსურდა, მათთვის იმედები გამეცრუებინა; მეორეც, მომღერლობა არასოდეს მინდოდა. მაგრამ როცა ამ ფილმში თამაშზე დავთანხმდი, რეჟისორმა გამომიცხადა, რომ აუცილებლად თავად უნდა მემღერა — ასე რომ, როგორც ხედავთ, დიდი არჩევანის საშუალება არც მქონია. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი ნამუშევრების ობიექტურად შეფასება ჩემთვის საკმაოდ რთულია, ვფიქრობ, ოთხიანს თუ არა, სამიანს მაინც აუცილებლად ვიმსახურებ.

— კარიერაში წარუმატებელი პერიოდი თუ გქონიათ?

— 1990 წელს, ლოს-ანჯელესში ჩამოსვლისთანავე რესტორანში დავიწყე მუშაობა და აქტიურად ვმონაწილეობდი კასტინგებში. ჩემი კარიერა საკმაოდ წარმატებულად დაიწყო: ლოს-ანჯელესში ჩამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ, ჩემი დებიუტი ერთდროულად ორ ტელესერიალში — „სტარ ტრეკი" და „დები" — შედგა. სულ მალე კი, დამოუკიდებელ კინოსურათში — „რუბი სამოთხეში" ჩემი პირველი მთავარი როლიც მივიღე. კიდევ ერთი წლის შემდეგ, ცნობილმა რეჟისორმა ოლივერ სტოუნმა გადამიღო თავის ფილმში — „მკვლელებად დაბადებულები". სწორედ მაშინ ვიწვნიე პირველი წარუმატებლობა: აშშ-ის კინოასოციაციამ (ამერიკის კინოეკრანებზე გამოსულ ყველა სურათს კინოაკადემია ანიჭებს რეიტინგს) მიიჩნია, რომ ფილმში ძალზე ბევრი ძალადობა იყო და მოხდა ისე, რომ ჩემი მონაწილეობით გადაღებული თითქმის





ყველა სცენა ამოჭრეს. ამის შემდეგ, საკმაოდ პასიური პერიოდი დამიდგა.

პროდიუსერები ჩემით მხოლოდ 1996 წელს დაინტერესდნენ, მას შემდეგ, რაც მონაწილეობა მივიღე სატელევიზიო ფილმში – „ნორმა ჯინი და მერილინი" (სურათში მერილინ მონროს ცხოვრებაა ასახული) და რომლის წყალობითაც ნომინირებული ვიყავი ამერიკის უმაღლეს სატელევიზიო ჯილდოზე – „ემი". მას შემდეგ თითქმის თხუთმეტ ფილმში გადამიღეს.

— პროფესიულ ასპარეზზე განსაკუთრებულად წარმატებული თქვენი კოლეგების უმრავლესობა, პირად ცხოვრებაში საკმაოდ უბედურად გრძნობს თავს. რას იტყვით თქვენზე?

– ჩემი ოჯახური ბედნიერების საიდუმლო ფრიად მარტივია: საოცრად მიყვარს ქმარი და ვცდილობ, მთელი თავისუფალი დრო მასთან ერთად გავატარო. ჩემი მეუღლე პროფესიონალი ავტომრბოლელი – დარიო ფრანკიტია. ჩვენ 2001 წლის დეკემბერში შევუღლდით. შეჯიბრები, რომელშიც დარიოს უწევს მონაწილეობა, მკაცრად განსაზღვრულ დროს იმართება. ასე რომ, მას საკუთარი გრაფიკის ჩემს სამუშაო გრაფიკთან შეთავსების შესაძლებლობა არა აქვს. ამიტომ ყოველთვის ვცდილობ, ჩემი გადაღებების გრაფიკი ისე დავგეგმო, რომ მისი ნახვა, რაც შეიძლება ხშირად მოვახერხო.

სამი ძაღლი და ოთხი კატა

— წყვილს, რომელსაც შვილი არ ჰყავს, ხშირ შემთხვევაში, ადამიანები ბედნიერად არ მიიჩნევენ. კინომსახიობ ვარსკვლავთა უმეტესობა კი ამბობს, რომ მათ ბავშვებისთვის უბრალოდ დრო აღარ რჩებათ...

– მე და დარიოს ისედაც შვიდი შვილი გვყავს – სამი ძაღლი და ოთხი კატა! ეს, რაღა თქმა უნდა, ხუმრობით. ისე კი, ჩვენ ამ საკითხზე სერიოზულად ვფიქრობთ. საოცრად მადლიერი ვარ დედაჩემის, რომელმაც ცხოვრებაში უმთავრესი რამ მასწავლა – ჩემთვის შოუ-ბიზნესი ყოველთვის მეორე ადგილზეა, ოჯახი კი – პირველზე.

— რატომღაც თქვენ იშვიათად სტუმრობთ მაღალი საზოგადოების თავყრილობებს. მაინც რა გაკავებთ შინ?

– საოცრად მიყვარს კითხვა. ამასთან დაკავშირებით, ჩემი ახლობლები ხუმრობენ კიდეც, რადგან ჩემთვის დღესაც, ისევე როგორც ბავშვობაში, დივანზე წამოწოლილ მდგომარეობაში ან პარკში წიგნის კითხვა საუკეთესო გასართობს წარმოადგენს.

■

შერონ სტოუნი მზადაა, 12 დოლარად გამიშვლდეს

ჰოლივუდელი სუპერვარსკვლავი მალე, „ძირითადი ინსტინქტის" გაგრძელებაში გადაღებას შეუდგება. გაზეთ „ჰერალდ სანის" საიტზე მოთავსებული ინფორმაციის თანახმად, მსახიობთან შეთანხმება ბოლოს და ბოლოს, მოახერხეს სურათის პროდიუსერებმა, რომლებსაც რამდენიმე ხნის წინ სტოუნი სასამართლოში უჩიოდა. მაშინ სტოუნმა მათ ფილმის გადაღების ჩაშლასა და მისთვის 19 მლნ დოლარის ზარალის მიყენებაში დასდო ბრალი. პირველ ფილმში მისი პარტნიორი მაიკლ დუგლასი ახალ პროექტში მონაწილეობას არ მიიღებს. „ამჯერად მასზე ახალგაზრდა მსახიობი გვჭირდება", – აღნიშნა ამასთან დაკავშირებით შერონმა, რომელმაც მომავალი ფილმის თაობაზე ასეთი

კომენტარი გააკეთა: „თუ ვინმე მზადაა, 12 დოლარი გადაიხადოს იმისთვის, რომ შიშველი მნახოს, ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს..."

■

გადასაღებ მოედანზე ჰოლი მერის სამოსი ტანზე შემოერღვა

ახალი კინოკომიქსის – „ქალი-კატა" – გადაღებისას, ჰოლი ბერი არაერთგზის ჩავარდნილა ისეთსავე სკანდალურ მდგომარეობაში, როგორშიც ამ ცოტა ხნის წინ, სცენაზე გამოსვლისას ჯანეტ ჯექსონი აღმოჩნდა. თავად მსახიობის თქმით, კოსტიუმის სივიწროვის გამო, მისი ლამაზი სხეულის ნაწილები გამუდმებით შიშვლდებოდა, ტყავის შორტები კი, ჩხუბის სცენების დროს, არაერთხელ გარღვეულა, რისი წყალობითაც დამსწრეთ ბერის მშვენიერი ტანის სხვადასხვა ადგილის ნახვის სასიამოვნო შესაძლებლობა უჩნდებოდათ. ცხადია, ფირზე აღბეჭდილი ეს მომენტები ფილმში არ შევიდა, თორემ, ეკრანებზე გამოსვლამდე მას აშშ-ში მკაცრად განსაზღვრულ ასაკობრივ შეზღუდვას დაუწესებდნენ.

■

ლეონ მხედართმთავრის ამპლუა გადაუვადდა

თითქმის ერთწლიანი დუმილის შემდეგ, ფილმის – „ალექსანდრე დიდი“ – წარმოებისთვის პასუხისმგებელმა ფიგურებმა დაადასტურეს პრესაში გაჟონილი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ეს პროექტი, რომელიც რეჟისორ ბაზ ლურმანს მთავარ როლში ლეონარდო დი კაპრიოს მონაწილეობით უნდა განეხორციელებინა, გაურკვეველი პერიოდით გაიყინა. ამის ერთ-ერთი მიზეზი, თავად ლურმანია, რომელსაც გადაუწყვეტია, მაღალბიუჯეტიან ისტორიულ ეკრანულ ტილოზე მუშაობის ნაცვლად, ხანგრძლივი



შვებულება მოიწყოს, რათა ცოლთან და ქალიშვილთან ერთად მეტი დრო გაატაროს. ამდენად, ალექსანდრე მაკედონელის ბრძოლების ამსახველ უკვე გადაღებულ თუ ციფრული წესით დამზადებულ, კომპიუტერულ მასალას ჯერჯერობით, კინოსტუდიის არქივში მოათავსებენ, სადაც გლადიატორის სამოსში გამოწყობილი ლეონარდო დი კაპრიოს სარეკლამო რგოლიცაა შენახული, რომელიც წლევანდელ გაზაფხულზე, კანის ფესტივალზე საჩვენებლად, უმოკლეს ვადაში დამზადდა. როგორც კინოპრესა აღნიშნავს, ეს ამბავი ქეიფის საუცხოო საბაბს მისცემს ოლივერ სტოუნსა და კოლინ ფარელს, რომლებიც ამჟამად „თავიანთ“ „მაკედონელს“ იღებენ და ამგვარად, პირდაპირი კონკურენტი ჩამოიცილეს. ადრე, ორივე აღნიშნულ პროექტზე ვწერდით და ახლა შეგახსენებთ სტოუნის ფილმში მთავარი როლების შემსრულებლებს: კოლინ ფარელი – ალექსანდრე მაკედონელი, ანჯელინა ჯოლი – ალექსანდრეს დედა ოლიმპია, ველ კილმერი – მამა ფილიპი, ენტონი ჰოპკინსი – პტოლემეოსი. ■

მესამე რეჟისორი სოფია კოპოლას ცხოვრებაში

ამერიკული პრესის ინფორმაციის თანახმად, ჰოლივუდში „ოსკაროსან“ რეჟისორთა კიდევ ერთი „ტკბილი წყვილი“ გამოჩნდა: სოფია კოპოლა სულ უფრო ხშირად ჩნდება საზოგადოებაში კვენტინ ტარანტინოს გვერდით. როგორც ჟურნალისტები აღნიშნავენ, ვარსკვლავები ალბათ, იაპონიისადმი ინტერესმა გააერთიანა, რადგან სწორედ ამ ქვეყანამ შეასრულა ორივესთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ბოლო ნამუშევრის (კოპოლას „თარგმანის სიძნელეები“ და ტარანტინოს „მოკალი ბილი“) შექმნისას. თუ ყველაფერი მართლაც ისეა, როგორც მასმედია იტყობინება, ტარანტინო, სოფია კოპოლას ცხოვრებაში მესამე მნიშვნელოვანი რეჟისორი იქნება: პირველი – მამამისი ფრენსის ფორდ კოპოლაა, მეორე – ყოფილი ქმარი სპაიკ ჯონსი („იყო ჯონ მალკოვიჩი“, „ადაპტაცია“), რომელსაც ის 2 წლის წინ გაეყარა. შეგახსენებთ, რომ სოფია კოპოლა წლეულს დაჯილდოვდა „ოსკარით“, როგორც საუკეთესო რეჟისორი, ფილმისთვის – „თარგმანის სიძნელეები“. კვენტინ ტარანტინომ სანუკვარი პრიზი 1995 წელს, ფილმისთვის – „კრიმინალური საკითხავი“ – მიიღო. ■

ჯონ მალკოვიჩი მსაფვრად მოგვევლინება

კომედიაში – „აგენტი ჯონი ინგლისში“ – გადაღების შემდეგ, სახელგანთქმულმა მსახიობმა ე.წ. არტჰაუსულ პროექტს მოჰკიდა ხელი. კინოდრამა – Klimt – ჩაფიქრებულია, როგორც მონოგრაფია ავსტრიელი მხატვრის გუსტავ კლიმტეს შესახებ, რომლის შთამბეჭდავი და ეროტიკულად ძალზე გულახდილი ტილოები, ე.წ. „იუგენდსტილის“ საფუძვლად იქცა. ჯონ მალკოვიჩის გარდა, ამ პროექტში მონაწილეობას მიიღებენ: ვერონიკა ფერე, ოტო ზანდერი, ლეტიცია კასტა და სხვა ცნობილი მსახიობები. ამ მულტიევროპული ფილმის გადაღებები სექტემბერში დაიწყება. მისი დამდგმელი რეჟისორი, საკულტო შემოქმედად ქცეული ფრანგ-ჩილელი რაულ რუისი იქნება. ■

კლინტ ისტვუდი ისევ საომრად ემზადება



ბოევიკების უბერებელი მონაწილე, მსახიობი და რეჟისორი კლინტ ისტვუდი მეორე მსოფლიო ომის დროს, ივო ჯიმთან მომხდარი ლეგენდარული ბრძოლის შესახებ ფილმის გადასაღებად ემზადება. ეს ბრძოლა წყნარ ოკეანეში 1945 წელს მიმდინარეობდა, მთელი თვე გრძელდებოდა და 22 ათასი იაპონელისა და 26 ათასი ამერიკელის სიცოცხლე შეიწირა. ფილმს პირველწყაროდ რეჟისორმა მწერალ ჯეიმს ბრედლის მიერ 2000 წელს გამოცემული რომანი – „ჩვენი მამების დროშები: ივო ჯიმის გმირები“ – დაუდო საფუძვლად. ავტორის მამა ჯონი იმ 6 გმირთაგან ერთ-ერთი იყო, რომლის მონაწილეობითაც ივო ჯიმის ბრძოლის ყველაზე გამორჩეული ეპიზოდი – სურიბაშის მთაზე ამერიკული დროშის აღმართვა მოხდა. ■

Ford Focus-ის მეოხე თაობა

ამერიკულმა კორპორაცია „ფორდმა“ პეკინის საერთაშორისო ავტოსალონზე წარმოადგინა მოდელი Focus Concept, რომელიც უკვე შემოდგომაზე ჩაეშვება წარმოებაში. ის შეცვლის Ford Focus-ს, რომელსაც კომპანია 1998 წლიდან უშვებს. ახალი მოდელი წარმოადგენს ფართოსალონიან და ტევადსაბარგულიან სედანს, რომელიც დღევანდელი „ფოკუსისგან“ 19-დუიმიანი ბორბლებით, თხევადკრისტალიანი უკანა ფარებითა და წინა მაშუქების გაუმჯობესებული ოპტიკით განსხვავდება. ბუნებრივია, სედანის გარდა, სამოდელო რიგში იქნება აგრეთვე ჰეჩბეკი და უნივერსალი. რაც შეეხება ძრავების პალიტრას – ამის თაობაზე ავტომობილის ტექნიკურ მახასიათებელთა ჩამონათვალში ჯერჯერობით არანაირი ინფორმაცია არაა.

Ford Focus Concept-ის საჩვენებლად პეკინის არჩევა შემთხვევითი როდი იყო: როგორც პრეზენტაციაზე კორპორაციის აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა მარკ შულცმა განაცხადა, „აზია-წყნარი ოკეანის რეგიონზე დღეს, პლანეტის მოსახლეობის ნახევარზე მეტი მოდის, ამიტომ უახლოეს ათწლეულში, მის ბაზარზე გასაყიდი „ფორდების“ რაოდენობა უნდა გაორმაგდეს“.

საინტერესოა, რომ ახალი „ფოკუსის“ შემუშავებაში, რომელიც გერმანიის ქალაქ კიოლნში მიმდინარეობდა, კორპორაციის აზია-წყნარი ოკეანის დანაყოფის მთავარი დიზაინერი პოლ გიბსონი მონაწილეობდა. აქვე დავძენთ, რომ პეკინის ავტოსალონში მსოფლიოს ყველა უმსხვილესი ავტომწარმოებელი კომპანია, სულ კი, 1700 ფირმა მონაწილეობდა. ■

Opel-მა ფასები გამოაცხადა

ამერიკული კორპორაცია „ჯენერალ მოტორსის“ შემადგენელმა გერმანულმა ფირმა Opel-მა კუპე-კაბრიოლეტ Tigra Twin Top-ის ფასები გამოაცხადა. ამ მოდელის საბაზო ვერსია 16.695 ევრო ღირება. ამ ფასად მომხმარებელი მიიღებს 1,4 სამუშაო მოცულობის, 90 ცხ.ძ. სიმძლავრის ავტომანქანას, რომელსაც რეგულირებადი სავარძლები, მინის ელექტროამწეები, ელექტროგამათბობლებით აღჭურვილი სარკეები, ცენტრალური საკეტი, ბორუსის საწინააღმდეგო მაშუქები და უსაფრთხოების 4 ბალიში ექნება. 90 ცხ.ძ-იანი ვერსიის Tigra ყოველ 100 კმ-ზე 6,1 ლ საწვავს ხარჯავს. უფრო მაღალი კლასის – 1,8 ლ-იანი, 125 ცხ.ძ-იანი ვერსია 17.895 ევრო ღირს. შეკვეთების მიღება გერმანიაში უკვე დაწყებულია და დილერები პირველ მანქანებს სექტემბრის დამლევისთვის მიიღებენ. ■

„ბულგადანეიგილი“ VW Touareg

გერმანული კონცერნი Volkswagen ყველგანმავალ Touareg-ის სამოდელო რიგს აფართოებს. აგვისტოს დასაწყისში ამ ავტომობილის ყველაზე მძლავრი – 12-ცილინდრიანი ძრავათი აღჭურვილი ვერსია გამოვა. ეს აგრეგატი უკვე კარგადაა ცნობილი ავტომოყვარულთათვის: მან წარმომადგენლობით სედანზე – Volkswagen Phaeton – გაიარა აპრობაცია. მისი სამუშაო მოცულობა 6 ლ-ს შეადგენს. VW-ის ინჟინრებმა ამ აგრეგატის სიმძლავრის 420-დან 450 ცხ.ძ-მდე გაზრდა მოახერხეს. ჩვეულებრივ, ძრავას ამგვარი „ტრანსპლანტაციის“ დროს, კონსტრუქტორები კაპოტქვეშ ზედმეტი თავისუფალი ადგილის გამონახვის პრობლემის წინაშე დგებიან. „ტოურეგის“ შემთხვევაში, მათ ამ სირთულის გადალახვა არ მოუხდათ, რადგან „ფაეტონის“ აგრეგატი „ტოურეგში“ იოლად მოთავსდა.

გარეგნულად სუპერმძლავრი ყველგანმავალი რამდენადმე განსხვავდება თავისი სტანდარტული „თანამოძმეებისგან“. იგი 20-დუიმიანი საბორბლე დისკებით კომპლექტდება, აქვს ოვალური სააირე მილები და შეცვლილი კონფიგურაციის ჰაერშემწოვები. ეს მანქანა პირველად, გერმანიის ქალაქ ესენში გამართულ ავტოსალონზე იყო ნაჩვენები. მაშინ მას Touareg Sport ერქვა, თუმცა ძრავას შესახებ ინფორმაცია მწარმოებლებს არ დაურთავთ.

12-ცილინდრიანი Touareg ჩაფიქრებულია, როგორც სპეციალური მოდელი, რომელიც შეზღუდული ტირაჟით იქნება წარმოებული. კონცერნის ვარაუდით, 333 მანქანა შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში გაიგზავნება და მხოლოდ 100 გაიყიდება ევროპაში. „ტოურეგის“ რეალიზაცია წლევანდელი შემოდგომისთვისაა დაგეგმილი. მისი მინიმალური სავარაუდო ფასი 90 ათასი ევრო იქნება, უფრო ზუსტად კი, კომპლექტაციის მიხედვით განისაზღვრება. VW Touareg-ს მხოლოდ წინასწარი დაკვეთით აწარმოებენ. აქვე დავძენთ, რომ გერმანული კონცერნის ჯიპი საერთაშორისო სალონზე პირველად, პარიზში 2002 წელს იქნა წარმოდგენილი. მას უმალვე დიდი პოპულარობა ხვდა წილად დიდ ავტობაზრებზე, განსაკუთრებით – აშშ-ში. წლეულს აპრილში, ლაიფციგის ავტოსალონზე ჩატარებული კონკურსის შედეგად, Toyota Land Cruiser-თან ერთად, Touareg, პრესტიჟული ყველგანმავლების კლასში საუკეთესოდ დაასახელეს. ■



მომძიებელი სულიკო ჟვანია იძიებს. ის ანდროსაც მალე გამოიყვანს წონასწორობიდან: როცა ერთ-ერთი დაკითხვის დროს ირონიულად შენიშნავს — შენს ცოლყოფილს დაკითხვაზე ხშირად ვატარებო, — გაცოფებული ანდრო გამომძიებელს ყელში სწვდება... თავზარდაცემული

(დასაწყისი ის. „გზა“ № 26-29)

მცაცებლის ინსტინქტი

რუსუდან ბერიძე

ახალგაზრდა ბიზნესმენ ანდრო სვანიძეს თავისი ბიზნესპარტნიორი შალვა ოშხერელი მცხეთაში, ნარკოტიკების გამსაღებლებთან სალაპარაკოდ ჩაიტყუებს. ანდროს თავისი თანამშრომელი და საყვარელი, დალი ხაჩიძე ახლავს თან. რესტორანში, სადაც ანდრო და შალვა მოდავეებს ხვდებიან, ვიღაც უმისამართო სროლას ატეხს და ერთ ტყვიას კინაღამ ანდროსაც მოარტყამს. პასუხად, ანდროც რამდენჯერმე გაისვრის ჰაერში. სწორედ იმწუთას, მეზობელ მაგიდასთან მჯდარი ახალგაზრდა კაცი იატაკზე უსულოდ დაეცემა. სროლის ხმაზე გასაკვირი ოპერატიულობით მოვარდნილი პოლიციელები ანდროს იარაღით ხელში დააკავებენ...

მას ეჭვმიტანილად ცნობენ და წინასწარი დაკავების იზოლატორში მოათავსებენ. ანდროს ფირმის ადვოკატი მოულოდნელად ავტოკატასტროფაში მოყვება. მისი რჩევით, დალი ხაჩიძე დახმარებისთვის თავის ძველ მეგობარს მეგი ლაღიძეს მიმართავს.

ანდროს საქმეს ადამიანების დაშანტაჟებაში დახელოვნებული გამეგი ანდროს მკლავებში კივილით ჩააფრინდება: ხელი გაუშვი, არ შემოგაკვდესო! კივილზე ოთახში ბადრაგი შემოვარდება... იმავე დღეს, მოსამართლე, ანდროს წინასწარ სამთვიან პატიმრობას მიუსჯის.

მომხდარის შემდეგ შინ დაბრუნებულ დათრგუნვილ მეგის კარზე ყოფილი დიდი სიყვარული კახა სუთიძე მიადგება. კახა მეგის, ანდრო სვანიძის საქმეზე უარის თქმას სთხოვს, მაგრამ მეგის ამის გაგონებაც კი არ სურს. მეორე დილით კახა მეგის კარზე დალი ხაჩიძეს მიაყენებს: აქაოდა, ადვოკატის შეცვლა თავად ანდროს აქვს გადაწყვეტილიო. სიმართლის გასარკვევად, მეგი მაშინვე ანდროსთან მიდის...

ანდრომ შორიახლოს მდგარ ბადრაგს ერთი ალმაცერად გადახედა და მაგიდას უსიტყვოდ მიუჯდა.

— თუ შეიძლება, გარეთ დამელოდეთ! — სთხოვა ბადრაგს მეგიმ და თავადაც ჩამოჯდა.

— კი, მაგრამ... — გაპროტესტება სცადა ბადრაგმა, მაგრამ მეგიმ გააწყვეტინა:

— ძალიან გთხოვთ!.. მინდა, ჩემს კლიენტს მარტო დაველაპარაკო.

— გასაგებია, მაგრამ დარწმუნებული ხართ, რომ...

— დარწმუნებული ვარ... — ისევ გააწყვეტინა მეგიმ.

ბადრაგმა ოთახი უხალისოდ დატოვა, მაგრამ სანამ კარს ბოლომდე მიხურავდა, მეგის კიდევ ერთხელ მიუბრუნდა:

— აქვე ვიქნები... თუ კიდევ აურია, მაშინვე გამომიძახეთ, კარგი?

— კარგი... — მშვიდად უპასუხა მეგიმ.

ბადრაგის გასვლის შემდეგ, ოთახში ერთხანს უხერხული სიჩუმე ჩამოწვა. შემდეგ მეგიმ ერთი ნერვიულად ჩაახველა და ფრთხილად გახსნა პლასტიკატის საქაღალდე.

— მანდ ჩემი ავკაცობის ამბებს აგროვებთ?.. — გულგრილად დახედა დოკუმენტებს ანდრომ.

— პირადად მე, მხოლოდ თქვენი კაიკაცობის ამბების შეგროვებას ვისურვებდი, — თავაუღებლივ უპასუხა მეგიმ, — მაგრამ...

— მაგრამ სურვილი ერთია და რეალობა — მეორე, ხომ? — აზრის დასრულება აღარ აცალა ანდრომ და თან, გულმოდგინედ მოათვალიერა ოთახი: — ისე, ამ კედლებს ბევრად უფრო დიდი ავკაცობის თუ არაკაცობის ამბავიც მრავლად ემახსოვრება...

— თქვენს ადგილზე მე ჯერ საკუთარ პრობლემებს მივხედავდი... — როგორც იქნა, თავი ასწია და თვალი თვალში გაუყარა ანდროს მეგიმ.

— რა აზრი აქვს, თორემ კი... — სკამის საზურგეზე არხეინად გადაწვა ანდრო. — რადგან ვიღაცას ძალიან უნდა, რომ მკვლელი და არაკაცი გამომიყვანოს, ალბათ, გამომიყვანს კიდეც. ასე არ არის?

— ბატონო ანდრო! — ხმას აუწია მეგიმ. — არა მგონია, სახუმაროდ გქონდეთ საქმე! იცით, რომ ყველაფერი ბევრად უფრო რთულადაა, ვიდრე თქვენ ფიქრობთ?

— მართლა? — ისევ არხეინად იკითხა ანდრომ. — ბერლინის კედლის დანგრევასაც მე ხომ არ მაბრალებენ?

— რასაც გაბრალებენ, ისიც კმარა!.. — მაგიდაზე დადებული საქაღალდე ისევ დაკეცა გაღიზიანებულმა მეგიმ. — თუმცა, მე ეს ყველაფერი უკვე ძალზე ნაკლებად მაღელვებს!...

— მართლა? — უცბად მთელი ტანით წინ გადაიხარა ანდრო და მეგის თვალებში ჩახედა. — კი, მაგრამ რატომ?.. კლიენტის ბედის გამო აღელვება ადვოკატის ფუნქციებში არ შედის?.. თუ ახლა ამაში უკვე ცალკე ფული გვაქვს გადასახდელი?

— ფულის გადახდას რაც შეეხება... — წარბიც კი არ შეუხრია მეგის. — მაგ საკითხზე ლაპარაკი თქვენს ახალ ადვოკატთან მოგიწევთ...

— რომელ ადვოკატთან?

— რომელსაც თქვენი მეგობრები ალბათ, დღესვე დაგიქირავებენ. დღეს სწორედ ამის

სათქმელად მოვედი...

— მერე თქვენ რაღა გეშველებათ?..

— თქვენ იკითხეთ, თორემ, მე სწორედ ამის შემდეგ მეშველება... — დემონსტრაციულად წამოდგა ფეხზე მეგი.

— მოიცათ! — როგორც იქნა, დასერიოზულდა ანდრო და თავადაც წამოდგა. — თქვენ რა, ჩემს დაცვაზე მართლა უარს ამბობთ?..

— პირიქით — თქვენ, უფრო ზუსტად — თქვენი მეგობრები ამბობენ ჩემზე უარს.

— ვერ გავიგე!.. — შუბლი შეიკრა ანდრომ. — რომელი მეგობრები?

— მაგალითად, დალი ხაჩიძე, რომელიც ამ დილით იყო ჩემთან და მითხრა, რომ თქვენთვის ახალი ადვოკატის აყვანა აქვს გადაწყვეტილი. ადვოკატის გვარიც კი დამიკონკრეტა: ბესიკ ცივაძე... სხვათა შორის, ჩემზე ბევრად გამოცდილიცაა და კარგი რეპუტაციის პროფესიონალადაც ითვლება.

— კი, მაგრამ დალი ხაჩიძეს ჩემი ადვოკატის შეცვლას ვინ ჰკითხავს?!. — გაღიზიანდა ანდრო.

— არ ვიცი. ეგ საკითხი ალბათ, თქვენ და დალიმ ერთმანეთთან უნდა გაარკვიოთ... — წასასვლელად მოემზადა მეგი.

— სად მიდიხართ?! — მოულოდნელად ხელში ხელი სტაცა ანდრომ, რაზეც მეგი ისე შეხტა, თითქოს მხეცი წაეტანა:

— ახლავე გამიშვით... — ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა მან.

ანდრომ ქალს ხელი მაშინვე ცივად უშვა და განზე გადგა:

— მაპატიეთ!.. ნერვებს ვეღარ ვთოკავ... თუ შეიძლება, ცოტა ხანს კიდევ დარჩით და კარგად ამიხსენით ყველაფერი. დალის ჩემი ადვოკატის შეცვლა ისევ სულხანმა ურჩია თუ?..

— არა... — საყვედურნარევი ხმით უპასუხა მეგიმ. — ბატონი სულხანი დალის აღარ შეხმიანებია. მე იქით ვცადე მასთან დარეკვა, მაგრამ მეორე დღეა, მობილური გამორთული აქვს... ადვოკატის შეცვლა კი, დალიმ კახა სუთიძის რჩევით გადაწყვიტა.

— კახა სუთიძე ვინღაა? — გაუკვირდა ანდროს, თუმცა მაშინვე დასძინა: — ა-ა, გამახსენდა! იმ დღეს დალიმ რესტორანში რომ გამაცნო — ჩემი სტუდენტობის მეგობარიაო, — ხომ?

— დიახ, სწორედ ის არის, — დაუდასტურა მეგიმ.

— მაშინ გამოდის, რომ ის თქვენი მეგობარიცაა, ხომ?

— დიახ... — თავი დახარა მეგიმ. — ერთ დროს, მეგობარზე მეტიც იყო, მაგრამ ახლა ჩემთვის ამაზე უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამეა.

— მაინც, რა?

— რა და მისი მოულოდნელი გამოჩენა... კახა სუთიძე არ არის ის კაცი, ათი წლის დუმილის შემდეგ, ვინმეს შემთხვევით რომ შეეხმიანოს...

— იმის თქმა გინდათ, რომ სუთიძე რაღაცაზე დალის მოურიგდა?

— დალისთან დაკავშირებით ჯერ დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ჩემთან ნამდვილად მაგ მიზნით იყო მოსული. პირდაპირ მითხრა — თუ ანდრო სვანიძის საქმეს თავს დაანებებ, ჩემი მეგობრები დიდ ფულს გადაგიხდიანო... უარი რომ ვუთხარი, ჩემი შეშინება სცადა: წარმოდგენაც კი არა გაქვს, რა ძალას უპირისპირდებიო... დღეს დილით კი, დალი მომაყენა კარზე: ანდრო სვანიძე ადვოკატს იცვლისო...

— გასაგებია... — ბოღმიანად ჩაილაპარაკა ანდრომ და ორივე ხელით შუბლი მოისრისა. — გამოდის, რომ ვიღაც ძალიან დიდ ღლავს გადავუჭერი გზა, თორემ, მე ხომ რიგითზე რიგითი ბიზნესმენი ვარ... არც საქმე მაქვს ისეთი მიმზიდველი და არც შემოსავალი, ვინმე ამ დონეზე რომ დახარბებოდა... არადა, ფაქტია, დახარბდა და ყველაფერს ახვრულად „მახევს“. მაგრამ ვინ?.. რატომ?!. — უცბად მაგიდას მუშტი გამეტებით დაჰკრა მან.

მუშტის დაკვრა და ოთახში ბადრაგის შემოვარდნა ერთი იყო.

— ყველაფერი რიგზეა! — მაშინვე შეაგება მას მეგიმ.

ბადრაგი ოთახიდან თავის უკმაყოფილო ქნევით გავიდა.

— ამ კაცს აშკარად ხელები ექავება, ჩვენ კი, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „პრიჩინას“ არა და არ ვაძლევთ... — სევდიანად გაეღიმა ანდროს და ისევ მეგის მიუბრუნდა: — რაღაც მინდა, გთხოვოთ...

— თხოვნას გააჩნია... — თავი წინასწარ დაიზღვია მეგიმ.

— შეგიძლიათ, ჩემი საქმე სხვას არ გადასცეთ და სუთიძისა და მისი „პადელნიკების“ ხელში მარტო არ დამტოვოთ?..

— შემიძლია, — მშვიდად მიუგო მეგიმ, — თუ, რა თქმა უნდა, აცილებას თავად არ მომცემთ... ოღონდ, აქედანვე უნდა გაგაფრთხილოთ, რომ შეიძლება, საქმე პირწმინდად წავაგო...

— ვიცი... — ალერსიანად აათვალიერ-ჩაათვალიერა მეგი ანდრომ. — სამაგიეროდ, ჩემი გული უკვე მთლიანად მოიგეთ. და საერთოდ: არ გეჩვენებათ, რომ ჩვენ ერთმანეთს შემთხვევით არ შევხვედრივართ?..

— რატომ უნდა მეჩვენებოდეს?.. — ქვეტექსტი თითქოს ვერ ამოიკითხა მეგიმ. — ჩვენ ერთმანეთს შემთხვევით ნამდვილად არ შევხვედრივართ: ხომ არ დაგავიწყდათ, რეკომენდაცია ვინ გამიწია?.. ჰო, მართლა — ალბათ, ბატონი სულხანის სანახავად ბათუმში წასვლა მომიწევს...

— სულხანი რაღაში გჭირდებათ? — გაუკვირდა ანდროს.

— ბატონი სულხანიც ძალიან მჭირდება და ყველა ის ადამიანიც, ვისაც თქვენთან თუნდაც უმნიშვნელო საქმიანი ურთიერთობა აქვს... — თავადაც უმალ საქმიანი იერი მიიღო მეგიმ. — ისეთ გაუგებრობაში, როგორშიც თქვენ გაეხვიეთ ან შეიძლება, მართლა სხვებმა გაგხვიეს, ერთი შეხედვით სრულიად უმნიშვნელო დეტალსაც კი ბევრი რამის გარკვევაში შეუძლია დაგვეხმაროს...

— ბათუმში წასვლას როდის აპირებთ?

— ალბათ, ხვალ ან უკიდურეს შემთხვევაში — ზეგ...

— ჩემს მძღოლს დავურეკავ და ის წაგიყვანთ, — მექანიკურად ჯიბისკენ წაიღო ანდრომ ხელი, მაგრამ შუა გზაში, ნირწამხდარმა ჩაიქნია: — სულ დამავიწყდა, რომ მობილური ჩამომართვეს...

— ჩემით დარეკეთ! — ჩანთიდან საკუთარი მობილური ტელეფონი ამოიღო მეგიმ და ანდროს გაუწოდა.

— მერე ამის გამო უსიამოვნება არ შეგხვდებათ?

— როგორმე გადავიტან... — დააშვიდა მეგიმ. — თქვენ ის მითხარით, თქვენი მძღოლი სანდო კაცია?

— აქამდე ნამდვილად სანდო იყო, მაგრამ ახლა, მართალი გითხრათ, თავს ვეღარავისზე დავდებ... — ამოიოხრა ანდრომ და ნომრის აკრება დაიწყო.

— თუ რაღაც გეეჭვებათ, მაშინ ნუ დაურეკავთ, — შეაჩერა ის მეგიმ. — მარტოც არ დავიკარგები.

მძღოლმა ანდროს ზარს არ უპასუხა. ანდრომ კიდევ რამდენჯერმე აკრიბა ნომერი და ბოლოს, გაღიზიანებულმა წამოიძახა:

— ნეტავ, ეს კაცი მაინც სადღა ეშმაკებში დაეხეტება?..

— ისევ მძღოლს ურეკავთ? — დაინტერესდა მეგი.

— არა, ჩემს „გამბედნიერებელ“ შალვა ოშხერელს. იმ დღეს მცხეთაში ხომ მაგისი მორიგი სისულელის გამო აღმოვჩნდი...

— არ გეჩვენებათ, რომ ეგ „სისულელე“ საგანგებოდ იყო მოფიქრებულ-დაგეგმილი?..

— რა? — გაუკვირდა ანდროს. — მცხეთაში ჩასვლა?

— თუნდაც... თუმცა, არა მხოლოდ ეგ...

— მცხეთაში ჩასვლა ნამდვილად შალვას იდეა იყო, მაგრამ დანარჩენი გამორიცხულია შალვა მაგარი „ჩემფეხება“ ტიპი კია, მაგრამ ასეთ ახვრობას უბრალოდ, ვერ მოიფიქრებდა — არა აქვს, რა, მაგის ტვინი!..

— დალიმ მითხრა, რომ იმ დღეს, ძალიან გაბრაზებული იყავით შალვაზე. ვერ მეტყვით, კონკრეტულად რამ გაგაბრაზათ?

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის **უბის წიგნაკიდან:**

1. უოლტერ სკოტი კოჭლი იყო.
2. ბუდა 84 წლის ასაკში გარდაიცვალა.
3. პანამის ქუდი ეკვადორში გამოიგონეს.
4. ალონსო კეხადა დონ კიხოტის ნამდვილი სახელია.
5. ფრანც კაფკა და კარლ კაუცკი პრაღაში დაიბადნენ.
6. ალექსანდრე მაკედონელს არც ერთი ბრძოლა არ წაუგია.
7. ბენზოლის აგებულება გერმანელმა კეკულემ ძილში აღმოაჩინა.
8. ბაკურიანის სტადიონი ჩამქრალი ვულკანის კრატერშია აშენებული.
9. იქტინოსი და კალიკრატე ათენის აკროპოლის არქიტექტორები იყვნენ.
10. ბეთჰოვენის „აპასიონატა“ ლენინის უსაყვარლესი მუსიკალური ნაწარმოები იყო.

11. ადამიანი, რომელიც გარდაცვალების წელსვე წმინდანად შერაცხეს, დედა ტერეზა გახლდათ.
12. პეტერბურგის აკადემიის პირველი უცხოელი წევრი 1789 წელს ბენჯამინ ფრანკლინი გახდა.
13. „ზეაღმავალი შეიძლება შედგეს კიდეც, ქვედაქანებული კი — არასოდეს“, — ამბობდა ნაპოლეონი.
14. კატარში ქალების ყველაზე დიდი დეფიციტია. ამ ქვეყნის მოსახლეობის 67,2%-ს მამაკაცები შეადგენენ.
15. წრიული ფორმის ნული პირველად 1247 წელს ჩინელმა მათემატიკოსმა ცინ ცზიუშაომ გამოიყენა.
16. შექსპირის ყველაზე დიდი მოცულობის პიესა „ჰამლეტია“. იგი 4042 სტროფისა და 29551 სიტყვისგან შედგება.
17. ნიკარაგუის დედაქალაქ მანაგუაში დღემდე არ არსებობს ცენტრი. მის უმეტეს რაიონებში არც სახლებია დანომრილი და არც ქუჩებს აქვს სახელწოდებები.
18. „რუსთაველის შემდეგ, ჩვენ ასეთი ნიჭიერი პოეტი არ გვყოლია“, — ამბობდა ილია ჭავჭავაძე ვაჟა-ფშაველას შესახებ.
19. „ამ კაბაში ისე გამოვიყურები, როგორც პენსიაზე გასული ბარბი“, — ამბობს ბარბრა სტრეიზანდი ერთ-ერთ ფილმში.

— ვერა, ნამდვილად ვერ გეტყვით... — ამოიოხრა ანდრომ. — თანაც, ჩემს გაბრაზებას მომხდართან არანაირი კავშირი არა აქვს...

— შეიძლება, თქვენ გგონიათ, რომ არა აქვს, სინამდვილეში კი...

— რადგან გეუბნებით, ესე იგი, არა აქვს და მორჩა! — გაღიზიანდა ანდრო.

— კარგი, ბატონო, თუ არ გინდათ, ნუ მეტყვით, — მშვიდად უპასუხა მეგიმ. — მაგრამ ჩემთვის ეს საკითხი ჯერ ამოწურული არ არის. და საერთოდაც — თუ მართლა გინდათ, რომ ბოლომდე დაგეხმაროთ, მაშინ იმასაც შეეგუეთ, რომ ამ და ნებისმიერ სხვა საკითხსაც მრავალჯერ მივუბრუნდებით.

— რასაც გინდათ და რამდენჯერაც გინდათ, იმდენჯერ მიუბრუნდით, ოღონდ, შალვას მოეშვით, რა! მაგასთან საქმე პირადად მაქვს გასარკვევი...

— აი, ამას კი ვერაფრით შეგპირდებით, — არ დაუთმო მეგიმ. — ოშხერელს როგორ უნდა მოვეშვა, როცა დღესდღეობით თქვენს ბიზნესს ის განაგებს, თანაც, როგორც დალი ამბობს — სრულიად ერთპიროვნულადაც?..

— მერედა, რა არის ამაში გასაკვირი? შალვა ხომ მარტო ჩემი მეგობარი კი არა, ბიზნესპარტნიორიცაა...

— მართლა? — ნიშნის მოგებით ჰკითხა მეგიმ. — იცით, მაგ თქვენს ბიზნესპარტნიორს თქვენსავე ოფისში 2 დღის წინ, კახა სუთიძე რომ ჰყავდა სტუმრად?.. ასე რომ, რამდენჯერაც თქვენს ბიზნესთან დაკავშირებით რაიმე კითხვა გამიჩნდება, იმდენჯერ მოუწევს შალვა ოშხერელს პასუხის გაცემა. აბა, ყოველდღე თქვენთან ვინ შემომიშვებს?! ახლაც, თქვენი ბედი, რომ სულიკო ჟვანია ექიმებმა გამოკვლევაზე დააწვინეს, თორემ...

— მოიცათ! — გააწყვეტინა უცბად ანდრომ. — ვინ გითხრათ, რომ სუთიძე შალვასთან იყო?

— ვინ მეტყოდა?.. დალიმ. ისიც კი დაუნახავს, ზედ თქვენი კაბინეტის წინ ერთმანეთს პირზე კოცნით როგორ დაეშვიდობნენ...

— გასაგებია... — კბილებში ბოროტად გამოცრა ანდრომ და მობილურის ღილაკს თითი ისევ ნერვიულად დააჭირა.

ამჯერად ზარს სწრაფად უპასუხეს.

— გამარჯობა, შალვა! — ყურმილში ყრუ ხმით ჩასძახა ანდრომ. — მიცანი?.. საიდან და სანატორიუმიდან... აბა, რას მეკითხები? ციხეში ვზივარ და საიდან უნდა გირეკავდე?.. შენ ის მითხარი, სად დაეხეტები ან მობილური რატომ გქონდა წეღან გამორთული?.. გასაგებია... ახლა ის ამიხსენი, კახა სუთიძეს ჩვენთან რა უნდოდა?.. რა შენი საქმეა, ვინ მითხრა?!. რაც გკითხე, იმაზე მიპასუხე!.. როგორ თუ შემთხვევით?!. ბიჭო, შენ მართლა ხომ არაფერი გეშლება?!. — ხმას აუწია ანდრომ და მაშინვე მიწისფერი დაედო.

— ცუდად ხომ არ ხართ? — შეშფოთდა მეგი, რომელსაც მთელი ამ ხნის მანძილზე ანდროსთვის თვალი არ მოუცილებია.

— არა... — სახეზე ყველა ნაკვთი ნერვიულად აუთამაშდა ანდროს და ტელეფონის აპარატი მაგიდაზე ფრთხილად დადო. — გამითიშა მაგ... — სათქმელი აღარ დაასრულა მან.

— ახლაც არ გჯერათ, რომ შალვა ოშხერელს სინდისი მთლად სუფთა არა აქვს?.. — კვლავ ნიშნის მოგებით ჰკითხა მეგიმ. — ახლაც არ მომიყვებით, რატომ იყავით შალვაზე გაბრაზებული?

— არა... დღეს არა... — ყრუ ხმით ჩაილაპარაკა ანდრომ, შემდეგ ფეხზე წამოდგა და ხელები უკან წაიღო, ისე, როგორც მორჩილ პატიმარს შეეფერება... — დღეს მე ლაპარაკს საერთოდ აღარ ვაპირებ. დაუძახეთ ბადრაგს, წამიყვანოს...

საპყრობილეს გასცდა თუ არა, მეგის ჩანთაში მობილური ტელეფონი აწკრიალდა. მან სწრაფად გახსნა ჩანთა და აპარატი ამოიღო:

— გისმენთ...

— კარგია, რომ მისმენ, — გაისმა ყურმილში ქალის ჩახლეჩილი ხმა, — თორემ, ლამის უკვე დავიჯერე, რომ მოსმენის უნარი საერთოდ დაკარგე. აბა, ახლა კარგად დამიგდე ყური, გოგონი!..

— ჯერ ის მითხარით, ვის ველაპარაკები?

— სიკვდილს...

— ვი-ის? — ყურმილი ყურზე მიეყინა მეგის.

— რა იყო, ჭკუასთან ერთად ყურსაც დაგაკლდა?.. რადიო ხომ არ ვარ, ყველაფერი გაგიმეორო?! კარგად მომისმინე და დაიმახსოვრე, რასაც ახლა გეტყვი: თუ გაბედავ და სვანიძეს შენი მობილურით კიდევ სადმე დაარეკვინებ, თავი მხრებზე აღარ შეგრჩება, გასაგებია?..

— საკუთარ თავს მოუფრთხილდით! — უცბად ყურმილში ჩასძახა მეგიმ და სასწრაფოდ გათიშა აპარატი.

მაგრამ მალე ტელეფონი ისევ აწკრიალდა. მეგიმ ჩანთა გახსნა და აპარატი შიგ ჩაუძახა. ზარის ხმა უცბად შეწყდა, თუმცა, მალევე გამეორდა. საბოლოოდ გაცოფებულმა მეგიმ ტელეფონი ჩანთიდან ისევ ამოიღო და ყურმილში გამეტებით ჩაჰყვირა:

— გისმენ!.. მითხარი, კიდევ რა გინდა, შე ბრიყვო დედაკაცო!

— მეგი, მე ვარ... დალი ვარ... — მოისმა უცბად ყურმილში დალი ხაჩიძის ხმა.

— აჰ, დალი, შენ ხარ?.. — სული ძლივს მოითქვა მეგიმ. — მაპატიე, სხვა მეგონე... ისე ვარ გაცოფებული, რომ...

— ასე მაინც, ვინ გაგაცოფა? — დაინტერესდა დალი.

— შენ არ იცნობ... ერთი ნაგიჟარი ქალია. ადრე ჩემი კლიენტი იყო, მაგრამ საქმე წავაგე და მას შემდეგ, მოსვენებას აღარ მაძლევს... — თავადაც გაუკვირდა, ისე ოსტატურად იცრუა მეგიმ.

— ანდრო თუ ნახე? — რატომღაც სასწრაფოდ შეცვალა საუბრის თემა დალიმ.

— კი, ახლა სწორედ იქიდან მოვდივარ. შენ როდის აპირებ მის ნახვას?

— ალბათ, საღამოს, მაგრამ აზრი აღარ აქვს... ამოიოხრა დალიმ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ კახას ნაქებმა ადვოკატმა ანდროს დაცვაზე მოულოდნელად ცივი უარი მტკიცა.

— მართლა?.. — კმაყოფილება ვერ დაფარა მეგიმ. — მიზეზი არ უთქვამს?

— კი. რაღაც გადაუდებელი საქმეები მოიმიზეზა... მაგრამ კახამ თქვა, აშკარად ვიღაცამ დააფრთხოო...

— აბა, ახლა რაღა გეშველებათ? ანდროს ვინ დაიცავს?

— როგორ თუ ვინ?.. — შეიცხადა დალიმ. — შენ აგერ არა ხარ?! არ მითხრა ახლა, მეც უარს ვამბობ, თორემ, გულიც გამისკდება!

— რატომ — მე? უარი შენ და კახამ არ მითხარით?!. თანაც, უკვე ანდროსაც ყველაფერზე შევუთანხმდი...

— მეგი, გეხვეწები!.. — ნერვიულობისგან ხმა ჩაუწყდა დალის.

— ჰო, კარგი, დაწყნარდი... — შეეცოდა მეგის ყოფილი მეგობარი. — ყველაფერი რიგზეა!

— მადლობა ღმერთს! — შვებით ამოისუნთქა დალიმ და შემდეგ დასძინა: — სხვათა შორის, იცი, კახამ შენზე რა თქვა?

— მაინც, რა?

— რა და — სულ ტყუილად ავურ-დავურიეთ ყველაფერი, მეგიზე უკეთესად ანდროს მაინც ვერავინ დაიცავდაო. აბა!..

— ნუ, რაკი კახამ თქვა, წყალი არ გაუვა!.. — სიცილი ვეღარ შეიკავა მეგიმ. — თავად სად ბრძანდება?

— ვინ? კახა?.. კაცმა არ იცის... შეიძლება, სულაც შენს მოსატაცებლადაა წამოსული... — მხიარულად გადაიკისკისა დალიმ.

უცბად მეგიმ ცარიელ ტაქსის მოჰკრა თვალი, დალის სასწრაფოდ დაემშვიდობა და ენერგიულად დაუქნია ხელი, მაგრამ მანქანამ შხუილით ჩაუქროლა. მეგიმ გაოცებით გააყოლა თვალი და ის იყო, პირი ისევ მისკენ მომავალი ტრანსპორტისკენ იბრუნა, რომ მინებ-ჩამუქებულმა პრიალა მანქანამ ზედ მის ფეხებთან დაამუხრუჭა. დამფრთხალი მეგი განზე გახტა, მანქანის კარი კი ხმაურით გაიღო და იქიდან მოღიმარი კახა სუთიძე „ამოიზარდა“:

— ძალიან შეგაშინე?.. — უცნაურად ანთებული თვალები შეანათა მან მეგის.

— საკმაოდ, — ცივად უპასუხა მეგიმ.

— ბოდიშს გიხდი... — მაშინვე „ჩაქრა“ კახა. — ვეცდები, ეს უნებლიე შეცდომა სასწრაფოდ გამოვასწორო...

— საინტერესოა, როგორ?.. — ცალყბად ჰკითხა მეგიმ.

— როგორ და ჯერ რესტორანში დაგპატიჟებ, მოგვიანებით კი, სახლშიც მიგაბრძანებ და...

— სამწუხაროდ, არც ერთი შენი წინადადება არ მხიბლავს... — გააწყვეტინა მეგიმ.

— მაშინ შენ თვითონ მითხარი, რას ისურვებდი, სად წაგიყვანო? — ბოლომდე უკან მაინც არ დაიხია კახამ.

— სად და... ბათუმში.

— ბათუმში? — შეცბა კახა.

— ჰო, ბათუმში და თანაც — ახლავე! — დაუკონკრეტა მეგიმ.

— ხვალისთვის რომ გადავდოთ, არ შეიძლება? — მაინც გაიბრძოლა კახამ.

— ხვალისთვის ანდრო სვანიძის მძღოლი მყავს შეთანხმებული. ასე რომ, გადაწყვიტე... — გამომწვევად აათვალიერ-ჩაათვალიერა მეგიმ კახა.

— კარგი, დავჯექი! — მანქანის კარი ფართოდ გამოაღო კახამ. — ჯანიც გავარდეს! ღღესვე წავიდეთ და გზაში ახალგაზრდობაც გავიხსენოთ!..

— შენი არ ვიცი, მაგრამ პირადად მე, ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდად ვგრძნობ თავს... — იდუმალი ღიმილი შეანათა მან კახას და მის გვერდით მოკალათდა.

გაგრძელება იქნება

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიზა დვალის

უბის წიგნაკიდან:

20. ნოტების სახელები — დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი — XI საუკუნეში მღვდელმა გვიდო დარეცომ შემოიტანა. სახელებს იოანე ნათლისმცემლისადმი ლოცვა დაედო საფუძვლად. ნოტების სახელწოდებებად ლოცვის ცალკეულ სტრიქონთა პირველი მარცვლები იყო აღებული.

21. შუა საუკუნეების ევროპაში დიდებულები თავიანთ შვილებს მრავალ სახელს არქმევდნენ. სახელების რაოდენობა დამოკიდებული იყო ადამიანის ადგილზე საზოგადოებაში, თანაც ითვლებოდა, რომ რამდენი სახელიც ერქვა ადამიანს, იმდენი მფარველი წმინდანი ჰყავდა ზეცაში.

22. მუშაობით დაღლილი აინშტაინი მეუღლემ დაიყოლია, რომ დასასვენებლად გამგზავრებულიყო და ადგილის შერჩევა თავად მას მიანდო. აინშტაინმა ბევრი ფიქრის შემდეგ, საამისოდ საკუთარი ლაბორატორია აირჩია.

23. კართაგენის არმიაში იყენენ ჯარისკაცები, რომელთა ეკიპირებაშიც შედიოდა მძიმე ჩაქუჩი და საშუალო ზომის რკინის სარი. ამ იარაღების დახმარებით კართაგენელი ჯარისკაცები სპილოებს მართავდნენ.

24. კეიპტაუნელმა (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) რეჟისორმა დონალდ ჰოვარტმა 1972 წელს შექსპირის პიესა „ოტელო“ გადაწერა. ახალ ვერსიაში გაქრა ტრაგედიის მთავარი გმირი, მის ადგილზე კი ერთბაშად სამი პერსონაჟი გაჩნდა, თუმცა სახელწოდება უცვლელი დარჩა. საქმე ის გახლავთ, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში არ შეიძლებოდა სცენაზე ზანგის გამოყვანა და მავრის პერსონაჟი ამიტომაც იქნა პიესიდან ამოღებული.

25. ამ გამოცანას ინტერნეტში წავაწყდი: გზის გასაყარზე ორი გნომი დგას; ერთი ყოველთვის მართალს ამბობს, მეორე — ყოველთვის ტყუის, ოღონდ თქვენ არ იცით, რომელი რომელია; სწორი გზის ასარჩევად, შეგიძლიათ, მხოლოდ ერთ გნომს მხოლოდ ერთი შეკითხვა დაუსვათ. P.S. ამ გამოცანის პასუხს ჟურნალის შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ. ■

ბოლო წლებში, ცნობილი საოპერო მომღერალი ალეკო ხომერიკი არაერთხელ დამდგარა სერიოზული პრობლემის წინაშე. ჯერ იყო და, მაია თომაძესა და ჯემალ მდივანთან ერთად თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი დატოვა. მალე ბათუმის საოპერო თეატრი ჩამოაყალიბა, მისი სამხატვრო ხელმძღვანელიც გახდა და იქ დადგმული სპექტაკლების წარმატებით მოგვრილი სიხარულიც იგემა. მაგრამ საბავშვო საოპერო თეატრის ჩამოყალიბებამ და თეატრში წარმოქმნილმა ინტრიგებმა დასი დაშალა და შემოქმედი კვლავ თბილისში დაბრუნდა... ეს 3 წლის წინ მოხდა, მაგრამ ალეკო ხომერიკი დღემდე უმუშევარია...

„ვრცხვენოდეთ“ ჯაცის

მოსკოვური თავგადასავალი და ესპანური ჭორები

ნუცა თოფჩიშვილი

— ბატონო ალეკო, მოდით, ჯერ თბილისის ოპერის თეატრიდან თქვენი წასვლის მიზეზზე ვისაუბროთ.

— თბილისის საოპერო თეატრის მაშინდელ სამხატვრო ხელმძღვანელთან ჯანო კახიძესთან მქონდა უთანხმება. თეატრის მაშინდელმა რეპერტუარმა გმირული სულისა და წამყვანი ვარსკვლავების დაკნინება განაპირობა. დავწერე განცხადება წასვლაზე. მსახიობთა სახლში გამართულ შეკრებაზე, რომელიც სავსე იყო გამოჩენილი თეატრალური მოღვაწეებით, განვაცხადე: მე წავალ და ნახავთ, რა დიდ საქმეს გავაკეთებ-მეთქი. მართლაც, ცოტა ხანში, ბათუმში წავედი...

— ბათუმში თავად ასლან აბაშიძემ მიგიწვიათ?

— თავად ასლანმა. ყველა ჩვენგანის ოცნება იყო ბათუმში საოპერო თეატრის გაკეთება. ნულიდან დავიწყეთ და გენიალური თეატრი შევქმენით. ჩვენმა თეატრმა ორჯერ აიღო რუსთაველის პრემია — „აბესალომ და ეთერისთვის“ და რევაზ ლაღიძის „ლელასთვის“! დავდგით „აიდა“, „ოტელო“ და ორი ბალეტი. ჩემს გამზრდელ, თბილისის ოპერის თეატრს რუსთაველის პრემია ჯერ არ აუღია...

— თქვენი შექმნილი, ბათუმის თეატრი რატომლა დატოვეთ?

— დიდი წარმატება ჰქონდა და ხომ იცით „ქართული წესი“?.. ყველამ ამ თეატრის დაშლა მოინდომა. უამრავ რაღაცას ისე აკეთებდნენ, რომ მე, სამხატვრო ხელმძღვანელსა და თეატრის სულისჩამდგმელს არაფერს მეკითხებოდნენ. მერე თეატრი გაიხლიჩა, მის ბაზაზე კაპელა და სიმფონიური ორკესტრი ჩამოყალიბდა. ასლანს მოუნდა ორივე. ასე დაიყო სამ ნაწილად, თავ-თავისი ბიუჯეტით და ცალ-ცალკე ხელმძღვანელით. ამ პირობებში მე ვინ დამიჯერებდა?.. ჰოდა, დაიწყო ინტრიგები. მე გავჯიუტდი და წასვლაზე უარი ვთქვი, თეატრის დაშლა რომ არ დამბრალებოდა. მაგრამ 2000 წელს, დიდი სისულელე — ბავშვების ოპერა მოიგონა ბატონმა ასლანმა. მსოფლიოში ამის ანალოგი არ არსებობს, — ამბობდა და ის არ უკითხავს, თუ რატომ არ არსებობს. არ შეიძლებოდა ამის გაკეთება!.. ამის თაობაზე მე და ბატონი ასლანი წავკამათდით. მიუხედავად იმისა, რომ თეატრისთვის ბევრი კარგი საქმე ჰქონდა გაკეთებული, ერთი ხელის მოსმით ყველაფერი წყალში ჩაყარა და გამომიშვა თეატრიდან.

— ასლან აბაშიძის გვერდზე რამდენიმე წელი მოგიწიათ მუშაობამ. რას იტყვით მასზე?

— როგორც კი რაიმე მოუნდებოდა, მეორე დღესვე აკეთებდა, მაგრამ ყველაფერი მალე ჰბეზრდებოდა, სულ ახალ-ახალი უნდოდა. სულ პირველობა სურდა, მსოფლიოში პირველობა!.. მსოფლიოში პირველი როგორ იქნებოდა?.. კორტები გააკეთა ბათუმში და — მსოფლიოში ანალოგი არა აქვსო, — ამბობდა. უცხოელები ჩამოვიდნენ და სიცილით ამბობდნენ: ავსტრალიაში ყველა ტრაქტორისტს ასეთი კორტები საკუთარ ეზოში აქვსო!.. ერთადერთი კაცი ვიყავი, ვინც პირში ეუბნებოდა სიმართლეს და მისმა გარემოცვამ მომიშორა...

— ბათუმიდან თბილისში დაბრუნებულს, ოპერის თეატრში ისევ პრობლემები დაგხვდათ?

— თბილისში დაბრუნებულს შევარდნაძე ოპერის თეატრში დაბრუნებას დამპირდა. სახალხო არტისტებმა, კომპოზიტორებმა მის სახელზე განცხადება დაწერეს: ოპერაში ხომერიკი გვჭირდება, როგორც გმირული რეპერტუარის შემსრულებელიო. შევარდნაძემ მოაწერა ხელი და მაშინდელ კულტურის მინისტრს სესილი გოგიბერიძეს გადაუგზავნა. სესილი გოგიბერიძემ თამაზ მელივა *(მაშინდელი მთავარი რეჟისორი. — ავტ.)* დაიბარა და გადასცა საბუთი შევარდნაძის ხელმოწერით. მელივამ კატეგორიული უარი განაცხადა: როგორც კი ხომერიკი თეატრში შემოვა, მე აქედან წავალო. მესმის მისი — ლიდერი შევდიოდი თეატრში და არ შემიშვა!.. შევარდნაძეც გაჩერდა... ინფარქტი დამმართეს, მაგრამ ღმერთმა გადამარჩინა...

— ბატონო ალეკო, თქვენი შემოქმედებითი გზა ხომ ესტრადით დაიწყო. როგორ გაიხსენებთ იმ წლებს და რას იტყვით დღევანდელ ესტრადაზე?

— ბათუმში იყო ასეთი ანსამბლი — „ადილა“, რომელმაც საბჭოთა კავშირის დროს, ფესტივალზე — „ახალგაზრდული ხმები“ — პირველი ადგილი დაიკავა. მერე ჩვენი ანსამბლის სამი წევრი ოპერაში ვმღეროდით. მერე „ივერიაში“ ვიყავი ერთი წელი. 1975 წელს, კონსერვატორიაში ჩავაბარე და ესტრადას თავი დავანებე. ახლანდელ ესტრადაზე კი, 3-4 კაცის გარდა, არავის მოსმენა არ შეიძლება. რა მოიგონეს ეს ფონოგრამა, რა უბედურებაა?! იმღერონ, თუ ვაჟკაცები არიან, პლუსის გარეშე და ვნახავთ, მათგან ვინ დარჩება...

— თქვენი საოპერო კარიერა როგორ დაიწყო?

— გიორგი გოგიჩაძესთან ერთად დავიწყე სიმღერა. მერე იყო გენიალური პიანისტი ტატიანა დუნენკო, რომლის გვერდით 17 წელი გავატარე. გივი აზმაიფარაშვილმა თბილისის ოპერის თეატრში მიმიყვანა და მისგან დიდი ცოდნა შევიძინე. მოსკოვში სტაჟირებაზე კონ-

მას შემდეგ, ბევრი გასტროლი მქონდა, მსოფლიოს ბევრ დედაქალაქში სეზონი გამიხსნია: სტოკჰოლმი, გერმანია, ესპანეთი... (მაია თომაძესთან ერთად)

ცერტმაისტერ მოგილევსკაიასთან ვმოღვაწეობდი, 1981-82 წლებში, „ლა სკალაში“ უდიდეს პედაგოგთან ჯულიეტა სიმიონადოსთან ვსწავლობდი. ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსზე პაატა ბურჭულაძე და მე ლაურეატები გავხდით. მას შემდეგ, ბევრი გასტროლი მქონდა, მსოფლიოს ბევრ დედაქალაქში სეზონი გამიხსნია: სტოკჰოლმი, გერმანია, ესპანეთი... ბევრი მიმღერია, მაგრამ საგასტროლო კაცი არ ვიყავი, ქეიფი მიყვარდა, ქალები და დროს ტარება. ორივე ერთად არ გამოდიოდა...

— ყველაზე სასიხარულო და საამაყო რა იყო თქვენს ცხოვრებაში დღემდე?

— ყველაზე სასიხარულო, სტუდენტობისას, ლენინური სტიპენდიანტობა იყო. ერთ წელიწადში შვიდი პარტია ვიმღერე. ფულიანი კაცი ვიყავი. მართალია, სტუდქალაქში ვცხოვრობდი, მაგრამ სულ ტაქსით დავდიოდი. შეუსაბამობა მიყვარს... კიდევ განსაკუთრებით მეამყება, რომ ერთადერთი ქართული ოპერა, რომელიც საზღვარგარეთ ვიმღერე, ლაღიძის „ლელა“ იყო. არ დამავიწყდება აპლოდისმენტები, რომლითაც ჩეხოსლოვაკიის ქალაქ კოშიცეს თეატრში დაგვაჯილდოეს. დავბერდი კაცი ხელოვნებაში და იმის მსგავსი, რაც მაშინ დარბაზში ხდებოდა, არსად მინახავს. მთელი დარბაზი ფეხზე დამდგარი ყვიროდა „მელოდია ლაღიძე, მელოდია ლაღიძე!“ „ლელაში“ ბერდიას პარტიას ვასრულებდი. იცით, ეს პარტია როგორ ამიხსნა რეზომ?.. კლდეს დიდი ნატეხი რომ მოსწყდება და ეს ნატეხი დიდი ძალით დაგორდება ფერდობზე, მიაქვს და ხვეტავს ყველაფერსო; ბერდიას პარტიაც ასეთია, ასე დავწერეო... ჩემი საყვარელი პარტიაა... და კიდევ, ძალიან სასიხარულო იყო, ცოლი რომ მოვიყვანე.

— ჰოდა, თქვენს ოჯახსა და მეუღლეზე, მარინა დარჯანიაზე მოგვიყევით.

— ვიცოდი, ვინც მომყავდა ცოლად. ბევრი გულშემატკივარი გვყავდა. ბიჭო, სად გაქვს თვალებიო?.. — მეუბნებოდნენ. მაშინ უკვე ყველაფერი მქონდა: სახლი, მანქანა, ხელფასი, დამსახურებული არტისტი ვიყავი... არ ავჩქარებულვარ. გეგმაზომიერად მოხდა ყველაფერი... ამას პირველად ვამბობ, არც ერთ ინტერვიუში არ მითქვამს. საერთოდ, ოჯახის კაცი ვარ. ორი ძალიან კარგი გოგო მყავს. ბედნიერი კაცი ვარ.

— ახლა თქვენ შემოქმედებითი ცხოვრებიდან რაიმე მხიარული ამბავიც გაიხსენეთ...

— მე და ჯემალ მდივანი გასტროლებზე ვართ მოსკოვში. დღეში 5-6 კონცერტი გვაქვს. დავდივართ და ვმღერით, ხან სად და ხან — სად. მოკლედ, ფულს ვაკეთებთ. დუეტი გვაქვს შესანიშნავი. მოვდივართ ერთხელ ქუჩაში და ვხედავთ, ჩვენი აფიშაა გაკრული. წერია Гастроли заслуженных артистов Грузии Джемала Мдивани и Алеко Холерики. ჯემალი გაგორდა მიწაზე, იქნევს ფეხებს და სიცილისგან გაგუდული ხმით მეუბნება — ე, ბიჭო, აქანეც გაიგეს, „ხოლერა“ რომ ხარო... რა თქმა უნდა, ეცა აფიშას ჩამოსახევად. ამ დროს მოგვადგა მილიცია და გვეკითხება — რას აკეთებთო? მე სიცილით ვეუბნები: Он вор, ворует афишу. დაიჭირეს ჯემალი. წავყევი მილიციაში — ხომ უნდა გამოვაშვებინო!.. ვუხსნით, რომ ეს ჩვენი აფიშებია, ამოვიღეთ პასპორტები... როგორც იქნა, დავარწმუნეთ, და ავუხსნით, რაშიც იყო საქმე. აგვყვა მილიცია: Давайте, ребята, соскоблим афишу. მართლაც, ჩამოგვახევინეს აფიშა და წამოიღო თბილისში გახარებულმა ჯემალმა. მერე ყველას უჩვენებდა...

— კომუნისტების დროს, ხშირად დადიოდით გასტროლებზე საზღვარგარეთ. ვინც ახლოს გიცნობთ, კარგად იცის, რომ არსად დამრჩენი კაცი არ ხართ, მაგრამ „კაგებემ“ ეს ხომ არ იცოდა?! მასთან რაიმე პრობლემები ხომ არ გქონიათ?

— იტალიაში სტაჟირებაზე რომ ვიყავი წასული, იქ შემომთავაზეს დარჩენა. გერმანელები ჩამოვიდნენ და ჩემი ყიდვა უნდოდათ. 1981 წელი იყო. ყველაფერს გაგიკეთებთ, აქედან წაყვანას ჩვენს თავზე ვიღებთ და დარჩითო. ყველაფერი მითხრეს — სად უნდა მივსულიყავი და სად დამელოდებოდნენ... ჩემ მაგივრად, ერთი რუსი მომღერალი დარჩა, მე არც მიფიქრია ამაზე... ესპანეთში ვართ გასტროლებზე. ვიღაცამ ჭორი დამიყარა — ლექსო თორაძემ ჩამოაკითხა, ერთად უნდათ „გაქცევაო“. ჩვენს ჯგუფში ვინ იყო „კაგებედან“, ეს ყველამ ვიცოდით. რაღაც წავეხუმრე ერთხელ. გაეცინა და მითხრა — ვიცით, არსად გამქცევი რომ არ ხარო. სხვათა შორის, ესპანეთში ნამდვილი ტრიუმფი მქონდა. ქალაქ გრანადაში კონცერტზე შევასრულე ცნობილი სიმღერა — „გრანადა“, რომელიც ორჯერ გამამეორებინეს. ხალხი ფეხზე ამდგარი მიკრავდა ტაშს. კონცერტიდან ხელში აყვანილი გამიყვანეს. პრესაში დაიწერა — ყველა საოპერო ტენორს უმღერია „გრანადა“, მაგრამ ხომერიკის შესრულება გამორჩეული და სხვანაირი ტემპერამენტის მქონე იყოო. ამ წარმატებაზე თბილისში არც ერთ კაცს არ დასცდენია სიტყვა, თენგიზ სუხიშვილის გარდა, თუმცა, 120 კაცი ვიყავით ქართველები იქ საქართველოს კულტურის დღეებზე წასული...

— ახლა რას საქმიანობთ, რითი ხართ დაკავებული?

— თუ ზაზა აზმაიფარაშვილი იქნება თეატრში, მივალ, თუ არა და იქ არაფერი მესაქმება... ბათუმში შემომთავაზეს დაბრუნება, დასმა მოითხოვა. ვიყავი ჩასული, გაანგარიშებებიც გავაკეთე. ვნახოთ, თუ ჩემი გათვლები გამართლდა, ბათუმში დავბრუნდები.

■

ესპანეთში ვართ გასტროლებზე. ვიღაცამ ჭორი დამიყარა — ლექსო თორაძემ ჩამოაკითხა, ერთად უნდათ „გაქცევაო“...



უფრო მეტად მარეხად („ძილის წინ“) ცნობილი მსახიობი — მარიანა ნინიაშვილი მეორე წელია, ზაფხულს თბილისში ატარებს. თუმცა, იმედს არ კარგავს, რომ გამონახავს დროს და ორიოდე კვირით მაინც მეგობრებთან ერთად ბათუმში წავა. მაგრამ თუ შემოქმედებითი საქმიანობის გამო ქალაქის დატოვება ვერ შეძლო, არც ამისგან შექმნის ტრაგედიას... მარიანას თურმე, კომფორტული დასვენება უყვარს, მეგობრებთან ერთად. მისი საყვარელი ადგილია ზღვის სანაპირო. ოცნებობს ეგვიპტესა და ესპანეთში წასვლაზე.

არასპორტულ მარიანას მთაში ხეტიალს, კომფორტი ურჩევნია

ეკა მინდაძე

— წინასწარ დაგეგმილი არა მაქვს, თუ სად და როგორ დავისვენებ ამ ზაფხულს. შესაძლებლობა რომ მქონდეს, რა თქმა უნდა, მსოფლიოს რომელიმე საუკეთესო კურორტს ავირჩევდი. ძალიან მინდა ესპანეთისა და ეგვიპტის ნახვა. მართალია, იქაც სიცხე იქნება, მაგრამ საინტერესო დასვენებასთან ერთად, ეგზოტიკურ მხარეებსაც ვნახავდი. დიდი სიამოვნებით წავიდოდი მეგობრებთან ერთად რომელიმე კუნძულზე.

— უცხოეთში თუ დაგისვენია?

— არასოდეს.

— ამ ზაფხულს ძირითადად, თბილისში ატარებ?

— ალბათ, ვინაიდან ჩემს შემოქმედებაში პატარ-პატარა სიახლეებია, ასე რომ, თბილისში ყოფნა მომიწევს. მაგრამ იმედი მაქვს, რომ ორი კვირით მაინც მოვახერხებ ჩემს მეგობრებთან ერთად ბათუმში წასვლას.

— ცურვა იცი?

— არა, მხოლოდ ნაპირის სიახლოვეს ვცურავ, სიღრმეში ვერ შევდივარ: როგორც კი ფეხქვეშ მიწას ვერ ვიგრძნობ, ისტერიკაში ვვარდები.

— შარშან სად ისვენებდი?

— შარშან არსად არ ვყოფილვარ, რადგანაც მთელი ზაფხული გადაღებები მქონდა. ჩემი დასვენება მეგობრებთან აგარაკზე გასვლით შემოიფარგლა. დავდიოდით წყნეთში, კოჯორსა და მცხეთაში.

— ბავშვობაში სად და როგორ ისვენებდი?

— ჩემი ბავშვობა, დღევანდელისაგან განსხვავებით, ძალიან ბედნიერი იყო, იმიტომ, რომ ყოველ ზაფხულს, ორი კვირა აფხაზეთში ვისვენებდი. აქედან გამომდინარე, ჩემი ყველაზე ლამაზი წლები დაკავშირებულია ბიჭვინთასა და გაგრასთან. იმედი მაქვს, რომ ჩვენ სულ მალე კვლავ წავალთ დასასვენებლად აფხაზეთში.

— პიონერთა ბანაკში თუ ყოფილხარ?

— არა, რას ლაპარაკობ?.. გვერდით ეზოში არ მიშვებდნენ მარტოს და ბანაკში ვინ გამიშვებდა?!

— საკურორტო რომანი არ გქონია?

— კი, როგორ არა?! ბავშვობაში თითქმის ყოველ წელიწადს, ახალ-ახალ თაყვანისმცემლებს ვიძენდი. ისინი ყვავილებსაც მიგზავნიდნენ და კართან ზღვის ნიჟარებსაც მიტოვებდნენ... სხვათა შორის, ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა ფანჯარასთან მიმღერა კიდეც.

— სოფელი თუ გაქვს?

— სამწუხაროდ, არა. ისე, ძალიან მინდა, რომ ქალაქგარეთ, ბუნებაში სახლი მქონდეს, სადაც მეგობრებთან ერთად დავისვენებდი.

— შენთვის იდეალური დასვენება რა არის?

— ჩემთვის იდეალური დასვენება შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც კომფორტია...

— ეი. მთაში დასვენება არ გიყვარს, ხომ?

— მთაში ზამთარში მიყვარს წასვლა, ოღონდ — კომფორტულ სასტუმროში.

— აბა, შენ არც ლაშქრობაში მონაწილეობა გეყვარება...

— ლაშქრობაში სიარული არ შემიძლია. ვერ ვისვენებ იქ, სადაც კომფორტი არ არის. მართალია, ლაშქრობას არაჩვეულებრივი, განუმეორებელი ხიბლი აქვს, მაგრამ ჩემი ფიზიოლოგია უკომფორტობას ვერ იტანს.

— პიკნიკები თუ გიყვარს?

— არა. „ბუნების შვილი“ ნაკლებად ვარ. მიყვარს კომფორტულ ადგილებში სიარული.

— თბილისში, მოცალეობისას როგორ ისვენებ?

— გააჩნია, რა ხასიათზე ვარ. ისე, ყველაზე კარგად თეატრში ვისვენებ, როცა კარგ სპექტაკლს ვნახულობ. კინოში სიარულიც მიყვარს. საერთოდ, მრავალფეროვნება მიყვარს, ერთი და იმავეს ჩაჭიდებული არა ვარ. თუ კარგ განწყობაზე ვარ, რესტორანსა და ბარშიც დიდი სიამოვნებით დავდივარ.

— დილაობით არ ვარჯიშობ?

— არა, საშინლად ზარმაცი და არასპორტული ვარ... ■

როგორ დაეჭვორდეთ გულის სწორს ისე, რომ ცოლი არ მივაყენოთ?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შოუბიზნესის წარმომადგენელ მამაკაცებს ძალზე გაუჭირდათ, ზოგმა საქმეები მოიმიზეზა, ზოგიც პირდაპირ გამოგვიტყდა, რომ ეს არცთუ ისეთი მარტივი კითხვაა და მასზე პასუხის გასაცემად დაფიქრება ესაჭიროება... სამაგიეროდ, სუსტი სქესის წარმომადგენლები დაუფიქრებლად და დიდი ენთუზიაზმით იძლევიან რჩევებს.

სოფო ყარალაშვილი

ლიზა ბაგრატიონი:

— თუ კაცს უყვარხარ, გული მაინც ეტკინება, მაგრამ დაშორების შემდეგ, მისთვის კვლავ სასურველ და სასიამოვნო ქალად რომ დარჩე, ამისთვის საჭიროა, აუხსნა, რომ ის შენთვის მაინც ბევრს ნიშნავს. უნდა უთხრა სიმართლე, უკეთესი მომავლის იმედი მისცე, ყველაფრისთვის მადლობა გადაუხადო და წამოხვიდე.

ეკა მანიუაშვილი:

— კაცი უნდა აკრიტიკო ყოველ წამს, როგორც კი ამის საშუალება მოგეცემა, მაგალითად: „ეს რა გაცვია?!", „გამაღიზიანებლად ჭამ!" და ა.შ. სადმე რომ წავა, საათში ერთხელ უნდა დაურეკო და ჰკითხო: „ფისო, სად ხარ? ვისთან ერთად? რას აკეთებ?.." როგორც კი ამის საშუალება მოგეცემა, დედა უნდა გაულანძღო — ამაზე ძალიან გაბრაზდება. საზოგადოების თავშეყრის ადგილებში სკანდალები უნდა მოუწყო, ტირილი უნდა დაიწყო: „არ გიყვარვარ! რატომ არ აღიარებ, რომ ყველაზე ლამაზი ვარ?.." და ა.შ. საკუთარი თავიც ხშირად უნდა დააყვედრო, მაგალითად: „ღმერთს მადლობა შესწირე, რომ ქუჩაში შენ გვერდით დავდივარ", „მე შენგან უფრო მეტს ვიმსახურებ"... აუცილებლად წავა!

სალი („მაესტრო"):

— უმიზეზოდ უნდა ეჩხუბო ყოველდღე, შენიშვნებით აიკლო, არასოდეს არ უნდა დაალაგო სახლი, უგემური კერძები უნდა მოუმზადო ან საერთოდ არ მოუმზადო. სრულებით არ უნდა მიაქციო ყურადღება მას და ამავე დროს, გაეპრანჭო ყველას, მის გარდა. მოჰბეზრდება და თვითონ დაგშორდება.

ძეთა თოფურია:

— ყველა შენი ნაკლი უნდა გამოამჟღავნო, თავი უნდა შეაძულო, ყველანაირად უნდა ეცადო, რომ თვითონ დაგშორდეს და მერე გული აღარ დასწყდება...

თემურ რცხილაძე:

— ალბათ, სხვა მანდილოსანთან ერთად უნდა დაგინახოს: მიხვდება, რომ სხვა გყავს და უბრალოდ, ვერ ეუბნები ამას. მაგრამ თუ არ გინდა, გული ატკინო, მაშინ მივლინებაში უნდა წახვიდე, რომ დაგივიწყოს.

ზალიკო ბერგერი:

— მამაკაცმა ქალი უნდა დაადანაშაულოს ღალატში ან სულაც, პირდაპირ უთხრას, რომ სხვა შეუყვარდა... არა, ასე ქალს მაინც დასწყდება გული... მოკლედ, მამაკაცი ან საერთოდ უნდა წავიდეს ქვეყნიდან, რომ ქალმა ვერ ნახოს და დაივიწყოს, ან უნდა უთხრას, რომ გაკოტრდა და მისი რჩენა აღარ შეუძლია.

ზურაბ ვადაჭკორია:

— მამაკაცმა ჯერ თავისთვის უნდა გაარკვიოს, რატომ უნდა გულის სწორთან დაშორება, მერე, ყოველგვარი ტყუილის გარეშე, უნდა აუხსნას ქალს ამის მიზეზი. ასე ქალს ნაკლებად ეტკინება გული. საერთოდ, თუ კაცს ჭკუა აქვს, მოახერხებს იმას, რომ ქალი თვითონ მივიდეს ამ გადაწყვეტილებამდე.

ბაკურ გურდული:

— ქალს თუ უყვარხარ, როგორც არ უნდა დაშორდე, მაინც ეტკინება გული. მე, მაგალითად, ვეტყვი, რომ მასთან უბრალოდ, მეგობრობა მინდა.

გია ჯაჯანიძე, *ფსიქოლოგი:*

— საერთოდ, პარტნიორთან განშორებას ქალები უფრო მტკივნეულად განიცდიან. თან, ჩვეულებრივ, მამაკაცი მიდის ხოლმე. ამიტომ მამაკაცი უნდა ეცადოს, რომ ქალმა თვითონ მიატოვოს. ამ შემთხვევაში, ქალი ნაკლებად განიცდის და შთაბეჭდილება რჩება, რომ შეურაცხყოფილი არ არის, რადგან დაშორების ინიციატივა მისგან წამოვიდა. თუ ქალმა გადაწყვიტა წასვლა, მაშინ კაცს არ უნდა აგრძნობინოს, რის გამო სცილდება და უნდა გამოიგონოს მიზეზი. არავითარ შემთხვევაში არ აუცილებლად უნდა უთხრას, რომ სხვა მამაკაცის გამო სცილდება, რადგან ამ დროს, კაცი ყოველთვის შეურაცხყოფილი რჩება. ■



კონტროლის პალატის თავმჯდომარე ზურაბ სოსელია დაახლოებით ერთი თვეა, რაც საკუთარი მოვალეობის შესრულებას შეუდგა. ბატონი ზურაბი ოჯახში მეუღლესთან, ეკონომისტ თამუნა თაფლაძესთან, შვილთან, 7 წლის დათუნასთან და „ბებიებთან" (ასე ეძახის მოფერებით ბატონი ზურაბი დედას და სიდედრს) ერთად ცხოვრობს. რამდენიმე დღის წინ, კონტროლის პალატის თავმჯდომარეს წყნეთის სამთავრობო ზონაში აგარაკი გამოუყვეს. ჩვენი შეხვედრაც სწორედ ამ აგარაკზე შედგა.

„ჩოჭანტიკოსი ეკონომისტი, ვისი ნასტუდენტარი ვეუღლე და ოჯი ბებიის სითბოთი გაჯერებული კერია

ემა ტუხიაშვილი

ზურაბ სოსელია:

— ეკონომისტების ოჯახში დავიბადე და გავიზარდე, ჩემი მშობლები უნივერსიტეტის დოცენტები იყვნენ. საკმაოდ კარგი ბავშვობა მქონდა, ჩვენს ოჯახს მატერიალურად არ უჭირდა. სამწუხაროდ, მეც, ისევე, როგორც ჩემი მეუღლე, დედისერთა ვარ, ამიტომ არც სათამაშოები მაკლდა და არც ზამთარ-ზაფხულს სხვადასხვა კურორტზე დასვენება. სკოლაში კარგად ვსწავლობდი, ხოლო უმაღლესში — ძალიან კარგად, ისე, რომ არც ერთი ოთხიანი არ მყოლია. შემდეგ იყო ასპირანტურა, დისერტაცია, სამეცნიერო მუშაობა. 14 წლის განმავლობაში, უნივერსიტეტში ვკითხულობდი ლექციებს. 1993 წლიდან დავიწყე მუშაობა აღმასრულებელ ხელისუფლებაში, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტროში მინისტრის მოადგილე გახლდით, ხოლო მოგვიანებით — ფინანსთა მინისტრის *პირველი* მოადგილე. ცოტა ხნის წინ კი, ყველასათვის აბსოლუტურად მოულოდნელად, კონტროლის პალატის თავმჯდომარედ დამნიშნეს.

— საზოგადოებისათვის ცნობილი ადამიანები ხომ არ სწავლობდნენ თქვენთან ერთად სკოლაში?

— ბევრმა ჩემმა თანაკლასელმა მიაღწია წარმატებას საკუთარ პროფესიაში, თუმცა მათი სახელები რომ ჩამოვთვალო, შესაძლოა, ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი არ იყოს. ჩემი პარალელურკლასელი გახლდათ ბატონი კახა ბენდუქიძე.

— ურთიერთობდით მასთან?

— სკოლის პერიოდში ვმეგობრობდით, ხოლო შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ისიც და მეც ასპირანტურაში მოსკოვში ვსწავლობდით, ერთმანეთს აღარ შევხვედრივართ. შესაძლოა, ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ ჩვენი სპეციალობები ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული იყო, სასწავლო კორპუსებიც და საერთო საცხოვრებლებიც ქალაქის სხვადასხვა ადგილას მდებარეობდა.

— სკოლაშიც ასეთი მძიმეწონიანი იყო ბატონი კახა?

— არა, მაშინ ჩვეულებრივი წონის იყო.

ქალბატონი თამუნა თაფლაძე:

— მაშინ, ჩემი მეუღლეც გამხდარი იყო, ახლა კი...

ბატონი ზურაბი:

— დიახ, მას შემდეგ, რაც მინისტრის მოადგილე გავხდი და ე.წ. „მჯდომარე" ცხოვრებაზე გადავედი, სამწუხაროდ, 25 კილოგრამი მოვიმატე.

— მას შემდეგ, რაც ბატონი კახა ეკონომიკის მინისტრი გახდა, მასთან ურთიერთობა თუ გქონდათ?

— არა, არც კი შევხვედრივარ.

— ქალბატონო თამუნა, ბატონ ზურაბს როგორ შეხვდით?

— ზურა ჩემი ლექტორი გახლდათ. საკმაოდ მკაცრი, ობიექტური და ახალგაზრდობის მიუხედავად, ძალზე განათლებული ლექტორი გვყავდა მისი სახით. კურსზე 180 სტუდენტი ვიყავით და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენსა და ახალგაზრდა ლექტორს შორის ასაკობრივი სხვაობა საკმაოდ მცირე იყო, გამოცდაზე მთელი სიმკაცრით გვცდიდა ხოლმე. ისე კარგად გადმოგვცემდა სალექციო მასალას, რომ სრული უფლება ჰქონდა, ჩვენგანაც მაქსიმუმი მოეთხოვა... ჩემი დედამთილი 50 წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს უნივერსიტეტში, ხოლო ჩემს მამამთილს თავის საგანში სახელმძღვანელოც აქვს დაწერილი. (სამწუხაროდ, ბატონი სერგო ცოცხალი აღარ არის). მათი ყოფილი სტუდენტებისგან მსმენია, რომ ისინი საკმაოდ მკაცრი ლექტორები იყვნენ და ბევრი სტუდენტიც გაურიცხავთ უნივერსიტეტიდან.

ბატონი ზურაბი:

— თამუნამ პირველსავე გამოცდაზე ხუთიანზე ჩამაბარა საგანი... სტუდენტობის დროს, შესაძლოა, მომწონდა, როგორც კარგი და ლამაზი სტუდენტი, მაგრამ იმ პირველ გამოცდაზე ნამდვილად მხოლოდ სტუდენტსა და ლექტორს შორის ურთიერთობა იყო. მახსოვს, დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში ვცდიდი და არც ერთი კითხვა არ ჩაუგდია. უნივერსიტეტი წითელ დიპლომზე დაამთავრა და შემდეგ სწავლა ასპირანტურაში განაგრძო. ასე რომ, დათიმაც *(ბატონი ზურაბის ვაჟი. — ავტ.)* იცის, რომ კარგად უნდა ისწავლოს.

— დათუნა, შენც, მშობლების და ბებია-ბაბუის მსგავსად, ეკონომისტი უნდა გამოხვიდე?

— არა, მე უკვე გადაწყვეტილი მაქვს, რომ ის უნდა გამოვიდე... სულ მავიწყდება სახელი.

ბატონი ზურაბი *(იცინის):*

— პატარაობიდანვე ამბობს — „არხიკოკო" უნდა გამოვიდეო: სულ პატარა რომ იყო, ასე გამოთქვამდა სიტყვას „არქიტექტორი".

დათუნა:

— არქიტექტორი კი არა, ასტრონომი უნდა გამოვიდე. კოსმოსმა დამაინტერესა საშინლად. მაინტერესებს, არის თუ არა სიცოცხლე სხვა გალაქტიკებში, როგორ გაჩნდა სამყარო და ა.შ.

— გინდა, კოსმოსში გაფრინდე?

— არა — სანამ არ გაუმჯობესდება ხომალდები ისე, რომ სხვა გალაქტიკამდე უსაფრთხოდ ავიდეს და ხვრელში არ შევარდეს... იცით ალბათ, ხვრელი რაც არის... შავი ხვრელის ძალამ არ უნდა დაამარცხოს რაკეტა, თორემ, თუ ჩაითრია და ჩაყლაპა, შერცხვეს მასეთი რაკეტის სახელი!..

ბატონი ზურაბი:

— იყო პერიოდი, როდესაც დათუნას მანქანები აინტერესებდა. მეკითხებოდა ხოლმე: „ფერარის" ხელით სად აწყობენო?.. შემდეგ, ისევ მისგან გავიგეთ, რომ თურმე, ეს იტალიის ერთ-ერთ სოფელში,

მარინელოში ხდება... გატაცებული იყო „ლეგოს“ კონსტრუქციებით. მივლინებიდან ხშირად ჩამომქონდა მისთვის სხვადასხვა კონსტრუქტორი და ისეთ რაღაცებს აწყობდა 5-6 წლის ასაკში, რაც 9-10 წლის ბავშვებისთვის იყო განკუთვნილი. ადრე ხშირად ვთამაშობდით ნარდს, ახლა კი მთხოვს, რომ ჭადრაკი ვეთამაშო.

— ბატონო ზურაბ, იქნებ, გაიხსენოთ, როგორ შეიქმნა თქვენი და ქალბატონი თამუნას ოჯახი?

— სიყვარული ალბათ სტუდენტ-ლექტორობის დროს ჩაისახა. შემდეგ, უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციაზე ვიმყოფებოდით და მივხვდი, რომ მე და თამუნა აუცილებლად ერთად უნდა ვყოფილიყავით...

— უხერხულობის ბარიერს ხომ არ გიქმნიდათ ის გარემოება, რომ ქალბატონი თამუნა თქვენი ნასტუდენტარი იყო?

— მე არა, მაგრამ როგორც თამუნა ამბობს ხოლმე, მისთვის ეს გარკვეულ უხერხულობას წარმოადგენდა და თურმე, სწორედ ამის გამო უჭირდა პირველ პაემანზე გამოსვლა... ძალიან ლამაზი ურთიერთობა გვქონდა და სულ რაღაც 3 თვეში დავიწერეთ ჯვარი. ქორწილი ორჯერ გადავიხადეთ — ჯერ მე გადავიხადე, შემდეგ კი, თამუნას მამამ გააკეთა დიდი სუფრა რესტორან „ნატახტარში“. ჩვენი ქორწინების დღე 30 აპრილი იყო, შაბათი. მოგეხსენებათ, რომ მაისში ქორწილი მიღებული არ არის, ამიტომ აპრილის ბოლო შაბათს ჩვენთან ერთად 500-მდე წყვილი აწერდა ხელს. ხომ წარმოგიდგენიათ, რისი გადატანა მოგვიხდა?.. შემდეგ კი, როდესაც ქორწილში პატარძლის ახლობლები მოვიდნენ და უშველებელი ტორტი მოიტანეს, რომელსაც ვარდისფერი პეპლის ფორმა ჰქონდა, ტორტი კარში ვერ ეტეოდა. რის ვაი-ვაგლახით მოახერხეს სუფრასთან მისი მოტანა... საქორწინო მოგზაურობაში დაგომისში ვიყავით, სადაც მომსახურების დონემ გაგვაოცა.

აღმოჩნდა, რომ ეს მოხსენება გვერდით დარბაზში, სხვა კონფერენციაზე უნდა წამეკითხა... ზურაბ სოსელია მეუღლესთან ერთად

— ქალბატონო თამუნა, ბატონი ზურაბი როგორ გამოხატავდა ხოლმე თქვენდამი სიყვარულს?

— ძალიან მიყვარს ყვავილები, ამიტომ სახლში თითქმის ყოველთვის მქონდა ზურას მორთმეული ისეთი საოცარი ვარდები, რომ ქალს რომ მოენდომებინა, ის ვერ იშოვიდა თბილისში...

— ბატონო ზურაბ, ლექსი ხომ არ დაგაწერინათ სიყვარულმა?

— იყო რაღაც მოკლე ექსპრომტები. თუმცა, როგორი გრძნობაც მაქვს, ისეთი ლექსის დაწერა რომ შემეძლოს, სულ სხვა იქნებოდა. აბა, ერთი იმუშავეთ მთელი დღე ეკონომიკის საკითხებზე და მერე ლექსის გარითმვა სცადეთ!..

— ქალბატონო თამუნა, თქვენ როგორ გამოხატავდით სიყვარულს?

— ცოლად გავყევი *(იცინის)*...

ბატონი ზურაბი:

— ჩემთვის დიდი ბედნიერებაა ის, რომ ტრაგედიის მიუხედავად, ჩვენი ოჯახური სითბო არ განელებულა. ოჯახი კამათის გარეშე არ არსებობს, მაგრამ შინ რომ მოგიხარია, სულ სხვაა. ხშირად დავდივარ უცხოეთში მივლინებით, მაგრამ დღე არ „ჩამიგდია“, რომ ტელეფონით რამდენჯერმე არ დავლაპარაკებოდი ოჯახს.

— ტრაგედია ახსენეთ. როგორც ვიცი, შვილი დაგელუპათ...

ქალბატონი თამუნა:

— გუგა არაჩვეულებრივი ბავშვი იყო, ლამაზი და მშვიდი. წელიწად-ნახევრის ბავშვს დამოუკიდებლად შეეძლო, დანაჩანგლით ეჭამა, მოკლე ზღაპრის შინაარსი გადმოეცა... 1994 წლის 3 მაისს, 2 წლის შესრულდა, 21 მაისს კი, ის ტრაგედია დატრიალდა. მამაჩემთან ერთად, პეკინზე, ბუკიას ბაღთან გადადიოდნენ ქუჩაზე საღამოს 10 საათზე... მანქანა დაეჯახათ. გუგასთან ერთად მამაჩემიც გარდაიცვალა... დღემდე არ ვიცით იმ ადამიანის ვინაობა, ვინც მანქანას მართავდა... ეს იმდენად დიდი ტკივილია, რომ ღმერთს ყოველთვის ვთხოვ, მტერსაც კი არ მოუკლას შვილი. შვილი არ უნდა უკვდებოდეს ადამიანს...

ბატონი ზურაბი:

— ასეთი ტრაგედიის გადატანის შემდეგ, ადამიანი უფრო დამთმობი და კაცთმოყვარე ხდები. შედარებით ნაკლებად გაღიზიანებს ის, რაც მანამდე შენში გაღიზიანებას იწვევდა... ვფიქრობ, მისმა დაკარგვამ განაპირობა ის, რომ დათუნას უფრო მეტ ყურადღებას ვუთმობთ და ვანებივრებთ კიდეც. მე მჯერა, რომ ჩემი შვილი ზემოდან გვიყურებს ყველას...

გუგა არაჩვეულებრივი ბავშვი იყო... ეს იმდენად დიდი ტკივილია, რომ ღმერთს ყოველთვის ვთხოვ, მტერსაც კი არ მოუკლას შვილი

— დათუნას დაბადებამ ალბათ, უდიდესი სიხარული მოუტანა თქვენს ოჯახს...

ქალბატონი თამუნა:

— გუგას შემდეგ, გარკვეული პერიოდი, საერთოდ ვერ ვბედავდი ბავშვის გაჩენას. შემდეგ, მეგობრებისა და ახლობლების თანადგომით, მივიღე გადაწყვეტილება და კიდევ ერთი ბიჭი შეგვეძინა, რომელიც ჩვენი ცხოვრების არსი გახდა.

ბატონი ზურაბი:

— ოჯახი ჩემთვის დიდი ბედნიერებაა.

— როგორი დიასახლისია ქალბატონი თამუნა?

— საკმაოდ კარგი. ძალიან მიყვარს მისი გამომცხვარი ნამცხვარი და მისი ხელით გაწყობილი სუფრა. ერთადერთი კერძი, რომელიც არ მიყვარს, ლობიოა.

ქალბატონი თამუნა:

— ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ზურას განსაკუთრებით უყვარს ყველი. მას ყველაფერთან ერთად ჭამს. ერთადერთი ალბათ ტორტია, რასაც ზურა ყველს არ აყოლებს. სამწუხაროდ, ყველის ამოყვანა არ ვიცი.

— როდესაც ოჯახში ამდენი ეკონომისტია, ალბათ ყველა საოჯახო ხარჯი ზედმიწევნით გაქვთ გათვლილი...

ბატონი ზურაბი:

— არა, ასე ნამდვილად არ არის. ყველაფერი რომ გაგვეთვალა, ალბათ უფრო მეტი შენაძენი გვექნებოდა ახლა. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველთვის მაღალი ხელფასები გვქონდა, იმდენი მაინც არ იყო, რომ თავისუფლად გვეხარჯა. თუმცა, ის რაც ბავშვს და ოჯახს სჭირდება, ჩვენთვის უპირველესია. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ოჯახურ სალაროში ჩაგვიხედავს და გაოცებისგან გვითქვამს: ვაჰ, აღარაფერი დაგვრჩენია!..

— საჩუქრებს თუ უძღვნით ხოლმე მეუღლეს?

— უცხოეთიდან ხშირად ჩამომაქვს მისთვის სუნამო ან ბიჟუტერია. დათუნასთვის კი, „ლეგოს“ კონსტრუქციები და

ფეხსაცმელიც, რომელიც ხშირად პატარა მოსდის ხოლმე...

ძალბატონი თამუნა:

— მიდის ჩვენი მამიკო უცხოეთში პატარა ჩანთით, სადაც მისთვის აუცილებელი ნივთები აწყვია და ასეთივე პატარა

დათუნა: მე უკვე გადაწყვეტილი მაქვს, რომ ის უნდა გამოვიდე... სულ მავიწყდება სახელი...

ჩანთით ბრუნდება ხოლმე უკან. წლების წინ, როდესაც საქართველოში თითქმის ყველაფერი დეფიციტური იყო, ზურას კი ხშირად უხდებოდა უცხოეთში წასვლა, აბსოლუტურად ცარიელი ჩამოდიოდა ხოლმე იქიდან.

ერთხელ ჩინეთიდან ჩამოვიდა და მეუბნება: ჩინეთში დიდი მარაოები ვნახე — ჩვენს ბინას როგორ მოუხდებოდაო!.. მე, ძალზე გულდაწყვეტილმა, ვკითხე: მერე რა ქენი-მეთქი? — არაფერიო,— მიპასუხა, — დიდი ყუთი ჰქონდა იმ მარაოს, ვიოლინოს „ფუტლიარივით" და რა წამომაღებინებდაო?!.

— ოჯახში მკაცრია ბატონი ზურაბი?

— მახსოვს, როდესაც კონტროლის პალატის თავმჯდომარედ ამტკიცებდნენ, ქალბატონმა ელენე თევდორაძემ ბრძანა: მინდა, რომ ბატონმა ზურაბმა უფრო მეტი სიმკაცრე გამოიჩინოს, რადგან იმ სტრუქტურაში, სადაც მას ვამტკიცებთ, ძალიან ბევრი უსამართლობა ხდებაო... სწორედ ამიტომ, ჩვენ ვცდილობთ ხოლმე, რომ ოჯახში უსამართლობა, ტყუილი და ყოფითი უწესრიგობა ზურას არ დავახვედროთ, რადგან მოუცლელობის გამო, ძალზე ცოტა დროს ატარებს შინ.

ბატონი ზურაბი:

— რა თქმა უნდა, დათუნამ თუ ზღვარს გადააბიჯა, მეც და დედამისიც ვიჩენთ სიმკაცრეს. ხოლო ოჯახის სხვა წევრებს რაც შეეხება — ახლა, თამუნასთან და „ბებიებთან" რა სიმკაცრე უნდა გამოვიჩინო?!. ჩემი ბედნიერება ის არის, რომ სამსახურშიც კი იშვიათად ამიწევია ხმისთვის. ალბათ, მხოლოდ ერთიორჯერ დამირტყამს მუშტი მაგიდაზე. ვახერხებ, რომ უფრო კოლეგიალური ურთიერთობებით შესრულდეს ხოლმე ჩემი მითითებები.

— როგორც ჩემთვის ცნობილია, კონტროლის პალატაში უკვე 400-მდე თანამშრომელი შეგიმცირებიათ...

— რეორგანიზაციის პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს და დაახლოებით 2 კვირის შემდეგ, თანამშრომელთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდება. 20 განვითარებული ქვეყნიდან (როგორებიცაა, ვთქვათ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი), მხოლოდ ორ ქვეყანაშია კონტროლის უმაღლეს ორგანოში ჩვენზე დიდი შტატი. გერმანიის უმაღლეს საკონტროლო ორგანოშიც კი არ ჰყავთ იმდენი თანამშრომელი, რამდენიც ჩვენ. ავსტრიის, ნიდერლანდების, ფინეთის ანალოგიურ ორგანოებში — აუდიტორული ცენტრალური ოფისი იქნება ეს თუ საანგარიშო პალატა, — ხუთჯერ ნაკლები თანამშრომელი ჰყავთ.

— ბატონო ზურაბ, ერთგვარ უხერხულობას ხომ არ გრძნობთ, იმ სავარძელში ჯდომის გამო, რომელშიც ახლა გისოსებს მილმა მყოფი თქვენი წინამორბედი იჯდა?

— ამ კუთხით ამაზე არასდროს მიფიქრია... მართალი გითხრათ, უკვე 17 წელია, თანამდებობიდან თანამდებობაზე გადავდივარ და მთელი ამ ხნის განმავლობაში, ჩემი სკამი დამაქვს. ახლაც, რომ მობრძანდეთ ჩემს კაბინეტში, ნახავთ, რომ სავარძელი სათათბირო მაგიდასთან დგას, ხოლო მე, სამუშაო მაგიდასთან, ჩემს სკამზე ვზივარ... თუმცა, არ მესმის, რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მაინცდამაინც წინამორბედის სავარძელს. მის მაგიდასთან ხომ ვზივარ და მისი მანქანით დავდივარ?!. ვფიქრობ, რომ ეს უბრალოდ, ცრურწმენაა...

— უხერხულია ალბათ, ქართველ კაცს არ ჰკითხო, სუფრასთან როგორი ხართო?

— სხვათა შორის, საკმაოდ კარგი თამადა ვარ, შემიძლია ბევრის დალევა და სხვების დათრობა. თუმცა, ამის საშუალება იშვიათად მეძლევა — ვთქვათ, თვეში ერთხელ ან ორ თვეში სამჯერ. ახალგაზრდობაში გაცილებით მეტს ვსვამდი და არც ერთ ჩემს მეგობარს ისეთი მთვრალი არ ვახსოვარ, რომ ან ფეხი ამრეოდა, ან მაგიდასთან ჩამძინებოდა. ყოფილა შემთხვევები, როდესაც სუფრასთან მითამადია, ღამით სამუშაო გამიგრძელებია დილის 5-6 საათამდე, შემდეგ 1-2 საათი დამიძინია და სამსახურში წავსულვარ...

— ძალიან ბევრს მოგზაურობთ. ალბათ უამრავი სახალისო ამბავი გადაგხდენიათ თავს, არა?

— პირადად მე, კურიოზები თითქმის არ გადამხდენია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ერთხელ შეცდომით მოვხვდი ერთ-ერთ კონფერენციაზე, სადაც მოხსენება წავიკითხე და შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს მოხსენება გვერდით დარბაზში, სხვა კონფერენციაზე უნდა წამეკითხა... იქაც წავიკითხე ხელახლა... ჩემი ქართველი კოლეგები კი კურიოზულ მდგომარეობაში უცხოეთში ხშირად მინახავს. მე და მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე (გვარს არ დავასახელებ) ვაშინგტონში ვიმყოფებოდით. შეხვედრაზე მიგვეჩქარება, სასტუმრო „შერატონში" და როგორც კი გაჩერდა მანქანა, გადმოხტა ეს მინისტრის მოადგილე და ჩქარი ნაბიჯით გაემართა სასტუმროს შესასვლელისკენ. მეტრდოტელმა ჰოლიდან მისკენ მომავალი სტუმარი რომ დაინახა, გამოიქცა და კარის გაღება მოასწრო. ჩემმა კოლეგამ უთხრა: მობრძანდით, ბატონოო, — ალბათ იფიქრა, იმას ჩემზე მეტად ეჩქარებაო... მეტრდოტელი ხელით ანიშნებს: შემობრძანდითო, — იმას ხომ არსად წასვლა არ უნდოდა, თავის მოვალეობას ასრულებდა. არადა, ეს მეტრდოტელი ისე იყო ჩაცმული, ნამდვილი გენერალი გეგონებოდათ... მოკლედ, სანამ ჩვენ არ ჩავერიეთ საქმეში, ჩვენი კოლეგა ვერაფრით შევიყვანეთ სასტუმროში... კიდევ ერთს გავიხსენებ. მე, ბატონი ლადო პაპავა და კიდევ ერთი ჩვენი კოლეგა ინგლისში ვიმყოფებოდით. თავისუფალი საღამო გვაქვს მე და ლადოს და გადავწყვიტეთ, რომ ბარში შევსულიყავით. დავურეკეთ ჩვენს კოლეგას და ისიც მოვიპატიჟეთ. გავიდა ერთი საათი, ორი, სამი — არ ჩანს ეს ადამიანი. ცოტათი ჩვენზე ხნიერი იყო და ვიფიქრეთ — ან გულმა ხომ არ შეაწუხა და რაიმე სხვა ხომ არ შეემთხვა-თქო?.. დავურეკეთ და გვითხრა — ყველაფერს ხვალ აგიხსნითო. აღმოჩნდა, რომ ვიდრე ჩვენთან გამოემართებოდა, შხაპი მიულია, ჩაუცვამს და ბოლო შტრიხების შესავლებად, „სპრეი" მიუსხამს, რომელიც სააბაზანოში იდო. აღმოჩნდა, რომ შეეშალა და დეზოდორანტის მაგივრად, სამოსი შამპუნით „დაუმშვენებია"... გარეთ რომ გამოსულა, ქუჩაში წვიმდა და სულ აქაფებულა!.. დიდი იუმორის პატრონია ეს კაცი და მერე თვითონაც ხუმრობდა ხოლმე: მივდიოდი ქუჩაში და ბუშტებს ვუშვებდი, ინგლისელი ბავშვები გამომეკიდნენ — ეგონათ, ცირკი ჩამოვიდაო. ■

წინამდებარე წერილი იხ. „გზა“ №28

«იმ სიყვარულს არ უნდა ულალატო, რომელიც სამშობლოში გელოდება!..» – მითხრა ქართველმა ემიგრანტმა

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩემი სამწლიანი „მოგზაურობისას“ (მოგზაურობა მინდა დავარქვა იმ უამრავ რეისს, უზარმაზარი ტრაილერით რომ ვასრულებდი ერთი ქალაქიდან ან ერთი შტატიდან მეორეში) აურაცხელ პრობლემას გადავეყარე, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პრობლემათა გადაჭრისას არაერთ სახალისო სიტუაციაში მოვხვედრილვარ. ასე რომ, ერთი მეორეს აწონასწორებდა და არცთუ ისე უსახური გახლდათ ჩემი ცხოვრება ოკეანის გაღმა. თუმცა, ამ ორომტრიალში ზოგჯერ ისეთი ვინმე შემხვდებოდა, რომ კიდევ უფრო მიძლიერდებოდა ნოსტალგია და მთელი სიმძაფრით ვგრძნობდი — სამშობლოდან გადახვეწილ კაცზე უბედური არავინაა. დღეს სწორედ ერთი ასეთი ამაღელვებელი შეხვედრის შესახებ მოგითხრობთ.

აკაკი გეგენავა

„რაც მალე წახვალ, უკეთესია...“

ბოსის კაბინეტში მორიდებით შევედი. ვიცოდი, უსიამოვნო ლაპარაკი მელოდა, შეიძლება სასჯელისთვისაც „გამომეკრა ხელი“... ედმონდი დოკუმენტებში იქექებოდა. ველოდი, ან ახლა დამიღრიალებს, ან ახლა-მეთქი და დამნაშავესავით ვიდექი. ბოსმა კი მრავალმნიშვნელოვნად გამიღიმა და პირდაპირ დაიწყო:

— ერთი მითხარი, რა დაალევინე ისეთი ჩემს გოგონებს, რომ დღეს სამსახურში არ მოვიდნენ?

— განსაკუთრებული არაფერი!.. უბრალოდ, ბევრი იცეკვეს..

— იქნებ ჩემთვისაც გესწავლებინა, როგორ უნდა გოგონებისთვის ჭკუის არევა... — ვერ გავიგე, სერიოზულად მთხოვდა ამას თუ უბრალოდ, ირონიულად მომმართავდა.

— მისტერ ედმონდ, ერთი უბრალო საღამო იყო, ცოტა დავლიეთ და ვიმხიარულეთ, მეტი არაფერი... — თავის მართლებასავით გამომივიდა.

— მე კი მინდა, რომ მართლა მასწავლო, როგორ მოვიპოვო წარმატება!..

— მეტი რაღა გინდა, ასეთი წარმატებული ბიზნესი გაქვს!..

— ბიზნესს კი არ ვგულისხმობ, არამედ ქალებს... დიახ, ქალებს, რატომ გაიკვირვე? — მივხვდი, ედმონდი არ ხუმრობდა.

— აა... ეს მთელი ფილოსოფიაა!.. — გავმხიარულდი. ნამდვილად არ ველოდი საქმის ასე შემოტრიალებას.

— აკაკი, ხომ ხედავ, რა დისციპლინაა ჩემს კომპანიაში. ათი წელია, სამსახურში უმიზეზოდ არავის დაუგვიანია. დღეს კი რა ხდება?! — მირეკავს ტინა... ტინა, რომელსაც რვა წლის მანძილზე, ერთი დღეც არ გაუცდენია; მირეკავს და მეუბნება, რომ სამსახურში არ მოვა! და არ იკითხავ, მიზეზად რას ასახელებს? ამბობს, რომ ამქვეყნად ყველაზე ბედნიერი ქალი გახდა: შეყვარებულია და ამ სიყვარულს არაფერზე გაცვლის!

— კი მაგრამ, ასეთი რა მოხდა? — გავიოცე.

— ის მოხდა, რომ ტინას შენი მეგობარი შეუყვარდა!

— ხომ იცი, მისტერ ედმონდ, სიყვარულს წინ ვერაფერი დაუდგება... — დავიწყე ფილოსოფოსობა, გულში კი მეცინებოდა ედმონდის რეაქციაზე.

— ჰოდა, იქნებ მეც მეშველოს რამე, მეც მინდა, რომ ქალმა ასე ძლიერ შემიყვაროს...

ვუსმენდი ბოსს და ყურებს არ ვუჯერებდი — ნუთუ ეს ის ედმონდია, მთელ კოლექტივს შიშის ზარს რომ სცემს-მეთქი?!.

— ქალები არასოდეს მაკლდა... ბევრს უთქვამს კიდეც, მიყვარხარო, მაგრამ ვიცი, რომ ეს ტყუილია — მათ ჩემი ფული უფრო აინტერესებდათ. მე კი ნამდვილი სიყვარული მინდა... მინდა, ქალი ჩემზე ისეთივე აღფრთოვანებით ლაპარაკობდეს, როგორითაც ტინა — იმ შენს თანამემამულეზე... ასეთ სიყვარულს ვერაფრით ვეღირსე... იქნებ მირჩიო რამე...

ვგრძნობდი, რომ ედმონდი გულახდილი იყო. გული რატომღაც მე გადამიშალა და შველასაც ჩემგან ელოდა. სხვა რაღა დამრჩენოდა, რაღაც უნდა მეთქვა. ავდექი და შეფი რესტორანში დავპატიჟე, რა თქმა უნდა, „ზოლოტოე კოლცო“-ში. მშვენიერ რუს ქალებს გაგაცნობ-მეთქი, — დავაიმედე. ისიც დავუმატე, მაგარი სიყვარული იციან-მეთქი. ნეტავ გენახათ, როგორ

გაუბრწყინდა თვალები...

ცოტა ხნის შემდეგ ედმონდი სამუშაოს თემას დაუბრუნდა.

— აკაკი, უკვე მორიგ გამოძახებაზე უნდა წახვიდე, კოლუმბუსში. რესტორანზე, რომ ჩამოხვალ, მერე ვილაპარაკოთ...

— როდის უნდა წავიდე?

— რაც მალე წახვალ, უკეთესია, თორემ შენი ამბავი რომ ვიცი, გადამირევ თანამშრომლებს და გამაკოტრებ... სხვათა შორის, კლიენტი ქართველია. წადი და გაიცანი. ინსტრუქცია ლანასთან დავტოვე... — მითხრა შეფმა, რომელიც უკვე ისევ იმ მკაცრ ედმონდად ქცეულიყო, როგორსაც ვიცნობდი. ის წუთიერი სისუსტე სადღაც გამქრალიყო...

„გამარჯობა, შვილო!..“

არ დამიყოვნებია, ერთ საათში გზას დავადექი.

კოლუმბუსის გარეუბანში მშვენიერ, სამსართულიან ვილას მივადექი. კარ-მიდამოს თვალის ერთი შევლებითაც ეტყობოდა, რომ შეძლებული პატრონი ჰყავდა. მუშებს ავეჯის ნაწილი უკვე ეზოში გამოეტანათ და ჩემს ტრაილერს ელოდნენ. ეზოში ახალგაზრდა, მოხდენილი ქერა ქალი ტრიალებდა. როგორც კი დამინახა, მაშინვე ჩემკენ წამოვიდა და ღიმილით მომესალმა.

— ჰაი!.. მე ელენი მქვია, რა კარგია, რომ დროზე მოხვედი, ძალიან გვეჩქარება. ალბათ მალე მორჩებიან დატვირთვას...

ხელშეკრულების შევსება დავიწყეთ, ელენს შემკვეთის გვარი ვკითხე.

— ანზორ შიხაშვილი!.. მერილენდში უნდა გადაიყვანო, ავეჯი კი ჩრდილოეთ კაროლინაში მიგვაქვს, ჩემს სახლში!.. — ამიხსნა ელენმა.

— სად არის თავად შემკვეთი, ქართველია? მეც ქართველი ვარ!.. — ძალიან გამიხარდა, ქართველის აღმოჩენა კოლუმბუსში.

— ბაბუაჩემი მისაღებ ოთახში ზის... შენ მართლა ქართველი ხარ? — რატომღაც დაეჭვდა ელენი.

— დიახ, ქართველი ვარ!.. შენც ხომ ქართველი ხართ?

— არა, მე ამერიკელი ვარ! ბაბუა მყავს ქართველი!..

გული დამწყდა, ამ ამერიკელ ქართველს ქართველობა რომ არ უნდოდა! უხალისოდ წავედი ბატონი ანზორის მისაღები ოთახისკენ (ელენმა ამიხსნა, როგორ მოვხვდებოდი იქ).

ოთახში, საიდანაც მუშებს შეფუთული ავეჯი გაჰქონდათ, ერთადერთი ძველებური დივანი იდგა, რომელზეც ხანში შესული ჭაღარა მამაკაცი იჯდა. დამინახა თუ არა, წამოდგა.

— გამარჯობა, ბატონო ანზორ!.. — მივესალმე ქართულად, ხელი ჩამოვართვი და ვაკოცე. რატომღაც ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს დიდი ხნის უნახავ ახლობელს შევხვდი.

— გამარჯობა, შვილო! აქ საიდან მოხვდი?! — გაოცებასა და სიხარულს ვერ ფარავდა მოხუცი.

— მე, მე... მოვხვდი რა!.. — სიტყვებს ვერ ვპოულობდი.

— ხომ არაფერი გიჭირს, შვილო, ხომ კარგად ხარ? — ეს ისეთი სითბოთი იყო წარმოთქმული, რომ გაოცებას ვერ ვფარავდი. მოხუცმა ჩემი ხელი გულზე მიიხუტა და მოეფერა. ისე ღელავდა, რომ ერთიანად კანკალებდა. ბოლოს, როგორც იქნა, დაწყნარდა და გვერდით მომისვა. მერე ვიღაც ქალბატონს გასძახა, ყავა მოედუღებინა, თვითონ კი სალაპარაკოდ მოემზადა.

— არ გაგიკვირდეს, შვილო, ჩემი ასეთი აღელვება. მე ერთი სამშობლოდაკარგული კაცი ვარ. ერთი წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩემს თავზე, თორემ... სრულიად ახალგაზრდა წამოვედი საქართველოდან და მას შემდეგ სიზმარშიც კი იშვიათად ვნახულობ ჩემს ქვეყანას. ჩემს წუთისოფელსაც ისე გავლევ, ალბათ სამშობლოში ჩასვლას ვერ ვეღირსები... შენ რომ დაგინახე და გავიგე, ქართველი ხარ, ცრემლი ვერ შევიკავე... ნუ გამკიცხავ ამისთვის, შვილო...

— გული არ გაიტეხოთ, ბატონო ანზორ, მე რითიც შემიძლია, დაგეხმარებით... — გავამხნევე ახალგაცნობილი თანამემამულე.

— ეჰ, ჩემო პატარა მეგობარო, ახლა მე მხოლოდ უფალი თუ მიშველის. ნეტავ, მალე წამიყვანოს თავისთან, რომ ყველაფრისგან დავისვენო... ძნელია, შვილო, 86 წელი მაწევს მხრებზე...

— რას ამბობთ, ბატონო ანზორ, 86 წელი რა სადარდებელია. ხომ გაგიგიათ, ქართველები ასწლიანი ხალხია! — შევეცადე, როგორმე გამემხნევებინა სიცოცხლეზე ხელჩაქნეული მოხუცი.

ანზორ შიხაშვილი წარმოშობით თეთრიწყაროს რაიონიდან გახლდათ. მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, 22 წლის ყოფილა. ერთი ლამაზი გოგო ჰყვარებია — შემოდგომაზე ქორწილი უნდა გვქონოდაო. ომი ხომ ზაფხულში დაიწყო და ანზორი მაშინვე კომისარიატში გამოცხადებულა, მოხალისედ წამიყვანეთო. კომისარს უთქვამს, ექვსი თვის შემდეგ გაგიწვევთო, მაგრამ ანზორს მაინც თავისი გაუტანია. დღემდე ვერ მოუნელებია ის ტკივილი, რაც თავის საცოლეს მიაყენა. ემუდარებოდა თურმე ზღვისფერთვალება, შველივით გოგო, — დავქორწინდეთ და მერე წადი ფრონტზეო... არა, ჩემს სამშობლოს ახლა უჭირს და ერთ დღესაც ვერ დავიცდიო! — უთქვამს და წასულა კიდეც!

ორიოდე თვის შემდეგ ტყვედ ჩავარდნილა! აქედან დაიწყო თურმე მისი წამება. წერილსაც კი ვერ უგზავნიდა თავის საცოლეს... ოთხწლიანი ტყვეობის შემდეგ ის ბანაკი, რომელშიც ანზორი იყო, ამერიკელების კონტროლს დაექვემდებარა. ამასობაში ომიც დამთავრდა. საბჭოთა კავშირში დაბრუნების შეეშინდა ტყვედყოფილს, იცოდა, როგორც უსწორდებოდნენ „დიად“ საბჭოთა ქვეყანაში ტყვედ ჩავარდნილებს. ამდგარა და ამერიკაში წამოსულა... უნივერსიტეტიც აქ დაუმთავრებია. მერე დასახლებულა და კოლუმბუსის უნივერსიტეტში დიდხანს კითხულობდა თურმე ლექციებს... სა-

ანზორ შიხაშვილი წარმოშობით თეთრიწყაროს რაიონიდან გახლდათ

ზოგადოებაში თავისი ადგილი უპოვია, თუმცა პირადი ცხოვრება ვერ აუწყვია. სამჯერ დაქორწინებულა. პირველ ორს გაჰყრია, მესამე კი მოჰკვდომია. იმ მესამეს დღემდე მისტირის, — ჩემს ქართველ საცოლეს ჰგავდა, მასავით ზღვისფერთვალება, შველივით გოგო იყოო. შვილიც მას უჩუქებია ანზორისთვის, თვითონ კი მშობიარობას გადაჰყოლია. მას მერე ანზორს სხვა ქალზე აღარც უფიქრია. ეტყობა, უფალმა მომისაჯა მარტოობა, რადგან ის ქალი მივატოვე, რომელსაც სიცოცხლეზე მეტად ვუყვარდიო... თუმცა მარტო ეს სასჯელიც არ უკმარებია მისთვის განგების — ვაჟიშვილი ათიოდე წლის წინ ავარიაში დაღუპვია, მისგან კი ერთადერთი შვილიშვილი, ელენი დარჩენია. ელენი ჩრდილოეთ კაროლინაში ყოფილა გათხოვილი და ბებუას, რომელიც თავის უზარმაზარ სახლში მარტო ცხოვრობდა, სათანადო ყურადღებას ვერ აქცევდა. შვილიშვილის დაჟინებული თხოვნით, ანზორს კოლუმბუსის სახლი გაუყიდია. მოხუცს შვილიშვილთან ერთად ცხოვრება თავად არ მოუსურვებია, — არ მინდა, ტვირთად დავაწვეო და მერილენდის მოხუცებულთა სახლში დაბინავება გადაუწყვეტია...

ამ სევდიანი ამბის მოყოლის შემდეგ, მოხუცი ჩემი ოჯახური მდგომარეობით დაინტერესდა. როდესაც გაიგო, რომ თბილისში მეუღლე და ქალიშვილი მელოდნენ, მამაშვილურად გადამხვია ხელი და მითხრა:

— თავს უფლებას მივცემ და გეტყვი, რომ რაც არ უნდა მოხდეს, ოჯახი და საყვარელი ქალი არ მიატოვო... აქ შეიძლება მილიონები იშოვო, მაგრამ იმ სიყვარულს არ უნდა უღალატო, რომელიც შენს სამშობლოში გელოდება!.. მე ვერც ჩემს სამშობლოს გავუფრთხილდი და ვერც იმ სიყვარულს, რომელიც იქ დავტოვე... სინანული სიკვდილამდე თან მდევს...

ოთახში ელენი შემოვიდა და მოულოდნელობისგან შეკრთა: ერთ მხარეს ბატონი ანზორი იცრემლებოდა, მეორე მხარეს — მე... ელენს ვანიშნე, რომ ყველაფერი რიგზე იყო და ოთახიდან აღელვებული გამოვედი.

მოხუცთა თავშესაფარში

კოლუმბუსიდან მერილენდამდე საკმაოდ შორია, მაგრამ ეტყობა, ამდენი ემოციისგან დაღლილს, საჭესთან ჯდომა მსიამოვნებდა. დღე-ნახევარი ამ მოგზაურობაში ისე გავიდა, ვერც გავიგე. დროდადრო ვჩერდებოდით, მსუბუქად წავიხემსებდით ხოლმე. ბატონ ანზორს საქართველოს შესახებ უამრავ ტყუილ-მართალს ვუამბობდი. არ მითქვამს, რომ ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის გამო, ქართველები იძულებულნი გავხდით ლუკმაპურის საშოვნელად მსოფლიოს უამრავ ქვეყანას შევხიზნოდით... არ მინდოდა, მოხუცისთვის გული მეტკინა. ისიც კმაყოფილი მისმენდა...

მოხუცებულთა თავშესაფარი ულამაზეს ადგილას იყო გაშენებული. ჩიტები ისე სასიამოვნოდ ჭიკჭიკებდნენ, რომ თავი ნაკრძალში მეგონა. ბილიკებზე ხანში შესული ადამიანები სეირნობდნენ. ზოგიერთები ძელსკამზე ჩამომსხდარიყვნენ. ზოგი მხნედ გამოიყურებოდა, ზოგიც მომსახურე პერსონალს დაჰყავდა. ყველა მათგანს ჰქონდა რაღაც საერთო და ეს მათი სევდიანი გამოხედვა იყო. თითქოს ყველას აკლდა ის სითბო, რაც ოჯახის, ახლობლების გარემოცვაში ყოფნას ახლავს... ვუყურებდი მათ, მერე ბატონი ანზორის ცრემლჩამდგარ თვალებს გადავხედე... ლამის მეორედ ავღრიალდი ამხელა კაცი.

მოხუცებულთა თავშესაფრის ადმინისტრატორი, შუახნის სიმპათიური მამაკაცი ანზორს სამოთახიანი, გემოვნებით მოწყობილი ბინისკენ გაუძღვა. აქაურ ავეჯს მხოლოდ ანზორის საწერი მაგიდა და წიგნის რამდენიმე თარო შევმატეთ. ამ თაროებზე ასამდე წიგნი იქნებოდა. ეს ჩემი საყვარელი წიგნებიაო, მითხრა ბატონმა ანზორმა. უნებურად ქართულ წიგნებს დავუწყე ძებნა. ბატონი ანზორი, ეტყობა, მიხვდა, რასაც ვეძებდი და სინანულით მითხრა:

— ტყუილად ეძებ ქართულ წიგნებს. ორიოდე რუსული წიგნი მაქვს, ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“ და დოსტოევსკის „იდიოტი“... ეს წიგნები თითქოს საქართველოსთან მაახლოებს...

ველარაფერი ვთქვი. ვიდექი და აღარ ვიცოდი, რა მექნა. ბოლოს, კარგად ბრძანებოდეთ-მეთქი, წავიბუტბუტე და გარეთ გამოვედი. ბატონი ანზორი გამომყვა. ტრაილერთან მისულს მომცრო ზომის მუყაოს კოლოფი გამომიწოდა და მითხრა, გახსენიო. კოლოფში მოზრდილი ოქროს ჯვარი და ძეწკვი იდო.

— აკაკი, ამ ჯვარს მთელი ცხოვრება ვატარებდი... ერთი თხოვნა მაქვს, საქართველოში რომ ჩახვალ, არ დაიზარო და თეთრიწყაროს ეკლესიას შესწირე. იქნებ ოდნავი შვება მაინც ვიგრძნო, ჩემი სამშობლოს სიყვარული ამით მაინც გამოვხატო...

აკანკალებული გადამეხვია, დამემშვიდობა, კეთილი მგზავრობა მისურვა და შენობაში ისე შევიდა, ჩემკენ არც გამოუხედავს. მეც ერთი სული მქონდა, რაც შეიძლება მალე გავცლოდი იქაურობას. ვიცოდი, ახლა ბატონი ანზორი ტიროდა...

თვალს ვერ მისწორებდა ბატონი ანზორის შვილიშვილი ელენი, რომელიც ახლა ჩრდილოეთ კაროლინისკენ მიმყავდა, ტრაილერით კი ის ძვირფასი ავეჯი და ჭურჭელი მიმქონდა, ბებუამისი მთელი ცხოვრება რომ აგროვებდა...

P.S. მოგზაურობის შემდგომი ამბების შესახებ „გზის“ 32-ე ნომერში წაიკითხავთ. ■

კბილების გასწორება ნებისმიერ ასაკში ბრეკეტ-სისტემით



სტომატოლოგიური კლინიკა „გეოდენტი“

გამსახურდიას გამზ. №33
☎ 37-60-16

სტუმართმოყვარე ქართველებმა ეგვიპტელები არ გაწირეს...

ბვიად სეხნიაშვილი

ჩვენი გუნდის მესვეურთ უპირველესად, დღესდღეობით საუკეთესო ქართველი ჩოგბურთელის, მსოფლიო კლასიფიკაციაში 42-ე ადგილზე მყოფი ირაკლი ლაბაძის ოსტატობის იმედი ჰქონდათ. დევისის თასის თბილისური ეტაპი მისთვის პარალელურად, ათენის ოლიმპიადისთვის უკეთ მომზადების მშვენიერი შესაძლებლობაც გახლდათ და ირაკლიმაც „გენერალური რეპეტიცია“ მაღალ დონეზე ჩაატარა. თუმცა, არც ჩვენი გუნდის დანარჩენ წევრებს შეურცხვენიათ თავი.

ტურნირის პირველ დღეს, ქართველებმა სერიოზული ჰანდიკაპი მიიღეს, როცა ორმა ირაკლიმ – ლაბაძემ და უშანგიშვილმა ეგვიპტელთა მთავარი დამრტყმელი ძალა – ძმები მაამოუნები „დააშამათეს“. და თუ ლაბაძის გამარჯვება მოსალოდნელი იყო, უშანგიშვილმა ბევრი გულშემატკივარი გააკვირვა, როდესაც ძალზე აკადემიურ სტილში დააყრევინა ფარ-ხმალი თავის მოწინააღმდეგეს... მეორე დღეს გასამართ ერთეულთა და წყვილთა თანრიგის შეხვედრებში ქართველებს ერთი მოვებაღა სჭირდებოდათ. ირაკლი ლაბაძისა და ლადო ჩიხლაძის დუეტმა სამ სეტში შანსი არ დაუტოვა მაამოუნების წყვილს და საქართველოს ნაკრებს გამარჯვება დაუბევა.

მომდევნო შეხვედრები აღარაფერს წყვეტდა და ქართველთა ბანაკმა ბრძოლაში „მარქაფა ნაწილები“ ჩართო – გამოცდილების მიღებისა და ოსტატობის დახვწის მიზნით. პირველად კორტზე დავით კვერნაძე გამოვიდა, ლამაზადაც იბურთავა, მაგრამ მისი ჩოგნის „მარჯვედ ცემა“, ეგვიპტელთა პრესტიჟის გადასარჩენად მობილიზებულმა მაჰმედ მაამოუნმა გაანეიტრალა და სტუმართა ყულაბაში ერთი ქულა „ჩაწკარუნა“ – 6:4, 6:3. ლადო ჩიხლაძემ კი ომარ ჰიდაიეტთან „წაივარჯიშა“ – 3:6, 2:6. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გულუხვმა მასპინძლებმა ქართული სტუმართმოყვარეობა არც ამჯერად დაივიწყეს და ეგვიპტელებს ივივე არ აგემეს, რაც ქარიმ ბადის გუნდს ბულგარეთში თავს გადახდა. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა **გელა ელერდაშვილმაც** *ზუსტად ასე ახსნა ის ტაქტიკური ნაბიჯი, რომელიც მან, როგორც გუნდის თავკაცმა გადადგა:*

დევისის თასის ევროაფრიკული ზონის საჩოგბურთო შერკინება საქართველოსა და ეგვიპტეს ნაკრებ გუნდებს შორის, რომელიც ლეილა მესხის სახელობის აკადემიის კორტებზე გაიმართა, სატურნირო თვალსაზრისით ერთ კონკრეტულ მიზანს ემსახურებოდა: მოგებული, ინარჩუნებდა ადგილს ჯგუფში, დამარცხებულს კი სავალალო დაქვეითება ელოდა. ქართველთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გამარჯვების მისაღწევად ძალა არ დაუზოგავთ და ამოცანა წარმატებით გადაჭრეს.

ლაბაძე, რა თქმა უნდა, გუნდის ლიდერია

– შეხვედრა მოგებული იყო და ამოცანაც – შესრულებული, ამიტომ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ და თავის გამოჩენის საშუალება ახალბედებსაც მივეცით. მშვენივრად ითამაშა დათო კვერნაძემ; მიუხედავად იმისა, რომ დამარცხდა, ძალზე კარგად გაისარჯა. მთავარია, რომ მან გამოცდილება შეიძინა, გამარჯვებები კი უეჭველად მოვა.

— ჩიხლაძეს არ ჰქონდა გამარჯვების შანსი?

– რა თქმა უნდა, ჰქონდა. მაგრამ წინადღეს ტრავმა მიიღო და ამანაც იქონია მის შედეგზე გავლენა. ხომ ნახეთ, რა კარგად იასპარეზა ლაბაძესთან ერთად წყვილში?.. უბრალოდ, ტკივილებმა არ მისცა თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმის ჩვენების საშუალება.

— ლაბაძის ტრავმა რამდენად საგანგაშოა?

– დაზიანება სერიოზული არ არის. ირაკლი მთელი ძალით ემზადება ოლიმპიადისთვის და მერწმუნეთ, ამ მხრივ ყველაფერი კარგად იქნება. თავად ნახეთ, მიუხედავად ტრავმისა, თუ რა ძალას წარმოადგენს იგი ნებისმიერი მეტოქისთვის. მეიმედება მისი, ათენში ოპტიმალურ ფორმაში მყოფი მიემგზავრება. რაც შეეხება დანარჩენებს – გამოვყოფდი ირაკლი უშანგიშვილის გამარჯვებას, რომელმაც საერთო წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

— ამ ნაკრებით სერიოზულ მიზნებზე ფიქრი თუ შეგვიძლია?

– პრინციპში, ჩვენს გუნდს გაისამდე აღარ უწევს თამაში, რაც არცთუ ისე სახარბიელო სიტუაციაში გვაგდებს. მაგრამ წინ მთელი წელია და დარწმუნებული ვარ, ბიჭები თავდაუზოგავი შრომით მიაღწევენ ისეთ კონდიციებს, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ნებისმიერ მეტოქეს ღირსეულად დავუპირისპირდეთ. ლაბაძე, რა თქმა უნდა, გუნდის ლიდერია. დანარჩენებს კონკურენციის პირობებში მოუწევთ ოსტატობის დამტკიცება. რეზერვები არის, ძალზე მონდომებული თაობა მოდის და მჯერა, ისინი კიდევ იტყვიან თავიანთ სიტყვას.

როგორც იტყვიან – ჰა, კორტი და ჰა, ჩოგანი! ქართულ ჩოგბურთს ბრწყინვალე ტრადიციები აქვს და სწორი მიდგომითა და მუშაობით მინიმუმ, იმ დონეს მაინც უნდა მივაღწიოთ, რომელზეც ალექსანდრე მეტრეველი, ლეილა მესხი და თეიმურაზ კაკულია ავიდნენ. მერე?.. მერე კი, ვნახოთ – იქნებ, „უიმბლდონი“ და „როლან გაროსიც“ დანებდეს ქართველთა ოსტატობას?!. მანამდე კი, სხვა სახეობათა ქომაგებთან ერთად, საჩოგბურთო სამყაროს ყურადღება ძველი ელადის კორტებისკენ იქნება მიპყრობილი, სადაც ქართველთა ეული იმედი – ირაკლი ლაბაძე შეუდგება „ოლიმპოს“ მთის მაღალი მწვერვალებისკენ მიმავალ გზას.

■

სექსი და ფეხბურთი იმდენად ვრცელი თემაა, რომ ერთ სტატიაში მისი ამოწურვა ნამდვილად შეუძლებელია. ამ ორი სფეროს მჭიდრო ურთიერთკავშირის შესახებ ადრეც გვისაუბრია, მაგრამ მასზე მკითხველის ყურადღებას კიდევ ერთხელ შევაჩერებთ და საფეხბურთო სამყაროში კარგად ცნობილ ზოგიერთ პიკანტურ ეპიზოდზე მოგითხრობთ.

ტრაპატონი

სკოლარი

დიდი ფეხბურთის *ინტიმური თვალსაზრისები*

ახლახან დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე კიდევ ერთხელ იჩინა თავი სექსისა და ფეხბურთის მჭიდრო კავშირმა. ზოგიერთი ნაკრების თავკაცი თავის ფეხბურთელებს ინტიმური ურთიერთობისგან თავშეკავებისკენ მოუწოდებდა, ზოგი მწვრთნელი კი მიიჩნევდა, რომ თუ მისი გუნდის მოთამაშეებს სქესობრივი კავშირის დამყარების საშუალება ექნებოდათ, ისინი ტურნირზე უფრო შედეგიანად, თავისუფლად და ლაღად იასპარეზებდნენ. სექსის მოწინააღმდეგეთა ბანაკში ტრადიციისამებრ, ლუიშ ფელიპე სკოლარი აქტიურობდა, რომელმაც ისევე, როგორც კორეა-იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატზე ბრაზილიის ნაკრების წევრები, ამჯერად პორტუგალიელი ფეხბურთელებიც დაარწმუნა, რომ თუ წარმატების მიღწევა სურდათ, ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას ქალებს ახლოს არ უნდა გაჰკარებოდნენ. ვერ გეტყვით, ფიგუსა და კომპანიაზე ჭირვეული ფილის ქადაგებამ მართლა იმოქმედა თუ არა, მაგრამ პირველობის დაწყების წინ, მასპინძელთა გუნდის რამდენიმე წარმომადგენელმა საჯაროდ განაცხადა, რომ სექსისგან თავშეკავება მას მხოლოდ სასიკეთოდ წაადგებოდა.

სკოლარისგან განსხვავებით, „სკუადრა აძურას“ მთავარმა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ თავის ფეხბურთელებს ტურნირზე მეუღლეებისა და მეგობარი გოგონების წაყვანის უფლება მისცა. საგულისხმოა ისიც, რომ იგივე ტრაპი კორეა-იაპონიის მუნდიალზე მოთამაშეებს ქალებთან „ცელქობის“ უფლებას არ აძლევდა. როგორც ჩანს, ბოლო მსოფლიო ჩემპიონატზე განცდილი მარცხის შემდეგ, იტალიელთა თავკაცმა მუშაობის მეთოდის შეცვლა გადაწყვიტა, თუმცა, როგორც ვნახეთ, მის გუნდს ამანაც ვერ უშველა და აპენინელები ტურნირს საწყის ეტაპზევე გამოეთიშნენ. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, „სკუადრა აძურას“ თითოეულ წარმომადგენელს ადგილობრივმა პრესამ კიდევ უფრო მწვავედ შეუტია.

განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ტრაპი და ტოტი მოექცნენ, მაგრამ არც გუნდის თავდამსხმელი, კრისტიან ვიერი გადარჩენილა იოლად, რომელსაც ქალებით მეტისმეტი გატაცების გამო, დღემდე აკრიტიკებენ. იტალიური მასმედიის წარმომადგენელთა მოსაზრებით, სწორედ ეს გახდა ფორვარდის უსახური თამაშის მთავარი მიზეზი. კერძოდ, ჟურნალისტები ერთმანეთს ეჯიბრებიან ბობოს (ვიერის მეტსახელი) ინტიმური ცხოვრების დეტალების საჯაროზე გამოტანაში. ისინი განსაკუთრებულად, კრისტიანისა და იტალიაში კარგად ცნობილი მოდელის, ვიჩენცა კასაჩეს ურთიერთობაზე ამახვილებენ ყურადღებას. როგორც ირკვევა, ვიერი სწორედ ამ უკანასკნელთან ერთად ერთობოდა „ევრო-2004“-ის დაწყებამდე. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი, ბობოს, ვიჩენცა მიუტოვებია და თავის ძველ გელფრენდთან, მანეკენ ელიზაბეტ კანალისთან რომანი განუახლებია. თუმცა, ამის გამო არც კასაჩე მისცემია დეპრესიას და მალევე გამოძებნა ახალი საყვარელი – „მილანის“ მცველი ჯუზეპე პანკარი, რომელთან ერთადაც უკვე დასვენებაც მოასწრო სარდინიაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო მომენტამდე, ვიჩენცა ცნობილი იტალიელი ყავის მწარმოებლის, მილიონერ მარკ ძანეტის საცოლედ ითვლებოდა...

პასარელა

ზემოთ არაერთხელ ვახსენეთ 2002 წლის მუნდიალი, რომელშიც მონაწილე გუნდების მწვრთნელებიც არაერთგვაროვნად უდგებოდნენ სექსისა და ფეხბურთის ურთიერთკავშირის საკითხს. ჩვენთან სექსი არ იქნებაო, – საქვეყნოდ განაცხადა მაშინ ლუიშ ფელიპე სკოლარიმ და თავის გუნდს მექალთანე რომარიო ახლოსაც არ გააკარა (რისთვისაც ნახევარი ბრაზილია გადაიკიდა). ქალების ასეთივე დიდ მოყვარულ რონალდოს კი, დროებით მოათოკვინა ვნებები. სულ სხვაგვარად მიუდგა ამ საკითხს ჩინეთის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ბორა მილუტინოვიჩი, რომელმაც თავისი გუნდის მოთამა-

შეებს საწვრთნელ ბაზაზე არა მარტო ცოლების, არამედ საყვარლების მიყვანის უფლებაც კი მისცა (თუმცა, ქალბატონების მომსახურებისთვის საჭირო თანხები თავად ფეხბურთელებს უნდა გაეღოთ). უფრო გაბედული აღმოჩნდა სამხრეთაფრიკელთა თავკაცი, იომო სონო, რომელიც ტურნირის მსვლელობისას ფეხბურთელებს პირდაპირ მოუწოდებდა სქესობრივი აქტიურობისკენ...

ორიოდე წლის წინ, „ბარსელონის" რამდენიმე ფეხბურთელის საქციელის გამო დიდი სკანდალი აგორდა. ერთ-ერთი ესპანური ტელეარხის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პატრიკ კლუივერტს, ფილიპ კოკუს, ხერარდს, პუიოლსა და გაბრის ადგილობრივ სასტუმროში ოთხი მეძავი დაუქირავებიათ (საინტერესოა – რატომ ოთხი და არა ხუთი?..), რაშიც საერთო ჯამში 4.800 ევრო გადაუხდიათ. მითქმა-მოთქმა მალევე ჩაცხრა, თუმცა მოთამაშეებს მეძავებთან გართობა მაინც ძვირად დაუჯდათ: სოლიდური თანხის გადახდის გარდა, მათ ხომ ცოლები და მეგობარი გოგონებიც აიმხედრეს!..

კომიკური შემთხვევა მოხდა ჩემპიონთა ლიგის 2001-2002 წლების სეზონის ფინალურ მატჩში „რეალისა" და „ბაიერის" შეხვედრისას. როდესაც გუნდებს შესვენების შემდეგ უნდა განეახლებინათ თამაში, მოედანზე დედიშობილა მამაკაცი შეიჭრა. მოგვიანებით გაირკვა, რომ იგი ყველაზე ცნობილი ბრიტანელი სტრიკერი (ასე უწოდებენ ადამიანს, რომელსაც საჯაროდ გაშიშვლება უყვარს, რასაც ზოგიერთი მეცნიერი სექსუალურ-ფსიქიკური აშლილობით ხსნის) მარკ რობერტსი ყოფილა. მან მოედნის ცენტრში დადებულ ბურთს ხელი დასტაცა, გაოგნებულ ფეხბურთელებს გვერდი აუქცია და მარჯვენა ფეხით „ბაიერის" კარში „გოლი" გაიტანა. „ყველას როდი შეუძლია ჩემპიონთა ლიგის ფინალში გოლის გატანით თავის მოწონება?!" – კმაყოფილებას ვერ ფარავდა რობერტსი, რომელსაც ეს სიამოვნება, ჯარიმის სახით, 200 გირვანქა სტერლინგი დაუჯდა. სხვათა შორის, ამ აქციამ „ღირსეული ადგილი" დაიკავა სახელგანთქმული სტრიკერის „კარიერაში". შეგახსენებთ, რომ იგივე მარკ რობერტსი დედიშობილა, საჩოგბურთო მოედანზეც გამოვარდნილა, როდესაც იქ ანა კურნიკოვა ასპარეზობდა. ერთხელაც, გაშიშვლების მოყვარული ბრიტანელი ერთ-ერთი ინგლისური ტელეარხის ეთერში მაშინ გამოეცხადა მაყურებელს, როდესაც ამინდის პროგნოზი გადაიცემოდა...

დევიდ და ვიქტორია

ინგლისელი თავდამსხმელი სტენ კოლიმორი, რომელმაც ორიოდე წლის წინ დაასრულა საფეხბურთო კარიერა, კიდევ დიდხანს ემახსოვრებათ გულშემატკივრებს, როგორც ქალების მიმართ მეტისმეტად უხეში ქცევით გამორჩეული პიროვნება. ამის მიზეზად, ნისლიან ალბიონზე პოპულარულ ტელეწამყვან ულრიკ იონსონთან მისი დაპირისპირება იქცა: ერთ-ერთ ბარში გამართული ცხარე კამათისას, კოლიმორს, სხვა რომ ვერაფერი მოუფიქრებია, იონსონისთვის კოქტეილის ჭიქა უსვრია. ცხადია, ამის შემდეგ, ულრიკი სტენს სათოფეზეც აღარ ეკარება და დღემდე, ურჩხულად მოიხსენიებს... მაგრამ ფეხბურთელი მაინც არ დამცხრალა: ერთხელ მან ერთ-ერთი ინგლისური გაზეთის მესვეურებს დაურეკა და მისაღებ ფასად სამოყვარულო პორნოფილმის ყიდვა შესთავაზა (რომელშიც მთავარ როლებს სტენ კოლიმორი და ულრიკ იონსონი თამაშობდნენ). ულრიკისთვის საბედნიეროდ, გამოცემის ხელმძღვანელობამ იშვიათი თავშეკავება გამოიჩინა და უტიფარ სტენთან გარიგებაზე არ წასულა...

პეტი

კარგა ხანია, რაც მედიკოსები დიდი გულმოდგინებით იკვლევენ იმას, თუ რა ზეგავლენას ახდენს ინტენსიური სქესობრივი კავშირი ფეხბურთელის ორგანიზმზე. ერთ-ერთი ინგლისური სამედიცინო ცენტრის მონაცემების თანახმად, ჭარბი სექსი უარყოფითად მოქმედებს მუხლის მყესზე. ექიმებმა ეს დასკვნა მას შემდეგ გააკეთეს, რაც გაირკვა, რომ მუხლის უმძიმესი ტრავმის გამო საავადმყოფოში მოხვედრილი, პრემიერლიგის ექვსი ფეხბურთელიდან ხუთს 11 და უფრო მეტი სექსუალური პარტნიორი ჰყავდა...

გერმანული „ენერგის" მწვრთნელმა ედუარდ გეიერმა ერთხელ, ადგილობრივი ახალგაზრდა ფეხბურთის ვარსკვლავები ქალაქ სანქტ-პაულის მეძავებს შეადარა: „ისინი მხოლოდ იმით არიან დაკავებული, რომ სიგარეტს აბოლებენ, ცხენებივით სვამენ და ყოველ შემხვედრ გოგონასთან სქესობრივ კავშირს ამყარებენ", – დასძინა გეიერმა. ყველაზე გასაკვირი კი ის იყო, რომ მწვრთნელის ნათქვამმა არა ფეხბურთელები, არამედ მეძავები აღაშფოთა. ისინი ისე გაუღიზიანებია გეიერის მოსაზრებას, რომ ერთ-ერთი გერმანული ჟურნალისთვისაც მიუმართავთ. „ჩვენი სამუშაო გაცილებით რთულია, ვიდრე ფეხბურთელებისა, – წერდნენ საპროტესტო სტატიაში უძველესი პროფესიის მიმდევრები. – ჩვენ ხომ ყოველდღიურად, შეუსვენებლივ 14 საათის განმავლობაში ვმუშაობთ!.." ხოლო ერთ-ერთმა მათგანმა თურმე „ენერგის" თავკაცს მწარე სინამდვილეც შეახსენა: „გეიერის ფეხბურთელები ჩვენსავით ბრწყინვალე ფორმაში რომ იმყოფებოდნენ, გერმანიის ჩემპიონატის მაჩანჩალათა როლშიც აღარ მოგვევლინებოდნენ!.."

პრეზერვატივების მწარმოებელმა ცნობილმა კომპანიამ „დურექსმა" მსოფლიოს მასშტაბით ჩაატარა სპეციალური გამოკითხვა, რომლის შედეგების თანახმად, დევიდ ბექჰემმა პლანეტის ყველაზე სექსუალურ პიროვნებათა შორის, ბრედ პიტის (ხმათა 42%) შემდეგ, მეორე ადგილი დაიკავა (14%). აი, ექიმებმა კი, იმის საიდუმლოებაც გაამხილეს, თუ რატომ უიოლდებათ თამაში გუნდებს საკუთარ მოედანზე. როგორც ირკვევა, ამის მიზეზი, არა იმდენად ქომაგთა მხარდაჭერა ყოფილა, რამდენადაც მამაკაცის სქესობრივი ჰორმონი – ტეს-

ტოსტერონი, რომლის დონეც ყოველთვის მაღლდება, როდესაც ადამიანში მშობლიური ტერიტორიის დაცვის უძველესი ინსტინქტი იღვიძებს...

ახლა კი, საფეხბურთო სამყაროში კარგად ცნობილი პიროვნებების მიერ მოცემულ თემაზე გამოთქმულ რამდენიმე მოსაზრებასაც გავეცნოთ:

„როდესაც გოლი გამაქვს, შეიძლება ითქვას, რომ ორგაზმს განვიცდი“ – უმიტ კარანი, თურქეთის ნაკრების ნახევარმცველი.

„ის *(პეტი.– ავტ.)* იმიტომ მომეწონა, რომ არაჩვეულებრივი უკანალი აქვს!“ – ფრანგი ნახევარმცველის, ემანუელ პეტის ცოლი.

„როდესაც თვალებიდან საპნის ქაფი მოვიბანე, შევნიშნე, რომ საშხაპეში ერთადერთი შიშველი მამაკაცი ვიყავი. ყველა თურქი შორტით ბანაობდა! მაგრამ შემდეგ, იქ გერმანელი ლეგიონერი შემოვიდა, რომელიც ჩემსავით შიშველი იყო. არა მგონია, რომ ამ სიმპათიური დედიშობილა ბიჭის დანახვა ჩემზე მეტად, ელტონ ჯონს გახარებოდა“... – ნორვეგიელი ფორვარდი არილდ სტავრუმი, თურქული „ბეშიქთაშის“ მოთამაშეთა უცნაურობების შესახებ.

„როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედი“ ფორმის პიკში იმყოფება, მის თამაშს ორგაზმამდე მივყავარ“, – „ჩელსის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი ჯანლუკა ვიალი.

„ჩემს გუნდში ვერც ერთი „ცისფერი“ ვერ მოხვდება“, – დანიელ პასარელა, არგენტინის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი.

„როგორ გგონიათ – ჩემი ვიქტორია ასე შესანიშნავად რატომ გამოიყურება?.. იმიტომ, რომ საწოლში ნამდვილი მხეცი ვარ!“ – დევიდ ბექჰემი.

■

შარაპოვაზე ნადირობა დაიწყო

უიმბლდონის ტურნირში გამარჯვების შემდეგ, მარია შარაპოვა პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ადამიანად იქცა. პაპარაცებმაც 17 წლის ციმბირელ გოგონაზე ნამდვილი ნადირობა გააჩაღეს და ყოველ ფეხის ნაბიჯზე უსაფრდებოდნენ. მარია კი ცდილობდა, რომ ტურნირის შემდეგ, ფლორიდაში განმარტოებულიყო და კარგად დაესვენა. მაგრამ ფოტოკორესპონდენტებს მაინც ვერსად გაექცა. გერმანული „ბილდის“ ჟურნალისტმა იყოჩაღა და ჩოგბურთელი მექსიკის ყურის სანაპიროზე საკმაოდ პიკანტურ სიტუაციაში აღბეჭდა ფოტოფირზე. აი, რუსი ლამაზმანის დედიშობილა „გამოჭერა“ კი, პაპარაცებისთვის ჯერჯერობით მიუღწეველ ოცნებად რჩება. ამბობენ, რომ ფულსა და დიდებას შარაპოვასთვის გონება არ დაუბინდია – მას ხომ, ანა კურნიკოვას მიერ გაკვალული გზით სიარულის სურვილიც არ გააჩნია.

■

ჰორა შუმახერი დირკ ნოვიცკიმ შეცვალა

„ფორმულა-1“-ის მოყვარულთათვის ცნობილია, რომ რალფ შუმახერის ცოლი კორა ბოლო დროს, ქმრის პროფესიამ გაიტაცა და გერმანული ჩემპიონატის Mini Challenge-ის – რბოლებშიც მონაწილეობს, სადაც მის გარდა, კიდევ რამდენიმე ცნობილი ადამიანი გამოდის. ქალაქ ლაუზიტცრინგში გამართულ პირველ რბოლაში კორამ ვერ გაიმარჯვა, თუმცა საკმაოდ დამჯერებლად იასპარეზა და 26 მონაწილეს შორის, მე-14 ადგილი დაიკავა. გასულ უიკენდზე, რალფის 27 წლის მეუღლეს მეორე რბოლაში უნდა ეასპარეზა, მაგრამ ინდიანაპოლისის გრან-პრიზე შუმახერის მიერ მიღებული ტრავმის გამო, მას ამის საშუალება არ მიეცა. „მე მხოლოდ რალფის გამოჯანმრთელებაზე ვფიქრობ, დანარჩენი ყველაფერი ჩემთვის მეორეხარისხოვანია“, – აცხადებს კორა, რომელიც „ფორმულა-1“-ის რბოლების მოყვარულთა შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, პილოტთა მეუღლეებს შორის ყველაზე მომხიბვლელ ქალბატონად აღიარეს. სხვათა შორის, Mini Challenge-ის მესვეურებმა კორას შემცვლელი მალე მოძებნეს. შუმახერ-უმცროსის ცოლის ადგილი NBA-ს ვარსკვლავმა დირკ ნოვიცკიმ დაიკავა (გასაკვირი მხოლოდ ის არის, თუ როგორ მოთავსდა 211 სმ სიმაღლის გოლიათი მომცრო სარბოლო ავტომობილში). თავად რალფი კი იმედოვნებს, რომ იგი პირველი აგვისტოსთვის უკვე მწყობრში იქნება და უნგრეთის გრან-პრიზეც იასპარეზებს.

■

ოუენი დევიდს ჰბაძავს

ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ოუენ რუნი ცდილობს, დევიდ ბექჰემს მიჰბაძოს. ოღონდ, ეს არა თამაშის სტილში, არამედ გარეგნულ მიბაძვაში გამოიხატება. „ევერტონის“ ვუნდერკინდს, ალბიონელთა ნაკრებში თავისი თანაგუნდელის მსგავსად, სხეულის მოხატვა გადაუწყვეტია და მარჯვენა მკლავზე დიდი კელტური ჯვარი ამოუსვირინგებია, მის ქვემოთ კი, თავისი გელფრენდის – კოლინ მაკლოჰლინის სახელიც ზედ მიუყოლებია. ფეხბურთის მოყვარულთ ალბათ ახსოვთ, რომ პორტუგალიაში გამგზავრებამდე, დევიდ ბექჰემმა კიდევ ერთი ტატუირება გაიკეთა კისერზე და მიაჩნია, რომ მის სხეულის დამამშვენებელი 9 სვირინგი თავისებური თილისმების როლს ასრულებს მისთვის... ტატუირების ოსტატის დუეინ მაკგინეის თქმით, ის ძალზე გაოცებულა, როცა მისი სალონის ზღურბლზე რუნი გამოჩნდა. ალბათ, ოუენი ამასაც უნდა უმადლოდეს, რომ მაკგინეიმ მას თავის ნამუშევარში საკმაოდ მოკრძალებული თანხა – სულ 240 გირვანქა სტერლინგი გადაახდევინა...

■

კვირის (26 ივლისი — 1 აგვისტო) ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი — 21/III-20/IV

ქალი: გამოიჩინეთ გაბედულება — წამოიწყეთ ოჯახური ბიზნესი. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწევთ იმ შემთხვევაში, თუკი ის მიწათმოქმედებასთან იქნება დაკავშირებული. ნუ იტყვით უარს, თუკი სადმე დაგპატიჟებენ.

მამაკაცი: დროა, დასვენებაზეც იფიქროთ. ფლირტისთვისაც ხელსაყრელი პერიოდია. ოღონდ, ნუ გააპარებთ თვალს იმ ქალისკენ, რომელსაც გვერდით შვარცენეგერის მსგავსი მამაკაცი მიჰყვება.

კურო — 21/IV-21/V

ქალი: კვირის დასაწყისში, ადრე დასახული გეგმების შეცვლა მოგიწევთ. შესაძლოა, ახლობლებისა და მეგობრების თანადგომაც დაგჭირდეთ. კვირის მეორე ნახევარში, რომანტიკული სიურპრიზი გელით.

მამაკაცი: ნუ დაიზარებთ თქვენთვის საინტერესო საკითხზე დამატებითი ინფორმაციის მოძიებას. გულს ნუ გადაუშლით ახალგაცნობილ ადამიანებს. გულუბრყვილობამ შეიძლება პრობლემები შეგიქმნათ.

მარჯვენი — 22/V-21/VI

ქალი: პირად ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებები გელით. უარი თქვით ისეთ ურთიერთობაზე, რომელიც დიდი ხანია, აღარ განიჭებთ სიამოვნებას და ახალი რომანი გააბით. მეტი დრო დაუთმეთ საკუთარ გარეგნობას და ახალი იმიჯის შექმნას.

მამაკაცი: ფრთხილად იყავით — უადგილო ადგილას წუწუნით თქვენს კარიერას საფრთხეს ნუ შეუქმნით. შესაძლოა, მიიღოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის წყალობითაც თქვენ წინაშე ახალი პერსპექტივა გადაიშლება.

კირჩხიბი — 22/VI-22/VII

ქალი: ხელსაყრელი დროა ბიზნესის წამოსაწყებად. ეცადეთ, ყველა საქმეში მეტი აქტიურობა გამოიჩინოთ. თავი აარიდეთ ახლობლებთან ურთიერთობების გარკვევას.

მამაკაცი: კარგი კვირა გელით, თუ მოახერხებთ იმას, რომ მიხვიდეთ ყველგან, სადაც გელოდებიან. ბიზნესით დაკავებულ ადამიანებს ვურჩევთ, ახალი საქმე წამოიწყონ.

ლომი — 23/VII-23/VIII

ქალი: შესაძლოა, კვირის დასაწყისშივე მიიღოთ ხელსაყრელი წინადადება და სამსახურებრივი მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. შაბათ-კვირა ბავშვების გარემოცვაში გაატარეთ.

მამაკაცი: თავს დააღწევთ ყველა გაუგებრობას, რომელიც თქვენსა და ხელმძღვანელობას შორის არსებობდა. ამიტომ ნუ დაკარგავთ დროს ფუჭ ახსნა-განმარტებებზე და თქვენი უშუალო მოვალეობები შეასრულეთ.

ქალწული — 24/VIII-23/IX

ქალი: აკონტროლეთ ემოციები, ეცადეთ, არ გაირთულოთ ურთიერთობები ახლობლებთან. შეიძლება, კოლეგები უსამართლოდაც მოგექცნენ, მაგრამ ჯობს, მოთმინება გამოიჩინოთ.

მამაკაცი: კვირის პირველ ნახევარში, ფინანსური პრობლემების მოგვარება გმართებთ. განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდეთ საქმიან ქაღალდებს. გირჩევთ, თავი შეიკავოთ ფულის გასესხებისგან.

სასწორი — 24/IX-23/X

ქალი: შეეცადეთ, ხელიდან არ გაუშვათ შანსი, რომელიც ამ კვირაში მოგეცემათ. თავი შეიკავეთ მოულოდნელი ცდუნებისგან და ნუ დაესწრებით ხალხმრავალ წვეულებებს, რადგან შესაძლოა, იქ მარტო იგრძნოთ თავი.

მამაკაცი: იზრუნეთ საკუთარ ჯანმრთელობაზე და მეტი ყურადღება გამოიჩინეთ მეუღლის (ან პარტნიორის) მიმართ. ნუ დაიშურებთ მისთვის თბილ სიტყვებს და ისიც ადეკვატურად გიპასუხებთ.

ღრიანკალი — 24/X-22/XI

ქალი: უქმეები მეგობრებთან ერთად გაატარეთ. ნუ აჰყვებით ცდუნებას, არცთუ ისე ახლობელ ადამიანს გაანდოთ საიდუმლო, მით უმეტეს, თუ ის სხვას ეხება. ეს კვირა ხელსაყრელია ფინანსური საკითხების მოსაგვარებლად.

მამაკაცი: წარმატებას მიაღწევთ პარტნიორებთან მოლაპარაკებისას. კვირის მეორე ნახევარში მეტი სიფრთხილე გმართებთ: შესაძლოა, აჰყვეთ ცდუნებას და საკუთარ მისწრაფებებს ახლობელთა ინტერესები გადააყოლოთ.

მშვილდოსანი — 23/XI-21/XII

ქალი: ახლა დასვენება უფრო გმართებთ, ვიდრე ყოფით პრობლემებზე ზრუნვა. გადადეთ ადრე დაგეგმილი საქმეები და შვებულების სასიამოვნოდ გატარებაზე იფიქრეთ.

მამაკაცი: კვირის დასაწყისში შესაძლოა, საინტერესო მესიჯი მიიღოთ. არაა გამორიცხული, რომ დაუგეგმავი შემოსავალი გაგიჩნდეთ ან თუნდაც, ლატარიაში მოიგოთ. ასეთ შემთხვევაში, აუცილებლად დაპატიჟეთ მეგობრები, ვთქვათ, ლუდზე — სასიამოვნო საღამოს გაატარებთ.

თხის რქა — 22/XII-20/I

ქალი: საინტერესო, ძლიერ მამაკაცთან შეხვედრა გელით, რომელიც თქვენს პირად ცხოვრებაში ცვლილებებს შეიტანს. ნუ იქნებით ინერტული, იაქტიურეთ სასურველი მიზნის მისაღწევად.

მამაკაცი: კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ. გარკვეული პერიოდის შემდეგ დარწმუნდებით, რომ სწორად მოიქეცით. ნუ მისცემთ მეგობრებს საბაბს, რომ ცარიელ თავთავს შეგადარონ...

მერწყული — 21/I-19/II

ქალი: დაეხმარეთ თანამშრომელს, რომელიც ახლა თქვენზე მეტადაა დაკავებული, ამას ხელმძღვანელის მოწონებაც მოჰყვება და მომავალში, კოლეგაც სიკეთით გადაგიხდით.

მამაკაცი: კარგად გაიცნობიერეთ, თუ რისკენ ისწრაფვით და კონკრეტულად რას მოითხოვთ პარტნიორისგან და მხოლოდ ამის შემდეგ უთხარით ამის შესახებ მას. საქმიანი ცხოვრება კვლავინდებურად ნორმალურად წარიმართება.

თევზები — 20/II-20/III

ქალი: მოულოდნელად აღმოჩნდებით ისეთ ადგილას ან ისეთ გარემოცვაში, სადაც არავინ გელით. შეგიძლიათ, გალაღების უფლება მისცეთ თავს — წინ წარმატებული კვირა გელით.

მამაკაცი: თავი შეიკავეთ აზარტული თამაშებისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფინანსურ პრობლემებს ვერ აცდებით. კვირის მეორე ნახევარში, მოულოდნელი შეხვედრა ან სასიამოვნო მოგზაურობა გელით.

ქართული ხალხური საკრავი
ავსტრიელი კომპოზიტორი
იაპონელთა უხილავი მზვერავი
როლანდ ემერიხის ბლოკბასტერი
კარტოფილი „მაკდონალდში“
იუპიტერის თანამგზავრი
სიარული ვკანმრთელ. განსამტკიცებლად
ქალაქი საფრანგეთში
0,91 მეტრი
ნამარხი ქონება
სასწრაფო დახმარების ქართული ფირმა
საეკლესიო ჭურჭელი
იტალიის ტელეკომპანია
კურორტი თურქეთში
ამოსვლა ისრაელში
აღმოსავლეთი მეზღვაურისათვის
სიკეთე
კბილის სირბილე
მსახური ბიჭი სასტუმროში
ავსტრიის დედაქალაქი
სახოტბელექსი
ტოტალიზატორი თბილისში
ვინმესთან შედარებით უკეთეს მდგომარეობ. ყოფა
ფრანგული თეატრის მტირალა პერსონაჟი
ალენ დელონის ერთ-ერთი როლი
შემოდგომის თვე
ტრანსპორტ. მოძრაობის მაწესრიგებელი
პიგმალიონის შეყვარებული
კედლის ნათურა
აივნის ზღუდე
ცეცხლსასროლი იარაღის ნაწილი
ძროხის ნაშიერი
გერმანული ფოტოფირმა
...კაპონე
ჩინელი მსახ. და რეჟისორი ვჯო ...
ცალი ხელით სახმარი პატარა ჭრ
ლატვიელი მსახიობი ... არტმანე
ურწმუნო ბიბლიური პერსონაჟი
წინასწარ გადახდილი თანხა
ბუსუსები ქსოვილის ზედაპირზე
მშვიდი, გაბმული საუბარი
ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲠᲐᲛᲐᲖ ᲐᲚᲐᲜᲘᲐᲛ



ჯაჭოჩანილი აღაქმანაჭის ოსწრებაული ჯაჭონათქვაქაჭი

კონცერტი დაკვეთით

— ორკესტრი ხალხის დაკვეთით უკრავს? — ჰკითხა ბერნარდ შოუმ რესტორნის ხმაურიანი ორკესტრის დირიჟორს.

— რა თქმა უნდა, სერ.

— ძალიან კარგი. სთხოვეთ, დომინო ითამაშონ.

მოსალოდნელი სკანდალი

ერთხელ კომპოზიტორ პუჩინის, მისმა ნაცნობმა, ახალგაზრდა, მდიდარმა მუსიკოსმა გესლიანად უთხრა:

— შენ უკვე მოხუცდი, ჯაკომო. ალბათ, მე დავწერ სამგლოვიარო მარშს შენი დასაფლავებისთვის და რომ არ დავაგვიანო, ხვალვე დავიწყებ.

— რა გაეწყობა, დაწერე, — ამოიოხრა პუჩინიმ, — მხოლოდ ერთი რამის მეშინია, რომ ეს პირველი შემთხვევა იქნება, როცა დაკრძალვას სტვენით შეხვდებიან!

დასანანი წვრილმანი

გასული საუკუნის ბოლოს ვენის კონსერვატორიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე ლამის კონფუზი მოხდა: პირველი პრემია კინაღამ სრულიად უხმო მომღერალმა მიიღო, რომელსაც სამეფო კართან დიდი კავშირი ჰქონდა. მოგვიანებით საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს, ცნობილ ავსტრიელ კომპოზიტორსა და დირიჟორს გუსტავ მალერს ჰკითხეს:

— მართალია, რომ ქალბატონი ენი კინაღამ კონკურსის ლაურეატი გახდა?

მალერმა სერიოზულად მიუგო:

— კი, ეს სრული ჭეშმარიტებაა. მას ნამდვილად ერთი ხმა არ ეყო — თავისი საკუთარი.

ანექდოტები

***

— ვახტანგიჩ, — მიმართავს ფსიქიატრს კოლეგა, — როგორ მიდის იმ შენი პაციენტის საქმე, დეენის მანია რომ სჭირდა?

— ცუდად... მკურნალობის კურსი თითქმის დასრულებული მქონდა, როცა ვიღაც ჩაუსაფრდა და ესროლა...

***

— ალო! — გაისმა ყურმილში ქალის ნაცნობი ხმა.

— გისმენთ! — უპასუხა ომახიანად მამაკაცმა.

— გივის ველაპარაკები?

— დიახ, გენაცვალე...

— იცი, მე ფეხმძიმედ ვარ!

— თქვენ არასწორად აკრიბეთ ნომერი, თქვენ არასწორად აკრიბეთ ნომერი...



***

— ძვირფასო, მე შენთვის პირველი მამაკაცი ვარ? — ეკითხება კაცი ცოლს.

ქალი რატომღაც დიდხანს აკვირდება და მერე პასუხობს:

— მგონი კი...

***

— ტასიკო, ერთი მითხარი, შენი ქმარი სახლში ადრე დაბრუნებას როგორ მიაჩვიე?

— როგორ, აგრაფინა და ძალიან იოლად. ერთხელ, როცა გვიან დაბრუნდა, შევეკითხე: გივი, შენ ხარ?

— რას მატყვილებ, შე ქალო... მაგით მიაჩვიე?

— კი... მას ხომ ლავრენტი ჰქვია...

***

— რითი მოსწონხარ, ლიკაია, კაცებს?

— კარგათ ვიცვამ.

— შენ თეკლაია?

— კარგათ ვიხთი...

***

— ორი საათი ვუნდები აზიაცკების ჩაცმას, ძმა, მერე კიდო, ორი საათი გახდას ვუნდები, — ქოთქოთებს გურული.

— ბოვში გყაავს? — ეკითხება იმერელი.

— არა.

— აპა ვისი გულობიზა წვალობ ამდენს?

***

— მიხო, რა ხნისაა შენი ცოლი?

— რა ვი აბა, რო კითხო ჩემ უფროს ვოგოზე პატარაა...



***

მატარებლის კუპეში ქალ-ვაჟი დიდხანს ჩუმად მგზავრობს. ბოლოს, ვაჟი არღვევს სიჩუმეს და ქალს ეკითხება:

— რაზე ფიქრობ?

— აბა, ერთი გაბედე, ისე ვიკივლო, რო!

***

— ექიმო, დარდისგან სულ გავჭაღარავდი.

— რაზე დარდობ?

— იმაზე, რომ ვჭაღარავდები.

***

გაბრაზებული ქუთაისელი ფეხბურთელი მსაჯს მიეჭრა:

— სად გაქვს ხელჯოხი?! სად?!

— რა ხელჯოხი?

— შენნაირი ბრმა და უხელჯოხო არ გამიგია, მე!

***

— რა არის თქვენი ჰობი?

— ქალები და ნადირობა.

— ...და რაზე ნადირობთ?

— ქალებზე!

რამდენად არტისტული ბუნების ადამიანი ბრაძანდებით?

ზოგიერთ ადამიანს იტაცებს ხატვა, ზოგს კი მუსიკის მოსმენა ხიბლავს. ასეთ ადამიანებს გამახვილებული აქვთ გარემოს აღქმის უნარი, მათ უყვართ სილამაზე, აქვთ ფაქიზი სული და ხელოვნების დამფასებლებიც არიან. არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომელთათვისაც ყოველივე სულიერი, სრულიად უსარგებლო და უმაქნისი რამ გახლავთ. თუკი გაინტერესებთ, როგორი ხართ თქვენ, უპასუხეთ ქვემოთ მოყვანილ ტესტის შეკითხვებს და პასუხსაც მიიღებთ.

1. თქვენი აზრით, არის თუ არა სხვაობა სიტყვებში — „ტონი“ და „ნიუანსი“?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

2. შეგიძლიათ, თუ არა იცხოვროთ არამყუდრო, მოსაწყენ ბინაში და ვერც კი შეამჩნიოთ ეს?
ა) დიახ – 0; ბ) არა – 1.

3. გიყვართ ხატვა?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

4. ტანისამოსის შერჩევისას, მოდას კი არა, საკუთარ გემოვნებას თუ ეყრდნობით?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

5. რაიმეს გეუბნებათ თუ არა შემდეგი სახელები: მანე, ვან დეიკი, ხოსე დე რიბერა, ფალკონე?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

6. ძალიან ცუდი ხასიათი გაქვთ?
ა) დიახ – 0; ბ) არა – 1.

7. ცდილობთ თუ არა, რომ თქვენი სამოსი ფერის ერთ გამაში იყოს გადაწყვეტილი?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

8. გიყვართ თუ არა მუზეუმებში სიარული?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

9. გზად მიმავალი, შეყოვნდებით თუ არა, რათა ჩამავალი მზის მშვენიერებით დატკბეთ?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

10. გეომეტრიული ფიგურების ხატვით თავს თუ იქცევთ ხოლმე?
ა) დიახ – 0; ბ) არა – 1.

11. ხშირად სტუმრობთ თუ არა სამხატვრო სალონებს?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

12. გიყვართ თუ არა ქუჩაში ხანგრძლივი ხეტიალი?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

13. გიყვართ თუ არა მარტოობა?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

14. მიიჩნევთ თუ არა აბსურდულად სიტუაციას, როცა ვინმე ლექსების კითხვას იწყებს?
ა) დიახ – 0; ბ) არა – 1.

15. მუსიკას მხოლოდ გართობის მიზნით უსმენთ ხოლმე?
ა) დიახ – 0; ბ) არა – 1.

16. ლამაზი პეიზაჟის ხილვის შემდეგ შთაბეჭდილება დიდხანს გამახსოვრდებათ?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

17. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ზღვის კენჭები ძალიან ლამაზია?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

18. გიყვართ თუ არა ახალი შეხვედრები და ახალი ნაცნობობა?
ა) დიახ – 0; ბ) არა – 1.

19. მოგწონთ თუ არა ლექსების ხმამაღლა კითხვა?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

20. ოდესმე თქვენი ოთახის კედელზე სურათის დახატვის სურვილი თუ გაგჩენიათ?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

21. ვარცხნილობას ხშირად იცვლით?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

22. შინ ავეჯს თუ აადგილებთ ხოლმე?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

23. ოდესმე სიმღერის დაწერა თუ გიცდიათ?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

24. ლექსებს ხომ არ წერთ?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

დაანგამეთ ქულები

16 ქულაზე მეტი: დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თქვენ, სილამაზის აღქმის საოცარი უნარით გამოირჩევით, რაც უდავოდ ახასიათებთ არტისტული ბუნების ადამიანებს.

8—16 ქულა: მართალია, ზოგჯერ ღრუბლებში დაფრინავთ და სილამაზის მიმართ გულგრილი არ ხართ, მაგრამ თქვენ უფრო რაციონალური ბრძანდებით. მოკლედ, უნდა გითხრათ, რომ სასიამოვნოსა და სასარგებლოს შეთავსების გასაოცარი უნარით გამოირჩევით.

8 ქულაზე ნაკლები: საეჭვოა, რომ ისეთი ადამიანი, როგორიც თქვენ ბრძანდებით ან ამომავალი მზის სილამაზემ მოხიბლოს, ან ჩამავალი მზის მშვენიერებამ. გირჩევთ, დაფიქრდეთ!

ცოლმა თავი მოიჭრა, ქმარმა ჯი გადაიფიქრა

ირანის პოლიციამ ახალგაზრდა მამაკაცი დააკავა, რომელმაც ცოლი სასტიკად მოატყუა და „იმ ქვეყნად მარტო გაამგზავრა“.

ახალგაზრდები სულ ორი დღის დაქორწინებულები იყვნენ, მაგრამ როგორც ქმარი ამბობს, სინდისის ქენჯნა არც ერთს არ აძლევდა მოსვენებას. საქმე ის იყო, რომ მათ ქორწინებამდელი სექობრივი კავშირი ჰქონდათ. ეს კი მუსლიმანისთვის – განსაკუთრებით ქალისთვის, უმძიმესი ცოდვაა. ცოდვის გამოსასყიდად, ცოლ-ქმარმა ერთდროულად თავის მოკვლა გადაწყვიტა. ქმარი ცოლს თავის ჩამოხრჩობაში დაეხმარა, თუმცა თვითონ მოულოდნელად გადაიფიქრა და თავის ყულფში გაყოფის ნაცვლად, პოლიციას ჩაჰბარდა.

როგორ სასჯელს გამოუტანენ მას, ჯერჯერობით უცნობია. ■

ჩინელმა SMS-ჰომანი დანერა

ჩინელმა მწერალმა კან ფიჩანმა უჩვეულო რომანი დაწერა. ნაწარ-

მოები მკითხველს ცოლიანი მამაკაცისა და გათხოვილი ქალის მგზნებარე სიყვარულის შესახებ მოუთხრობს. მაგრამ უჩვეულო არა რომანის შინაარსი, არამედ მისი ფორმაა – რადგან ის SMS-ის სახითაა დაწერილი.

რომანი 60 პატარა თავადაა დაყოფილი, რომელთაგან თითოეული 70 იეროგლიფისგან (SMS-შეტყობინების მაქსიმალური ზომა) შედგება.

ჩინეთის ერთ-ერთი პროვინციის ლიტერატურის აკადემიის თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა, რომ კან ფიჩანის რომანი მაღალმხატვრული ღირებულებით გამოირჩევა. ■

ძაღლი სიჩქარეში ცხოვრობს

მსოფლიოში ყველაზე პატარა – ჩიხუახუას ჯიშის ნამცეცა სტარს სპეციალური საცხოვრებლის მოწყობა სულაც არ სჭირდება – ის ლიქიორის სირჩაშიც მშვენივრად თავსდება.

მსოფლიოში ყველაზე პატარა ძაღლი, რომელიც სიგრძით მხოლოდ და მხოლოდ 15 სმ-ია და სულ რაღაც 450 გ-ს იწონის, 75 წლის დიასახლისთან, დიანა გოდფრეისთან ერთად ბრიტანულ ქალაქ ჰანდერპენში ცხოვრობს.

მიუხედავად იმისა, რომ სტარი ასაკით ჯერ მხოლოდ 4 თვისაა, ის მეტად აღარ გაიზრდება – მან ზრდა დაბადებიდან 5 კვირის შემდეგ შეწყვიტა.

ჩიხუახუას ჯიშის ძაღლები საშუალოდ, 18-28 სმ სიგრძისანი არიან და 3-4 კგ-ს იწონიან. ჩვეულებრივ, ამაზე უფრო პატარებს სუსტი ჯანმრთელობა აქვთ და იშვიათად აღწევენ ერთი წლის ასაკამდე. მაგრამ სტარის პირადი ვეტერინარი ამტკიცებს, რომ მისი მინიატურული ლეკვი „იდეალურ ფორმაშია“ და კიდევ „100 ძაღლურ წელიწადს“ იცოცხლებს. ■

თვითმფრინავი მიჯროავტობუსზე დაჯდა

კურიოზული ინციდენტი მოხდა ამერიკის შტატ არიზონაში. ავტოსაგზაო ინსპექციამ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი პილოტი(!) დააკავა, რომელმაც თვითმფრინავი პირდაპირ გზატკეცილზე დასვა. თვითმხილველთა თქმით, თვითმფრინავმა დაშვება თანდათანობით დაიწყო, ბოლოს კი ტრასაზე მიმავალი მიკროავტობუსის სახურავზე დაჯდა.

ამჟამად 53 წლის პილოტი მ. საუტი საავადმყოფოში იმყოფება და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ის, თუ რამ გადააწყვეტინა პილოტს ასეთი რისკიანი ტრიუკის ჩატარება, ცნობილი არ არის. ■

ძილის ბიზნესი

ახალდაარსებული ნიუ-იორკული კომპანია სახელწოდებით MetroNaps მომხმარებელს ორიგინალურ მომსახურებას სთავაზობს: სახელგანთქმული ცათამბჯენის Empire State Bulding-ის 24-ე სართულზე კლიენტს შეუძლია 14 დოლარის საფასურად 20-წუთიანი ძილი(!) „მიიღოს“.

ახალი ბიზნესის წამომწყებნი ფიქრობენ, რომ 20 წუთზე მეტხანს ძილი, ენერგიას კი არ მატებს, არამედ უფრო ადუნებს ადამიანს. როგორც ისინი ამბობენ, დასვენების ამგვარი ფორმა ზოგიერთ სამხრეთ-ევროპულ ქვეყანაში დიდი ხანია არსებობს. ამავე დროს, კომპანიის დამაარსებლები, MetroNaps-ს საზოგადოებრივი კვების ობიექტების კონკურენტადაც მიიჩნევენ.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მომხმარებელთა უმეტესობა კმაყოფილია. ერთ-ერთმა მათგანმა, ეროვნებით არაბმა განაცხადა, რომ ურჩევნია, ეს 14 დოლარი MetroNaps-ში დასვენებას მოახმაროს, ვიდრე კაფეში, სრულიად უსარგებლოდ დახარჯოს. ■

ფოტოკოლაჟები



ь 90/26.

№15(75) 22.VII-4.VIII 2004

ოჯახის მეუღლეები

სამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

ზღვის სანაპირო და ცელულიტი

მთავარი თემა: პროსტატის პათოლოგიები

რა იწვევს გულის უკმარისობას

სექსი ინფარქტის შემდეგ

ვიზიტი კოსმეტოლოგთან

ლუდი და ჯანმრთელობა

ებრძოლეთ ბუზებს

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის